ახალი მოქალაქე

აპრილი 2011 №70
ფასი 5 ლარი

ისტორიები
ნინო ცინცაძე
ნინო ბექიშვილი

ერთი რევოლუცია
ზურა ჯიშკარიანი

სპეცპროექტი
პოლიტიკა და არტი
ირინა ალიაშვილი, ანი ბერუკაშვილი

ინტერვიუ
მაირბეკი
ქეთი ქანთარია

მონტი ალექსანდერი
კახა თოლორდავა

კომენტარი
ლობოტომია
ბაჩო კვირტია

ქველმოქმედება vs სოლიდარობა
ვახუშტი მენაბდე

ლიტერატურა
გივი მარგველაშვილი
ჯუანშერ ტიკარაძე
მოჰამედ ნასიუ ალი
ბექა ქურხული

ISSN 1512-2220
9 771512 222006

UCNOBI FM 98.0

თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი	FM 105.5
გორი, ქარელი, ხაშური	FM 103.0
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია	FM 104.5
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი	FM 101.0
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი	FM 101.9



გარეკანზე: ნინო ცინცაძე
ფოტო: სერგი ბარისაშვილი

ახალი მოკოლაღი

N70, აპრილი 2011

	6	რედაქტორის წერილი
	8	ჩვენი ავტორები
	10	აფიშა ***ნინო ჩიმაკაძე***
კრიტიკა	16	წარსულის სახიფათო აჩრდილები ***დავით ბუხრიკიძე***
	18	ხორუმი ქართული ცეკვაა ***დავით პაიქაძე***
	20	ისევ მარო, ისევ მიტო და ისევ ის ბედკრული „შუა ქალაქი“ ***დავით ბუხრიკიძე***
	22	ისტორიული ან/და ტურისტული ქალაქი ***თამარ ამაშუკელი***
	23	გოდარის „სოციალიზმი“ ***ლაშა კალანდაძე***
მუსიკა	24	ერთი მუსიკალური საუკუნე ***მიშა მდინარაძე***
კულინარია	26	ყველა ფერი და ყველაფერი საწებლებისა და სოუსების შესახებ ***დიანა ანფიმიადი***
	28	თევზი და ღვინო ***თამარ ბაბუაძე***
კომენტარები	30	ლობოტომია ***ბაჩო კვირტია***
	32	ქველმოქმედება vs სოლიდარობა ***ვახუშტი მენაბდე***
წერილები	34	გარეუბნის ეფექტი ***ლაშა ქავთარაძე***
	36	დე, თბილისში გვინდა! ***მარიამ სამადაშვილი***
ისტორია	38	რეალისტი უტოპიური ოცნებებით ***ნინო ბექიშვილი***
	66	ამინდის პროგნოზი ***ზურა ჯიშკარიანი***
ინტერვიუ	44	ინტერვიუ მაირბეკთან ***ქეთი ქანთარია***
	72	ინტერვიუ მონტი ალექსანდერთან ***კახა თოლორდავა***
სპეცპროექტი	50	პოლიტიკა და არტი ***ირინა ალიაშვილი, ანი ბერუკაშვილი***
ფოტოპროექტი	78	ტიბეტი ისევ ლოცულობს ***სერგი ბარისაშვილი***
ესე	86	Fnord?! ***დავით ჩიხლაძე***
	90	*ჩანაწერები* ***ლანა ღოღობერიძე***

ექსპრეს კლინიკა

ბიმპარტივ ჯანმრთელობაზე ზრუნვა

ჩვენ გთავაზობთ:

- ✓ პროფესიონალი ექიმის კონსულტაციას
- ✓ ნებისმიერი სახის ლაბორატორიულ ანალიზებს
- ✓ ნებისმიერი სახის აცრას ევროპული და ამერიკული ვაქცინებით
- ✓ ინსტრუმენტულ გამოკვლევებს (ექოსკოპია, ეკგ)
- ✓ გაუთვალისწინებელი შემთხვევის დროს პირველადი დახმარების ჩატარებას
- ✓ სხვადასხვა სახის მანიპულაციებს

ექსპრეს კლინიკა ჯი პი სი-ს აფთიაქებში

თბილისი: გამსახურდიას ქ. 23/25, ჭავჭავაძის გამზ. 24, ჭავჭავაძის გამზ. 50, კოსტავას ქ. 23, გორგასლის ქ. 39;
ტელეფონი: 0-007; 20 12 12

კვირაში 7 დღე

სამუშაო საათები: 9.00 - 21.00

შაბათ-კვირა: 10.00 - 18.00

მთავარი რედაქტორები:
ნინო ლომაძე, რატი ამაღლობელი
არტ-რედაქტორი:
გიორგი ნადირაძე
რედაქტორ-სტილისტი:
პაატა შამუგია
კორექტორი: თამარ ღონღაძე
ნომერზე მუშაობდნენ:
დავით ბუხრიკიძე, თამარ ბაბუაძე, კახა თოლორდავა, ქეთი ქანთარია, ზურა ჯიშკარიანი, ბაჩო კვირტია, დავით პაიჭაძე, ლანა ღოღობერიძე, დავით ჩიხლაძე, დიანა ანფიმიადი, მიშა მდინარაძე, ნინო ბექიშვილი, თამარ ამაშუკელი, ვახუშტი მენაბდე, ლაშა კალანდაძე, რატი ამაღლობელი, ნინო ჩიმაკაძე, ანი ბერუკაშვილი, თეო ქავთარაძე, ირინა ალიაშვილი, მარიამ სამადაშვილი, ლაშა ქავთარაძე, მერი შიხაშვილი
ფოტო:
მარიკა ქოჩიაშვილი, ლევან ხერხეულიძე, სერგი ბარისაშვილი
ილუსტრაცია:
მაია სუმბაძე
დიზაინი:
თორნიკე ლორთქიფანიძე
მენეჯერი:
რუსუდან ფურცელაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობა:
ლელა შუბითიძე
კლიენტთა მომსახურების მენეჯერი:
ნათია რუსაძე
სარეკლამო გაყიდვები:
თინა ოსეფაშვილი
დისტრიბუცია:
ზვიად შენგელია

გამომცემელი:
შორენა შავერდაშვილი
გამომცემლობა:
შპს „ემ ფაბლიშინგი“, თბილისი 0105, ფალიაშვილის ქ. 108, ტელ.: 912326
ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net
სხვა გამოცემები:
ლიბერალი, ბიზნესი-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები, დიალოგი.
სტამბა:
„ფავორიტი“, თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50, ტელ.: 951952

ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან
© "M Publishing" საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

ცხელი შოკოლადი

გმირების ძიება სახიფათო, მხოლოდ ზიანის მომტანი საქმიანობაა. სამყარომ დღეს კარგი იდეები უნდა ეძებოს, – ხშირად იმეორებს ნოამ ჩომსკი, როდესაც პროპაგანდის ანატომიაზე და მანიპულაციაზე ლაპარაკობს, – ყველა გმირის მიღმა იდეა უნდა დაინახო და კარგად დააქუცმაცო, რომ მოვლენების არსში გარკვევა შეძლო. ჩომსკი ამბობს, რომ გმირები ხალხს არაფერში სჭირდება, გმირები მხოლოდ მანიპულაციის ობიექტები არიან, რომელიც ყოველთვის ძალაუფლებას, ან ძალაუფლებისთვის მებრძოლ ადამიანებს სჭირდებათ საყრდენად.

60-იანი წლების ერთ-ერთი ლამის ძალით გმირად შერაცხული ბობ დილანი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „ქრონიკები“ წერს: „მე მაშინ მყავდა ცოლი და შვილები, რომლებიც ამ ქვეყანაზე ყველაზე მეტად მიყვარდა. ყვითელი პრესა კი, ჯიუტად აგრძელებდა ჩემს, როგორც თაობის მესაყვირის, უფრო მეტიც – თაობის სინდისის წარდგენას. სასაცილო იყო. მე მხოლოდ გულახდილ სიმღერებს ვმღეროდი. ძალიან ცოტა მქონდა საერთო და თითქმის არაფერი ვიცოდი იმ თაობაზე, რომლის მესაყვირედაც მასაღებდნენ. მე კოვბოი უფრო ვიყავი, ვიდრე ვირთხების მესტვირე.

ადამიანებს ჰგონიათ, რომ პოპულარობა და სიმდიდრე ძალაუფლების საწინდარია და რომ მას ღირსება და ბედნიერება მოაქვს. შეიძლება ასეცაა, მაგრამ ზოგჯერ სხვანაირადაც ხდება... მსოფლიოს ყოველთვის სჭირდება განტევების ვაცი, ვინც რომის იმპერიის წინააღმდეგ გაილაშქრებს. არასდროს ვყოფილვარ იმაზე მეტი, ვიდრე ვიყავი, – აცრემლებული თვალებით, ნაცრისფერ ბინდბუნდს ჩაშტერებული ფოლკ-მუსიკოსი, რომელიც ნათელ ბურუსში მოფარფატე სიმღერებს წერდა. ახლა კი ეს ყველაფერი თითქოს თვალწინ ამიფეთქდა და ჩემ წინააღმდეგ შემოტრიალდა. ამ სიტუაციაში ნებისმიერი შეიშლებოდა ჭკუიდან“. (ინგლისურიდან თარგმნა კახა თოლორდავამ).

ნინო ცინცაძე სწორედ იდეებზე საუბრობს და მათ დაცვას თავისი საქმით ცდილობს. ნინო თვლის, რომ შეუძლებელია საზოგადოება ღია იყოს განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისადმი და, ამავე დროს, ჰქონდეს აგრესია სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ; შეუძლებელია, აღიარებდე გამოხატვის თავისუფლების იდეას და პატივს არ სცემდე სექსუალური ორიენტაციის საჯაროდ გამოხატვის უფლებას; შეუძლებელია სოლიდარული იყო თავისუფლების იდეისადმი და განსხვავებულობასა და მრავალფეროვნებას არ აღიარებდე.

მიმდინარე ნომერში ორ საკითხზე ვმსჯელობთ: ფეტიშად ქცეულ რევოლუციებსა და იდეაგამოცლილ გმირებზე (გვ.72) და მნიშვნელოვან იდეებზე (გვ.42), რომლის დაცვა და ერთგულება, სინამდვილეში, დედამიწაზე ცხოვრებას გვასწავლის.

ნინო ლომაძე
მოგვწერეთ, editor@shokoladi.ge

SINCE 1884

SARAJISHVILI

ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი

ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“ გიწვევთ დისკუსიაზე

სექსი და სექსუალური იდენტობა

სტუმრები:
რუსუდან ფხაკაძე, ფსიქოლოგი
ანა კორძაია-სამადაშვილი, მწერალი
ლაშა ბუღაძე, მწერალი
მოდერატორი
რატი ამაღლობელი, პოეტი, „ცხელი შოკოლადის“ რედაქტორი

რუსთაველის გამზირი 17
რუსთაველის თეატრის ექპერიმენტული სცენა
11 აპრილი. 19.00. 2011

ნინო ბექიშვილი

ნინო ცინცაძის ისტორიას აფორიაქებული ვწერდი – ცალკე იაპონიის მიწისძვრა, ცალკე ლიბიაში ლამის ლეგიტიმური ომი, ცალკე პირადი აწეწილი ამბები. თან ვწერდი, თან ხან ერთ საიტზე ვამოწმებდი ინფორმაციას, ხან მეორეზე, ხან მეათეზე – სანუგეშოს მაინც ვერაფერს ვიგებდი, უფრო პირიქით. მერე ბავშვობაში წაკითხული ერთი ფრაზა ამომიტივტივდა, მთავარი გმირი ბრძოლის ველიდან ცოლს წერს – ახლა ომია და უკვე აღარ შეიძლება ძველებურად წერაო. მერე ერთი ლექსიც გამახსენდა, სადაც დაბომბილ ქალაქში ადამიანი აივანზე გამოდის იმ იმედით, რომ ჩამოვარდნილი ბომბი მის სახლს კი არა, მოპირდაპირეს მოხვდება და უცებ, იმ მოპირდაპირე სახლიდანაც აივანზე გამოსულ კაცს ხედავს, რომელიც ალბათ, იმავეს ფიქრობს. მაგრამ მე ხომ ომში არ ვყოფილვარ, თბილ ოთახში კომფორტულ სავარძელში ვიჯექი და ყავაც გვერდით მედგა. ომი და მიწისძვრა და ყველაფერი ცუდი, რაც შორს ხდებოდა, ცოტა ხნით რამენაირად უნდა დამევიწყებინა – ნინოს სიმშვიდეს უნდა მივყოლოდი და მოსაყოლი ამბის მდინარება არაფრით დამერღვია. გამოვრთე ტელევიზორი, ინტერნეტი, ტელეფონი, ფეისბუქიც გავაუქმე და მარტო დავრჩით მე და ნინო. უფრო სწორად, მე, კომპიუტერი და ინტერვიუს ჩანაწერი. ახლა მეჩვენება, რომ ასეთი სიამოვნებით არასდროს არაფერი მიწერია. ამ ისტორიაში არაფერია განსაკუთრებული და დრამატული. ეს ერთი ჩვეულებრივი ამბავია, რომელიც ჩვენ გვერდით, ჩვენს ქალაქში დღესაც გრძელდება...

დავით ბუხრიკიძე

სოციალურ ქსელში მოულოდნელად წამოწყებულმა ქარიშხალმა „მემარცხენეობის საყმაწვილო სენზე“ უკვე გადაიარა. ამისათვის თითქოს აღარც დროა და არც შესაფერისი მომენტი: მარცხნივ მოულოდნელი იაპონური აპოკალიფსია და მარჯვნივ ლიბიაში გაჩაღებული საგიჟეთი, რომელიც საიდან სად გადაინაცვლებს არავინ უწყის. მაგრამ მაინც „მარშრუტკის მძღოლებისა“ და „ლატეს“ დისკურსს დავუბრუნდები.

კითხვა პირველი: თუ სოციალური, პოლიტიკური, კულტურული ან რაიმე სხვა მოვლენა იმდენად მაღელვებს, რომ სრულიად უცნობი ჯგუფის, ხალხის ან პიროვნების მხარდამჭერ აქციაზეც წავალ, გასამხნევებლადაც დავწერ და სხვებსაც მოვუწოდებ ამისაკენ, ეს ფსევდომემარცხენეობა და ფარისევლობაა?

კითხვა მეორე: თუ ეს მოვლენები იმდენად მაღელვებს, რამდენადაც ეს პირადად მეხება, ან ჩემს კარიერას თუ სოციალურ იმიჯს მნიშვნელობას მატებს და ამიტომაც დავუჭერ მხარს აციას; მერე კი წავალ და ამაზე აქციების მოწინააღმდეგეებთან წესრიგის სახელით ვიქილიკებ, ეს უკვე ნამდვილი მემარცხენეობაა?

კითხვა მესამე: თუ ზემოთ აღნიშნული აქციები არც მაღელვებს და არც მაინტერესებს, კარგი ხარისხის „კაპუჩინო“ მიყვარს; „დრაკარის“ ოდეკოლონის შესაძენად მზად ვარ საბურთალოზე მარშრუტკით გავიდე; „არ დაიდარდოს“ რადიოეთერი 40 წუთი მშვიდად ავიტანო; „გუჩის“ სათვალე ვატარო და ღამით ჯაზ-კლუბში წავიდე, ეს ნიშნავს, რომ მძღოლს მძღოლები, მეშახტეები და საერთოდ მემარცხენეები?

კითხვა მეოთხე და ყველაზე მნიშვნელოვანი: რატომ აღიქვამენ ასე მტკივნეულად ინტელექტუალები თუნდაც ხელოვნურ, ან გულწრფელ კრიტიკას და რატომ ჰგვრით მისტიკურ სიამოვნებას „დამლაიქებლების“ დიდი რაოდენობა სოციალურ ქსელში? არ შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანი სათქმელი „ფეისბუქის“ საზღვრებს მიღმა დავტოვოთ. როცა საკუთარი თავის წინაშე გვაქვს ვალდებულება; არავინ გვამოწმებს – რაც ვიფიქრეთ და რაც არა ვთქვით.

პეგასი PEGASI
აუდიო – ვიდეო და კომპიუტერული ტექნიკა
AUDIO - VIDEO AND COMPUTER TECHNICS

პეგასის საჩუქარი ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს!



შეიძინეთ ტელევიზორი ან ნოუთბუქი საუკეთესო ფასად მაღაზია პეგასში თუ ჩვენი ფეხბურთის ეროვნული ნაკრები 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოხვდება, თქვენს მიერ შეძენილი პროდუქციის სრული ღირებულება უკან დაგიბრუნდებათ.

ყაზბეგის 24
ტელ: 312475, 475612
www.pegasigroup.ge; www.cd.ge
facebook.com/pegasigroup
info@pegasigroup.ge

აქცია ხორციელდება ტოტალიზატორ მაქსიმუმის მხარდაჭერით.

გამოფენა
„ბუსტროფედონი“
ქართველი ავანგარდისტები

„ბუსტროფედონი“ – ასე ჰქვია გამოფენას, რომელსაც 19 აპრილიდან ლიტერატურის მუზეუმი და ხელოვნების ინტერდისციპლინური კვლევის ლაბორატორია წარმოადგენენ. სახელწოდება ილია ზდანევიჩის პოემის „ბუსტროფედონი სარკეში“ მიხედვით შეირჩა და გამოფენაზე 1910-იანი წლების ქართველი ავანგარდისტების ნამუშევრები იქნება წარმოდგენილი. გამოიფინება H2SO4-ის და სხვა ლიტერატურული ჟურნალების რეპრინტი, ასევე ავანგარდული წიგნების პრინტები და ორიგინალები, გრაფიკული, ფერწერული და ფოტონამუშევრები. მათი ავტორები გახლავთ: დავით კაკაბაძე, კირილე და ილია ზდანევიჩები, ლადო გუდიაშვილი და სხვები.

წარმოდგენილი იქნება ასევე თეატრის მხატვრობა და 1910-20-იანი წლების ქართული ავანგარდული კინო. სხვადასხვა ოთახში დამონტაჟებულ ეკრანზე ნაჩვენები იქნება მიხეილ კალატოზიშვილის „ლურსმანი ჩექმაში“ და „ჯიმ შვანთე“; კოტე მიქაბერიძის „ჩემი ბებია“ და მიხეილ ჭიაურელის „საბა“.

მსგავსი გამოფენა, ცოტა უფრო დიდი მასშტაბით, 2009 წლის აგვისტოში ნიუ-იორკში, კესი კაპლანის ცნობილ გალერეაში მოეწყო. ამ თემას სტატიები მიუძღვნეს New York Times-მა, Art forum international-მა და Flash Art-მა. 2010 წელს კი კოლუმბიის უნივერსიტეტში სპეციალური კონფერენცია მოეწყო ქართულ ავანგარდზე, სადაც ქართველი ხელოვნების ისტორიკოსები იყვნენ მიწვეულები.

გამოფენის კურატორი – ნანა ყიფიანი.
19 აპრილი–7 მაისი , გახსნა 18 სთ.
მისამართი: ჭანტურიას ქ.№8

თბილისის გოეთეს ინსტიტუტი
„საუკეთესო პლაკატი კლიმატის ცვლილებების თემაზე“
პლაკატების გამოფენა სტუდენტური კონკურსის შედეგების მიხედვით:
გოეთეს ინსტიტუტის პროექტის „ეკო არტი“ ფარგლებში. სამი საუკეთესო ნამუშევარი დაჯილდოვდება პრიზებით.
21 აპრილი–5 მაისი, გახსნა18 სთ.
მისამართი: ზანდუკელის ქ.№16

„გალა გალერეა“
ახალგაზრდა მხატვრის – ტარიკო ჭანტურიას პერსონალური გამოფენა სახელწოდებით „სტარტი“.
1–7 აპრილი, გახსნა 19 სთ.

”გალა გალერეა”
ახალგაზრდა მხატვრის – ნინო კოღუაშვილის პერსონალური გამოფენა
10–17 აპრილი, გახსნა 19 სთ.

„ეკო არტი“

ავტორი: ნინო ჩიმაკაძე



ფილმები

„მე – კუბა“

რეჟისორი: მიხეილ კალატოზიშვილი

კინოს სახლი

მიხეილ კალატოზიშვილმა „მე – კუბა“-ს გადაღება 1963 წლის კუბის კრიზისიდან რამდენიმე კვირაში დაიწყო. საბჭოთა ხელისუფლების წყალობით ეს ფილმი ათეული წლების მანძილზე მივიწყებული იყო. „დავიწყების“ ოფიციალურ მიზეზად მისი არაკომერციულობა სახელდებოდა. თუმცა ამ საკითხზე არაერთგვაროვანი მოსაზრებები არსებობს. კუბის რევოლუციის წინა პერიოდის ამსახველი კინოკადრები ზუსტად ეხმიანება საბჭოთა რევოლუციის იდეას (ბევრი მას ეიზენშტეინის „პოტიომკინსაც“ ადარებდა). ამავე დროს „მე – კუბა“ ტირანიის წინააღმდეგ მიმართული თავისუფლების, ცვლილებების პროპაგანდა იყო და აბა, რა გარანტია ჰქონდათ, რომ საბჭოთა მაყურებელი ფილმის ჩვენების შემდეგ ახალ რევოლუციაზე არ დაიწყებდა ფიქრს?

შემთხვევით აღმოჩენილი ფილმი თითქმის 30-წლიანი პაუზის შემდეგ 1993 წელს სან ფრანცისკოს კინოფესტივალზე აჩვენეს. ფილმის დასრულების შემდეგ მაყურებელი რამდენიმე წუთის განმავლობაში ფეხზე დამდგარი უკრავდა ტაშს. თუმცა „მე – კუბა“ მსოფლიო კინოსამყაროსთვის მხოლოდ 1995 წელს გახდა ცნობილი, როცა ის ამერიკელმა რეჟისორებმა, მარტინ სკორსეზემ და ფრენსის ფორდ კოპოლამ კინოკომპანია Milestone Films-თან ერთად წარადგინეს. „ეს კინოს ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი აღმოჩენაა, ის სამუდამოდ შეცვლის თქვენს ხედვას კინოზე“, – წერდა Milestone Films ფილმის შესახებ. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ კი მის „შთამბეჭდავ და მომაჯადოებელ“ ვიზუალურ მხარეზე საუბრობდა და მოძრავი კამერის გამო გარკვეულ პარალელებს „ახალი ტალღის“ ფილმებთანაც ავლებდა.

კალატოზიშვილის რეჟისურა, ევგენი ევტუშენკოს სცენარი და სერგეი ურუსევსკის საოცარი, თავბრუდამხვევი კადრები მთლიანობაში მართლაც ფანტასტიკურ სანახაობას ქმნის და გაიძულებს, თითქმის ორსაათ-ნახევრიან ფილმს ერთი ამოსუნთქვით უყურო.

კალატოზიშვილი ერთადერთი საბჭოთა რეჟისორია, რომელსაც კანის ოქროს პალმის რტო აქვს მიღებული 1958 წელს, ფილმისთვის „მიფრინავენ წეროები“.

3 აპრილი. დასაწყისი 18 სთ.

„ბიძია ბონმი, რომელსაც შეუძლია გაიხსენოს თავისი წარსული ცხოვრებები“

კინოს სახლი

2010 წლის კანის კინოფესტივალის გამარჯვებული ტაილანდური ფილმი
რეჟისორი: აპიჩატპონგ ვირასეტაკული
7 აპრილი. დასაწყისი 18 სთ.

„L'AURORE (აისი) – სიმღერა ორ ადამიანზე“

კინოთეატრი „ამირანი“, დიდი დარბაზი

გერმანელი რეჟისორის, ფრიდრიხ მურნაუს მუნჯი ფილმი
გოეთეს ინსტიტუტისა და ფრანგული ინსტიტუტის ერთობლივი პროექტი
2 აპრილი. დასაწყისი 19 სთ.
დასწრება თავისუფალია

„მამაჩემის გელფრენდი“

„რუსთაველი“ და „ამირანი“

რეჟისორი ნიკოლოზ ხომასურიძე
როლებში: იმედა არაბული, შორენა ბეგაშვილი
აპრილი

„წითელქუდა“

კინოთეატრი „ამირანი“

რეჟისორი: კეტრინ ჰარდიკი
როლებში: ამანდა სეიფრიდი, ლუკას ჰასი, გარი ოლდმენი
აპრილი

ავტორი: ნინო ჩიმაკაძე

თეატრი

„დეკამერონი“

რეჟისორი: ლევან წულაძე

მარჯანიშვილის თეატრი

ჯოვანი ბოკაჩოს ცოტათი არ გაუმართლა: შეპირებული სპექტაკლი „დეკამერონი“, რომელიც ლევან წულაძის რეჟისურით ჯერ კიდევ გასულ წელს უნდა ენახა პუბლიკას თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, გარკვეული მიზეზების გამო გადაიდო. სამაგიეროდ, უკვე ახალი წლის თებერვლიდან, რეჟისორმა მარჯანიშვილის თეატრში რეპეტიციები განაახლა. შეფერხების მიუხედავად, „დეკამერონის“ პრემიერა მარტის ბოლოს, ან აპრილის პირველ რიცხვებში გაიმართება.

სადადგმო ჯგუფი თითქმის იგივეა: „ჭოლას“ ერთგული ქორეოგრაგი გია მარღანია, მის სპექტაკლებში ხშირად „შემჩნეული“ კომპოზიტორი ვახტანგ კახიძე და საკმაოდ დახვეწილი კოსტიუმების მხატვარი ნინო გაჩეჩილაძე. არც მსახიობები არიან მაყურებლისთვის განსაკუთრებით უცხონი – ბაია დვალიშვილი, მანანა კაზაკოვა, ეკა ნიჟარაძე, ონისე ონიანი, გივი ჩუგუაშვილი, მარლენ ეგუტია, ბესო ბარათაშვილი და სხვები.

ასე რომ, გასული წლის იმედგაცრუება შესაძლოა სასარგებლო გამოდგეს და მაყურებელმა უფრო კარგი ხარისხის სპექტაკლი იხილოს. მით უმეტეს, რომ ჩემი თაობისთვის ეროტიკულად შერაცხული „დეკამერონი“ ქართულ სცენაზე არასოდეს დადგმულა. იქნებ აღორძინების ხანის მსუყე, ჯანმრთელი და ფერადოვანი ეროტიზმი სცენაზე უკეთესი სანახავია, ვიდრე ყალბი პატრიოტული ნოტებით ან სოციალური თემატიკით გამძაფრებული უღიმღამო სპექტაკლები.

პრემიერა 29, 30, 31 მარტი, 20სთ.

დავით ბუხრიკიძე

„ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“

თავისუფალი თეატრი
ახალი სპექტაკლის პრემიერა 24 მარტიდან
რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი
თამრი ფხაკაძის ნაწარმოების მიხედვით.

7,14,21 აპრილი, 19სთ.

დისკუსია

ფილმის ჩვენება, დისკუსია

„გაღმა ნაპირი“
რეჟისორი: გიორგი ოვაშვილი

Frontline Georgia-ში გიორგი ოვაშვილის ფილმის, „გაღმა ნაპირის“ ჩვენება და დისკუსია გაიმართება. ფილმის პრემიერა 2009 წელს ბერლინის კინოფესტივალზე შედგა: ბოლო ორ წელიწადში კი ის ოთხმოცამდე ფესტივალზე აჩვენეს. „გაღმა ნაპირი“ რამდენიმე ევროპულმა ტელეარხმაც შეიძინა.

ჩვენებაზე რეჟისორიც იქნება მოწვეული. გიორგი ოვაშვილთან ერთად დისკუსიაში მონაწილეობას მიიღებენ: დალი ხომერიკი – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი; გურამ ოდიშარია – მწერალი და გიორგი სუხუმი ჯახაია – ბლოგერი.

ფილმის დაწყებამდე გაიმართება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე დევნილი ბავშვების მიერ დამზადებული სასუვენირო ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა. გამოფენა ფონდის „ბიბლიოთეკა კულტურული ცენტრი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის თანადგომა“ პროექტის ფარგლებში განხორციელდა.

5 აპრილი. 18სთ.
მისამართი: ბროსეს ქ.№6

ნინო კირთაძის ფილმის, „დურაკოვო–ბრიყვთა სოფელი“ ჩვენება.

Frontline Georgia

ამბავი მოსკოვიდან ასი კილომეტრით დაშორებული სოფლის მკვიდრებზე, რომელთაგან ერთ-ერთი აცხადებს: „ღმერთი ზემოთ მეფობს, პუტინი – მიწაზე. ჩვენ, დაუმარცხებელი რუსი არწივები, დედას ვუტირებთ თქვენს ნატოს“.

ჩვენების შემდეგ გაიმართება დისკუსია, რომელსაც ავტორიც დაესწრება.

29 მარტი. 18 სთ.
მისამართი: ბროსეს ქ.№6

„წარსულის რეკონსტრუქცია: ისტორიოგრაფიის როლი საბჭოთა წარსულის გააზრებაში“

გოეთეს ინსტიტუტი

არასამთავრობო ორგანიზაციის „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია“ ყოველთვიური პროექტი.

29 აპრილი. დასაწყისი 18:00 სთ.
მისამართი: ზანდუკელის ქ.№16

დისკუსია საგამომცემლო საქმიანობის პრობლემებზე საქართველოში

ლიტერატურის მუზეუმი

სტუმრები: „დიოგენეს“ გამომცემელი თამარ ლებანიძე და მწერლები – ზაზა ბურჭულაძე და ბესო ხვედელიძე.

8 აპრილი. დასაწყისი 18 სთ.
მისამართი: ჭანტურიას ქ. №8

მონუმენტალიზმი პოსტტოტალიტარულ საქართველოში

Frontline Georgia

დისკუსიაზე განიხილავენ, თუ რამდენად გამართლებულია ბოლო დროს აგებული ქანდაკებები ხელოვნების თვალსაზრისით და რამდენად ეხმაურება ისინი თანამედროვე ტენდენციებს (წმინდა გიორგის ქანდაკება თავისუფლების მოედანზე, მონუმენტი გმირთა მოედანზე, მცირე პლასტიკა ქუჩებსა და ხიდებზე).

სტუმრები: ნანა ყიფიანი, ხელოვნებათმცოდნე, სოფო კილასონია, ხელოვნებათმცოდნე თეო ხატიაშვილი, კინომცოდნე

12 აპრილი. 19 სთ.
მისამართი: ბროსეს ქ.№6

ავტორი: ნინო ჩიმაკაძე

IL DECAMERON

კრიმინალური

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

ინსცენირების ავტორი, რეჟისორი და სცენოგრაფი ლევან წულაძე

კოსტიუმების მხატვარი ნინო სურგულაძე

კომპოზიტორი ვატო კახიძე

ქორეოგრაფი გია მარღანია

სპორტული ილეთები შოთა სხირტლაძისა

წარსულის სახიფათო აჩრდილები

დროს აცდენილი თეატრალური პრემიერები

დავით ბუხრიკიძე

ბოლოდროინდელი ჭრელი, ხშირად ფორმალური და არაფრისმთქმელი წარმოდგენები კრიზისს მხოლოდ ადასტურებს.

მოკლედ და კონკრეტულად, თანამედროვე თეატრი დიდი ხანია პრობლემების წინაშეა. უხმაურო პრემიერაც კი უკვე მოვლენად შეიძლება ჩავთვალოთ. გემოვნება რომ ტესტირებას ნიშნავს, ეს კარგა ხანია დაადასტურა „კომედი კლაბისა“ თუ „შაბათის შოუს“ მსგავსმა სანახაობებმა. მსუბუქად უხამსი სატელევიზიო შოუებისა და აღგზნებადი საკლუბო ცხოვრების ფონზე, უმთავრესი კითხვა კვლავაც აქტუალურია: შეუძლია თუ არა მაყურებელს, რომელსაც სოციალური და ფსიქოლოგიური ჩაღრმავებისთვის არც დრო დარჩა და არც მოთმინება, უმტკივნეულოდ შეეგუოს გარემოს და იმავე კლაბ-შოუს ნაწილი გახდეს, რომელშიც მას გამუდმებით ეპატიჟებიან?

იქნებ თანამედროვე დასავლური დრამის, საინტერესო ტექსტების, ან ჩვენი კლასიკოსი-რეჟისორების „მსახვრალი ხელის“ დახმარებით ფარული ბრძოლა გამოუცხადოს უგემოვნობასა და ზედაპირულობას სცენაზე?!

ეს მხოლოდ რიტორიკა არ არის. ბოლოდროინდელი ჭრელი, ხშირად ფორმალური და არაფრისმთქმელი წარმოდგენები კრიზისს მხოლოდ ადასტურებს. ბოლო ორი თვის განმავლობაში რობერტ სტურუას მაგისტრანტებმა, მაკა ნაცვლიშვილმა და პაატა ციკოლიამ რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზის სივრცე ახალი წარმოდგენებით შეავსეს. პირველმა გერმანიაში პოპულარული დრამატურგის, როლანდ შიმელპფენიგის პიესა „ქალი წარსულიდან“ დადგა (სხვათა შორის, ეს გოეთეს ინსტიტუტისა და რუსთაველის თეატრის ახალი პროექტია), ხოლო მეორემ – ახალგაზრდა მწერლისა და დრამატურგის ლელა კოდალაშვილის „ქალები, ღალატი“.

ამ ორი პრემიერით დასრულდა პროექტი „ახალი ტალღა“, რომელიც რუსთაველის თეატრის ინიციატივითა და ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. ამ პროექტის შემდეგ ერთი რამის თქმა შეიძლება: სპექტაკლების ესთეტური ხარისხი დაბალია, ხოლო რეჟისორებს განზოგადების უნარი აშკარად აკლიათ. ახალგაზრდა სცენოგრაფების, კომპოზიტორების და ქორეოგრაფების ურთიერთთანამშრომლობით ახალი რეალობა, მწვავე პრობლემები და თანამედროვე თეატრი მაინც ვერ ვიგრძენით. არადა, ეს პროექტის მთავარი მიზანი იყო.

მაკა ნაცვლიშვილმა მცირე თეატრის სცენაზე ორჯერ გადადებული პრემიერა როგორც იქნა დაასრულა. ჯერ იყო და, ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელმა მსახიობმა მოულოდნელად დატოვა, მერე მთავარი როლის შემსრულებელმა, ნანუკა ხუსკივაძემ ხელი მოიტეხა...

გერმანელი დრამატურგის ტექსტი საკმაო დოზითაა შემცირებული. დამახინჯებული კონტექსტის გამო, ავტორი აღფრთოვანებული ალბათ არ დარჩებოდა. თუმცა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მისი პიესები სრულიად განსხვავებულად იდგმება.

არცთუ ახალგაზრდა წყვილის, ფრანკისა (ზურაბ ინგოროყვა) და კლაუდიას (ნინო თარხან-მოურავი) მტკივნეული პოლიტიკური წარსულის (ისინი „შტაზის“ ყოფილი თანამშრომლები არიან) შესახებ სპექტაკლიდან ბევრს ვერაფერს შეიტყობთ, მაშინ როცა პიესაში ეს მოტივი მნიშვნელოვანია. შემოკლებამ „იმსხვერპლა“ რამდენიმე საინტერესო სცენა, გერმანიის წარსულის პოლიტიკური კონტექსტი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟები.

ფრანკისა და კლაუდიას ოჯახურ იდილიას წარსულის „აჩრდილი“ არღვევს. ეს არის რომი ფოგტლენდერი (ექსტრავაგანტური და სექსუალური იმიჯის მქონე ნანუკა ხუსკივაძე), რომელიც ოდესღაც მარადიული გრძნობით იყო დაკავშირებული ფრანკთან. იდუმალი ხმები თუ უცნაური კაკუნი კარზე სპექტაკლში მხოლოდ მეტაფორა არ არის; ეს ახალგაზრდული თავქარიანობის გამო დაშვებული შეცდომების განაჩენს უფრო ჰგავს.

თანამედროვე დასავლური დრამის მარწუხებში ახალი თემის ძიება რეჟისორისათვის ერთგვარი გამოცდაა, რომლის ჩაბარება შესაძლებელია ტიპურ სოციალურ-ფსიქოლოგიურ პიესაშიც და

უკვე ყელში ამოსულ აბსურდშიც. მთავარი დროის ზუსტი შეგრძნება და სწორი სოციალურ-ესთეტიკური გათვლაა. შიმელპფენიგის რთული, დამაბნეველი და არცთუ ნატიფი ირონიით გამორჩეული ტექსტის „მოწესრიგება-მოთვინიერება“ ახალგაზრდა რეჟისორისთვის რთული აღმოჩნდა. მიუხედავად ფორმალური რეჟისორული ხერხების ცოდნისა და ეფექტური სცენოგრაფიისა (მხატვარი ნუცა ჭყონია).

სამწუხაროა, რომ მეორე წარმოდგენაში – „ქალები, ღალატი“ (რეჟისორი პაატა ციკოლია) არა მხოლოდ შემოკლებული პიესის კონსტრუქცია ირღვევა, არამედ თავად წარმოდგენის მხატვრული ქსოვილი. დრამატურგის, ლელა კოდალაშვილის თქმით, პიესაში სულ 11 პერსონაჟია, მაშინ როცა რეჟისორმა სცენაზე სულ სამი დატოვა, თანაც მხოლოდ ქალები. ისინი ემანსიპაციის, სექსისა და ცოლ-ქმრული ღალატის თემებს ვერ სცილდებიან, რის გამოც პიესა სიღრმესა და მნიშვნელობას კარგავს. ლამის ცარიელ სივრცეში გათამაშებული წარმოდგენა (სცენაზე მხოლოდ მაგიდა, სკამები და თეთრი ეკრანია, რომელზეც დროდადრო ტიტრები ჩნდება) მონოლოგების მოსაწყენ მონაცვლეობას, ან მსახიობთა შორის შეჯიბრს ემსგავსება. მოკლედ სამი მსახიობი ქალი ღალატის შვიდ სცენას კაცების გარეშე და ისტერიით წარმოადგენს. ანა ნიკოლაშვილი შედარებით საინტერესოა, რასაც ვერ ვიტყვით თეკო ჩუბინიძისა და ეკა დემეტრაძის პერსონაჟებზე.

ვიდრე ქალები „რუსთაველში“ ურთიერთობებს კაცების გარეშე არკვევდნენ, გლდანში, ახმეტელის სახელობის თეატრში ტაქსისტი გივი სასიყვარულო თავგადასავლებს მუსკომედიური სიანცით გვიზიარებდა. რეჟისორმა მალხაზ ასლამაზიშვილმა ინგლისელი დრამატურგის, რეი კუნის გახმაურებული პიესა „თავს უშველე გაქცევით“ თავისებურად გადმოაქართულა – პერსონაჟებს სახელები შეუცვალა, ნაწარმოებს კი სათაური. სპექტაკლს რატომღაც „ტაქსისტი გივის სიყვარულის ისტორია“ ეწოდება.

ტაქსის მძღოლის ისტორია, რომელსაც ორი ცოლი ჰყავს, მაგრამ ამას ისეთი ოსტატობით მალავს, რომ ვერავინ ვერაფერს ხვდება, დაკარგული მუსკომედიის ჟანრის მოყვარულებს გაახარებს. წარმოდგენა „შაბათის შოუსავითაა“, სტანდარტული იუმორითა და საჭირბოროტო ანეკდოტურობით შეზავებული; ანუ „წარმატებისთვის“ განწირული. თანაც სპექტაკლში „შუა ქალაქის“ ზოგიერთი განაპირა ვარსკვლავიც მონაწილეობს: ბაჩო ქაჯაია, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური, გიორგი დევაძე, ანდრო სარიშვილი.

მართალია ფინალი ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე ფსიქოდრამის ლოგიკურ დასასრულს, მაგრამ პუბლიკას ოპტიმიზმი სჭირდება.

დონ-ჟუანის შორეული „მეგობარი“ გივი რომანტიკულ შარმს მოკლებულია, თავად ისტორია კი ანეკდოტურია. სხვათა შორის, რეი კუნის პიესა მრავალი ცნობილი თეატრის სცენაზე დაიდგა. ინგლისელი კომედიოგრაფით რამდენიმე წლის წინ რობერტ სტურუაც დაინტერესდა, რომელმაც რუსთაველის თეატრის სცენაზე სწორედ ამ პიესის დაგმა გადაწყვიტა. თუმცა მოგვიანებით გეგმები შეეცვალა და ჩანაფიქრი არ განხორციელდა.

გარკვეული დროის შემდეგ „თეატრი ათონელზე“ ისევ მიუბრუნდა ემიგრანტების თემას. თეატრალებს ალბათ ახსოვთ მსახიობ ირაკლი აფაქიძის მიერ განხორციელებული „ემიგრანტები“ (მროჟეკის პიესის მიხედვით), სადაც ზურა ყიფშიძე და გოგა პიპინაშვილი თამაშობდნენ. ამჯერად ამერიკაში გადახვეწილ ქართველებზე რეჟისორი ქეთი დოლიძე სოციალურ-ფსიქოლოგიური თეატრის ენით მოგვითხრობს.

პეტრე ხოტიანოვსკისა და ინგა გარუჩავას პიესა „დილა მშვიდობისა, ასდოლარიანო!“ ზუსტად არის გათვლილი მაყურებლის რეაქციასა და „აქტუალური თეატრის“ მომხმარებელზე. ოდნავ ძველმოდური, მაგრამ სამსახიობო ოსტატობით გამორჩეულ სპექტაკლში ნანა ფაჩუაშვილი, ნინელი ჭანკვეტაძე, რამაზ იოსელიანი და ნუგზარ რუხაძე მონაწილეობენ. ცნობილი ჟურნალისტის გამოჩენა სცენაზე მაყურებლისთვის მოულოდნელია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ის ამერიკელ მასაჟისტს თამაშობს, რომელიც დავრდომილ მერის (ნანა ფაჩუაშვილი) მკურნალობს, გასაგები გახდება რეჟისორის არჩევანი. ნინელი ჭანკვეტაძე ამერიკაში მომვლელად წასულ ინტელიგენტ ქალს დრამატული აქცენტით ასახიერებს, ხოლო რამაზ იოსელიანი ებრაელი მუსიკოსის სიფაქიზეს და ირონიას უსვამს ხაზს. ტედი ხომ ერთ დროს ბათუმში ცხოვრობდა...

მართალია, ფინალი ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე ფსიქოდრამის დასასრულს, მაგრამ პუბლიკას ოპტიმიზმი სჭირდება, ისევე როგორც მინავლებულ ღირსებას – გამოცოცხლება. ქეთი დოლიძემ მსახიობებს სრული კარტ-ბლანში მისცა, ხოლო მაყურებელს ძველი და ხარისხიანი სამსახიობო თეატრი გაახსენა. თუმცა არც დიდი რეჟისორის, მიხეილ თუმანიშვილის სახელის დავიწყება შეიძლება, რომლის აჩრდილიც დახლოებით ორი საათის განმავლობაში, ალბათ, სადმე ამ პატარა თეატრის დარბაზში დაეხეტებოდა.

მერე რა, რომ ეს სხვა დრო და სხვა თეატრი იყო!

ხორუმი ქართული ცეკვაა

დავით პაიჭაძე

ამას წინათ იუთუბზე ერთ ცეკვას შევაჩერდი – 70 წლის წინანდელ ჩანაწერს. ცეკვავდნენ ზანგი წყვილები (ამჯერად აფრო-ამერიკელები არა ისა – მაშინ, 1941-ში მათ ჯერაც ზანგებს ეძახდნენ). სასცენო კოსტიუმების მიხედვით მოცეკვავე კაცები ასახიერებდნენ ოფიციანტს, მზარეულს, ავტომექანიკოსს, ფოსტალიონს; ქალები, შესაბამისად – ძიძას, მოახლეს, მზარეულის თანაშემწეს, მიმტანს, მოკლედ, ხალხის წიაღიდან გამოსულ ხალხს. არ ვიცი, რა ჰქვია იმ ცეკვას. წყვილები მაღალ ტემპში, ვნებით ეხლებოდნენ ერთმანეთს. არანაირი შესავალი და გახურება არ ჭირდებოდათ – მათი ტანები იმთავითვე ხალისიან გახელებას გვაუწყებდნენ, რბილი, მოქნილი პლასტიკითა და ძლიერი ჭავლით გადმომსკდარი ენერგიით. ცეკვის დროს მეწყვილეები თითქმის უწყვეტად ეხებოდნენ ერთმანეთს – და როცა არ ეხებოდნენ, მათი სხეულების დისპოზიცია სრულიად ერთმნიშვნელოვან ურთიერთლტოლვაზე ლაპარაკობდა. ამ ყველაფერს ახლდა ჯანმრთელი სიხარული და იყო აბსოლუტურად არაუხამსი. სხვადასხვა სქესის ადამიანები გულწრფელად იზიდავენ ერთმანეთს, სურთ ერთმანეთი და ამას არ მალავენ: გამოხატავენ ცეკვით, ქორეოგრაფიული და ალაგ აკრობატული ილეთებით, თან ცდილობენ, შენც გადმოგდონ ეს ინტენცია, ხალისი და გულწრფელობა. http://www.youtube.com/watch?v=mTg5V2oA_hY&feature=player_embedded#at=14

მე უცებ სუხიშვილები გამახსენდა. გამახსენდა სწორედ ამით, რაც არ არის მათ ცეკვაში, რაც განდევნილია, დაწნეხილია და, ვითომ თუ ნამდვილად, ღრმად ქართულია...

სუხიშვილები არასოდეს ყოფილან ისინი, რაც მათ ერქვათ და ჰქვიათ: არც ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი და არც ქართული ნაციონალური ბალეტი („ნაციონალური ბალეტი“, მე თუ მკითხავთ, ისეთივე ოქსიმორონია, როგორიც „ხალხურისა“ და „აკადემიურის“ მეზობლობა ერთ განსაზღვრებაში). თავიც არავის მოუტყუებია – დასს არაფორმალურად ყოველთვის ეძახდნენ რეალურ სახელს – სუხიშვილებს. ეს დასი, მისი ცეკვები მოიფიქრეს კონკრეტულმა პიროვნებებმა. მაგრამ ამას სსრკ-ში ხმამაღლა არავინ აღიარებდა და მათ სახელსაც დასს არავინ დაარქმევდა. ამგვარი ორაზროვნება, ირონია, სუხიშვილების არსებობას ლამის დაარსებიდანვე ახლდა.

...როცა სუხიშვილებთან წყვილები ცეკვავენ, ჩვენ ვფიქრობთ: აი, ჭეშმარიტი ვაჟკაცობის, რაინდობის, სიჩაუქის გამოხატულება; აი, ჭეშმარიტი ქალი – უკარება, მფრთხალი, ღირსეული. ვის არ უგრძვნია ჟრუანტელი ქართულის ყურებისას, როცა ვაჟი „გასმებით“ უახლოვდება ქალს, გამოწვევის ნიშნად თავს ოდნავ დადრეკს და ისიც მსუბუქად მოსწყდება ადგილს, მილივლივებს და შეუთავსებელს ათავსებს – ერთდროულად გახევებასა და სინარნარეს...

წყვილთა ცეკვაში ეს „მკლავს“: არის ტემპერამენტი, ძალა, ენერგია, კაცებისგან – ნათალი სიხისტე. ქალში იგრძნობა აღელვება, მუხტი, ნაპერწკალი კაცის მიახლოების გამო. მაგრამ ორივე „ყინავს“ ამ ვნებას, წნეხს და განდევნის მას. უფრო ზუსტად, ანაცვლებს: კაცი – მკაცრი, „წახნაგოვანი“ პლასტიკით, დისტანციით, მიუკარებლობით, ქალი – ძუნწი მიმოხრით, გამოხატული თავშეკავებით, მზერისა და სხეულის განრიდებით. მეწყვილეები ერთმანეთს თითქმის არასოდეს ეხებიან (ერთი მახსოვს, ბოლო დროს, ლაზურის ცეკვისას წაეტანება კაცი ქალის წელს). კაცის მხრივ წყვილთა ცეკვა ერთი დაუსრულებელი მცდელობაა, მიეტანოს ქალს, ხოლო ქალის მხრივ – წარმატებული მცდელობა, დაუსხლტეს კაცს, არ გაახაროს ის. მათ შორის მუდმივად მცირე, მაგრამ გადაულახველი მანძილია. და არასოდეს არავინ დგამს იმ ერთ, გადამწყვეტ ნაბიჯს, რომელიც შეკავებაზე დახარჯულ ნებისყოფას ურთიერთობებში რეალიზებულ ვნებად აქცევს. В Советском Союзе секса нет! – 1980-ანი წლების ეს უკვე დახავსებული, ლამის იდეოლოგიური ფორმულა ყველაზე ელვარედ, ყველაზე არტისტულად, ყველაზე ლამაზად სწორედ სუხიშვილების შემოქმედებაში იყო რეალიზებული. ვფიქრობ, ამას თავიდანვე მშვენივრად ხვდებოდნენ „გოსკონცერტში“ და სუხიშვილებს, როგორც საბჭოთა იდეოლოგემებს, დაუბრკოლებლად უშვებდნენ დანარჩენ მსოფლიოში. გარდა იმისა, რომ მათ მყარი ვალუტა შეჰქონდათ სახელმწიფო ხაზინაში („გოსკონცერტის“ მადა ცნობილია), საზღვრებს გარეთ მათვე გაჰქონდათ საბჭოთა იდეოლოგიის ბრწყინვალება, ხოლო ჩვენ გვრჩებოდა ამავე იდეოლოგიის სიღატაკე – განცდა, რომ ქართულ კულტურაში სწორედ ეს არის ბუნებრივი და ორგანული: დახვეწილი უკმეხობა, შეუხებლობა, უარი უშუალობასა და სიახლოვეზე, ვნების ამაყად დაფარვა და ხანჯლების ჭახაჭუხში გადატანა...

ირონია და ორაზროვნება ზემოთ შემთხვევით არ მიხსენებია: გარდა იმისა, რომ უზარმაზარი პიროვნული ძალისხმევით შექმნილი გუნდი გამოხატავდა კოლექტივისტურ სულისკვეთებას, ძალიან მეეჭვება, დასის წევრებს (თაობებს!) ერთთავად იმავე ღირებულებებით და პრინციპებით ეცხოვრათ, რომელთაც ისინი სცენაზე განასახიერებდნენ.

...შვილიშვილების თაობა რომ მეამბოხეა, ეს ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში იცოდნენ. უმცროსმა ილიკო სუხიშვილმა „რაღაცეები“ შეცვალა: სცენაზე ქალებს უფრო ხშირად აცვიათ „კაცურად“, ხორუმშიც კი აცეკვდნენ ბოლოს. მოკლედ, ემანსიპირდნენ. კაცებს ჯერ არ „გათანაბრებიან“, მაგრამ აქეთ მიდიან. თუმცა, ერთმანეთს ძველებურად არ ეხებიან, ლტოლვას არ აჩენენ, მზერას არიდებენ და ორივენი ჯერაც „ამაღლებული“ არიან სქესთა შორის მიზიდულობის ძალაზე... ცეკვებში, რასაკვირველია.

ჯი.მარტი
G.mart

www.gmart.ge

როცა ყიდვა გსიამოვნებს

სუპერმარტეტი ჯი.მარტი ქარვასლა
ცოტნე დადიანის ქ.7 ტელ. 242 314

სუპერმარტეტი ჯი.მარტი ცენტრალი
ვაგზლის მოედანი 2 ტელ. 200 314

ისევ მარო, ისევ მიტო და ისევ ის ბედკრული „შუა ქალაქი“

პლუს ლევან გაბრიაძის „კინოვიკრუტასები“

დავით ბუხრიკიძე

ჯერ ჰოლივუდი, მერე ბოლივუდი და ახლა ნოლივუდი. ახალ ქართულ კინოზე უკვე ამგვარი მეტაფორებით საუბრობენ. ეს არც მარტო ცინიკოსი ბლოგერების ფანტაზიის ნაყოფია და არც კირკიტა კრიტიკოსთა წერილობითი ხელგარჯილობა. ეს ცუდად ნაკეთი ქართული კინემატოგრაფის რეალური მდგომარეობაა, როცა საზოგადოებრივი, სოციალური თუ პოლიტიკური მოვლენები მხატვრულ განზოგადებამდე ვერაფრით მაღლდება.

„მწარე“ მაროს გულისნადებს ისევ ხალხურ-ეროტიკული იუმორის შეზავებით გვიმხელს ნანული სარაჯიშვილი. მის ქალაქელ „მეტოქეს“ მარინა საღარაძე ძველებურად **მანერულად თამაშობს, პოლიციელიც ისევ მამუკა ლორიაა, ოღონდ პენსიაზე გასული.**

მას შემდეგ, რაც გიგა აგლაძის სლაიდიდან „ამოჭრილი“ გოგონები, შოთა კალანდაძის არცთუ ნატიფად ნატანჯი ეროტიზმი და დავით იმედაშვილის ლამის სარეკლამო „ოცნების ქალაქი“ მაყურებელმა უცნაური ოპტიმიზმით მიიღო, გასაკვირი აღარაფერია. დიდი ხანია კინო გართობისა და ე.წ. ენტერტაიმენტის ნაწილია და ამას არავინ უარყოფს. საკითხავი ის არის, სად გადის ზღვარი „როდ მუვისა“ და მხატვრულად ღირებულ კინოპროდუქციას შორის? ან რა საერთო აქვთ შინნაკეთ, ლამის კუსტარულ და HD-ით გადაღებულ „ბრტყელი“ გამოსახულების ქართულ ფილმებს თუნდაც ირაკლი ფანიაშვილის ან ლევან კოღუაშვილის გამონაკლის და საინტერესო ფილმებთან?

ძიების სურვილი არაფერია გამოცდილებისა და შეცდომების გათვალისწინების გარეშე. როგორც ცნობილია, სხვის შეცდომებზე სწავლა უფრო ჭკვიანურია, ვიდრე საკუთარის ასჯერ გამეორება. მაგრამ რატომღაც ასმეერთედ მაინც დაუსრულებელი სერიალის, „შუა ქალაქის“ კინოვერსიას ვიღებთ; ან ერთ დროს პოპულარული „გარიგების“ რიმეიკს, რომლის ეკრანზე გამოსვლიდან 18 წელი გავიდა და არა – 20. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს...

ამას დავუმატოთ უცნაური თბილისური პრემიერა: მოსკოვში მცხოვრები რეჟისორის, ლევან გაბრიძის ფილმი „ვიკრუტასები“, რომლის მაშველი რგოლი – პროდიუსერი და რეჟისორი, ტიმურ ბიკმამბეტოვი შეუცდომელი კომერციული ალღოთი და ყნოსვით გამოირჩევა. მაგრამ მხოლოდ კომერცია კინოს არ ნიშნავს!

ფილმს „ვიკრუტასები, ანუ იღბლიანი ხრიკები“ (ცნობილი კინოვარსკვლავის, მილა იოვოვიჩისა და რუსული კინოს რომანტიკული გმირის, კონსტანტინ ხაბენსკის მონაწლეობით) უკვე მოჰყვა მცირე სკანდალი და გაუგებრობა. ფილმის პრემიერაზე, თბილისში რეჟისორი ამბობდა, რომ საფეხბურთო გუნდისა და მწვრთნელის საერთო თემა მხოლოდ გარეგნული მსგავსებაა „ვიკრუტასებსა“ და ქართულ მოკლემეტრაჟიან „ფეოლას“ შორის. მაშინ როცა კრიტიკოსები და ჟურნალისტები რუსულ ფილმში პლაგიატის სახიფათო ნიშნებს ხედავდნენ. ამ კომერციულად კარგად გათვლილ ფილმს („ვიკრუტასები“ რუსეთში კინოგაქირავების ლიდერია თითქმის ორი თვის განმავლობაში) აშკარად აკლია რომანტიზმი, იუმორი და სისადავე, რითაც ბაადურ წულაძის (რეზო გაბრიაძის სცენარი) „ფეოლა“ გამოირჩეოდა.

„გარიგება 20 წლის შემდეგ“ ძველი შემოქმედებითი ჯგუფის ფანტაზიის ნაყოფია (რეჟისორი – ზაზა კოლელიშვილი, სცენარი – ნათია გოგოჭური, ოპერატორი – ნუგზარ ნოზაძე). პერსონაჟებსაც ნაცნობი მსახიობები უმკლავდებიან. „მწარე“ მაროს გულისნადებს ხალხურ-ეროტიკული იუმორის შეზავებით გვიმხელს ნანული სარაჯიშვილი. მის ქალაქელ მეტოქეს მარინა საღარაძე ძველებურად მანერულად თამაშობს, პოლიციელიც ისევ მამუკა ლორიაა,

ოღონდ პენსიაზე გასული. „დუტას“ რამდენიმე სიტყვიან პერსონაჟს „გარიგებისაგან“ განსხვავებით, დიდი დატვირთვა აქვს, ხოლო ლელა წურწუმია იმ ქალს თამაშობს, პირველ ფილმში „პავაროტში“ უსიტყვოდ რომ იდგა...

ერთადერთი ცვლილება მიტოს როლის შემსრულებელია. მსახიობი გოგა პიპინაშვილი, რომელსაც სინჯები უკვე გავლილი ჰქონდა, მოულოდნელად შეცვალა ტრისტან სალარიძემ. გაჩნდნენ ახალი პერსონაჟებიც, რომელთაც როლანდ ოქროპირიძე, დათო როსტომაშვილი, გოჩა კაპანაძე და გოგა გველესიანი თამაშობენ. მოკლედ, „გარიგება 2-ში“ ბევრ ნაცნობ მსახიობსა და სატელევიზიო სახევარსკვლავს ნახავთ. და კიდევ, რატომღაც არსად ჩანს შორენა ბეგაშვილი.

მსუყე კახური იუმორის ექსპლუატაციას ფილმის ავტორები ისევ ეწევიან: „პირველად არის ძნელი, თორე მერე ხალვასავით მიდის“; „სკოლის წინ დაასვენეს რა, საშემოდგომო გამოყვა?!“; „ეს ამოდენა რკინა ჰაერში როგო ჩერდება“ და ა.შ. დრამატული სასიყვარულო ამბებიდან ოცი წლის შემდეგ ჰოლანდიაში გადახვეწილი მიტო შინ ბრუნდება. ამასობაში ეულად დარჩენილ მაროს კარგად აწყობილი ბიზნესი აქვს: შპს „გარიგების“ დახმარებით ერთმანეთს მარტოხელა ქალებსა და მამაკაცებს ახვედრებს და ოჯახის შექმნაში ეხმარება.

თუ ფილმში უხამს იუმორს, მყვირალა პერსონაჟებს და თეატრალურ პირობითობას უფრო აღმოაჩენთ, არ გაგიკვირდეთ. ეს ახალი, არანაკლებ დუხჭირი დროის გამოძახილად ჩათვალეთ, ვიდრე 90-იან წლებში იყო, როცა აფხაზეთის ომი ახალი დამთავრებული იყო. მაშინ ნანული სარაჯიშვილმა მაროს როლისთვის საერთაშორისო კინოფესტივალ „ოქროს არწივზე“ (ეს ასლან აბაშიძის დროის კულტურული ემანაცია იყო) პრიზიც კი დაიმსახურა.

ფილმის პროდიუსერები და თავად რეჟისორიც იმედოვნებენ, რომ მაყურებელს რიმეიკი ისევე მოეწონება, როგორც „გარიგება“. ოპტიმიზმს ცხადია, ვერავის დაუშლი.

ბოლო დროის კიდევ ერთი კინოპრემიერა – „ერთხელ შუა ქალაქში“, ტელეკომპანია „იმედის“ ცნობილი სერიალის ეკრანულ სივრცეში გადმოტანის მცდელობას ჰგავს. საკმაოდ პრიმიტიული და ნაჩქარევად დაწერილი სცენარით, მარტივი კონცეფციით, ბრტყელი სატელევიზიო გამოსახულებით, მსახიობთა თეატრალურობით. გასაკვირი არც არის, რომ ტელევიზიის შეჭრა კინოში ასეთი ტემპებით და აგრესიით მიმდინარეობს. ამას ხელს უწყობს ცუდად აწყობილი გაქირავების სისტემა, მოუწყობელი და არათანამედროვე კინოთეატრები. ისევე როგორც, კინოწარმოების ჯერ კიდევ დაუძლეველი კრიზისი და კარგი კინომსახიობების ეკრანიდან გაქრობა. ხოლო უპატრონოდ დარჩენილ კინოს რომ ტელევიზია დაეპატრონება, გასაკვირი სულაც არ არის.

ფილმი სავაჭრო ცენტრ „ქარვასლას“ პროდუქტებისა და ცნობილი ბრენდების რეკლამას უფრო ჰგავს. რატომღაც სწორედ „ქარვასლაში“ უნდა გამოფინონ ლუვრიდან ჩამოტანილი ბრილიანტი. იქ იმყოფებიან „შუა ქალაქის“ ჩვენთვის ნაცნობი გმირებიც (ფილმში ისინი სერიალის პერსონაჟებს განასახიერებენ) და ბოროტმოქმედებიც, რომლებიც განგებამ სხვადასხვა მიზეზით შეყარა. ყველა მათგანი კრიმინალურ შარში გაეხვევა. მაგრამ ბრილიანტის გადარჩენას, რომელსაც ბოროტმოქმედები გაიტაცებენ, ყოჩაღი იუმორისტი ირაკლი ჩხეიძე და კამპანია წარმატებით მოახერხებენ.

ამ ნახევრად აბდა-უბდა და ვითომ იუმორით მოთხრობილი ამბის ბოლო, ცხადია, კეთილია: დათო თავის სიყვარულს, მშვენიერ ცისფერთვალა არსებას, როგორც იქნა, ლატარიის კომპანიაში იპოვის; ირაკლი ჩხეიძეს მდივანი ქალი უკვე სხვა პრეზენტაციაზე ეპატიჟება, ხოლო დები ღლონტები (თავიანთი ქმრებით) სამტრედიიდან ძველი „ჟიგულით“ წამოყვანილ და გაქცეულ გოჭს ცოცხალს იბრუნებენ.

ამ აბდა-უბდა და ვითომ იუმორით მოთხრობილი ამბის ბოლო, ცხადია, კეთილია.

რეჟისორ ნიკოლოზ ხომასურიძის „მამაჩემის გელფრენდი“ იმ დროს გამოვიდა, როცა ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“ უკვე იბეჭდებოდა. სამწუხაროდ მის შესახებ ბევრს ვერაფერს გეტყვით. მხოლოდ ის ვიცი, რომ კინოთეატრ „ამირანის“ პოსტერი გაცილებით მიმზიდველად გამოიყურება, ვიდრე ფილმის სინოპსისია.

ისტორიული ან/და ტურისტული ქალაქი

თამარ ამაშუკელი

ხმამაღლა უნდა დავიწყო: კულტურული მემკვიდრეობა აწმყოში შენარჩუნებული წარსულია. მისი დაცვა ღირსების საკითხია, მას ეფუძნება ქვეყნის, ნაციის, ქალაქის იდენტურობა.

ქალაქის მოდერნიზაციის პირობებში კულტურული მემკვიდრეობის და განსაკუთრებით ქალაქის იდენტურობის შენარჩუნება თანამედროვეობის ურბანისტიკის ერთ- ერთი მთავარი პრობლემაა.

ურბანული სივრცე, რომელშიც ქრება ისტორიული ავთენტურობა, სოციალური თვალსაზრისით კი იდენტურობა, ჰკარგავს როგორც ისტორიული, ასევე ტურისტული ქალაქის ფუნქციას.

დღეს, მსოფლიოს სულ უფრო მეტი ქალაქი ცდილობს, ურბანული ქსოვილი დაიცვას, კულტურულ მემკვიდრეობად წარმოაჩინოს, რადგან, უკვე ძალიან დიდი ხანია, ისტორიული ურბანული განაშენიანება განიხილება ქალაქის განვითარების უმნიშვნელოვანეს ასპექტად, ეკონომიკურ აქტივად.

XX საუკუნის შუა პერიოდიდან დაწყებულმა ტურისტულმა ბუმმა ეგრეთ წოდებულმა „კონვეიერულმა ტურიზმმა“, ეს უკანასკნელი ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად დარგად აქცია. ტურიზმის რამდენიმე სახეობას განარჩევენ, ჩვენ მხოლოდ „კულტურულ ტურიზმზე“ შევჩერდებით, რომლის პოტენციალი საქართველოს უდავოდ გააჩნია. კულტურული მემკვიდრეობის „ტურისტულ ატრაქციონად“ გადაქცევას დადებითი მხარეც აქვს და საფრთხისშემცველიც.

ტურისტული თვალსაზრისით მიმზიდველი, ისტორიულ-კულტურულ-ბუნებრივი პოტენციალი, რა თქმა უნდა, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, თუმცა ტურისტული მიმზიდველობა ამა თუ იმ ქალაქის ბუნებრივი მოცემულობის დაკნინების ხარჯზე არ უნდა იქმნებოდეს. მინიმალური დანაკარგებით მაქსიმალური შედეგის მისაღწევად აუცილებელი პირობა კარგად გააზრებული კონცეფციაა, რომელიც კონკრეტული ქალაქისთვისაა შექმნილი, თვითონ ქალაქისგან ნაკარნახევი და სოციუმისთვის მისაღები. სოციუმისთვის, რომლისთვისაც ქალაქი ტურისტული ობიექტი კი არა, მისი სივრცეა, მისი სახლი, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში „აშენებდა“. ამიტომ ტურისტული ინოვაციები ქალაქში არსებულ სიტუაციას, ტრადიციასა და ადათ-წესებს უნდა ერგებოდეს. ქალაქმა უნდა შეინარჩუნოს ფუნქცია და ტურიზმი მისი ისტორიულად ჩამოყალიბებული ფუნქციის მხოლოდ დამატება გახდეს და არა პირიქით.

კონკურენციის პირობებში წარმატების გარანტი განსხვავებული პროდუქტის შეთავაზებაა. რით შეიძლება დაიმკვიდროს თავი პატარა ქალაქმა, რომელსაც არ გააჩნია განსაკუთრებული, მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიულ-კულტურული კონტექსტი? ერთადერთი გზა – ინდივიდუალურობა, უნიკალურობა და კრეატიულობაა. კრეატიულობა „შეფუთვაა“ – კარგად გააზრებული შინაარსი, რომელსაც ქალაქის ტურისტული კონცეფცია ეფუძნება. კონცეფციის შექმნაში მოსახლეობის ჩართულობა აუცილებელი პირობაა. დაუშვებელია, შინაარსი გარედან იყოს თავს მოხვეული („სიღნაღი – სიყვარულის ქალაქი“, მესტია – შვეიცარია, ბათუმი – ნიცა, თბილისი კი – პარიზი, დუბაი, თუ სინგაპური.)

დაიცავი-აღადგინე-არ დაგაზიანო – ეს არის მიდგომა, რომელიც ლაიტმოტივად უნდა გასდევდეს ისტორიული ქალაქების ტურისტულ ქალაქებად ტრანსფორმირებას. მთავარი სურვილია – დაიცვა კულტურული მემკვიდრეობა, რომლისადმი მიდგომა დიდი ხანია შეცვალა განვითარებულმა სამყარომ – პრიორიტეტული არა მარტო ღირებული ობიექტების დაცვა-შენარჩუნებაა, არამედ მთელი მისი კონტექსტი. ეს უკანასკნელი კი მოიცავს როგორც მნიშვნელოვან არქიტექტურულ ობიექტებს, ასევე ლანდშაფტებს, ხედებს, ფონურ განაშენიანებას, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ეთნოსის საცხოვრებელს, წეს-ჩვეულებებს, ტრადიციულ საქმიანობას, მულტიეთნიკურობას, მულტიკულტურულობას. ზუსტად ამ ყველაფრის სინთეზით იქმნება ტურისტულად მიმზიდველი ისტორიული ქალაქის ფენომენი, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ინდივიდუალური, კონკრეტულად ამ ადგილისთვის და ამ სოციუმის ტრადიციებით განპირობებული ცხოვრების სტილი ქმნის. დაუშვებელია ისტორიული ქალაქების ტურისტული ფუნქციის გააქტიურებისას გაუაზრებელი ქმედებები, მოვლენების ფორსირება და ე.წ. ბულდოზერული რესტავრაცია.

ნაუცბათევად, ძალიან გალამაზებული, შეღებილი და მოპირკეთებული, სრულიად სხვა კულტურული სივრციდან მოტანილი არქიტექტურული ობიექტებით „დამშვენებული“, გაურკვეველი, მაგრამ ახალი ფუნქციის თუ შინაარსის ქალაქში იდენტურობა სადღაც ქრება. გაუცხოებულ, წარსულს მოწყვეტილ მოსახლეობას ძველი დავიწყებული აქვს და არც ის იცის როგორ შექმნას ახალი. ასეთ დროს ჩნდება თეატრალური დეკორაციების მსგავსი ქალაქი – სიღნაღი – გარემონტებული, მაგრამ უსულო და უშინაარსო.

ურბანული სივრცე, რომელშიც ქრება ისტორიული ავთენტურობა, სოციალური თვალსაზრისით კი იდენტურობა, ჰკარგავს როგორც ისტორიული, ასევე ტურისტული ქალაქის ფუნქციას. ტურიზმი არა მარტო ეკონომიკურად არის მიმზიდველი რეგიონისთვის, არამედ ის ბადებს სიამაყის განცდას მოსახლეობაში ადგილობრივი ღირებულებების, ტრადიციების მიმართ. მხოლოდ ამ ფაქტორების გათვალისწინებით შეიძლება კულტურული მემკვიდრეობის ადეკვატური, რაციონალური გამოყენება.

გოდარის „სოციალიზმი“

ლაშა კალანდაძე

„ნაბიჭვრები ყოველთვის იყვნენ და იქნებიან. დღეს შეიცვალა ის, რომ ეს ნაბიჭვრები, გულწრფელები გახდნენ. მათ მართლა სჯერათ ევროპის“.

ჟან-ლუკ გოდარმა 2010 წელს, კანში, საკუთარი ფილმის პრემიერაზე არდასწრების მიზეზად მედიის მოსალოდნელი გადამეტებული ყურადღება დაასახელა. „ისინი ჩემზე უფრო მეტს ილაპარაკებდნენ ვიდრე თავად ფილმზე“, – განაცხადა ფრანგული ახალი ტალღის ერთ-ერთმა უკანასკნელმა წარმომადგენელმა. შარშან რეჟისორს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა, ეკრანებზე მისი უკანასკნელი ფილმი გამოვიდა და კინოსამყარომ გასულ წელს მისი პირველი ფილმის „უკანასკნელ ამოსუნთქვამდე“ გადაღებიდან 50 წელიც იზეიმა.

„თუ ანა-მარი ჩემზე დიდხანს იცოცხლებს, მას მოუწევს ჩემს საფლავზე გააკეთოს წარწერა – „პირიქით“. ჟან-ლუკ გოდარი

როგორც ქართველმა კინომცოდნემ, გიორგი გვახარიამ რადიო „თავისუფლებისთვის“ მომზადებულ გადაცემაში აღნიშნა – „გოდარის კინოზე ლაპარაკი ძნელია“. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი თავად რეჟისორია, უფრო სწორად, მისი თეორია კინოზე: „კი არ უნდა მოყვე, არამედ აჩვენო.. ახალგაზრდებს კადრის წაკითხვა კი არ უნდა ასწავლო, არამედ მისი დანახვა, და ეს აბსოლუტურად სხვადასხვა რამეა“.

გოდარი კვლავ უარს ამბობს სტანდარტულ, კონვენციურ კინოზე, გაურბის პერსონაჟებსა და სიუჟეტს, ამიტომ „ფილმი სოციალიზმის“ მოკლე სინოფსისის გადმოცემა საკმაოდ რთულია. ფილმის ოფიციალური საიტი კი გვამცნობს, რომ ეს სიმფონიაა სამ მოქმედებად: 1) ასეთი ამბები – მედიტერანული კრუიზი, გემზე შვებულების გასატარებლად შეკრებილი ევროპა – დიალოგები უამრავ ენაზე. 2) ჩვენი ევროპა – ოჯახური დებატები თავისუფლებაზე, თანასწორობასა და ძმობაზე. 3) ჩვენი კაცობრიობა – ვიზიტები ნამდვილი თუ გამოგონილი მითის ადგილებზე (ეგვიპტე, პალესტინა, ოდესა, საბერძნეთი, ნეაპოლი, ბარსელონა).

მიუხედავად იმისა, რომ „ფილმი სოციალიზმი“ ძალიან კომპლექსური ნამუშევარია, რეჟისორი მთავარ აქცენტს მაინც თანამედროვე ევროპაზე აკეთებს. შარშან, დეკემბერში, როდესაც ამერიკის კინოაკადემიამ ჟან-ლუკ გოდარს კინოში გაწეული სამუშაოსთვის ოსკარი გადასცა (რეჟისორი არ დაესწრო ცერემონიალს: „ჯილდოს ჰქვია კალიფორნიის გუბერნატორის ჯილდო, ეს ნიშნავს, რომ შვარცნეგერმა მომცა ოსკარი?!“), კვლავ განახლდა საუბარი გოდარის ანტისემიტიზმის შესახებ. თუმცა თავად რეჟისორი ფილმითვე პასუხობს ამ ბრალდებას: „თქვენ მართალი ხართ, მე არ მიყვარს არც ერთი ერი, არც გერმანელები, არც შავკანიანები, არც ჩრდილო ამერიკელები, არც ებრაელები. მე მხოლოდ ჩემი მეგობრები მიყვარს“.

გოდარი აგრძელებს ბოლო პერიოდში აღებულ კურსს (Histoire-ს და დუ ჩინემა-ს გადაღების შემდეგ) და ფილმს ერთგვარ ლაბორატორიად აქცევს, სადაც ტექსტზე, აუდიოსა და, რაც მთავარია, გამოსახულებაზე ექსპერიმენტებს ატარებს. ფილმს ციფრული, ე.წ. HD კამერით იღებს (მისი პასუხი საყოველთაო დიგიტალიზაციაზე). ის აგრძელებს თანამედროვე კინოზე და მედიაზე რეფლექსიას. ფილმში ხშირად ენაცვლება ერთმანეთს მაღალი და დაბალი გარჩევადობის კადრები, არის ყალბი DVD ხარვეზები, ბოლოს კი, ისევე როგორც DVD დისკებზე, FBI-ს გამაფრთხილებელი წარწერა ჩნდება, რომ ფილმის კოპირება და გავრცელება კანონით ისჯება – აშკარა ირონია ინტელექტუალური საკუთრების პრობლემაზე. „ინტელექტუალური საკუთრება არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ინტელექტუალური პასუხისმგებლობა“, – ამბობს გოდარი.

საზოგადოება აღშფოთდა რეჟისორის ახალ შეთავაზებაზეც – „იმპერიალისტი ამერიკელებისთვის“ განკუთვნილ ე.წ. ნავახო სუბტიტრებზე. (მაგ: „Give me a watch“-ის მაგივრად „you me watch“). პარალელურად გაიმართა ფილმის ონლაინ-ჩვენებაც ერთ-ერთ ინტერნეტ მისამართზე. გოდარის კიდევ ერთი სურვილი – განთავსებულიყო ფილმი იუთუბის არხზე, პროდიუსერებმა უარყვეს,

80 წელს მიტანებული გოდარი ისევ „გაბრაზებულია“, კვლავ ექსპერიმენტების ხასიათზეა და ისევ „პოლიტიკურად“ იღებს კინოს. რეჟისორმა ორმოცდაათწლიანი პროფესიული ცხოვრების ყველა ეტაპზე მოახერხა განსაკუთრებული მნიშვნელობის ფილმების შექმნა. ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში განაცხადა: „თუ ანა-მარი (მისი მეგობარი და პარტნიორი) ჩემზე დიდხანს იცოცხლებს, მას მოუწევს ჩემს საფლავზე გააკეთოს წარწერა – „პირიქით“. ეს სიტყვა ალბათ ზუსტად ასახავს ჟან-ლუკ გოდარის მთელ შემოქმედებას და ცხოვრებას.

ავტორი: მიშა მდინარაძე





ერთი მუსიკალური საუკუნე

I ნაწილი

credo

ისტორია ლაბორატორიაა, რომლის ექსპერიმენტების წყალობით შეგვიძლია, ვიხელმძღვანელოთ და მივიღოთ თანამედროვე და სამომავლო ყოფის მოდელები, განვსაზღვროთ, სად გავიმარჯვეთ და სად დავმარცხდით, სად გაგვიმართლდა და სად გაგვიცრუვდა იმედები. ბოლოს და ბოლოს, ისტორიაა ის სკალა, სადაც ნათლად შეგვიძლია დავინახოთ, არის თუ არა წარსულიდან მომავალში სვლა ერთმნიშვნელოვნად პროგრესის ნიშანი. ერთ საუკუნოვანი ისტორიული ტილო ეს უზარმაზარი ქმნილებაა, სადაც აშკარად იკვეთება სოციო-პოლიტიკური თუ კულტუროლოგიური დეტალები, თუმცა ისინი ისე ოსტატურად არიან ერთმანეთში გადახლართული, რომ ხშირად ძალიან რთულია მათი განცალკევება და მათზე მხოლობითად საუბარი. ამის მიუხედავად, მაინც შევეცდები, მოგიყვეთ ერთი მუსიკალური საუკუნის შესახებ, რომელმაც შეცვალა კაცობრიობის არამარტო მუსიკალური მსოფლმხედველობა.

მუსიკალური ნაციონალიზმი

არავის და არაფერს მოუხდენია ისეთი გავლენა IX ს-ის მეორე ნახევრის და შემდგომი საუკუნის ისტორიულ ქსოვილზე, როგორც ეს ვაგნერმა და მისმა მუსიკამ გააკეთა. სწორედ ამის გამო მისი გენიალური ნაწარმოებები ათწლეულების განმავლობაში იქნება უარყოფილი მხოლოდ იმიტომ, რომ ნაცისტური გერმანია მას იდეოლოგიის ფუნდამენტად გამოიყენებს.

მართლაც, ვაგნერი თავის „მუსიკალურ დრამას“, მისდა უნებურად, მომდევნო საუკუნის, უკვე არა მუსიკალური, არამედ ჰუმანური დრამის პრელუდიად აქცევს და ამით დაანახებს კაცობრიობას, თუ რა ძალა აქვს ხელოვნებას. მიუხედავად ვაგნერის ანტისემიტური მისწრაფებებისა, ძნელად დასაჯერებელია, რომ ეს დიდი ხელოვანი ოდესმე წარმოიდგენდა მისი მუსიკის კავშირს აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკებთან. თუმცა ერთი ცხადია, ის ელია წინასწარმეტყველივით აფრთხილებს ყველას მოსალოდნელი სოციალურ-პოლიტიკური, გნებავთ მენტალური კატასტროფის შესახებ. მისი მუსიკა სავსეა ძველი გერმანული მითოსითა და მისტიფიკაციებით, ის აღვიძებს მიძინებულ ცნობიერებას და იმედი აქვს, რომ სიბრძნე სწორად წაიკითხება. საზოგადოება, როგორც წესი,

მზად არ აღმოჩნდა ამ სიმდიდრის მისაღებად. ერთადერთი, რაც იმ დროინდელმა აუდიტორიამ შეძლო, ამ უკიდეგანო ფასეულობის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ კონიუნქტურაში მოქცევაა, რამაც ხელი შეუწყო არაჯანსაღი ნაციონალიზმის იდეის ჩამოყალიბებას და განვითარებას.

პარიზს მეძავი უკვირს ...

1875 წლის 3 მარტს პარიზში შედგა ჟორჟ ბიზეს ოპერის, „კარმენის“ პრემიერა, მეორე დღეს პრესა წერდა: „ძვირფასო დედებო და ოჯახების პატივცემულო მამებო! ტრადიციის დიდი რწმენით თქვენ წაიყვანეთ თქვენი მეუღლეები და პატარა შვილები თეატრში, გადატვირთული დღის შემდეგ სასიამოვნო საღამოს გასატარებლად და რა დაგხვდათ იქ? მეძავი, რომელიც სახედრების მწყემსის მკლავებიდან დრაგუნის მკლავებში გადადის, მას კი ტორეადორი ენაცვლება და ასე გრძელდება მანამ, სანამ მის სამარცხვინო სიცოცხლეს მიგდებული საყვარლის ხანჯალი არ შეწყვეტს“.

ბიზე 36 წლის გარდაიცვალა გულის შეტევით. პარიზს არ მოეწონა საკუთარი მანკიერების საოპერო დარბაზიდან დანახვა. რა უფლება აქვს კომპოზიტორს, ილაპარაკოს საზოგადოების ცოდვებზე?! ვინ არის ის, რომ ამ გენიალური მუსიკის საშუალებით უთხრას პარიზის მაღალ საზოგადოებას: თქვენ ყველა სიამოვნებით მიხოხდებოდით და დაეცემოდით ამ ბოშა ქალის ფერხთით, მაგრამ ამის გამხელას ვერავინ გაბედავთ. საფრანგეთმა არ აპატია ბიზეს „კარმენი“, თუმცა ეს ერთი შეხედვით, რადგან მიუხედავად გაუთავებელი ქილიკისა, სპექტაკლი 50-ჯერ ითამაშეს სრული ანშლაგით და მხოლოდ ამის შემდეგ საკმაო ხნით მიეცა ის დავიწყებას. იყო თუ არა „კარმენი“ მხოლოდ მუსიკალური მოვლენა? რა თქმა უნდა არა! სწორედ „კარმენი“ გახდის შესაძლებელს საზოგადოების ცნობიერების ბნელ კუთხეში მიმალული რეალობის საყოველთაო განსჯის საგნად ქცევას და დაანახებს ყველას, რომ ყალბი ჰეროიკული თემების საპირწონედ შესაძლებელია, ერთი აღვირახსნილი ქალის ამბავმა მოიაროს მთელი მსოფლიოს საოპერო სცენები და გახდეს ერთ-ერთი ყველაზე ყურებადი საოპერო ქმნილება. დღეს პარიზს მეძავები აღარ უკვირს, ცოტა დაგვიანებით, მაგრამ მაინც...

რუსული წარმართობა ევროპაში

1913 წლის 19 მაისს პარიზში შედგა იგორ სტრავინსკის ბალეტის, "კურთხეული გაზაფხულის" პრემიერა, რომელმაც შეძრა ფრანგული მაღალი საზოგადოება, აღშფოთებული მაყურებლები უსტვენდნენ და შეძახილებით გამოხატავდნენ საკუთარ დამოკიდებულებას ამ "უმსგავსობის" მიმართ.

დიაგილევი, რომელიც იმ პერიოდში პარიზში "რუსულ სეზონებს" მართავდა, მიხვდა, რომ სტაგნაციიდან გამოსასვლელად მას რაღაც არაორდინარული და სრულიად განსხვავებული სჭირდებოდა. სწორედ ახალგაზრდა სტრავინსკიში დაინახავს ის კომპოზიტორს, რომელსაც შეუძლია დაწეროს ევროპისთვის ჯერ კიდევ გაუგონარი მუსიკა.

რა უფლება აქვს კომპოზიტორს ილაპარაკოს საზოგადოების ცოდვებზე?!

„ეშმაკსაც წაუღიხართ ყველა!“ – იტყვის პრემიერაზე სტრავინსკი და დატოვებს დარბაზს.

ნატიფი ფრანგი მსმენელისთვის წარმართული რუსეთის მოსმენა ალბათ მართლა ძალიან მძიმე იქნებოდა, ურთულესი რიტმული სურათი, დისონანსებით გაჯერებული მონოტონური ფრაზები და ამასთან ერთად საოცარი დინამიზმი, რომელიც სრულიად ანგრევს იმ დროინდელ შეხედულებას მუსიკალური ესთეტიკის და სადადგმო ეთიკის შესახებ. მიუხედავად ვაცლავ ნიჟინსკის ძალიან საინტერესო ქორეოგრაფიისა, მაყურებელმა, პრაქტიკულად, ვერც კი აღიქვა, რა ხდებოდა სცენაზე. დადგმის მხატვარი ნიკოლაი რერიხი წერდა: „მახსოვს, პირველ წარმოდგენაზე ხალხი ისე უსტვენდა და ყვიროდა, რომ აღარაფერი ისმოდა. ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ დროს საზოგადოება იმყოფებოდა შინაგანი ეგზალტაციის მდგომარეობაში და წარმართული ტომებივით გამოხატავდნენ საკუთარ გრძნობებს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ ველურ პრიმიტივიზმს არაფერი ჰქონდა საერთო ჩვენი წინაპრების საოცრად ნატიფ პრიმიტივიზმთან, რომელთათვისაც რიტმი, წმინდა სიმბოლო და ნატიფი ჟესტი დიდი და წმინდა ცნებებია“.

„კურთხეული გაზაფხული“ დღემდე რჩება თანამედროვე კომპოზიციის მწვერვალად, მისი მოსმენა არათუ მაშინ, დღესაც უჭირს აუდიტორიას და ძნელი წარმოსადგენია, რომ სტრავინსკიმ ის ზუსტად ერთი საუკუნის წინ დაწერა და თან გაუკვირდა მაშინდელი საზოგადოების, რომელმაც ნაწარმოები ვერ მიიღო.

თუ ვაგნერმა მისი თანამედროვე ოპერა გასართობი თეატრალური წარმოდგენიდან დრამატულ ხელოვნებად აქცია და სწორედ ამაშია მისი დიდი დამსახურება, სტრავინსკიმ თანამედროვეებს დაანახა, რომ მხოლოდ ნატიფი მუსიკის მოსმენა არაა საკმარისი საზოგადოების მანკიერებების დასამალავად. ეს ფაქტობრივად დაადასტურა, როდესაც მაღალი საზოგადოება მუსიკის წყალობით ველურ ბრბოდ აქცია. აი, ასე ხდება ნამდვილი რევოლუცია, არა გარეთ იარაღით ხელში, არამედ ხელოვნების ტაძრებში.

ამასობაში...

მაშინ, როდესაც ევროპა საუკუნეების მიჯნაზე ცდილობს გაიძროს ძველი ტყავი და ახლის მორგების პროცესშია, საქართველოში მეორე რენესანსის ხანა დგება. იწყება ქართული მუსიკალური და ლიტერატურული აღმასვლა, რაც მნიშვნელოვნად შეცვლის არა მხოლოდ სახელოვნებო წრეების მსოფლმხედველობას, არამედ მთლიანად საზოგადოებას, მეორე საკითხია რამდენად შევძლებთ მომავალში ამ სიმდიდრის გამოყენებას, თუმცა ამაზე მომდევნო ნომერში.

ყველა ფერი და

ყველაფერი საწებლებისა და სოუსების შესახებ

ავტორი: დიანა ანფიმიადი

ადრე ერთი ძალიან უცნაური და ნიჭიერი მეგობარი მყავდა, ტრაგიკული არაფერი იფიქროთ – ახლაც ცოცხალია და ჯანმრთელი, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, უბრალოდ, ხომ არის რომ ადამიანებთან მისასვლელი გზა გავიწყდება და მორჩა. ხოდა, რაზე გამახსენდა ჩემი მეგობარი – ძალიან კარგი მხატვარი. თუ მთელ მსოფლიოში გინდა მოძებნო ადამიანი, რომლისთვისაც გემოებს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ალბათ ის არის, ხშირად მიჩნდებოდა კითხვა – რას ჭამს, თუ რამეს ჭამს-მეთქი, საერთოდ. სამაგიეროდ, სულ მახსოვს მის სახელოსნოში თაროზე ჩამომწკრივებული საღებავები, ისეთი წესრიგითა და რუდუნებით, როგორც ბებიაჩემის სამზარეულოს განჯინაში სანელებლები – ფერებისა და მნიშვნელობის მიხედვით: ჯერ წითელი წიწაკა, მერე შავი პილპილი, ზაფრანა, ხმელი ქინძი, პიტნა, უცხო სუნელი, ხმელი რეჰანი და ა.შ და ა.შ.

თბილისის მარკეტებში ფრანგული ცისფერი ყველის აქტიური და დამღლელი ძებნისას გამახსენდა, როგორი განსაკუთრებული მადით ამბობდა ჩემი მეგობარი სიტყვას „ლაზურიტი“, რაც რომელიღაცა ცისფერ საღებავს ნიშნავს და მე, ზოგჯერ, მართლა მეგონა, რომ ჩემი მეგობარი საღებავებით იკვებება, დილაობით, მაგალითად, წყალში გახსნილ აკრილსა და პურზე წასმულ გუაშს მიირთმევს, როგორია?

არანორმალური გეგონებით, თუ გეტყვით, რომ ჩემი მეგობარი მხატვარიც და საღებავებიც კულინარიის ისეთმა მნიშვნელოვანმა და სასიამოვნო შემადგენელმა გამახსენა, როგორიცაა სოუსი და საწებელი. როგორც ცხოვრება ჰკარგავს აზრს ფერებისა და სილამაზის აღქმის გარეშე, უსოუსო სამზარეულოც ასეთივე უინტერესო და უშინაარსო რამაა. ჩემთვის ასეა, ჩემი სამზარეულოს სამი ძირითადი ფერი, რომლის სინთეზითაც ყველა სხვა ფერს მივიღებ, არის – წითელი, ყვითელი და მწვანე – წითელი წიწაკა, ყვითელი წიწაკა და მწვანე წიწაკა – აი, ამ ქიმიის თუ ფიზიკის, სხივთა ამგვარი გარდატეხის მჯერა. ძალიან ხშირად, ახალი კერძის გამოგონებისას ან ძველის იმპროვიზირებულად შეცვლის დროს, პროდუქტებს ფერების მიხედვით ვიყენებ და ყოველთვის გემრიელი გამოდის, რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს.

ხოდა, ჩემს საყვარელ ფერებს მივყვები და მერე ჩემს საყვარელ გემოებზე გადავალ:

წითელი :

ჭარხლის აჯიკა

მასალად საჭიროა:

ჭარხალი – 500 გრამი

სტაფილო – 2 ცალი

წითელი ბულგარული წიწაკა – 3 ცალი

მწარე წითელი წიწაკა – 2 ცალი
მზესუმზირის ზეთი – 3 სუფრის კოვზი
ნიორი –5 კბილი
ხმელი ქინძი, უცხო სუნელი, ზაფრანა, მარილი – გემოვნებით

მომზადება: ჭარხალი, სტაფილო, მწარე და ბულგარული წიწაკა გავატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში, პატარა ქვაბში ჩავასხათ ზეთი, მოვათავსოთ გატარებული ბოსტნეული, დავასხათ ცოტა წყალი და 15 წუთის განმავლობაში ვადუღოთ, დავუმატოთ გატარებული ნიორი და სანელებლები, მარილი და კიდევ თხუთმეტი წუთის განმავლობაში ვადუღოთ.

გამოდის ძალიან ხასხასა წითელი და ცხარე, უხდება ხორციან კერძებს.

ყვითელი

კვერცხისა და მდოგვის სოუსი

მასალად საჭიროა:

5 კვერცხის გული
50 გრამი მდოგვი
3 სუფრის კოვზი ძმარი
შაქარი
მარილი
შავი პილპილი
ერთი სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი

გატარებულ კვერცხის გულს ვუმატებთ დანარჩენ ინგრედიენტებს. ვკმაზავთ სანელებლებით.

მწვანე:

პესტოს სოუსი თხის ყველით

მასალად საჭიროა:

თხის ყველი – 200 გრამი
ერთი დიდი კონა მწვანე ხახვი
რამდენიმე ღერი ოხრახუში
რამდენიმე ფოთოლი ბაზილიკი
ერთი ლიმონის წვენი
ლიმონის ცედრა — ნახევარი ჩაის კოვზი
2 კბილი ნიორი
მწარე მწვანე წიწაკა – ნახევარი

ყველი დავარბილოთ და გავხეხოთ, წიწაკა, ხახვი, ნიორი და ოხრახუში გავატაროთ, დავუმატოთ ლიმონის წვენი, ცედრა, დასრესილი ბაზილიკი და სულ ცოტა ზეითუნის ზეთი. კარგად ავურიოთ.

ნარინჯისფერი

სტაფილოს სოუსი თაფლით და არაჟნით

მასალად საჭიროა:

სტაფილო – 200 გრამი
ერთი სუფრის კოვზი თაფლი
ფორთოხლის ცედრა – ნახევარი კოვზი
100 გრამი არაჟანი
მარილი
წიწაკა
ქინძი
ნიორი – ერთი კბილი

მოხარშული სტაფილო გავატაროთ, დავუმატოთ თაფლი, არაჟანი, დაჭყლეტილი ნიორი, ავურიოთ და შევანელოთ სანელებლებით.

ლურჯი

შავი ქლიავის საწებელი

ქლიავი – 500 გრამი
ლიმონის წვენი – 3 სუფრის კოვზი
ქინძი, ნიორი, მარილი, შაქარი, უცხო სუნელი, ზაფრანა, ომბალო, კამა, ცერეცო, წიწაკა

კურკაგაცლილი ქლიავი მოვხარშოთ, გავხეხოთ, დავუმატოთ ლიმონის წვენი და გატარებულ-დანაყილი მწვანილეულობა. მარილი, წიწაკა და შაქარი გემოვნებით.

თეთრი :

ყველის სოუსი კონიაკით

მასალად საჭიროა:

5 სუფრის კოვზი ხაჭო
რბილი ნაღების ყველი – 100 გრამი
ყველი „როკფორი“ – 100 გრამი
კონიაკი – ნახევარი ღვინის ჭიქა
თეთრი ღვინო – ნახევარი ღვინის ჭიქა
ვანილი
წიწაკა

ხაჭო და ნაღების ყველი ავთქვიფოთ. დავუმატოთ დარბილებული „როკფორი“, მოვასხათ კონიაკი და ღვინო და ისევ ავთქვიფოთ, დავუმატოთ წიწაკა, სულ ოდნავ მარილი. მივირთვათ ხილის სალათთან ერთად.

ყავისფერი

შოკოლადის ცხარე სოუსი

მასალად საჭიროა:

2 ჭიქა რძე
100 გრამი ნაღები
50 გრამი მწარე შოკოლადი
შაქრის ფხვნილი – 2 სუფრის კოვზი
რომი – გემოვნებით
სახამებელი – 1 სუფრის კოვზი
მწიკვით ვანილი
მწარე წითელი წიწაკა, დაფქვილი

გახეხილ შოკოლადს ავურიოთ შაქარი, რძე ავადუღოთ, ნაწილ-ნაწილ ჩავასხათ შოკოლადში, თან ვურიოთ და ნელა ვადუღოთ, დავუმატოთ ცივ ნაღებში გახსნილი სახამებელი, გავაგრძელოთ ნელ ცეცხლზე დუღილი, დავუმატოთ რომი, ვანილი და წიწაკა, მოვურიოთ.

ხომ ხედავთ, ფერების არა მხოლოდ დანახვა, არამედ გემოს გასინჯვა და მოსმენაც კი შეიძლება. აბა, სხვანაირად როგორ უნდა ავხსნა, რომ ჩინეთში, ტაილანდში, ლაოსსა და ვიეტნამში გავრცელებული მიაო-იაო ენის დიალექტებია წითელი მიაო, თეთრი მიაო, მწვანე (ლურჯი) მიაო და შავი მიაო?

ფერების შერევით – სხვა ახალი ფერები, სოუსების შერევით – სხვა ახალი სოუსები შეიძლება მივიღოთ, საინტერესო და გემრიელი თამაშია, შეგიძლიათ სცადოთ და ჩემი საწებლების და ფერების მენიუ კიდევ უფრო შეავსოთ.

მერე მაგიდას თეთრი სუფრა გადაიფარეთ, სოუსები ერთნაირ თეფშებზე დაასხით, ერთი ნაჭერი ჭვავის პური აიღეთ და რიგრიგობით გასინჯეთ – ესეც თავისებური ფერთა თერაპიაა, დამიჯერეთ.

ნეტა საწებლებით ხატვის მიმდინარეობა არსებობს? თუ არა, მაშინ ეს გამოგონება მე მეკუთვნის.

თევზი და ღვინო

ავტორი: თამარ ბაბუაძე

„მომეცით ნებისმიერი წესი და მე დავარღვევ მას, – წერს ბრიტანელი ღვინის მწერალი ოზ კლარკი 2010 წლის ჯიბის მეგზურში ღვინის შესახებ და იქვე აგრძელებს, – ამიტომ, როცა ვაწყდები გამოცემებს, რომლებიც გვიკანონებენ, რომელი ღვინო მივირთვათ რომელ კერძთან ერთად, ძალიან ვიძაბები. ამ დროს ძლივს ვთოკავ საკუთარ თავში მწველ სურვილს, ბურგუნდიული გრან კრუ ჩილი კორ კარნეს არ მივაყოლო“.

იმ დროს, როდესაც ვცდილობდი მეპოვა პასუხი კითხვაზე – რა შეიძლება იყოს ყველაზე შეუთავსებელი წყვილი, როდესაც ღვინისა და თევზის შეხამებაზე ვსაუბრობთ – ოზ კლარკის შეგონებები წაკითხული ჯერ კიდევ არ მქონდა. ამიტომ ვერაფრით დავიწყებდი იმის უტიფრად მტკიცებას, რომ კერძებისა და სასმელების შეხამებისას წესები თითქმის არ არსებობს.

არადა, „ღვინის კლუბისა“ და „საქართველოს მეთევზეთა კლუბის“ მიერ რესტორან „კალიფსოში“ მოწყობილ სადეგუსტაციო საღამოზე ზუსტად ამას გვთხოვდნენ – რაც შეიძლება, გაბედული ექსპერიმენტები ჩაგვეტარებინა ხუთი თავი თევზის კერძისა და 7 კომპანიის 30-მდე დასახელების ღვინის მონაწილეობით.

„აღმოჩენების საღამო უნდა იყოს“, – გაგვაფრთხილეს და ინდივიდუალური აღმოჩენებიც ასე დაიწყო. ცალ-ცალკე სუფრებთან განაწილებული სტუმრებიდან ზოგიერთისთვის უმთავრესი აღმოჩენა სწორედ ის იყო, რომ თევზი, მაგალითად, გრილზე შებრაწული ორაგულის ფილე, შეიძლება, ღვინოსთან მიირთვა და არა – აპრიორი არაყთან ერთად. თუმცა, იქვე, იმავე დარბაზში ამ სტერეოტიპთან ერთად კიდევ ბევრი სხვაც დაინგრა – შემწვარი ხრამული ვის ცოლიკოურის თანხლებით მოეწონა, ვის – რქაწითელის. ლიმონის წვენში გაჯერებული შემწვარი ბარაბული კი – ბევრი თბილისელისთვის დღემდე ლუდის საუკეთესო კომპანიონი თევზი – ზოგს გორული მწვანეს თანხლებით უფრო ეგემრიელა, კალმახი კი აღმოჩნდა, რომ წითელ ღვინოსაც კი შეიძლება, მოუხდეს. შეუდარებელი მეწყვილე აღმოჩნდა ვარდისფერი საფერავი როზეცა და მწვანე ქისიც, განსაკუთრებით – ნაღებსა და ქამა სოკოსთან ერთად შებრაწული კალმახისთვის.

კიდევ უფრო გაბედულად ვებრძოლოთ სტერეოტიპებსო, – გვთხოვდა ღვინის კლუბის ხელმძღვანელი, მალხაზ ხარბედია და გულისხმობდა იმას, რომ დაგვერღვია კიდევ ერთი დამკვიდრებული კლიშე – თევზის კერძებს ძირითადად თეთრი, მშრალი ღვინოები უხდება. საპასუხოდ სადეგუსტაციო ჭიქებშიც გაბედულად ჩამოისხა სხვადასხვა კომპანიის საფერავი. ზოგმა – ლიმონის წვენში გაჯერებულ ბარაბულს ნამდვილად არ მოუხდაო, ზოგს – გრილზე შემწვარ ორაგულთან მოეწონა, ზოგს კი – პომიდვრითა და კარტოფილით შეკმაზულ ორაგულის უხასთანაც კი.

მასპინძლებმა – მეთევზეთა კლუბის ხელმძღვანელმა შოთა კვარაცხელიამ და ღვინის კლუბის პრეზიდენტმა, მალხაზ ხარბედიამ თავიდანვე გვითხრეს, დღევანდელი საღამო ჰედონისტურიც იქნება და საგანმანათლებლოცო. ამიტომ სწორედ სიამოვნების მიღების პროცესში გაკეთდა კიდევ ერთი აღმოჩენა: როგორც წესი, გემოს რეცეპტორები „სცნობენ“ ჰარმონიას, ანუ იმ მომენტს, როცა თევზის ნაჭერს მიყოლილი ღვინო არ ფარავს კერძის არომატულობას და პირიქით – მკვეთრი გემოს მქონე თევზი არ ანეიტრალებს ღვინის არომატს. ეს ჰარმონიული თანხვედრა კი შეიძლება, თევზის და ღვინის სრულიად მოულოდნელმა წყვილებმაც კი „გაგრძნობინონ“.

ასე რომ, ახლა უკვე მხოლოდ გუმანით კი არ ვხვდები, არამედ ვიცი: რომელ კერძს რომელ ღვინოს მოუხდენთ, ეს ძირითადად რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული: თქვენს განწყობაზე, კომპანიონზე და გარემოზე, სადაც წვეულება იმართება. მთავარი კი მაინც კლიშეებზე უარის თქმაა. ვინ იცის, იქნებ კანაპე კრევეტებით ცქრიალა ღვინის თანხლებითაც მოგწონთ და ვარდისფერთანაც?

თუკი, ჩემსავით, უფრო მეტად დაინტერესდით საკითხით, ეს სასიამოვნო კვლევა ჯობია, ღვინის კლუბის ვებ-გვერდიდან დაიწყოთ (vinoge.com). თეორიული ცოდნა კი „პრაქტიკული“ სამუშაოებითაც გაიმდიდროთ. გემრიელად მიირთვით!

რუსთაველის თეატრი

2010–2011

132-ე სეზონი

1 აპრილი დიდი სცენა **12 განრისხებული მამაკაცი** დასაწყისი 19:45	10 აპრილი დიდი სცენა **ვანილის მოტკბო, სევდიანი სორნელი** დასაწყისი 19:45	20, 21 აპრილი IV სარეპერტუარო პრემიერა **რაღაც უკეთესი მოხდება** დასაწყისი 19:45
3 აპრილი დიდი სცენა **შობის მეთორმეტე ღამე, ანუ როგორც გენებოთ** დასაწყისი 19:45	12 აპრილი ექსპერიმენტული სცენა **ვგავართ ახლა ჩვენ ლტოლვილებს?!** დასაწყისი 19:45	27 აპრილი მცირე სცენა **სტუმარ – მასპინძელი** დასაწყისი 19:45
4 აპრილი ექსპერიმენტული სცენა ალბერ კამიუს **"პირველი ადამიანი"** დასაწყისი 19:45	13, 27 აპრილი მცირე სცენა **ქალი წარსულიდან** დასაწყისი 19:45	28 აპრილი ექსპერიმენტული სცენა **ბენიამინი** დასაწყისი 19:45
5 აპრილი ექსპერიმენტული სცენა **სტუმარი** დასაწყისი 19:45	14, 28 აპრილი მცირე სცენა **მზის დაბნელება საქართველოში** დასაწყისი 19:45	29, 30 აპრილი IV სარეპერტუარო **რაღაც უკეთესი მოხდება** დასაწყისი 19:45
6, 13, 19, 27 აპრილი ექსპერიმენტული სცენა **ჰამლეტ.comX** დასაწყისი 19:45	14 აპრილი ექსპერიმენტული სცენა **გაიღიმეთ, ჩიტი გამოფრინდება** დასაწყისი 19:45	29, 30 აპრილი ექსპერიმენტული სცენა **ქარი მწყურია, მე პირდაპირი** დასაწყისი 19:45
6 აპრილი IV სარეპერტუარო დარბაზი **როგორც იქნა!** დასაწყისი 19:45	15 აპრილი დიდი სცენა **ვთამაშობთ სტრინდბერგს** დასაწყისი 19:45	**პირველად საქართველოში**
7 აპრილი დიდი სცენა **მოხუცი ჯაბა ზები** ეკუმენ ლიდანიძის ეარს კვლიფის ეაბნნა დასაწყისი 19:45	16 აპრილი დიდი სცენა **დაბოლოილი მთვარე** დასაწყისი 19:45	 ლი & მანდალა პირველი ადამიანი ალბერ კამიუ
8 აპრილი დიდი სცენა **"ლი & მანდალა"** რობერტ უილსონი ქორეოგრაფიული ცენტრი დასაწყისი 19:45	17 აპრილი დიდი სცენა **კაცია ადამიანი?!** დასაწყისი 19:45	

www.rustavelitheatre.ge

ტელ 72 68 68

პროკრედიტ ბანკი ProCredit Bank
ხელოვნება
Payless
ბატარეიონი
GPC
FM 98.0
RADIO MUZA
რუსთაველი
ამირანი
mgroup
FOCUS
GEORGIA TODAY
NEW LIGHT

ლობოტომია

აფრიკის სავანებში ლომები ისევ ფლეთენ ნანადირევს. ბერბერების და ჰოტენტოტების ტომების ბავშვებს ცხვირპირზე ბუზები ესევათ და შიმშილისგან მუცლები აქვთ დაბერილი... ნიუ-იორკის საქმიან კვარტალში დილერები, ადვოკატები, მენეჯერები და ათასი ოხერი შლეგიანებივით მიმორბიან...

ავტორი: ბაჩო კვირტია

ევროპა თვლემს, ან დეპრესიაშია, ან თავს იკლავს, ან მეუღლეს ღალატობს, ან პიჟონობს, ან შედევრს ქმნის...

აზია დაბოღმილია და მზად არის, საკუთარი სხეული ნაფლეთებად აქციოს, ოღონდ შენც გამოგასალმოს სიცოცხლეს...

სამხრეთ ამერიკას იღლიებში გამოსველებული მაისური აცვია, კოკაინის ახალ პარტიას ფუთავს და მორიგი კონკურენტი ნარკოკარტელის გაჟუჟვაზე ფიქრობს...

ავსტრალიაში დიდი ტალღებია...

ანტარქტიდაზე და არქტიკაში ცივა...

რუსეთს არაფერი ეშველება...

თბილისში კორპორატიული საღამოები და ივენთები იმართება – „ცნობადი“ სახეების მონაწილეობით და დასწრებით. ცხოვრება წინ მიდის. ეკონომიკა აღზევების სტადიაშია, ქვეყნის განვითარებას წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგება. ყველაფერი კარგადაა. იდეალურად ჯერჯერობით არა, მაგრამ ეგეც იქნება. ამიტომ რატომაც არ უნდა გაიმართოს პრეზენტაციები და ივენთები, რატომ არ უნდა აღინიშნოს ახალი ბრენდების და პროექტების დაბადება? ირგვლივ საოცარი სილამაზეა, საოცარი ესთეტიკაა. ნახეთ, რა ლამაზად აცვიათ ქალბატონებს და ბატონებს, რა შესანიშნავ გუნებაზე არიან. უდრტვინველად მოლივლივე შამპანი ბოკალში და მხიარული საუბრები სიმშვიდეს მგვრის და გულს იმედით მივსებს. მერე რა, რომ პრეზენტაციის წამყვანები ენაბრგვილები არიან? ღელავენ. მერე რა მოხდა? ჩვენი სრული ბედნიერებისთვის ისიც საკმარისია, როცა ვიცით, რომ თქვენი უძვირფასესი ავტომობილი არავის ავტომობილზე ნაკლები არაა, როცა თქვენი მედიდური გამოხედვა ჩვენში ძალას და თვითდაჯერებას ბადებს, როცა თქვენ გვერდით მდგარი ქალბატონი ნებისმიერს დათხრის თვალებს, ოდნავ გადაბრუნებული სიტყვა რომ შეკადროს, როცა ამოდენა ეკლიანი გზა გამოგივლიათ და აწი თუ ვინმე გზაზე გადაგიდგებათ, ჭიანჭველასავით გასრესთ! ეს საკმარისზე მეტია საიმისოდ, რომ თავი დაცულად ვიგრძნო. მართლა ასეა, არ ვხუმრობ.

მე ვინ ვარ?

რა მნიშვნელობა აქვს?.. მთავარია ის ვიცოდე და კარგად გავიაზრო, თქვენ ვინ ბრძანდებით.

აი, დავხუჭავთ ხოლმე თვალებს და წარმოვიდგენთ:

ღმერთო, რა საოცარია!

მოგზაურობა ხომ გიყვართ?

ვიცი, რომ გიყვართ. მალდივის, სეიშელის თუ ბაჰამის კუნძულები? იყოს სამივე. უფრო სწორად – ხან ერთი, ხან მეორე და ხან მესამე. ხოდა, რომელიმე მათგანზე... დასვენება. გართობა. დროსტარება. ა? როგორია? ღმერთმა შეგარგოთ! თქვენ ამას ცალსახად იმსახურებთ! რაც კი ფანტაზია გამაჩნია, მოვიკრებ ხოლმე და დახუჭული თვალებით ვუყურებ ულამაზეს კლიპს თქვენი მონაწილეობით. ბაჰამური არდადეგები. ან – ბოჰემა ბაჰამიზე. ცხვირის ნესტოებში უკვე მიღიტინებს ზღვაურის სურნელი, ყურში ჩამესმის ოკეანის ტალღების მშვიდი შრიალი და მუსიკის ჰანგები ზღვისპირა ბუნგალოდან. ენის წვერით ვგრძნობ ადგილობრივი სამზარეულოს პიკანტურ გემოს, ყელს სასიამოვნოდ მიწვავს ძვირფასი სპირტიანი სასმელი და პრემიუმ-კლასის კუბური სიგარა. შიშველ ზურგზე მასაჟისტი ქალის ნაზი შეხება აღმაგზნებს და საოცრად უდარდელი მზერით ვუყურებ საყვარელ ქალს, რომელიც თვინიერად გადაწოლილ პალმებს შორის გაკიდულ ჰამაკში წევს და ალოეს წვენს წრუპავს.

ეს ყველაფერი იმდენად თქვენია, რომ ჩემიც გახდა, ოღონდ – თვალს თუ დავხუჭავ.

თვალს თუ გავახელ, ისევ თქვენ გხედავთ, ბატონო პატივცემულო.

განა თქვენი დამსახურება არ არის, რომ ქალაქი, სადაც მე, თქვენ, თქვენნაირები და ჩემნაირები ცხოვრობენ, ასეთი ლამაზი გახდა. სინათლის, სიყვარულის, ახდენილი ოცნებების ქალაქი თავისი მშვენიერი რესტორნებით, პაბებით, კლუბებით, სასტუმროებით და საშაურმეებით. მერე რა ლამაზი ბილბორდებია გადმოკიდული, იმედისმომცემი ფასდაკლებების და აქციების რეკლამებით, ყვითელი ავტობუსებით და ხალხის გასაოცარი სახეებით.

ერთი უცხოელი მეგობარი იყო ამას წინათ ჩამოსული და იცით, რა მითხრა? ყველაზე მეტად თქვენთან ხალხის სახეები მაგიჟებსო. დაკვირვებიხარო? არა-მეთქი. ხოდა, დააკვირდიო. ხალხის სახეებს დაკვირდიო. დავაკვირდი და მართალი ყოფილა. გასაგიჟებელი სახეები აქვთ. ან გაგიჟებული. ძალიან ძნელია, ამ ყველაფრის შემხედვარე არ გაგიჟდე. ან მართლა გიჟი უნდა იყო ან უმადური. გიჟს რაღა გააგიჟებს და თუ ჭკვიანი ხარ, უნდა გაგიჟდე და ისეთივე სახით უნდა იარო, როგორც სხვები დადიან. ხოდა, დავდივართ და შეგვატყო ამ ჩემმა უცხოელმა მეგობარმა. მე კიდევ აქამდე ვერ ვამჩნევდი. საერთოდ, ძალიან დიდ ბედნიერებას ადამიანი ვერ გრძნობს, მაგრამ რაკი უცხოელმა მეგობარმა შეამჩნია, მაშასადამე სახეზე გვეხატება.

აი, ტაშს უკრავენ. თქვენ გიხმობენ, ბატონო პატივცემულო. გაჯილდოებენ. გილოცავთ! ეს ერთი და სხვა მრავალი!

როგორი მომხიბლავია თქვენი თავდაჭერილობა, მოზომილი სიტყვა და სიდარბაისლე. თქვენი სიმშვიდის, სიმტკიცის, სიმკაცრის, სიმარტივის და სისადავის სიო არხევს საყვარელი ქალის ყელზე შემოხვეულ სიასამურის ბეწვს. თქვენი ქალბატონი სიამოვნებით გისმენთ და სულში სიყვარულის სიმები უთრთის. ისევ ტაში. სცენიდან ეშვებით და მილოცვებს ღებულობთ.

თვალებს ვხუჭავ:

მეგობრებო! მეგობრებო!!! ერთი წუთით მივიპყრობ თქვენს ყურადღებას. აი, ეს კაცი არის ამ ქალაქის მშვენება, ამ ქალაქის მოფერება და ჩახუტება! ხოდა, იარე ძალიან ძალიან დიდხანს ამ ქალაქში, ჩემო ... და იცოდე, რომ ყველას უზომოდ უყვარხარ, ყველას სჭირდები და ყველას სახეზე აწერია შენდამი პატივისცემა და მოწიწება! გაუმარჯოს! მრავალჟამიერ!

თქვენ მთა ხართ. ფუძიამას მთა. არა. კილიმანჯარო. მონბლანი. ევერესტი! აი, ეს შეგეფერებათ! მთა ხართ, რომელსაც მთების გადადგმა ძალუძს. თქვენ ირგვლივ შეკრებილან ჩვენი საზოგადოების მარგალიტები, ნაღები ფენა, ბომონდი, რომელსაც ურჩევნია იცოდეს, რა სიახლეს ამზადებს Gucci-ის მოდის სახლი, ვიდრე ის, როგორც ცხოვრობს მოხუცი ცოლ-ქმარი საქართველოს რომელიღაც სოფელში. თქვენ, გარშემომყოფებთან ერთად, შვედურ მაგიდასთან თეფშით ხელში რიგში დგახართ, სადაც საოცრად გემრიელი დელიკატესებია დახვავებული. თქვენ, სხვების მსგავსად, მსუბუქი მუჯლუგუნებით მიარღვევთ გზას საჭმლისკენ, რადგან თქვენი გზა კუჭზე გადის და ახლა, დამსახურებული ჯილდოს მიღების შემდეგ, სასმელ-შეჭამანდთან გათამაშების დროა.

ამ ქვეყანაზე ყველაფერი თქვენია, ბატონო პატივცემულო. თქვენთვის ყველა კარი და ქალი ღიაა, და თქვენ ვერასდროს წარმოიდგენთ, რომ ახლა, თქვენგან ასიოდე მეტრში, ქუჩაში ჩვეულებრივი მამაშვილი მიდის. მამა 34-36 წლისაა, შვილი – 5-6 წლის. ჩუმად მიდიან. ღამეა. მამა შვილის ფეხსაცმელებზე ფიქრობს. შვილი ქუჩაში მანქანებს ათვალიერებს და ლოგოების მიხედვით მანქანის მარკებს ასახელებს. უხარია, რომ იცის. მამა ფეხსაცმელებზე ფიქრობს. თქვენ კი ალბათ ფიქრობთ, რომ გიჟი ვარ. არ ვარ ნორმალური. აბსოლუტურად გეთანხმებით. როგორ შეიძლება ნორმალური ადამიანი ასეთ რამეებს ლაპარაკობდეს? თანაც — თქვენ გეუბნებოდეთ. რა შუაში ხართ? ან რა შუაშია ბებერი ცოლ-ქმარი სოფელში და მამა-შვილი ქუჩაში. თანაც მამა, რომელიც ფეხსაცმელებზე ფიქრობს. რის ფეხსაცმელები? რა მამა? საერთოდ, რა მინდა? რას შემოგიჩნდით, რატომ გელაპარაკებით? მიცნობთ? ან მე გიცნობთ? თუ მათხოვარი ვარ, პირდაპირ მეთქვა და მოწყალებას გაიღებდით. ან ვინ შემომიშვა აქ? სად არის მომსახურე პერსონალი, დაცვა. დაცვა! დაცვა მოვიდეს აქ! დიახ, ბატონო... ვინ არის ეს კაცი, მომაშორეთ აქედან! როგორი აღშფოთებული თვალები აქვს თქვენს ქალბატონს. ყველას. ერთი წუთით, ხელი გამიშვით. თვითონ წამოვალ. გაათრიეთ აქედან ეს იდიოტი! ნუ ბრაზობთ, ბატონო. ვბრაზობ კი არა, მანდ არ მომიყვანო, თორემ... თორემ რას მიზამთ, ბატონო?.. დაცვა, ხელი გამიშვი ქეჩოდან, თორემ შენ მო...ავ!..

ცხვირსახოცის კიდეები ნესტოებში შევიტენე. სხვანაირად სისხლდენა ვერ შევიჩერე. მე მგონი ცხვირი მაქვს გატეხილი. მთავარია, გული არ გამიტყდეს და მომავლის რწმენა არ დავკარგო. ცუდად მოვიქეცი. ასეა, ჩემნაირებით როა სავსე ეს ქვეყანა, იმიტომ ვართ ამ დღეში. აბა, შეხედე: ყველა შინაა, უსხედან ტელევიზორებს და ქართულ ტელესივრცეში ყველაზე პოპულარულ თოქ-შოუს უყურებენ, რომელიც ეს-ესაა დაიწყო. მქუხარე ტაშის ფონზე წამყვანი შემოკაკუნდა სტუდიაში და ეიფორიული ტონით სტუმრებს ეპატიჟება. სტუმრები ყველასთვის საყვარელი, ცნობილი და პატივსაცემი ხალხია, რომლებიც უკვე ვინ იცის, მერამდენედ ყვებიან საკუთარი ცხოვრების ისტორიას. მაყურებელი სულგანაბული უსმენს. ყველამ იცის ეს ამბავი, მაგრამ მაინც ისეთი სახით უსმენენ, თითქოს პირველად იგებენ. ასეა საჭირო და იმიტომ. და ასე იქნება ძალიან დიდხანს.

ლომები აფრიკაში ისევ მოინადირებენ და გაგლეჯენ ნანადირევს.

ნიუ იორკში საქმოსნები ისევ ირბენენ.

ევროპა დაამთქნარებს და პიჟონობას გააგრძელებს.

აზია თავს აიფეთქებს და ისევ დაიბოღმება.

სამხრეთ ამერიკა კოკაინის პარტიას ან დილერამდე მიიტანს ან მექსიკის საზღვართან ჩაცხრილავენ.

ავსტრალიაში დიდი ტალღები ისევ იქნება.

ანტარქტიდაზე და არქტიკაში ისევ ეციება.

რუსეთს არაფერი ეშველება.

საქართველოში ახალი მაკმერფები გაჩნდებიან. რენდელ მაკმერფები კენ კიზის „გუგულის ბუდიდან“, ოღონდ რომანის ბოლოსკენ რომ მაკმერფია, ლობოტომიაგაკეთებული, ისეთები.

მეც მაკმერფი ვარ.

ისინიც – აი ახლა, ტელევიზორთან რომ სხედან და ქართულ ტელესივრცეში ყველაზე რეიტინგულ თოქ-შოუს რომ უყურებენ და იწირპლებიან.

ძალიან ხომ არ გაგაბრაზეთ, ბატონო პატივცემულო?

ვინ იცის, როგორ კარგ გუნებაზე ბრძანდებოდით და განწყობა გაგიფუჭეთ. მაგრამ არა მგონია. უკვე აღარც გემახსოვრებით. მე კი მახსოვხართ და მუდამ მემახსოვრებით. ძალიან მიყვარხართ და მინდა, რომ ყველა ოცნება აიხდინოთ, ყველა მიზანს მიაღწიოთ, ყველას უყვარდეთ და ყველა გეთაყვანებოდეთ.

მერე რა, რომ თავიდან მომიშორეთ და ცხვირი გამიტეხეთ.

მერე რა, რომ რაც ჩვენი იყო, თქვენია და რაც თქვენია – თქვენია...

მერა რა, რომ ჩვენც თქვენსავით ვცხოვრობთ, ოღონდ – თვალს თუ დავხუჭავთ...

ჩვენ მუდამ თქვენს სამსახურში ვიქნებით.

ჩვენ ბევრნი ვართ, მაკმერფები და ჩვენ ერთი გუნდი ვართ!

ჩვენზე მედდა რეტჩედი ზრუნავს.

ჩვენ წარმატებით ჩაგვიტარდა ფსიქოქირურგიული ოპერაცია და ახლა ყველაფერი კარგადაა.

ნუ გეშინიათ, ჩვენ შორის არ არის ბელადი ბრომდენი, რომელმაც შესაძლოა რაიმე გაუთვალისწინებელი და საშინელი ჩაიდინოს.

ყველა კარი ჩარაზულია და ყველა ბოქლომი ჩაკეტილია.

ყველას მშვიდად სძინავს.

დაიძინეთ თქვენც. და არაფერზე იფიქროთ.

ხვალ ახალი დღე გათენდება.

დიდი საქმეები გელით.

მიყვარხართ...

ქველმოქმედება vs სოლიდარობა

15 მარტს ტელეკომპანია „იმედზე“ გასული „ნანუკას შოუს“ მიზანი, სავარაუდოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა იყო, თუმცა, მიზეზთა გამო სრულიად საპირისპირო შედეგი მივიღეთ.

ავტორი: ვახუშტი მენაბდე

როდესაც ტერმინ „უნარშეზღუდულს“ პიროვნების დასახასიათებლად ვიყენებთ, პრობლემების სათავედ ადამიანს მივიჩნევთ. არადა, პრობლემური სწორედ მოუქნელი და ხისტი გარემოა, რომელიც ადამიანებს შესაძლებლობებს უზღუდავს.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ გადაცემის წამყვანმა პრობლემისადმი საკუთარი დამოკიდებულება გაგვიმხილა და თქვა, რომ „არ უნდა, ვინმე ებრალებოდეს“ და მათ შორის არც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. არ შეიძლება, არ დაეთანხმო. ამ სიტყვების შემდეგ, ეკრანზე კადრები გაუშვეს – როგორ ურიგებს გადაცემის წამყვანი ბავშვთა პანსიონატის ბენეფიციარებს სათამაშოებს. ნანუკამ თქვა, რომ მისი გადაცემებით „კონკრეტული პრობლემები გვარდება“ და მისი მიზანი არა მარტო ადამიანების პრობლემებზე საუბარი, არამედ ამ პრობლემების მოგვარებაში „დახმარებაა“. სტუმრად მოწვეულმა პაატა ბურჭულაძემ განაცხადა, რომ ამ საკითხს ნინო ჟვანიასთან გაეცნო, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს „უვლის“. უცებ სად იყო და სად არა, ანზორ ერქომაიშვილი გამოჩნდა, რომელმაც სრულიად გასაოცარი რამ თქვა: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს „უნდა ვეცადოთ და ცხოვრება შევუმსუბუქოთო“.

გადაცემა ერთთავად დედობრივი მზრუნველობით იყო გაჯერებული, რომელიც საზოგადოებამ ამ პირების მიმართ უნდა გამოიჩინოს. სოციალური ინტეგრაციის მთავარი პოსტულატი სინამდვილეში სოციალური თანასწორობაა. ამიტომ, თუ სოციალურად სასარგებლო საქმის გაკეთება გვინდა, კონკრეტული პრობლემის მოგვარებაში ყველა შესაძლო დაინტერესებული პირი თანაბრად უნდა იყოს ჩართული. არ შეიძლება ერთი „კეთილი“ იყოს და მეორე ამ „სიკეთის მიმღები“, ეს თავის მოტყუებაა, რადგან სიკეთისაგან სარგებელს ყველანი ერთად ვიღებთ. თუკი ვთანხმდებით, რომ ჩვენ თანასწორები ვართ, მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, რომ არავის აქვს უფლება მეორე ადამიანი, თუნდაც, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ქველმოქმედების სუბიექტად აქციოს, ამით მისი ღირსება ფეხქვეშ გათელოს და საკუთარი თვითშეფასება აიმაღლოს.

გადაცემის პირველი ნაწილის ბოლოს ქალაქ თბილისის მერი გამოჩნდა, რომელმაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სულ „უნარშეზღუდულები“ უძახა, შემდეგ კი, მარტივად რომ

ვთქვათ, თვალსა და ხელს შუა მოგვატყუა. ეს წინადადება ჰაიჰარად წამოსროლილად რომ არ მოგეჩვენოთ, განვმარტავ, რომ უნარები ადამიანის მახასიათებელია, ის ადამიანში არსებულ ძლიერ მხარეებზე მიუთითებს. ამიტომ, როდესაც ტერმინ „უნარშეზღუდულს“ პიროვნების დასახასიათებლად ვიყენებთ პრობლემების სათავედ ადამიანს მივიჩნევთ. არადა, პრობლემური სწორედ მოუქნელი და ხისტი გარემოა, რომელიც ადამიანებს შესაძლებლობებს უზღუდავს. ამიტომაა სწორი ტერმინი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“.

ახლა ტყუილზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა: როდესაც ურბანულ გარემოზე ჩამოვარდა საუბარი, ბატონმა მერმა ქალაქის არაადაპტირებულობა საბჭოთა კავშირს და ამ ქვეყნის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს, ისევე როგორც ტროტუარები, სადაც პარკინგი, ფაქტობრივად დაშვებულია და არავის ებადება კითხვა, ეტლით მოსარგებლე პირი როგორ გაივლის იქ, სადაც მთელი ტროტუარი ავტომობილებს აქვთ დაკავებული.

ქალაქის მერმა გამოსვლის დასასრულს „უნარშეზღუდულობას“ „ნაკლოვანება“ დაარქვა. ნეტავ, ბატონი მერი რომელი ჯგუფის ადამიანებს თვლის უნაკლოებად?

გადაცემის რომელიღაც ნაწილში ამ ფრაზამაც გაიელვა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა თურმე „ძვირი ჯდება“. სრულიად მართალია, მაგრამ ძვირი არა მარტო ამ უფლების უზრუნველყოფა, არამედ, ზოგადად, უფლებების დაცვა ჯდება. სახელმწიფოს ერთი ჯგუფისთვის განკუთვნილი ღონისძიებები მხოლოდ და მხოლოდ სტიგმას აძლიერებს და სეგრეგაციას ემსახურება. ექსკლუზია ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბოროტებაა, რაც ადამიანის თუ ადამიანთა ჯგუფის სოციალურ ინტეგრაციას აფერხებს. ამიტომაც, თუკი ვინმეს ხმა მიგიწვდებათ, იქნებ, გადააფიქრებინოთ ქალბატონ ნინოს ამ საჯარო დაპირების შესრულება. ამას სჯობს, სუხიშვილების ანსამბლმა ერთი კონცერტი გამართოს „ჩვეულებრივ“ დარბაზში და შემოსული თანხები რომელიმე ორგანიზაციას გადაურიცხოს, რომელიც ამ ფულს პრობლემის ადვოკატირებას მოახმარს.

გადაცემიდან დაგრჩებოდათ შთაბეჭდილება, რომ ამ ადამიანებისთვის პანდუსების დამონტაჟება „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“ – როდესაც ეს მხოლოდ ერთ-ერთი უფლებაა, – ყველაზე დიდი სიხარული კი – ბრჭყვიალა და ფერადი საჩუქრები.

გადაცემიდან დაგრჩებოდათ შთაბეჭდილება, რომ ამ ადამიანებისთვის პანდუსების დამონტაჟება „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“– როდესაც ეს მხოლოდ ერთ-ერთი უფლებაა, – ყველაზე დიდი სიხარული კი – ბრჭყვიალა და ფერადი საჩუქრები.

მქონე პირთა ინტერესების უგულებელყოფას დააბრალა. ამით სრულად აიცილა ის პასუხისმგებლობა, რაც მისი მერობისას განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების არასაკმარისი გათვალისწინების, ან სულაც უგულებელყოფის გამო ეკისრება. რამდენიმე მაგალითს შეგახსენებთ: თბილისში ქუჩებზე გადასასვლელი ხიდები აშენდა და არც ერთი მათგანი არ არის შესაბამისად აღჭურვილი; ქალაქის შუქნიშნების დიდ ნაწილს ხმოვანი ფუნქცია არ აქვს, ამიტომ მხედველობის პრობლემების მქონე ადამიანებს შუქნიშნებით სარგებლობა არ შეუძლიათ. შეკეთდა ტროტუარები, სადაც (რამდენიმე ბედნიერი გამონაკლისის გარდა) ისევ არ არის ასასვლელი ბილიკები. გარდა ამისა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომელიც სრულიად განახლებულია, არ თადერთი ფუნქციაც სწორედ ეს არის – დაიცვას ადამიანის პოლიტიკური და სოციალური უფლებები. არ არსებობს უფლება, რომლის დაცვისთვის რესურსი არ იხარჯება. ესეც ერთ-ერთი სტერეოტიპია.

მოგვიანებით, ბატონმა პაატა ბურჭულაძემ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება მათი სოციალური ინტეგრაციის ავტომატურ გადაჭრად მიიჩნია, ხოლო ქალბატონი ნინო სუხიშვილი კიევიდან დაგვპირდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საქველმოქმედო კონცერტს ჩაატარებს თბილისში.

შრომითი ფუნქციონირება ადამიანის სოციალური ინტეგრაციის მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც ერთი ნაწილია და მხოლოდ ეს სიკეთე ვერ უზრუნველყოფს ყველა პრობლემის მოგვარებას. რაც შეეხება საქველმოქმედო კონცერტს, ექსკლუზიურად საც ეს მხოლოდ ერთ-ერთი უფლებაა, – ყველაზე დიდი სიხარული კი – ბრჭყვიალა და ფერადი საჩუქრები.

ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების (და, უპირველესად, მედიის წარმომადგენლების, განათლების სისტემაში მომუშავე ადამიანების) დამოკიდებულებების შეცვლა, რაც ამგვარი სატელევიზიო შოუებით, სადაც ადამიანები ქველმოქმედების სუბიექტად გამოჰყავთ, ვერასგზით ვერ მოხდება. ერთადერთი გამოსავალი სოლიდარობაა, რაც თანასწორობას გულისხმობს და ურთიერთობის ჰოტიზონტალური მოდელია. გადაცემა კი სოლიდარობის ვერტიკალურ გაგებას გვთავაზობდა.

გადაცემის დიდი ნაწილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ დღეს საზოგადოებაში არსებულ მითებსა და სტერეოტიპულ მიდგომებს დაეყრდნო და სწორედ მათი ტირაჟირება მოახდინა.

გარეუბნის ეფექტი

ავტორი: ლაშა ქავთარაძე
ფოტო: სერგი ბარისაშვილი

წარმოიდგინეთ დასახლება, სადაც არ არის წიგნების მაღაზია. აღარც ბიბლიოთეკა.

მეზობელ დასახლებაში თეატრი ისევ ფუნქციონირებს, მაგრამ დიდი ხანია მსახიობებს ერთმანეთის გარდა აღარავინ უნახავთ. თეატრის შენობის ნაწილი „მეტალოპლასტმასის ცეხს“ უკავია. კინოთეატრიც იყო, მაგრამ ინდური ფილმების ბუმმა მალე გადაიარა და ახლა აღარც ის ფუნქციონირებს. აქ არ არის კაფე, სამაგიეროდ არის ერთი პატარა „ზაბეგალოვკა“, სადაც იშვიათად თუ შეივლის ვინმე. არის ბევრი სასურსათო მაღაზია, ორი ეკლესია (მართლმადიდებლური), რამდენიმე ჰექტარზე გადაჭიმული, მოშლილ-დანგრეული რადიოქარხანა, რომელზეც ადგილობრივები მეორე მსოფლიო ომისდროინდელ „ლეგენდებს“ ჰყვებიან და ბევრი კლასიკურ-საბჭოური, მოთეთრო-მონაცრისფრო კორპუსი. ეს არც პარიზის მე-13 რაიონია და არც რადიაციაგამოვლილი ჩერნობილის რომელიმე დასახლება. ეს მუხიანია, თბილისის ერთ-ერთი ყველაზე პატარა და ერთფეროვანი უბანი.

როდესაც ოჯახთან ერთად ფასანაურიდან აქ გადმოვედი, მეგონა დედაქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო ადგილას დავსახლდი. აქ ხომ ბევრი კორპუსი იდგა და ჩემს ურბანისტულ მოთხოვნილებებს ეგეც აკმაყოფილებდა. 2000-იანების დასაწყისში მუხიანი გეტოს ჰგავდა, სადაც არ იყო შუქი, წყალი და ადამიანები გაზზე არც კი ოცნებობდნენ. სამაგიეროდ იყო ბევრი კრიმინალი, დანგრეული და ბნელი ქუჩები, ბაყაყებით სავსე ჭაობი, „ბირჟები“, შპრიცები, დაჟანგული ბუნკერები და პირდაპირ ფანჯრიდან გადმოყრილი ნაგავით სავსე ცელოფანის პარკები.

რაიონიდან ჩამოსულს გარემოსთან და ადამიანებთან ადაპტაცია არ გამჭირვებია. აქ იმდენი ჩამოსული დაგხვდებოდათ, საქართველოს რომელი რეგიონიდანაც გინდა ყოფილიყავით, თავს მშობლიურ კუთხეში იგრძნობდით.

სკოლაში მისულსაც არ შემქმნია განსაკუთრებული პრობლემები. ერთადერთი, ვერაფრით მივხვდი, რატომ იყო ცუდი ტონი ბიჭისთვის სწავლა. მთავარი განსხვავება ახალ სკოლაში საბჭოთა პათოსით აღსავსე ღონისძიებების სიმცირე გახლდათ. ვიფიქრე, რომ ამის მიზეზი სკოლის სიდიდე იყო და მსგავსი ღონისძიებების ორგანიზება ჭირდა. მართალიც აღმოვჩნდი, რადგან საბჭოთა პათოსი არსად გამქრალიყო, უბრალოდ ადამიანები გაზარმაცდნენ. აქაც მოდაში იყო კაი ბიჭობასა და ტორტს შორის არჩევანის გაკეთების პრობლემატიკა, საათების განმავლობაში საკუთარ სასქესო ორგანოსთან მოურიდებლად ფერება, „ვზროსლი ძმების“ ფინანსური დახმარების კლასიკური, ძალადობრივი მეთოდები, ასფალტის ფეხბურთი და კრიმინალური ისტორიების ფეტიში. გრძელი თმა და „უცნაური“ ფორმის შარვლის ტარება საკმარისი მიზეზი გახლდათ სექსუალურ ორიენტაციაში ეჭვის შეტანისთვის. მოგვიანებით კი ცალი გადასაკიდის მქონე ჩანთის ტარება აუცილებლად „იეღოვლობასთან“ და „პიდარასტობასთან“ ასოცირდებოდა.

სანამ სკოლაში ვსწავლობდი, მეგონა არსად არაფერი ხდებოდა საინტერესო, ვერ ვხვდებოდი რატომ უნდა გავსულიყავი ჩემი უბნიდან. ჩემ გარშემო

ასე არავინ იქცეოდა- არ დადიოდნენ თეატრში, რადგან ფიქრობდნენ რომ ის, უბრალოდ, ტელევიზორის არქეტიპია. არც მუზეუმში დადიოდნენ. აქ თუ ცხოვრობდი ვერც გამოფენას დაესწრებოდი, ვერც წიგნის პრეზენტაციას, ვერც დისკუსიას, რადგან ამ ყველაფერს მაშინ იგებ, როდესაც ყველაფერი უკვე ჩავლილია.

განათლების მიღება ისევ რაღაც იდუმალებით მოცული პროცესია, რომელსაც არაფერი აქვს საერთო შენს გარემოსთან. თუკი შენ სწავლობ, ყველა ცდილობს დაგაჯეროს, რომ შენ გენიოსი ხარ.

თუმცა, უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ჩემნაირად და ჩემზე უკეთ იმაზე მეტი ბავშვი სწავლობდა ვიდრე, მეგონა. აღმოვაჩინე, რომ 18-19 წლის ახალგაზრდებმა რამდენიმე უცხო ენა მშობლიური ენასავით იციან, იციან რა ხდება საქართველოს ფარგლებს გარეთ, თეატრშიც დადიან ყოველ კვირას, მუზეუმებშიც, კონცერტებზეც, ბიბლიოთეკებშიც, წიგნებსაც ყიდულობენ, ხატავენ კიდეც, ფოტოებსაც იღებენ და წერენ კიდეც. მე კი ხატვაზე უარი ვთქვი, რადგან ერთი წლის განმავლობაში კვირაში სამჯერ მიწევდა დაცინვის ატანა, იმის გამო რომ მე-9 კლასელი ბიჭი საღებავებს, ფუნჯებსა და თაბაშირის ვენერა მილოსელის თავს დავათრევდი. იმის გამხელას კი, რომ მოთხრობებს (ან რამეს) ვწერ, დღემდე ვერ ვახერხებ წესიერად, როგორც წესი, ვერავინ აღგიქვამს სერიოზულად, არავის წარმოუდგენია, რომ შენი ფანტაზია მუხიანის ნაცრისფერ კორპუსებს გასცდება და შესაძლოა, ოდესმე შენც შექმნა რამე ღირებული. უნივერსიტეტში აღმოვაჩინე, რომ ჩემს ასაკში ვიღაც მემარჯვენეა, ვიღაც კი მემარცხენე, ვიღაც იცნობს ისეთ ადამიანებს, რომლებიც მე მხოლოდ ტელევიზორში ან გაზეთში მყავს ნანახი. გავიგე, რომ არსებობს სოციალური ქსელები, ბლოგები, ლიტერატურული საიტები და ჩემი ასაკის ადამიანებს ძმაკაცებთან „ბირჟაობის“ გარდა, სხვა რამეც აინტერესებთ. მეგონა საზღვარგარეთ აღმოვჩნდი, სადაც ადამიანებთან მხოლოდ საერთო ენა მაკავშირებს.

რაღაც აღსარებასავით გამომდის, მაგრამ „მორალი“, ვფიქრობ, რომ ერთობ მარტივი ამოსაკითხია. ვინც არ უნდა მითხრათ, რომ არ აქვს მნიშვნელობა თბილისის შუაგულში იცხოვრებ თუ გარეუბანში, არ დაგიჯერებთ. ჩემი პირადი გამოცდილებით ვიცი, რას აკლდები და რა გაკლდება, როდესაც ცხოვრობ ისეთ ნეკროფილურ უბანში, როგორიცაა მუხიანი. არ ვიცი ეგოიზმის გამოვლინებაა, ადამიანების ზარმაცი ბუნების თუ რამე სხვის, მაგრამ ფაქტია, რომ სოციალ-კულტურული აქტივობები, ამ აქტივობების „დისლოკაციის ადგილები“ და ღირებულების მქონე დაწესებულებები თბილისის „ცენტრშია“ კონცენტრირებული. ჩემსავით ჩვეულებრივ მუხიანელს კი იმის შანსი, რომ სრულფასოვნად განვითარდეს და ჩამოყალიბდეს სოციაბელურ მოქალაქედ, სულ უფრო და უფრო ნაკლები აქვს.

P.S. ჩემი ერთი მეგობარი ვერ გადავაჩვიე – როდესაც ურეკავენ ტელეფონზე და ეკითხებიან სად ხარო, ამ დროს კი თბილისის რომელიმე ცენტრალურ უბანში ვართ ხოლმე, ყოველთვის პასუხობს „ქალაქში ვარ“. ხანდახან მეც მგონია, რომ თბილისში კი არა, სადღაც სხვაგან ვცხოვრობ.

დე, თბილისში გვინდა!
(„ფიქრნი მტკვრის პირას“)

ავტორი: მარიამ სამადაშვილი
ფოტო: სერგი ბარისაშვილი

სანამ სკოლაში შევიდოდი, კეკელიძის №2-ში, უნივერსიტეტის კორპუსში ვცხოვრობდი, ბატონ კოტე ჩოლოყაშვილის მეკვლე ვიყავი, შაბათობებს ვაწყობდი, ღამის თერთმეტ საათამდე სახლში არ ავდიოდი და ცხოვრებით ვხარობდი. მოგვიანებით წყნეთის ქუჩაზე გადავედი, არც იქ მაკლდა გართობა და მეგობრები, სანამ ერთ მშვენიერ დღეს დედამ არ მითხრა, რომ ფინანსური პრობლემების გამო სახლს ვყიდდით. დიდად არ დავმწუხრებულვარ, რადგან მაშინ მეგონა, რომ თბილისი ვერით, ვაკით და სოლოლაკით შემოიფარგლებოდა. ხანგრძლივი ძიების შემდეგ ჩემმა მშობლებმა სასურველი ბინა იპოვეს და მითხრეს, რომ იქ კარგი ჰაერია, სკოლაში სიარული გამიადვილდება და რომ ეზოს მეგობრები ისევ მეყოლება. მეც, რა თქმა უნდა, დავიჯერე, სათამაშოები ჩავალაგე, პარკეტის ერთი ფილა სამახსოვროდ წავიღე (რამდენიმე ხნით ადრე სააბაზანოდან გადმოსულმა წყალმა ბინაში პარკეტი აყარა) და ახალ ბინას მივაშურე. გზა გრძელი იყო და დამღლელი; როცა დანიშნულების პუნქტს მივადექით, მივხვდი, რომ ეს ის თბილისი არ იყო, რომელშიც თერთმეტი წელი ვცხოვრობდი. დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში, მე და ჩემი ოთხი წლის და უშედეგოდ ვღვრიდით ცრემლებს და დედას ვთხოვდით, სახლში წავეყვანეთ. რამდენიმედღიანი გააზრებისა და საბოლოოდ დალაგების შემდეგ კი მივხვდი, რომ ვცხოვრობ ორთაჭალაში, სადაც უდავოდ კარგი ჰაერია, წინ მტკვარი მიედინება, სახლის უკან კი დიდი მდელოები და პატარა გველებია. აქ ყოველთვის არის შუქი, გაზი და წყალი, რადგან ორიოდ ფეხის ნაბიჯზე ქვეყნის პრეზიდენტი, ედუარდ შევარდნაძე ცხოვრობს (2002წ). ეზოში ჩასვლისა და მეგობრების გაჩენის მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, რადგან ჩემი ასაკისა და ინტერესების მქონე ვერავინ ვიპოვე. ასე ვიქეცი სახლში მჯდომ გოგოდ, რომელიც გარეთ მხოლოდ სკოლაში წასასვლელად გადის, ანუ ისეთად, ვისაც ცოტა ხნის წინ თავად დავცინოდი. მას შემდეგ ცხრა წელი გავიდა, მე კი ისევ ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ეს ჩემი სახლი არ არის, თუმცა უბანი გაცილებით უკეთ გავიცანი, გარემოც შევისწავლე და ახლა ვეცდები, ის თქვენც გაგაცნოთ.

ჩემთან დილა ასე იწყება:

– ბაბო გოზااااალ, ბაბო გოზااااალ! – მეხუთე სართულზე თავის ბაბოს ეძახის პატარა იეზიდი გოგო, რომელსაც ქართული სახელი – თამარი ჰქვია. ბაბოც გადმოხედავს და ჩემთვის გაუგებარ ენაზე, სავარაუდოდ, თბილ სიტყვებს გადმოსძახებს, რადგან ბავშვს სახე უნათდება და ეზოს ბოლოსკენ თავქუდმოგლეჯილი გარბის. ჩემს ეზოში ცხოვრობენ: სომხები, იეზიდები, ქურთები, რუსები და ქართველები, რაც უბანს განსაკუთრებულ ხიბლს სძენს. თუ თამუნა სკოლაშია და ეზოში სარბენად არ სცალია, დილით ჩემი მეზობელი ძმების – შალიკოს და ვალიკოს (ვერასდროს ვარჩევ, კონკრეტულ შემთხვევაში, რომელი მათგანია) გინება მაღვიძებს, ისინი მონდომებით ლანძღავენ ჩემთვის გამოუცნობ ადამიანს რომელიღაც ზედა სართულზე. მცირე ხნის შემდეგ ჩემი თანასადარბაზოელი დეიდა გულჩორა ეზოს დალაგებას იწყებს, უზარმაზარი ცოცხით და ჭაობისფერი სანაგვე ურნით შეიარაღებული ღიღინ-ღიღინით შემოუვლის კორპუსს, მისი მეშვეობით ჩემი ეზო ყველაზე მოვლილი და სუფთაა მთელ ორთაჭალაში. დღის მანძილზე ეზოში ბავშვები დარბიან, კაცები ქეიფობენ ან დომინოს თამაშობენ, ხოლო უბნის ძაღლები – „ძროხა“, „მგელა“, „უკვდავა“ და რამდენიმე კატა დინჯად სეირნობენ. საღამოს იწყება მრავალმხრივი მსვლელობა კორპუსის პირველ სართულზე მდებარე ორად-ორი მაღაზიისკენ, რომლებშიც საქონელი ქალაქის ცენტრთან შედარებით დაბალი ხარისხისაა და როგორც წესი, 50 თეთრით ძვირი ღირს, გარკვეული პროდუქტის შეძენა კი უბრალოდ შეუძლებელია, თუმცა ჩვენს მაღაზიას ერთი არაჩვეულებრივი თვისება

აქვს, რომლის გამოც მთელი ჩემი სამეზობლო გასაოცარ პატრიოტიზმს იჩენს და ქალაქის სხვა სავაჭრო ობიექტებში არაფრის დიდებით არ შედის. ჩემი უბნის მაღაზია პროდუქტს ნისიად იძლევა, ვიდრე სინდისი არ შეგაწუხებს და დანარჩენი სამყაროსადმი თავს დამნაშავედ არ იგრძნობ. ამ „დიდსულოვანი“ მაღაზიის წყალობით აღწევენ ჩემი ეზოს ბავშვები (მათ შორის, მეც) სრულწლოვანებას ისე, რომ ერთი წამით არ ეპარებათ ეჭვი – მათი ოჯახი ყველაზე მდიდარი და ბედნიერია, ცხოვრება კი – მარტივი და ნათელი. რა თქმა უნდა, კარგია, როცა ასე ფიქრობ, მაგრამ ჭამის გარდა, განვითარებისთვის სხვა რამეცაა საჭირო. მაგალითად სწავლა, ანუ სკოლაში ან უნივერსიტეტში სიარული, ეს ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხია. სულ ცოტა ხნის წინ, ვიდრე სატრანსპორტო ცვლილება განხორციელდებოდა, დილით სკოლაში წასვლა ან შეუძლებელი იყო, ან ათი წლის სამყოფი ნერვების ფასად ჯდებოდა. როგორც წესი, ავტობუსებში ადგილები არ იყო, რადგან მას ფონიჭალის მგზავრები ავსებდნენ. სამარშრუტო ტაქსებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო, თექვსმეტ ადამიანზე გათვლილი „მარშრუტკა“ პირველივე გაჩერებაზე ივსებოდა და დედაქალაქის ცენტრამდე გაუჩერებლად მიდიოდა. თუ ძალიან გაგიმართლებდა და ავტობუსში მოხვედრას შეძლებდი, მინიმუმ, სასუნთქი გზების გადაკეტვა, მაქსიმუმ კი, დისკოზი გქონდა გარანტირებული. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში. ცოტა ხნის წინ ჩვენმა ყვითელმა „ბოგდანებმა“ მარშრუტი შეიცვალეს და მხოლოდ კოლმეურნეობის მოედნამდე მოძრაობენ, შედეგად ისინი გაცილებით თავისუფალია, თუმცა დილა ისევ კრიტიკულ პერიოდად რჩება, ქალაქში გამოსვლა ორჯერ ძვირი ჯდება, სამგზავრო დრო გაორმაგდა, ხოლო საღამოობით ჩამომდგარი ავტობუსის ცდისას, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ქალაქგარეთ ან სოფელში მივდივარ, ავტობუსი კი კონჭკათში მიმავალ „პაზიკს“ მაგონებს, რომელსაც ოზურგეთის სადგურზე, ზუსტად სამ საათზე თუ არ მიუსწრებ, მეორე დილამდე მოგიწევს სადგურში ჯდომა. საღამოს ცხრა საათის შემდეგ ჩემი სახლისკენ ავტობუსები აღარ მიდიან!

ჩემს უბანში ახალი ქსელებია დამონტაჟებული, სულერთია, მეზობელ ავლაბარში რეკავ თუ ზიმბაბვეში, საუბარი ფასიანია. თუკი კარგი ტელეარხების ყურება გინდა, სატელიტური თეფში უნდა დააყენო. მადლობა ღმერთს, ინტერნეტი მოსახლეობის დიდ ნაწილს აქვს და მისი მეშვეობით ეკონტაქტება დანარჩენ სამყაროს. ახლომახლო არ არის ბიბლიოთეკა, ინტერნეტკაფე (მათთვის, ვისაც არ გაუმართლა და ვისთანაც ცივილიზაციას ჯერ არ შეუღწევია), ბანკომატი. სამაგიეროდ გვაქვს სახელმწიფო დაფინანსებით გაკეთებული საფეხბურთო მოედანი, წინასაარჩევნოდ დადგმული რკინის მაგიდა და სკამები და ტრასაზე გადაჭიმული ხიდი, რომელსაც იმდენი საფეხური აქვს, რომ მასზე ასვლას ყველა ფეხით გადასვლას ამჯობინებს.

ჩემი უბანი ოდესღაც ქალაქის გეოგრაფიულ ცენტრთან ახლოს მდებარეობდა.

ჩემს უბანში თავისებურად, მოდურად აცვიათ, რადგან მოსახლეობის გარკვეული ნაწილი თურქეთში ვაჭრობს და ოჯახის წევრებს ახალ-ახალი სამოსით ამარაგებს, ქალები ყოველდღიურად ინონებენ თავს ნაირ-ნაირი ტყავის პალტოებითა და ფუმფულა ქუდებით.

ჩემს უბანში დამწვარი მზესუმზირა იყიდება.

ჩემი უბანი ჭირივით ეჯავრებათ ტაქსისტებს. მათ თავიდანვე ვაფრთხილებ, რომ ორთაჭალაში მივდივართ, დანიშნულების ადგილზე მისულები კი მეუბნებიან, რომ ეს ქალაქის ბოლოა და ორი-სამი ლარით მეტს მთხოვენ. მე კი მგონია, რომ ისინი ცდებიან, მაგრამ ალბათ მაინც მეტი გულწრფელობა მმართებს და ტაქსისტები ისე უნდა გავაფრთხილო, როგორც მამამ შეარქვა ჩემს უბანს – „იქ, სადაც „კეთილი მგზავრობა“ აწერია!”.

ფოტო: სერგი ბარისაშვილი

რეალისტი უტოპიური ოცნებებით

ავტორი: ნინო ბექიშვილი
ფოტო: სერგი ბარისაშვილი
ლევან ხერხეულიძე

ფოტო: სერგი ბარისაშვილი

თითქმის ანეკდოტური ამბავია – ჯერ კიდევ მაშინ „ხალხი ბნელი რომ იყო“ და საზღვრები ჩაკეტილი, ანუ სკოლას რომ ვამთავრებდი, ჩემი ერთი მეგობარი ჰოლანდიაში წავიდა. რომ დაბრუნდა, გოგოები დავირაზმეთ და სახლში მივაკითხეთ – უცხოეთის ამბები ძალიან გვაინტერესებდა. ბევრი რამ გვითხრა – რომ ჰოლანდია საოცარი ქვეყანაა, რომ იქ გადასარევი ყვავილები იზრდება, რომ მაღაზიები სავსეა, მაგრამ ერთი უბედურება სჭირთ – ბევრი „დებილი“ ჰყავთო... დავიზაფრეთ და მიზეზი ვიკითხეთ, ეგრევე გვიპასუხა, – ჰოლანდიაში ბევრი „პლანი“ იზრდება, რომელსაც ძროხებიც ძოვენ, მერე ამ „დაბოლილ“ რძეს ადამიანები სვამენ და ავადმყოფი ბავშვები უჩნდებათო. ცხადია, დავიჯერეთ.

თხუთმეტი წლის შემდეგ გამახსენდა ეს ამბავი და მხოლოდ მაშინ მივხვდი „დაბოლილი რძის“ ნამდვილ არსს: ჩემი მეგობარი ჩაკეტილი ქვეყნიდან, სადაც ინვალიდები არ ჰყავდათ და სადაც ყველა ერთნაირად ჯანმრთელი და ლამაზი იყო, ღია საზოგადოებაში ჩავიდა. ბუნებრივია, საბჭოთა ერთფეროვნების მერე თვალში მოხვდა განსხვავებული ადამიანები, „მოსაწევის“ თავისუფალი მოხმარებითაც შოკირებული იყო და მაშინვე ააგო „ლოგიკური ჯაჭვი“ – სასწრაფოდ შეთხზა მითი და გაგვიზიარა...

ნინო ცინცაძის შესახებ, სავარაუდოდ, ბევრი არაფერი გაგიგიათ – საჯაროდ იშვიათად ჩნდება და არც ტელევიზიით გამოდის ხოლმე. არა, გამორჩეულად თავმდაბალი ნამდვილად არაა და არც არსად იმალება, უბრალოდ, დრო აღარ რჩება. მისი საქმეები სულ ნაირ-ნაირია: მუშაობს სახალხო დამცველის ოფისში ტოლერანტობის ცენტრში, არის ჟურნალ „სოლიდარობის“ რედაქტორი, დააარსა ორი არასამთავრობო ორგანიზაცია – „დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების მშობელთა და პროფესიონალთა კავშირი“ და „საქართველოს პორტიჯის ასოციაცია“, მუშაობს საბავშვო ბაღების მართვის გაიდლაინებსა და ახალ კურიკულუმზე, რომელიც ახლა იქმნება, თან სულ რაღაცას თარგმნის და გამოსცემს. ჰყავს მეუღლე – გიგი თევზაძე და კიდევ სამი თევზაძე – 14 წლის ანდრო, 8 წლის ნიკა და 6 წლის აკლი. წუხს, რომ ბავშვებისთვის ცოტა დრო რჩება, მაგრამ თან ფიქრობს, რომ ყველაფერი, რასაც ის და გიგი აკეთებენ, იმ საზოგადოების გაუმჯობესებისაკენ გადადგმული, თუნდაც მცირე ნაბიჯებია, სადაც ჩვენი შვილები უნდა გაიზარდონ. ანდრო და ნიკა ძალიან მაგარი ბიჭები არიან, მაგრამ როგორც ყველა მაგარი ბიჭი, დედას ხან ახარებენ, ხანაც – აბრაზებენ. აკლი – ნაბოლარაა და ტკბილი. ძაღლიც ჰყავთ, ულამაზესი მალამუტი ძუ – ულვა. ნინო სულ გადარბენაზეა და სულ არ სცალია.

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

იზრდებოდა ვერაზე, მაყაშვილის ქუჩაზე, მისი დიდი ბაბუის მიერ გასული საუკუნის 20-იან წლებში ნაყიდ სახლში. ბავშვობიდან იცოდა, რომ ცხოვრობს საბჭოთა კავშირში და ეს ცუდია. დიდი ბაბუა, რომელსაც ერთადერთი შვილი 1937 წელს დაუხვრიტეს, სიცოცხლის ბოლომდე ყოველდღე ასრულებდა ერთსა და იმავე რიტუალს – ყოველ დილას ფოსტალიონის მოტანილ „პრავდას“ და „კომუნისტს“ ზედ აფურთხებდა ხოლმე; ბაბუა ძილის წინ აკრძალული თეატრალური დადგმების შინაარს უყვებოდა, თან აფრთხილებდა, არავის უთხრაო; 6 წლისა, 1978 წლის 14 აპრილს მთელი დღე ტელევიზორთან იჯდა და შევარდნაძის გამოსვლას უყურებდა, ღამით კი მამამ „ამერიკის ხმა“ დაიჭირა, რომელსაც ახშობდნენ, მაგრამ მაინც გარკვევით ისმოდა ჯადოსნური „შენ ხარ ვენახი“. მამამისი, დისიდენტი ზურაბ ცინცაძე 1983 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის ამბებთან დაკავშირებით დააპატიმრეს და თითქმის სამი წლით ჩასვეს. „სანამ მამაჩემი ციხეში იჯდა, სულ მოდიოდნენ ნათესავები თუ მეგობრები და იმ დროისთვის კეთილგონივრულ რჩევას აძლევდნენ დედას და ბებიას – უნდა მოინანიოს და გამოუშვებენო. 75 წლის ბებიაჩემი კი, რომელსაც ერთადერთ შვილზე ამოსდიოდა მზე და მთვარე, ჯიუტად იმეორებდა – არავითარ შემთხვევაში, რა აქვს მოსანანიებელიო“. საბჭოურის მიუღებლობა და თავისუფლება, როგორც უძვირფასესი ღირებულება, მის ცხოვრებას ბავშვობიდანვე განსაზღვრავს. ამიტომ დღესაც ძალიან ღიზიანდება ხოლმე, როდესაც საზოგადოებაში დროდადრო საბჭოთა ნოსტალგიას ხედავს.

ბავშვობიდან კიდევ ერთ უჩვეულო და სახალისო საღამოს იხსენებს: გაზაფხულის პირი იყო, უკვე ბნელდებოდა, როცა ნინოს მეგობარმა მიაკითხა და უთხრა, – მაგარი ამბავი მოხდა, ფილიპე მახარაძის საფლავი ააფეთქეს მთაწმინდაზეო. ის დრო იყო, როცა ტელევიზორში ხშირად უჩვენებდნენ თენგიზ აბულაძის „მონანიებას“, მიტინგებიც იმართებოდა, მაგრამ თბილისში ჯერ კიდევ არსებობდა ლენინის მოედანი ლენინისავე ძეგლით და ერთ-ერთი პირველი კომუნისტის საფლავის აფეთქება ნამდვილად წარმოუდგენელი რამ იყო. ნინომ და მისმა მეგობარმა უცებ გადაწყვიტეს, ინფორმაცია გადაემოწმებინათ, რა უნდოდა მაყაშვილიდან პანთეონში ასვლას?! არც არაფერი. ტრამვაიში ჩასხდნენ, მაგრამ ტრამვაი მამადავითზე არ გაჩერდა. რა უნდა ექნათ? გადახტნენ და პანთეონისკენ ბილიკებით დაეშვნენ. იქვე ბილიკზე ოთხი ბიჭი დაინახეს, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევიათ, სწრაფად ჩაურბინეს. პანთეონს რომ მიადგნენ, ჭიშკარი დაკეტილი დახვდათ, უკვე

„მივხვდი, აუცილებლად რაღაც უნდა გამეკეთებინა იმის წინააღმდეგ, რაც სამშობიარო სახლებში ხდებოდა. ის, რაც ამ წიგნებიდან გავიგე, სხვებსაც უნდა სცოდნოდათ“.

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

ფოტო: ნინო ცინცაძის პირადი არქივიდან

ფოტო: სერგი ბარისაშვილი

ფოტო: სერგი ბარისაშვილი

კარგად ბნელოდა. არც დაფიქრებულან ისე აძვრნენ ღობეზე და პანთეონის ეზოში ჩახტნენ: „მიწაზე დავეშვით თუ არა, პროჟექტორები მაშინვე აინთო. გამოვიდა პოლიციელი, მოგვიშვირა პისტოლეტი და გვიყვირა – სდექ! თავად პოლიციელიც ძალიან დამფრთხალი ჩანდა: ღამეა, მარტოა, სასაფლაოზეა და უცებ ვიღაცები ღობიდან ხტებიან. გვიბრძანა, ახლავე წარმოადგინეთ პასპორტებიო, – 15 წლის ბავშვებს, აბა, რა პასპორტები უნდა გვქონოდა. და უცებ გვესმის, ჩვენ მოგცემთ პასპორტებსო! შემოვტრიალდით და ის ოთხი ბიჭი დავინახეთ. ექვსივენი დაგვაპატიმრეს, გამოიძახეს მანქანა, ჩაგვსვეს „კანარეიკაში“ და ძნელაძეზე, პოლიციის განყოფილებაში წაგვიყვანეს. ეს ბიჭები უნივერსიტეტის სტუდენტები ყოფილან, ფიზიკოსები. ჩვენსავით წამოვიდნენ, დასათვალიერებლად, მაგრამ პანთეონი დაკეტილი რომ დახვდათ, ჭკუა ეყოთ, რომ არ ჩამხტარიყვნენ. გვითხრეს – ისე გიჟებივით ჩაგვიქროლეთ, მივხვდით, გამჩერებლები არ იყავით და უკან გამოგყევითო. პოლიციის განყოფილებაში, რა თქმა უნდა, მშობლებს დაურეკეს. მამა რამდენიმე წლის გამოსული იყო ციხიდან და დედაჩემს ჯერ კიდევ ეშინოდა, რაიმე შარში არ გაეხვიოსო. ამ დროს ურეკავენ და ეუბნებიან, თქვენი ქალიშვილი დავაკავეთ ფილიპე მახარაძის საფლავთან და პოლიციაში გამოცხადდითო... მოგვაკითხეს მშობლებმა, დაგვაწერინეს დაახლოებით ასეთი შინაარსის ხელწერილი – „ვისი საფლავიც არ უნდა ააფეთქონ, ჩვენ არასდროს გავბედავთ მიახლოებას“. ორ საათში გამოგვიშვეს, ჩვენ გამო დაჭერილი ფიზიკოსები კი დილამდე აყურყუტეს“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის ფაკულტეტზე 1989 წელს ჩააბარა. შესაბამისად, მისმა სტუდენტობამ მიტინგებისა და ომის ეპოქაში გაიარა. კლასიკურ ენებს ნამდვილად ვერ ისწავლიდი, თუ ძალიან ბევრს არ იმეცადინებდი და ნინოც კარგად სწავლობდა. სტრესთან გამკლავების საკუთარი მეთოდიც კი მოიგონა. თბილისის ომის დროს მაყაშვილზე თითქმის განუწყვეტლად ისმოდა სროლის ხმა. ღიმილით იხსენებს, როგორ აყოლებდა ავტომატების ჯერს ბერძნული კანკლედობების დაუსრულებელ რიგს. თვლის, რომ მიუხედავად ომისა, გაჭირვებისა და მიტინგებისა, ყველაფერი კარგი, რაც სტუდენტობის წლებს თან ახლავს, მაინც გაიარა. ფილოლოგიის ფაკულტეტი რომ დაამთავრა, სამუშაოდ უნივერსიტეტში დარჩა და დისერტაციის წერაც დაიწყო. გერმანიაში დისერტაციაზე სამუშაოდ რომ წავიდა, მაშინ ანდრო 2 წლისა იყო. იკვლევდა დროს და სივრცეს – მისთვის დღემდე ერთ-ერთ უძვირფასეს ტექსტში – ჰომეროსის „ოდისეაში“. გერმანიაში გატარებულმა ერთმა წელმა მნიშვნელოვნად შეცვალა მისი ცხოვრების სტილი. სწორედ იქ გაუჩნდა სურვილი, ბევრად უფრო აქტიური ადამიანი ყოფილიყო, რაღაც უფრო ცოცხალი საქმე ეკეთებინა, ვიდრე თუნდაც საყვარელი ანტიკურობის კვლევაა: „ბუნებრივია, ასე პირდაპირ და რეცეპტივით არ დაწერილა ეს ყველაფერი, მაგრამ იქიდან რომ დავბრუნდი, მომინდა, კიდევ რაღაც მეკეთებინა. გერმანიაში იქაური ევანგელისტური ეკლესიის ერთწლიანი სტიპენდიით წავედი, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნების სტუდენტებს თეოლოგიის და მომიჯნავე საგნების შესასწავლად აძლევდნენ. ვიჯექი ბიბლიოთეკაში და

ვკითხულობდი იმ წიგნებს, რომლებიც ჩემი დისერტაციისთვის მჭირდებოდა, ეს მართლა ძალიან სასიამოვნო პროცესი იყო. მაგრამ გერმანიაში ცხოვრებამ წიგნების კარგად დამუშავების გარდა, რაც მეტ-ნაკლებად მანამდეც ვიცოდი, სხვა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი რამ მასწავლა – დამოუკიდებელი და საქმიანი ცხოვრების გემო“.

რახან გერმანიის ევანგელისტური ეკლესიის სტიპენდიით იყო წასული, ევალებოდა წელიწადში ორჯერ მათ შეკრებებს დასწრებოდა, სადაც სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლებისთვის სემინარები და დებატები იმართებოდა. ექსკურსიებზეც დადიოდნენ, სადაც იმ სოციალურ პროექტებს აცნობდნენ, რომლებსაც გერმანიის ევანგელისტური ეკლესია ახორციელებდა. ასე მოხვდა გერმანიის ერთი პატარა ქალაქის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დღის სარეაბილიტაციო ცენტრში. „იქ მივხვდი, რამდენად ღირებული შეიძლება იყოს ეკლესიის აქტიური სოციალური საქმიანობა ქვეყნისთვის და იმ ადამიანებისთვის, ვისაც ეს დახმარება სჭირდება. ამ პატარა ცენტრის მაგალითზე ნათლად დავინახე, როგორ შეიძლება სიკეთის კეთების რელიგიური მოტივი საქმის ღრმა ცოდნასთან და პროფესიონალიზმთან გაერთიანდეს, როგორც შინაარსობრივ, ასევე – მართვისა და დაგეგმვის სიბრტყეზე. როცა ანდროსთვის ბაღს ვეძებდი, ვნახე როგორ მუშაობენ ბაღები; როცა ექიმი დამჭირდა, ვნახე როგორ ურთიერთობენ იქაური ექიმები პაციენტებთან, განსაკუთრებით ბავშვებთან. მაშინ სულ ვეკითხებოდი საკუთარ თავს, როდის და როგორ შეიძლება ჩემს ქვეყანაშიც ჩამოყალიბდეს ამგვარი ურთიერთობები ადამიანებსა და ინსტიტუტებს შორის-მეთქი“...

საქართველოში ახალდაბრუნებულმა შემთხვევით გაიგო, რომ ახალი გაზეთი – „24 საათი“ იხსენებოდა. მივიდა მამუკა ფაჩუაშვილთან და პირდაპირ უთხრა, რადგან ჟურნალისტად მუშაობის გამოცდილება არა მაქვს, თანახმა ვარ, თუნდაც კურიერად ვიმუშავებო. ასე დაიწყო ჟურნალისტობა.

>>> გაგრძელება გვ. 98

ფოტო: სერგი ბარისაშვილი

ინტერვიუ მაირბეკთან

ავტორი: ქეთი ქანთარია

ვაჩაგაევი – ჩეჩენი ისტორიკოსი, ფონდის Jamestown ექსპერტი კავკასიის საკითხებში, პარიზის მეცნიერებათა უმაღლესი სკოლის კავკასიური სემინარების ხელმძღვანელი, სორბონის დოქტორანტი.

თქვენ ჩრდილოეთ კავკასიის ისტორიის, ჩრდილო-კავკასიური სუფიზმის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე ხართ. რით განსხვავდება იქაური სუფიზმი, ვთქვათ, შუა საუკუნეების სპარსული და თურქული სუფიზმისგან? რას წარმოადგენს თანამედროვე სუფიზმი?

ჩრდილო კავკასიური სუფიზმი უფრო ანთროპოლოგიური მოვლენაა, ვიდრე ფილოსოფიური. სხვაობა სულიერების ხარისხშია. საბჭოეთის მუსლიმობა რეგიონულ ზღვრებში იყო მოქცეული, არ ჰქონდა დანარჩენ სუფიურ სამყაროსთან ურთიერთობის საშუალება. ჩრდილოკავკასიური სუფიზმი უფრო გახალხურებული ვერსიაა. სპარსეთში და ოსმალეთში სუფიზმი ყოველთვის ელიტის და ინტელიგენციის პრივილეგია იყო.

მართალია, რომ დასავლეთი ისლამურ სამყაროსთან საერთო ენის პოვნას სუფიზმის მეშვეობით ცდილობს? ისიც კი წამიკითხავს, რომ პრინც ჩარლზს და სამეფო ოჯახთან დაახლოებულ პირებს მურშიდები, ანუ სუფისტი მოძღვრები ჰყავთ.

დასავლეთში, არაისლამური კულტურის ადამიანებისთვის სუფიზმი, უპირველეს ყოვლისა, ფილოსოფიაა, სულიერი ცოდნის საუნჯე. ასეთი გატაცებები ისე არ უნდა აღვიქვათ, თითქოს ესა თუ ის ცნობილი ევროპელი სუფისტობას აპირებს. ამისთვის ჯერ მუსლიმი უნდა გახდეს. ეს კი ევროპელისთვის საკმაოდ მტკივნეული პროცედურაა.

ჩრდილოეთ კავკასიაში დღეს სუფიზმს ვაჰაბიზმის იდეოლოგია ებრძვის. როგორ მოვიდა ვაჰაბიზმი კავკასიაში?

საბჭოეთის დაშლას მის ყოფილ ტერიტორიაზე ისლამის მომძლავრება მოჰყვა. იყო მეჩეთების მშენებლობის ბუმი, ისლამური სასწავლებლების მასობრივი გახსნა... ყველაფერი, რაც 90-იანი წლების მიწურულის ისლამურ რენესანსად ითვლება. ახლო აღმოსავლეთიდან და თურქეთიდან მუსლიმმა მისიონერებმა იწყეს შემოდინება, რომლებიც რუსეთის მუსლიმურ რეგიონებში პოლიტიკური მოვლენების გაკონტროლებას ცდილობდნენ. ხელისუფლება ისლამის ასე მომძლავრებით შეშფოთდა და პრევენციული დარტყმების მიყენება დაიწყო. თუმცა, ისლამური აღორძინების პარტიის სახით, რეგიონში 1988 წლიდან უკვე მოქმედებდა ჯგუფი, რომელმაც შემდეგ ამ მოძრაობას (სალაფიზმს) კარგი საფუძველი შეუქმნა (მოვლად უდუღოვი, ისა უმაროვი, სუფიან აბდულაევი და სხვები). თავიდან ესენი მარტოდ მოქმედი ერთეულები იყვნენ, რომლებმაც თავიანთი იდეების გავრცელებაში ვერანაირ პროგრესს ვერ მიაღწიეს. მაგრამ პირველმა ჩეჩნურმა კამპანიამ ყველაფერი შეცვალა. რესპუბლიკაში ახლო აღმოსავლეთიდან გარკვეულმა პირებმა იწყეს შემოსვლა,

მათ შორის იყვნენ იქაური დიასპორების ეთნიკური ჩეჩნებიც, მაგ. შეიხი ფატჰი, ემირი ჰატაბი (საუდის არაბეთის მკვიდრი). სწორედ ამათი მოღვაწეობა, უფრო კი ფინანსური შესაძლებლობები უწყობდა ხელს გასამხედროებული ქვეგანაყოფების (ჯამაათების) შექმნას რესპუბლიკაში. სწორედ ეს ფორმირებები გამოვიდნენ პრეზიდენტ ასლან მასხადოვის წინააღმდეგ, 1999 წლის აგვისტოში ესენი შევიდნენ დაღესტანში, რამაც პუტინს ჩეჩნეთში ჯარის შემოყვანის საბაბი მისცა. მათი როლი, ჩემი გაგებით, ხაზგასმით უარყოფითი იყო.

დღევანდელი კავკასიური წინააღმდეგობა რამდენადაა ვაჰაბიზმთან კავშირში?

წინააღმდეგობა ვაჰაბიზმთან სწორედაც რომ პირდაპირ არის დაკავშირებული. იმარატის გამოცხადების დღიდან (2007 წლის სექტემბერი) მისი მომხრეები ცდილობენ, დაიმორჩილონ ყველა, ვისთვისაც სალაფიზმის იდეები მიუღებელია. დოკუ უმაროვი მუქარითა და სასიკვდილო განაჩენების გამოტანით ცდილობდა, იჩქერიის იდეა სალაფიტების ოცნებით – იმარატით შეეცვალა. თუმცა, იმარატის მომხრეების ბანაკიც არაა ერთგვაროვანი, აქ იყვნენ ქარიზმიანი ლიდერებიც, როგორც, მაგალითად, საიდ ბურიატიელი.

ბევრი თვლის, რომ კავკასიის იმარატი რუსეთის სპეცსამსახურების პროექტია. რამდენადაც მახსოვს, თქვენ სხვა აზრის ხართ. განსხვავებული შეხედულებებია ბასაევის, ისევ – უმაროვის მსგავსი ფიგურების თაობაზეც.

ყველა მოვლენის ეფესბე-ს პროექტების პრიზმაში ახსნას არ ვემხრობი. ვინც ამას აკეთებს, ან უმეცრებით მოსდის, ან საზოგადოებაში მცდარი აზრის დამკვიდრებას შეგნებულად ცდილობს. არა მგონია, წინააღმდეგობის მეთაურთა მაღალ ეშელონებში მათ ისეთი ადამიანები იპოვონ, ვინც აგენტობას დათანხმდება. იმავეს ვიტყვი დოკუ უმაროვის ეფესბე-ს აგენტად გასაღების მცდელობებზე.

სულ სხვა საქმეა, რომ უმაროვის განცხადებები, როგორც წესი, ჩეჩნების ინტერესების საწინააღმდეგოდ მუშაობს.

როგორც კი რუსეთის ფედერაციაში რამე ტერაქტი მოხდება, უკვე მოელიან, რომ უმაროვის განცხადებაც არ დააყოვნებს. ბევრი მას კრემლის უნებლიე, ხანაც შეგნებულ მოკავშირედ თვლის. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

ჩემთვის ეს ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ანალიზის ობიექტია. არანაირი სიმპათია, მხოლოდ ანალიზი. როგორც შეიარაღებული წინააღმდეგობის ძალების ლიდერმა, თავისი ქმედითუნარიანობა უნდა დაამტკიცოს. ჰოდა, საკუთარ თავზე იღებს ყველაფერს, რაც ფეთქდება – მისი მონაწილეობით, ან უმისოდ. კიდევ ერთხელ – მუშაობს თუ არა ეს ჩეჩნების წინააღმდეგ? დიახ, უეჭველად. მაგრამ უმაროვი ყველა ჩეჩნის პრეზიდენტი არაა, მხოლოდ იმათ წარმოადგენს, ვინც მასთან ერთადაა ტყეში გახიზნული.

ისლამური სამყაროსა და დასავლეთის დაპირისპირების ძირები როგორია?

ეს გლობალური საკითხია. არა იმდენად დასავლურ, ქრისტიანულ ცივილიზაციასთან დაპირისპირება იყო ამის მიზეზი, რამდენადაც ისლამური სამყაროს ხელიდან გაშვებული შესაძლებლობები. წარსულის დიდება თანამედროვე კულტურის მონაპოვრებმა დაჩრდილა. ამან დაკარგული დროის შეგრძნება გააჩინა. და პირიქით, ახალმა მსოფლიო წესრიგმა, რომელმაც კონკურენციის შესაძლებლობა დაინახა, ისლამური სამყაროს დასუსტება განიზრახა. თვით ისლამური რადიკალიზმი, როგორც მოვლენა, არსით თავდაცვითი იყო.

შარიათული სახელმწიფოს მომხრეე-

„წარსულის დიდება თანამედროვე კულტურის მონაპოვრებმა დაჩრდილა. ამან დაკარგული დროის შეგრძნება გააჩინა. და პირიქით, ახალმა მსოფლიო წესრიგმა, რომელმაც კონკურენციის შესაძლებლობა დაინახა, ისლამური სამყაროს დასუსტება განიზრახა. თვით ისლამური რადიკალიზმი, როგორც მოვლენა, არსით თავდასვითი იყო.“ მაირბეკი

ბი მხოლოდ იმარატის მომხრეები არიან? იჩქერიის ჩეჩნურ რესპუბლიკაშიც ხომ იყო შარიათის სამართლის დამკვიდრების მცდელობები? მეორე მხრივ, ევროპის ზოგ სახელმწიფოში ამ სამართალისათვის თითქოს გარკვეულწილად ლეგიტიმურობის მინიჭებას ცდილობდნენ.

ეს ძალიან ფართო საკითხია. ხიფათისშემცველი ან დასაძრახი აქ არაფერია. მაგალითად, რუსეთის ზოგი მოლა და ყადი მემკვიდრეობის განაწილებასთან ან განქორწინებასთან დაკავშირებულ პროცედურებში შარიათის ნორმებით ხელმძღვანელობას ემხრობა და შესაბამისი წინადადებით გამოდის. უნდა გითხრათ, რომ ქონების გაყოფა მუსლიმ ხალხებში საბჭოთა მმართველობის დროსაც კი შარიათის ნორმებით ხდებოდა. კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა შარიათი რუსეთში, პირდაპირ გიპასუხებთ, – დიახ, შესაძლებელია. სხვა საქმეა, რომ ზოგადად, საზოგადოებაში, შარიათი სისხლის სამართლის ნაწილად მიიჩნევა, სინამდვილეში, ეს უფრო მუსლიმის ყოველდღიური ცხოვრების რეგულაციაა. მოსკოვის კარნეგის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ალექსეი მალაშჩენკო თვლის, რომ შარიათი მოქმედ რუსულ კანონმდებლობასთან თავსებადია, მეტიც – ისიც ადასტურებს, რომ შარიათი ისედაც მოქმედებს, მხოლოდ მისი ლეგალიზებაა საჭირო, ვთქვათ, რუსული კანონმდებლობის დამატებად ქცევა ისეთ რეგიონებში, სადაც უმეტესად მუსლიმები ცხოვრობენ. 2010 წელს რამზან კადიროვმა ფრანგულ ,,ფიგაროსთან” საუბარში თქვა, რომ მისთვის ჩეჩნეთში შარიათი უფრო მაღლა დგას, ვიდრე რუსეთის ფედერაციის კანონები. როგორც ჩანს, დაძაბულობის მოსახსნელად რუსეთის ხელისუფლებას მოუწევს შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა.

თქვენ ჩეჩნეთის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენების, დამოუკიდებლობის პირველი წლების მოწმე და მონაწილე ხართ.

ამ მნიშვნელოვან ამბებს მნიშვნელოვანწილად ავცდი, იმ პერიოდში სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში სტაჟირებაზე გამზავნეს, თავიდან მომიშორეს. 1989 წელს მე და ჩემმა მეგობრებმა ჩეჩნეთ-ინგუშეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია დავაარსეთ, ჩვენი ჩანაფიქრით, სკკპ-ს საპირწონედ. დღევანდელი გადასახედიდან ეს მიამიტობად ჩანს, მაშინ კი თავები „მიწისქვეშელებად“ მიგვაჩნდა და ძალიან ამაყები ვიყავით, მაგრამ სუკ-თან პრობლემები შემექმნა, თანამშრომლობას მთხოვდნენ და უარის მერე გადაწყვიტეს ჩემი მოშორება და სტაჟირებაზე გაგზავნა. 1995 წელს კი, პირველი კამპანიის დროს ჩეჩნეთში დავბრუნდი და მაშინ ასლან მასხადოვთან შემახვედრეს. როცა გაიგო, რომ მოსკოვში, დოქტორანტურაში სასწავლად ვაპირებდი დაბრუნებას, დარჩენა და იდეოლოგიის სფეროში დახმარება მთხოვა. ამაზე დავთანხმდი, თუმცა, გავაფრთხილე, თავიდან რომ დავიბადო, ჩემგან მეომარი მაინც არ დადგება-მეთქი. გაეცინა, და მითხრა, მეომრების ნაკლებობას არ ვუჩივით, რუსეთის მხარესთან წიგნიერი იდეოლოგიური ბრძოლისთვის გვაკლია ხალხიო. ასე გავხდი ჩეჩნეთის გენშტაბის საინფორმაციო განყოფილების თავი. 1998 წელს პრეზიდენტის პირველ მრჩევლად დავინიშნე, 1999-ში კი ჩრი-ს გენერალურ წარმომადგენლად რუსეთის ფედერაციაში. მეორე ჩეჩნური კამპანიის პერიოდი იყო, მოსკოვში საცხოვრებელი სახლები ააფეთქეს და ქალაქშიცა და მთელ რუსეთში ანტიჩეჩნური განწყობილება ჰაერშიც კი იგრძნობოდა. რუსულ ტელეარხებზე უკვე ჩემი საწინააღმდეგო განცხადებები კეთდებოდა. საბოლოოდ, შუა მოსკოვში იარაღის ტარებისთვის დამაპატიმრეს. ათობით მოქალაქის თვალწინ ჩემთვის იარაღის შეჩურთვა ოდნავაც არ მორიდებიათ.

ამ დროს თქვენ, მგონი, იარაღს არასდროს ატარებდით.

დიახ, ჟურნალისტები ხუმრობით „ერთადერთ უიარაღო ჩეჩენს“ მიწოდებდნენ, რადგან ყველამ იცოდა, რომ იარაღი ჩეჩნეთშიც (სადაც ეს მაშინ ჩვეულებრივი ამბავი იყო) არასდროს მიტარებია. ამ ბრალდებით ჩემი დაპატიმრება სრული იდიოტობა იყო. ციხეში 9 თვე გავატარე, მერე მკაცრი რეჟიმის ბანაკში სამწლიანი პატიმრობა მომისაჯეს, მაგრამ ჩემს ბედს საერთაშორისო ორგანიზაციები ადევნებდნენ თვალს („ამნისტი ინტერნეშენელმა“ პოლიტპატიმრად გამომაცხადა) და რუსებმა ამნისტიით გამომიშვეს, იმ პირობით, რომ რფ-ს ტერიტორიას სამ

დღეში დავტოვებდი, რაც სიამოვნებით გავაკეთე.

როგორი პრეზიდენტები ჰყავდა ჩეჩნეთს? ზოგზე აქ არაფერია ცნობილი.

ჯოხარ დუდაევსა და ზელიმხან იანდარბიევზე ისეთს ვერაფერს მოვყვები, რასაც დაახლოებული პირი მოჰყვებოდა: მათი გარემოცვის ადამიანი არ ვიყავი. მასხადოვს კი ახლოს ვიცნობდი. ძალიან სადა და თავმდაბალი ადამიანი იყო. აბდულ-ხალიმ სადულაევი, რომელიც ლამის რადიკალად და რეაქციონერადაა შერაცხული, სინადვილეში, განსაკუთრებული წესიერების ადამიანი იყო. ჩემთვის, უპირველეს ყოვლისა, თავისი მწიგნობრობით და ინტელექტით იყო საინტერესო, მაგალითად, საუკეთესოდ იცოდა ძველი ბერძნული ფილოსოფია. ის იყო პირველი არაგასამხედროებული ჯამაათის ლიდერი, რომელიც თავის ამოცანად ისლამის მისიონერულ განმარტებას მიიჩნევდა, და არა იარაღის ძალით, როგორც ამას ადგილობრივი სალაფისტები აკეთებენ.

არაერთხელ, და სხვათა შორის, თვით რუსებისგანაც მსმენია, რომ 1994-96 წლების კამპანიის დროს ჩეჩნების დამოკიდებულება სამხედრო ტყვეებისადმი ხშირად საოცრად ჰუმანური იყო. ამას ზოგი დასავლელი ჟურნალისტიც აღიარებს. არადა, რუსულმა პროპაგანდამ ჩეჩენი „ბოევიკის“ სულ სხვა სახე დაამკვიდრა.

პირველი ომის დროს, ასლან მასხადოვი ტყვეებს ურთიერთგაცვლის პრინციპის გარეშე ათავისუფლებდა. ერთადერთ პირობას აყენებდა: ჯარისკაცებს მხოლოდ მშობლებს ატანდა, რომლებსაც სიტყვა უნდა დაედოთ, რომ შვილს იარაღის ხელში აღების უფლებას აღარ მისცემდნენ. მერე ეს თითქმის წესად იქცა. ამ ოჯახებს მერე სამხედროები დევნიდნენ და სამხედრო სამსახურის გაგრძელებას სთხოვდნენ. 1996 წლის ზაფხულში ჩეჩნების სამხედრო ბანაკში, მისსავე ხარჯზე, ოცამდე ტყვე ჯარისკაცი მშობლებთან ერთად ცხოვრობდა, რომლებიც რუსეთში დაბრუნებაზე უარს ამბობდნენ. მოგვიანებით გენერალმა ლებედმა ასეთი ჯარისკაცები სისხლის სამართლის დევნისგან გაათავისუფლა. ტყვეებისადმი ისეთი დამოკიდებულების პრეცედენტი, როგორიც პირველი კამპანიის დროს რუსი ჯარისკაცების მიმართ იყო, მე სხვა არც ვიცი.

კადიროვის მომხრეთაგან ბევრი პირველ ან მეორე კამპანიაში თავისუფლებისთვის იბრძოდა. ზოგადად, კადიროველების ხელით ბევრი სისასტიკე ხდება. შეიძლება თვალი გავადევნოთ, ვინ როგორ მოხვდა მათ რიგებში? ვინ არიან ეს ადამიანები? თქვენი აზრით, ხვალინდელი ჩეჩნეთისთვის დაკარგული ხალხია?

ასეთი დასკვნისგან თავს შევიკავებ. ყველას სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა. ზოგი სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ირჩევდა. ზოგი გატეხეს, რა თქმა უნდა, ზოგისთვის სულერთია, ვის და რატომ მოკლავს. მაგრამ ყოველ ბედს ინდივიდუალურად სჭირდება მიდგომა. სხვანაირად იმათზე უკეთესები რით ვართ, ვისაც განვსჯით.

თქვენს ბიოგრაფიას დავუბრუნდეთ. რაღაც მომენტში, ისტორიის სიყვარულმა გადასწონა, რომ პოლიტიკას პრინციპულად ჩამოშორდით?

პოლიტიკას წერტილი 2002 წელს დავუსვი. ასლან მასხადოვს საფრანგეთიდან წერილობით მოვუხადე ბოდიში, მივწერე, რომ მისი პრესმდივნის როლის თამაშს დასავლეთში ვეღარ გავაგრძელებდი. სოციალურ მეცნიერებათა უმაღლეს სკოლაში სემინარი მიგვყავს, იქვე დავაარსე კავკასიის მკვლევართა ასოციაცია, სამიოდე წიგნი დავწერე. ჯეიმსთაუნის ფონდის ანალიტიკოსი ვარ და კავკასიის ვითარების ყოველკვირეულ მიმოხილვას ვამზადებ, ონლაინ-რეჟიმში გამოვცემ კავკასიის პროლემატიკისადმი მიძღვნილ ისტორიულ-კულტურულ ჟურნალს PROMETHEUS.

ახლა თქვენ თბილისის კავკასიური კონფერენციების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ხართ. თებერვალში ჩეჩენი და ინგუში ხალხების დეპორტაციის 67-ე წლისთავი იყო. ამ ორი ხალხისა და ჩერქეზების გენოციდის აღიარების საქმე წინ მიიწევს? მის ასე გაწელვას იმედგაცრუება ხომ მოჰყოლია?

1944 წლის დეპორტაცია ჩვენთვის დღემდე მტკივნეულ ჭრილობად რჩება. იმ ტრაგედიას მასშტაბით ბოლო ორი ომის საშინელებებიც ვერ შეედრება. ეს ერთადერთი თემაა, რომელიც ძალზე განსხვავებული პოლიტიკური ხედვის ჩეჩნებსაც კი აერთიანებს. ამიტომ ეს საკითხი ასე მარტივად ვერ დაიხურება. ევროპარლამენტმა, ყველა წინააღმდეგობის მიუხედავად, ეს დეპორტაცია გენოციდის აქტად ცნო. რაც შეეხება ჩერქეზებს, ჩემი აზრით, თავიდანვე არასწორად იქნა ორიენტაცია აღებული, თითქოს საქართველოს პარლამენტი მათ გენოციდს ლამის ორ-სამ თვეში აღიარებდა. ეს შეუძლებელი იყო და ამას თავიდანვე ვამბობდი. საქართველო ახალგაზრდა სახელმწიფოა, თავისი პრობლემები და ამოცანები აქვს და ესეც გასათვალისწინებელია. იმედგაცრუება არც ერთ მხარეს არ უნდა დაეუფლოს, პირიქით, თუ ერთმანეთს გავუგებთ, ამით საკუთარ თავსაც დავეხმარებით. საქართველოს ახალი პოლიტიკა შანსს გვაძლევს, საკუთარი იდენტობა ხელახლა გავიაზროთ, გავიგოთ, რას ნიშნავს კავკასიელობა, ამიერ- და იმიერკავკასიელებად დაყოფის გარეშე.

25 იანვარს, პირველ კავკასიურ არხზე საქართველოს პრეზიდენტს უსმინეთ? რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?

ეს პოლიტიკოსის გამოსვლა იყო. მაგრამ მე საქართველოს პრეზიდენტის, როგორც „რიგითი“ ქართველის, აზრი მაინტერესებდა. თბილისში ყოფნისას აქაურ მხარეს შევთავაზე, რომ იქნებ მას დამოუკიდებელი ჩეჩნური გამოცემისთვის „დოშ“ ინტერვიუ მიეცა. მას მერე 5 თვე გავიდა, პრეზიდენტის სა-

„პირველი ომის დროს, ასლან მასხადოვი ტყვეებს ურთიერთგაცვლის პრინციპის გარეშე ათავისუფლებდა. ერთადერთ პირობას აყენებდა: ჯარისკაცებს მხოლოდ მშობლებს ატანდა, რომლებსაც სიტყვა უნდა დაედოთ, რომ შვილს იარაღის ხელში აღების უფლებას აღარ მისცემდნენ. მერე ეს თითქმის წესად იქცა“. მაირბეკი

თანადო სამსახურიდან კი გამოცემას პასუხი არ მიუღია, რაც ძალიან საწყენია. ჩრდილოეთ კავკასიაში ბევრი არაა ისეთი გამოცემა, რომელიც პრეზიდენტ საკაშვილისგან ინტერვიუს აღებას და დაბეჭდვას გაბედავს.

ვიცი, რომ თქვენც და ევროპის ჩეჩნური დიასპორაც საქართველოში მიმდინარე მოვლენებს თვალს ადევნებთ. ვეტერანებისა და დევნილების ამბავიც იცით. ჩეჩნური საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ დევნილები და ვეტერანები შეადგენენ.

დიახ, როგორც ყველა ჩეჩენი, მეც თვალს ვადევნებ აქაურ ამბებს. თქვენს პრობლემებს თქვენთან ერთად განვიცდით, თქვენი სიხარული გვიხარია. ნებისმიერი ქმედების დროს, პირველ რიგში, ღირსება არ უნდა დაიკარგოს. ღირსების კოდექსი აქ, კავკასიაში, მუდამ სიცოცხლისუნარიანი იყო.

ჩეჩნური დიასპორა ჩვენი საზოგადოების იმედისმომცემი ნაწილია: ახალგაზრდობა, რომელიც ხშირად რამდენიმე ევროპულ ენას ფლობს, ევროპის და ამერიკის საუკეთესო სასწავლებლებში სწავლობს. ესაა ჩეჩნეთის ხვალინდელი დღე. დევნილობის ათიოდე წელს ეს დადებითი მხარე უდავოდ ჰქონდა.

ევროპაში თავს როგორ გრძნობენ ეს ადამიანები? ვიცი, რომ რუსეთის მოთხოვნით, ბევრ მათგანს მუდმივად „ამოწმებენ“, არის იძულებითი დეპორტაციის შემთხვევები.

უკანასკნელი შემთხვევა ნორვეგიაში მოხდა, როცა რუსეთს ათობით დევნილი გადასცეს. ეს უკვე გავრცელებულ პრაქტიკად იქცა. ევროპაში ჩეჩნეთის ახლანდელი სიტუაცია კარგად არაა გააზრებული, დაახლოებით ისე წარმოუდგენიათ, როგორც რფ-ს დანარჩენი რეგიონები. თავშესაფარს უკვე ძალიან სერიოზული მიზეზების მქონე პირებს აძლევენ.

სამწუხაროა, რომ თქვენს ერს ამდენის გადატანა უხდება. თუმცა, რუსეთის იმპერიაში ჩეჩნებს ამ მძიმე ბედმა საოცარი გამძლეობა და თვითორგანიზებულობა გამოუმუშავა.

>>> გაგრძელება გვ. 101

პოლიტიკა და არტი

ავტორი: ირინა ალიაშვილი, ანი ბერუკაშვილი
ფოტო: სერგი ბარისაშვილი

იოსიფ ბროდსკიმ, ნობელის პრემიის ლაურეატისთვის განკუთვნილი ლექცია, შემდეგი სიტყვებით დაიწყო: „უმჯობესია იყო უკანასკნელი ხელმოცარული დემოკრატიაში, ვიდრე წამებული, ან აზრთა მპყრობელი ტირანიასა და დესპოტიაში“. ბუნებრივია, წამებული ხელოვანები უფრო იშვიათად გხვდებიან საქართველოს ისტორიაში, ვიდრე „აზრთა და გულთა მპყრობელობის“ მოსურნენი. თუ თვალს გადავავლებთ წარსულს, აღმოჩნდება, რომ ძალიან ცოტაა საბჭოეთის დროს ემიგრირებულ ქართველ ხელოვანთა რიცხვი, რასაც ვერ ვიტყვით თუნდაც რუსეთიდან, ან ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან წასულ, გაქცეულ თუ გაძევებულ მწერლებსა და ხელოვნების სხვა წარმომადგენლებზე.

ჩვენთან, ან ეწირებოდნენ, ან ემსახურებოდნენ რეჟიმს, ან უბრალოდ ჩუმად იყვნენ, ან კი, როგორც უყვართ ხოლმე თქმა, ფარულად, ე.წ. ეზოპეს იგავური ენით ამხელდნენ „ბოროტების იმპერიის“ სიავეებს. საქართველოში დღემდე არ არსებობს ცალსახა პასუხი ხელოვანისა და ძალაუფლების ურთიერთმიმართებაზე. რად უნდა მიიჩნევდეს იგი საკუთარ თავს, სამოქალაქო საზოგადოების წევრად თუ სახელმწიფოს მშენებლობის იდეოლოგიურ ინსტრუმენტად. ადამიანია ხელოვნების მიზანი თუ სისტემა, თუნდაც სახელმწიფო? რომელია პირამიდის თავში მოქცეული?

ლენინის ბიუსტებისა და ძეგლების ოდენობით, საქართველო სხვა 14 „თანამოძმე რესპუბლიკასთან“ შედარებით, უდავო ლიდერი გახლდათ. პარტიაზე და კომკავშირზე დაწერილ ტექსტებს კი ყველაზე ოსტატურად „ჩვენ“ ვქმნიდით. როგორია დღევანდელი კონიუნქტურა, სად კვეთენ ერთმანეთს პოლიტიკა და ხელოვნება, ხელოვანი და ხელისუფალი? ან, კვეთენ თუ არა ისინი ერთმანეთს?

სწორედ ეს კითხვები დაედო საფუძვლად ხსნებული პროექტის იდეის განხორციელებას.

ვფიქრობ, ლიტერატურა, თეატრი, კინო, ფერწერა, ხშირად ბალეტიც კი, გაცილებით მეტს ამბობს ამა თუ იმ ეპოქების ქვეყნების ისტორიაზე და პოლიტიკაზე, ვიდრე რომელიმე პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა სახელმძღვანელო. ხოლო რას ამბობენ თავად ხელოვანები, შეგიძლიათ იხილოთ „ცხელი შოკოლადის“ სპეციალურ პროექტში „არტი და პოლიტიკა“.

რატი ამაღლობელი

politics

ნინო ბურდული

საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი ასპექტი ეხება ნებისმიერ მოქალაქეს. უბრალოდ, ზოგი ამას აცნობიერებს, ზოგი – ვერა. რა თქმა უნდა, რაც უფრო მეტი მოქალაქეა, ვისაც ეს გაცნობიერებული აქვს, საზოგადოებაც უფრო წინ წავა და განვითარდება. კაცობრიობის ისტორია ისე წარიმართა, რომ ადამიანის ყველა უფლება მოიპოვეს ბრძოლით. სწორედ იმ ადამიანების ხარჯზე, ვისაც გაცნობიერებული ჰქონდა, რომ თითოეულ ადამიანზეა დამოკიდებული საზოგადოებრივი ცხოვრება. ხელოვანები ყოველთვის უფრო პასიურები არიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათი აქტიურობა იმდენად ძლიერია გამოგონილ სამყაროში, რომ ისინი სხვა კანონებით ცხოვრობენ და ამიტომ ხელოვანის მაგალითად მოტანა გაჭირდება. თუმცა, ამის ძალიან ბევრი მაგალითია დასავლეთში. რაღაც მომენტი დგება, როდესაც ისინიც კი აქტიურობენ, მაგალითად უმბერტო ეკომ ბერლუსკონის წინააღმდეგ მიიღო რაღაც აქციაში მონაწილეობა. მოკლედ, ხელოვანი არაა ის ადამიანი, რომელიც დემონსტრაციებზე დადის. ხელოვნება ყოველთვის პოლიტიკურია. თუმცა, რა თქმა უნდა, მირჩევნია ის ხელოვნება, რომელიც არაა ამწუთიერი და არაა, როგორ გითხრათ, სოციალურ ტალღებზე დამოკიდებული. მარადიული და ზოგადსაკაცობრიო თემები უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის ხელოვნებაში, არ მიყვარს პლაკატური ხელოვნება.

ზოგადად, პოლიტიკას და ხელოვნებას აქვთ შეხების წერტილები. მე გერმანიაში, ჰამბურგში ვთამაშობ სპექტაკლს. როცა ჩავედი რეპეტიციების დასაწყებად, ჰამბურგის სახელმწიფო თეატრს შეუმცირეს ბიუჯეტი მილიონზე მეტით და პოლიციის გუნდს თუ ორკესტრს 300 000-ით გაუზარდეს. ამაზე იცით, რამხელა ამბავი იყო? ყველა გამოვიდა, ყველა ხელოვანი, არამარტო იმ თეატრის. ეს იყო რაღაც პოლიტიკა, სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის წინააღმდეგაც გამოვიდნენ ხელოვანები. ოღონდ თავისთავად ესაა პოლიტიკის შეცვლა. რომელზე რეაგირებაც მოახდინეს. ხოლო რაც შეეხება სამოქალაქო პოლიტიკას, იმას, რაც ყოველდღიურად შენ გარშემო ხდება, ჩემი აზრით, აქ არ უნდა იყოს განსხვავება ხელოვანი ხარ თუ არა, ეს ნიშნავს კანონმორჩილებას და არა სხვა რამეს. თუ საზოგადოებამ კანონთან ურთიერთობა და ეთიკის ნორმები არ დაიცვა, ეს აღარ იქნება საზოგადოება, ეს იქნება ბრბო. არსებობს რაღაც დაწერილი და დაუწერელი ეთიკის ნორმები, რომელსაც შეგნებული საზოგადოება იცავს. არ ვიცი ამას პოლიტიკა თუ ჰქვია, ამას ჰქვია განვითარების დონე.

პოლიტიკა ხელოვნებაში გულისხმობს პროტესტს კი არა, კრიტიკულ აზროვნებას. კრიტიკულ აზროვნებას არამარტო პოლიტიკა მოითხოვს. ჩვენს ისტორიაში ბევრი მაგალითი ვიცით ხელოვანების ვასალური დამოკიდებულებისა მონარქების მიმართ, მაგრამ მოთხოვნილება და იდეები მაინც თავისუფლებისკენ იყო. მათი ხელოვნება, ყოველ შემთხვევაში, არასოდეს ქადაგებდა მონობას და არათავისუფლებას.

მე ვხედავ თვითცენზურას ხელოვანების მხრიდან. და ეს არის საშინელება. და ეს არანაკლებ საშიშია ადამიანის განვითარებისთვის, ვიდრე ვთქვათ თვითცენზურა მმართველ პარტიასთან მიმართებაში. დღეს ყველაზე მეტად რაც მაწუხებს, ისაა, რომ ერთი ტიპის ხელოვნებაზეა მოთხოვნილება, ყველა სტანდარტს აკმაყოფილებს და სულ მგონია, რომ ჩემი ადგილი აღარ არის. აი, ამას ვეძახი „იუმორინას“ ტიპის ხელოვნებას.

ავტორიტეტობა პასუხისმგებლობას აკისრებს. მე მახსოვს მერაბ მამარდაშვილის გამოსვლა, როცა თქვა, თუ ჩემი ხალხი ამ არჩევანს გააკეთებს, მე მისი წინააღმდეგი ვიქნებიო. ის თავის იდეებს და თავის მსოფლმხედველობას არ ღალატობდა. მე არ მომწონს, როცა ელდარ შენგელაიას აფასებენ, როგორც მმართველი ძალის მხარეზე მყოფ ხელოვანს. ის არავის მხარეზე არაა, უბრალოდ ის არჩევანს ამაზე აკეთებს, მაგრამ მისი ხელოვნება ამით არ ფასდება.

სოციალური არტი ჩვენთან არაა და არც იქნება. ჩვენთან სოციალური თემები შემოიტანა შადიმან შამანაძემ. ერთი პერიოდი ძალიან პოპულარული იყო და ყველა თეატრში იდგმებოდა მისი სპექტაკლები. მეც ვთამაშობდი ერთ-ერთში თუმანიშვილის თეატრში. ძალიან არ მიყვარდა. იმიტომ რომ ის იყო ახლო ნატურალიზმთან და ჩემთვის ეს ხელოვნება უკვე აღარაა. ეს არის რაღაცა სხვა არტი, სწორედაც რომ არტი, ოღონდ როცა უცხოურ სიტყვას ხმარობ – არტს და არა შენს ენაზე ამბობ ხელოვნებას. ჩემი აზრით, ხელოვნების თემები არ უნდა იყოს სოციალური.

ფოტო: სერგი ბარისაშვილი

„პოლიტიკა ხელოვნებაში გულისხმობს პროტესტს კი არა, კრიტიკულ აზროვნებას. კრიტიკულ აზროვნებას არამარტო პოლიტიკა მოითხოვს. ჩვენს ისტორიაში ბევრი მაგალითი ვიცით ხელოვანების ვასალური დამოკიდებულებისა მონარქების მიმართ, მაგრამ მოთხოვნილება და იდეები მაინც თავისუფლებისკენ იყო. მათი ხელოვნება, ყოველ შემთხვევაში, არასოდეს ქადაგებდა მონობას და არათავისუფლებას“.

გიორგი უშიკიშვილი

თითოეულ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს აღებული პასუხისმგებლობა იმ საქმიანობაზე, რასაც აკეთებს და იმაზე, თუ როგორ უნდა მოვაწყოთ და ავაშენოთ ჩვენი ქვეყანა. მე არ მიყვარს, როდესაც კრიტიკა ეხება მხოლოდ ხელისუფლებას ან ოპოზიციას და მათ სთხოვენ პასუხებს. მე ვთვლი, რომ ყველა ადამიანმა უნდა გააკეთოს ის, რაც შეუძლია და ასე მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის მშენებლობაში. მაგალითად, იმ დღეს ჩამოვდიოდი ქუჩაზე, რომელზეც მხოლოდ ცალმხრივი მოძრაობაა, თუმცა შემხვდა სამი მანქანა, რომელიც საწინააღმდეგოდ მოდიოდა. კულტურულად ავუხსენი, რომ ცალმხრივი მოძრაობა იყო და არ შემოსულიყვნენ, თუმცა ვერ გავაგებინე. ეს ერთი მაგალითია. ასეთივეა დაბინძურება. მე მთელ საქართველოში ვმოგზაურობ, ვიყავი ასული ძველი შუამთის მონასტერში და შევშფოთდი, როცა ვნახე, როგორი დაბინძურებული იყო ტერიტორია. შენ უნდა ხედავდე, საით გინდა მიდიოდეს შენი ქვეყანა და ამას მხარი აუბა. პატრიოტიზმი, ქვეყნის სიყვარული და საქმის კეთება არ განისაზღვრება ფულით. თუკი შენ საქმის კეთება გინდა, ამისათვის ენთუზიაზმიც საკმარისია. რაც შეეხება ხელოვან ადამიანს, ისიც ჩვეულებრივი მოკვდავი მოქალაქეა. ხელოვანს შესაძლებელია ჰქონდეს თავისი პოზიცია პოლიტიკის, სოციალური საკითხების მიმართ, თუმცა მგონია, რომ ხელოვანმა მკვეთრი პოლიტიკური განცხადებებისაგან თავი უნდა შეიკავოს, მე არავის არ ვაკრიტიკებ, მაგრამ თავად ასე ვაკეთებ. შეიძლება, მეც დამიფიქსირებია ჩემი პოზიცია რაღაც საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ არასოდეს ამის შესახებ დებატებში არ ჩავრთულვარ. ხელოვანს ყველა უსმენს, აქედან გამომდინარე, ის მკვეთრ პოლიტიკურ განცხადებებს უნდა ერიდოს, არ არის საჭირო საკუთარი თავის ზედმეტად პოლიტიზირება. ჩემი აზრით, არსებობს აპოლიტიკური ხელოვნება, მაგალითად, მე რასაც ვაკეთებ, ეს აპოლიტიკურია, ვგულისხმობ ხალხურ შემოქმედებას. სიმღერა, ცეკვა და ხალხური ხელოვნება საუკუნეების მანძილზე ასე მოდის, მე მგონია, რომ ის ხალხი, ვინც ქმნის ამ ხელოვნებას, არის აპოლიტიკური. მათი შემოქმედებისთვის იმას მნიშვნელობა არ აქვს, რომელი მთავრობა მოვიდა ან მოსწონთ თუ არა. ისინი ემსახურებიან ხელოვნებას, რადგან ეს წინაპრებმა დაუტოვეს. მათ ამაში არავინ ფულს არ უხდის და არც არავინ აძალებს. არსებობს ხალხი, რომელიც ამ საქმეს ემსახურება ანგარების, თუნდაც პოლიტიკური ანგარების გარეშე. მე ჩემს თავს შემიძლია ვუწოდო აპოლიტიკური, რადგან არასოდეს ვყოფილვარ არც ერთი პარტიის წევრი, ან ჩართული პოლიტიკურ საქმიანობაში, თუმცა რაღაც პასუხისმგებლობის აღება ყველას უწევს და მეც მგონია, რომ რაღაც პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აღებული მაქვს. მხოლოდ ხელისუფლების ნება არ არის ის, რომ პრიორიტეტული იყოს ქართული ფოლკლორი, აქ მთავარი ხალხის და მოქალაქეების პასუხისმგებლობაა.

პოლიტიკა ხელოვნებაში არ გულისხმობს მხოლოდ პროტესტს. თუმცა, არის რაღაც მუსიკალური მიმართულებები, რომლებიც მთლიანად პროტესტზეა აგებული. რაც შეეხება ცენზურას, სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ პირადად მე არასოდეს არანაირი ცენზურა არ განმიცდია. ნებისმიერ ხელოვანს შეუძლია, გააკეთოს სიმღერა პოლიციაზე, ქართულ ჯარზე, ნებისმიერ თემატიკაზე, ყველა ადამიანი ინდივიდუალურია და აკეთებს ისე, როგორც სწორად მიაჩნია. არიან ხელოვნებაში ისეთი ადამიანებიც, ვინც თავის პოზიციას არათუ მალავენ, პოლიტიკური ლიდერებიც ხდებიან.

სოციალური კუთხით ვერ ვატყობ, რომ ხელოვნება გააქტიურებული იყოს. თუკი ქართული ფოლკლორის მაგალითზე ვიტყვით, აქ მუდმივად აისახებოდა ხოლმე სოციალური პრობლემები, თუმცა თანამედროვე მუსიკის ლაიტმოტივი არის სენტიმენტალურობა და არა სოციალური პრობლემები. ჩვენ სულ ახლახან გამოვედით მარწუხებიდან და აქედან გამომდინარე, ამის კულტურა დამკვიდრებული არ არის. თუმცა შეიძლება, დროდადრო, ეს თემატიკა გააქტიურდეს.

ფოტო: სერგი ბარისაშვილი

მგონია, რომ ხელოვანმა მკვეთრი პოლიტიკური განცხადებებისაგან თავი უნდა შეიკავოს, მე არავის არ ვაკრიტიკებ, მაგრამ თავად ასე ვაკეთებ.

მაცაცო გაბუნია

მოქალაქის პასუხისმგებლობა ქვეყნის ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს. სამხატვრო აკადემიის სტუდენტების მაგალითზე ვიტყვი, მათი სამოქალაქო პასუხისმგებლობა აკადემიაში მოქცევის წესებიდან იწყება, ისინი ამ ადგილს სახლივით უნდა უვლიდნენ.

ჩვენ ვაკეთებთ ახალ ვებ-გვერდს, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს საშუალება ექნებათ, შემოწირულობები გაიღონ აკადემიის დანგრეული ნაწილის აღსადგენად. სტუდენტს ამ ყველაფრის გაკეთება არ ევალება, თუმცა შეგნება უნდა ჰქონდეს, რომ ამ ყველაფერში მონაწილეობა მიიღოს. ხელოვანსაც აკისრია იგივე პასუხისმგებლობები, თუმცა ის, რაღაც მხრივ მაინც, თავისუფალია. ხელოვანს ვერ დაავალდებულებ, მიჰყვეს ამ მოვლენებს, ის ყველაფერს შინაგანი მოთხოვნილებების მიხედვით აკეთებს. რუსთაველზე გაშლილი კარვების პარალელურად, გავაკეთეთ დიდი გამოფენა, რაც იყო ჩვენი პროტესტი სიტუაციისადმი. ჩვენ სიმშვიდე გვჭირდებოდა. ამ დროს იყვნენ ადამიანები, რომლებმაც მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადეს, ზედმეტად გააპოლიტიკურეს ეს ყველაფერი, თუმცა ისინი თავიანთ არჩევანში თავისუფლები იყვნენ.

მე მგონია, რომ ხელოვანებმა მსგავს აქციაში მონაწილეობა უნდა მიიღონ, თუმცა არის რაღაც ზღვარი. მაგალითად, არ მომწონს გაუთავებელი პროექტები თემაზე „პატრიოტი“. თუმცა ეს ჩემი პირადი დამოკიდებულებაა, თუკი მხატვარს პატრიოტულ თემაზე აქვს სათქმელი, ეს მისი საქმეა. ჩემი აზრით, პოლიტიკური ხელოვნება არ არსებობს, ეს რაღაც პარტიის მოწოდებასავითაა, ხელოვნება არსებობს ხელოვნებისთვის. არიან ჩაკეტილი მხატვრები, მათ სულ სხვა ფიქრები, ვნებები და გრძნობები აქვთ. და ეს მათ გარკვეულწილად ათავისუფლებთ პასუხისმგებლობისგან.

ჩვენნაირ ქვეყანაში, რომელსაც ეგზისტენციური პრობლემა აქვს, მხატვარი არ უნდა იყოს გულგრილი. ჩემი ხელმძღვანელობით მოეწყო გამოფენა – „იძინე მშვიდად! შენ საქართველოს მოქალაქე ხარ“, იყო მეორეც – „შენ ვერ შეცვლი ჩემი ქვეყნის გულისცემას“. მსგავს პროექტებში მონაწილეობა ჩემი შინაგანი მოთხოვნილებაა. ეს არ იყო ზედმეტად პოლიტიზირებული ან დაკვეთილი.

პოლიტიკა და ხელოვნება ერთმანეთისგან გამიჯნული ვერ იქნება, თუმცა ხელოვანმა ყოველთვის სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რომ ზედმეტი არ მოუვიდეს. ეს დამატებითი პასუხისმგებლობაა.

არიან ზედმეტად პოლიტიზირებული მხატვრები, თუმცა მათაც ვერ დავადანაშაულებ – მათაც უნდათ თბილ ადგილას მოხვედრა. ასეთი რამ ხშირად ხდება, თუმცა ნიჭს მაინც ვერაფერს უზამ.

მოქალაქის პასუხისმგებლობა ქვეყნის ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს. სამხატვრო აკადემიის სტუდენტების მაგალითზე ვიტყვი, მათი სამოქალაქო პასუხისმგებლობა აკადემიაში მოქცევის წესებიდან იწყება, ისინი ამ ადგილს სახლივით უნდა უვლიდნენ.

დათო დოიაშვილი

ჩემი აზრით, ყველა ადამიანმა საკუთარ თავში უნდა აღმოაჩინოს მოქალაქე და სოციალური პასუხისმგებლობები. როცა 14 წლის ვიყავი, ყველაფერი ქართული მაღიზიანებდა, მათ შორის, სადღეგრძელოები და ქართული ანბანიც კი. შემდეგ ჩემში უკვე ნელ-ნელა აბსოლუტურად შეიცვალა ბევრი რამე, რაღაცების გადაფასების, აღმოჩენების ხარჯზე.

ხელოვანიც აუცილებლად მოქალაქეა. ჩემთვის მთავარია, რომ ხელოვანს ჰქონდეს რაღაც პოზიცია. ხშირად შეიძლება მე მის პოზიციას არ ვეთანხმებოდე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ ადამიანის პოზიცია.

აპოლიტიკური ხელოვნება არ არსებობს. ესაა ტყუილი. რატომ ვფიქრობ ასე? მით უმეტეს, ამ საუკუნეში. ოსკარ უაილდი ამბობდა, რომ ხელოვნება არსებობს ხელოვნებისათვის, თუმცა მისი ყველა ნაბიჯი პოლიტიკა იყო.

მე შეიძლება ვთქვა, რომ არ მიყვარს, არ ვეტრფი ისეთ ადამიანებს, რომლებიც პოლიტიკურად აქტიურები არიან. მგონია, რომ ხელოვანმა თავისი სათქმელი უნდა თქვას თავისი საქმით, და იქ გამოხატოს ის ყველა დამოკიდებულება. მით უმეტეს, როცა დღესდღეობით აღარ არსებობს ცენზურა და ძალიან მარტივია რამის თქმა.

გამიჯნო ხელოვნება და პოლიტიკა ერთმანეთისგან, ეს არაა პასუხისმგებლობის თავიდან მოცილება. ძალიან კარგად მესმის მათი, რომელთაც ურჩევნიათ ჩაიკეტონ თავიანთ ნაჭუჭში და თავი აარიდონ გარესამყაროს. ეს მათ ზოგჯერ ძალიან ეხმარებათ. მე მყავს ასეთი ბევრი მეგობარი, მათ საერთოდ არ იციან, გარეთ რა ხდება. არსებობენ ადამიანები, ვისაც ეს სჭირდებათ.

არ ვფიქრობ, რომ პოლიტიკა ხელოვნებაში აუცილებლად უნდა გულისხმობდეს პროტესტს. ეს, ჩემი აზრით, საბჭოთა მენტალიტეტის გადმონაშთია. არც იმას ვთვლი კონფორმიზმად, თუ შენი გაკეთებული, გარკვეულწილად, მმართველი პარტიის წისქვილზე ასხამს წყალს. არ ვფიქრობ ასე, იმიტომ რომ არსებობს ძალიან ბევრი იდეა, რომლებშიც შეიძლება თანმხვედრი იყო პარტიასთან და პირიქით, იყოს პროტესტი. რატომღაც საბჭოთა კავშირში ასე იყო, რომ რაც უფრო დაუპირისპირდებოდი ფარულად ამ სისტემას, ითვლებოდი უკეთეს ხელოვანად. აქედან გამომდინარე, შეიქმნა უამრავი მეტაფორული თეატრი, მეტაფორები კინოში, იმ დროისთვის დამახასიათებელი „ენა“. ჩემი აზრით, უფრო ძნელია იყო არტში, როცა არ არსებობს ცენზურა. როგორც კი არ არსებობს ცენზურა და შენ შეგიძლია ყველაფერზე ილაპარაკო, მაშინ დგება საკითხი, რა გააკეთო? რა არის ის საკითხი, რომელიც ხალხს აინტერესებს და რაზე უნდა ელაპარაკო მათ? აკრძალული თემა ყველაზე ადვილი დასამუშავებელია ხელოვნებაში.

ფოტო: სერგი ბარისაშვილი

არც იმას ვთვლი კონფორმიზმად, თუ შენი გაკეთებული, გარკვეულწილად, მმართველი პარტიის წისქვილზე ასხამს წყალს. არ ვფიქრობ ასე, იმიტომ რომ არსებობს ძალიან ბევრი იდეა, რომლებშიც შეიძლება თანმხვედრი იყო პარტიასთან და პირიქით, იყოს პროტესტი.

გიორგი მარგველაშვილი

რა თქმა უნდა, აპოლიტიკური ხელოვნება არსებობს. ეს ბუნებრივია. იმიტომ, რომ, მაგალითად, ადამიანის სულიერი განცდები, ემოციები, მეგობრობა, სიყვარული, ნოსტალგია, ღმერთის ძიება ან მარტოობა – ეს ყველაფერი ხელოვნების ძალიან დიდი ნაწილია, რომელიც სავსებით შესაძლებელია, პოლიტიკის გარეთ იყოს. შესაძლებელია, რომ პროტესტი იყოს, მაგრამ აქ არ იყოს პოლიტიკა. გააჩნია ეპოქას და იმ შემოქმედს, რომელიც გამოხატავს ამ ეპოქას. სრულიად შესაძლებელია ეს იყოს, ან არ იყოს.

ხელოვანი გამოხატავ იმას, რაც შეიძლება ხდებოდეს შენში. შენში შეიძლება ხდებოდეს პოლიტიკა, შენში შეიძლება ხდებოდეს სიყვარული, პროტესტი საზოგადოების მიმართ და ა.შ. შენ შეგიძლია პოეტს უთხრა, რომ შენ, ვინც უნდა იყო, საზოგადოების წევრი ხარ და, შესაბამისად, შენც რაღაცა წვლილი უნდა შეგქონდეს ამაში – ეს სხვა არის და მეორე ისაა, რომ შენ შენს ხელოვნებაში აუცილებლად უნდა ჩართო რაღაც პოლიტიკური. მე ვერ ვიტყვი, რომ ხელოვანს საზოგადოებრივი პასუხისმგებლობები უნდა ეკისრებოდეს, როგორც ავტორიტეტს. არაფერი არ გაკისრია, მე ვერ ვიტყვი, ვის რა აკისრია, მე ვერავის ვერაფერს დავაკისრებ. იდეაში ყველა მოქალაქე არის პოლიტიკური სუბიექტი, მაგრამ რამდენად გრძნობს ის ამ პასუხისმგებლობას, ეს სხვა საკითხია.

პროტესტი თავისთავად ემოციურად ბევრად უფრო ინტენსიურია და რადგანაც ხელოვნება თავისთავად ეძებს მჭახე ფორმებს თუ ფერებს, სწორედ ამიტომ, ეს ხშირად პროტესტთან არის ასოცირებული. მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ხელოვნება აუცილებლად პროტესტს უნდა გამოხატავდეს, მაგრამ ამას ასე გადაჭრით მაინც ვერ იტყვი.

დღეს საქართველოში არა მგონია, რომ ცენზურა იყოს ხელოვნებაში. დღეს ხელოვანებს ეძლევათ საშუალება გამოხატონ თავიანთი პროტესტი, განახორციელონ ის იდეები, რაც მათ სურთ. უბრალოდ აშკარად გამოხატულ პროტესტს ვერ ვხედავ. ვფიქრობ, რომ, პირიქით, ხელოვანები ზედმეტად თანამშრომლობენ სახელმწიფოსთან, მმართველ პარტიასთან. თვითონ სახელმწიფო არეგულირებს ამ ყველაფერს ეფექტურად, იმიტომ რომ ფულს აძლევს იმ ხელოვანს, რომელიც თანახმაა ამ ყველაფერზე. თანაც, პოლიტიკური შეხედულებების გამო დაპატიმრებული პოეტი ან მომღერალი არ მინახავს საქართველოში. არც მათი პროტესტი მინახავს.

ქართულ თანამედროვე ხელოვნებას მაინცდამაინც არ ვიცნობ, ამიტომაც ვერ ვიტყვი, აისახება თუ არა სოციალური თემები მათ შემოქმედებაში. თუმცა ხშირად ვხედავ მუსიკოსებს თუ მომღერლებს, რომლებიც აკეთებენ სუფთა პოლიტიკურ შემოქმედებას. ჩვენი თანამედროვე ხელოვნება იმდენადაა გადასული დასავლურის კალკირებაზე, რომ რეალურ ცოცხალ პროტესტს ვერ ვხედავ. განსაკუთრებით ვერ ვხედავ კონტრკულტურულ არტს. კონტრკულტურა მაშინ აღმოცენდება, როცა არსებობს ისტებლიშმენტი, რასაც დაუპირისპირდები. საქართველოში ისტებლიშმენტი რაც არის, ან პოლიტიკური, ან პოლიტიკურთან დაახლოებული ხელოვნების სახით, თავისთავად არის კონტრკულტურული: ზედმეტად აგრესიული, ზედმეტად პოლიტიზირებული, ზედმეტად სექსუალური, ზედმეტად მორალური ღირებულებების წინააღმდეგი. ხელისუფლება თავისთავად კონტრკულტურულია საქართველოში. ამიტომ, კონტრკულტურის განხორციელება ამ ქვეყანაში როგორ უნდა მოხდეს, ძნელი სათქმელია. შთაბეჭდილება მრჩება ხოლმე, რომ საქართველოში ტრადიციული მორალი თავისთავად კონტრკულტურაა. ის, რასაც წარმოადგენს ტრადიციული ღირებულებები, დავუშვათ იგივე ოჯახის ინსტიტუტი, ეკლესია და ა.შ. – რეალურად, რასაც უნდა უპირისპირდებოდეს კონტრკულტურა, იმხელა დარტყმის ქვეშაა ხელისუფლების მხრიდან, რომ დღეს ტრადიციულ ღირებულებებზე ორიენტაცია მიმაჩნია, გარკვეულწილად, კონტრკულტურად. არ არსებობს რაღაც სტაბილური ისტებლიშმენტი, რომელიც იტყვის, რომ ესაა ჩემი ღირებულება. არამედ პირიქით, დავუშვათ ისტებლიშმენტის ხელოვნების შეკვეთა არის აგრესიული, ნახევრად ტიტველი გოგოები, რომლებიც მღერიან „პუტინს“. კლიპი „პუტინი“ რომ ავიღოთ, ესაა ზედმეტად აგრესიული, სექსუალური, პოლიტიზირებული, გართობაზე ორიენტირებული. ესაა ქართული ისტებლიშმენტი. ამისი კონკურენტი ჰიპების მოძრაობა ვერანაირად ვერ იქნება. ისეთი რამე ვერ გაჩნდება ასეთ გარემოში, როგორ გარემოშიც წარმოიშვა დასავლეთში ჰიპების მოძრაობა. დასავლეთში იყო სტაბილური ღირებულებები და ამ ღირებულებების ნგრევით მოდიოდნენ ჰიპები. ან დავუშვათ რაც იყო მუსლიმურ კულტურაში, როდესაც იყო სტაბილური მუსლიმური სახელმწიფო და იქ გაჩნდა სუფიზმი. ან რაც განხორციელდა ჩინეთში დაოიზმის სახით, როდესაც იყო ისტებლიშმენტად კონფუციანიზმი. ჩვენთან, ფაქტობრივად, პირიქითაა. ამიტომ კულტურული დინამიკა, დაძაბულობა ნაკლებია. მაგალითად ესენი მღერიან „პუტინს“, რომელიც თავისთავად ჯანყია, მაგრამ ვის ვინ უჯანყდება, უცნობია და, მეორე მხრივ, არის „უცნობის“ სიმღერა, რომელიც მიმართულია სააკაშვილის წინააღმდეგ... ისტებლიშმენტი და მასთან დაპირისპირება – ეს არაა ნორმალური კულტურა.

ფოტო: სერგი ბარისაშვილი

დღეს საქართველოში არა მგონია, რომ ცენზურა იყოს ხელოვნებაში. დღეს ხელოვანებს ეძლევათ საშუალება გამოხატონ თავიანთი პროტესტი, განახორციელონ ის იდეები, რაც მათ სურთ. უბრალოდ, აშკარად გამოხატულ პროტესტს ვერ ვხედავ. ვფიქრობ, რომ, პირიქით, ხელოვანები ზედმეტად თანამშრომლობენ სახელმწიფოსთან, მმართველ პარტიასთან.

კოტე ჯანდიერი

ყბადაღებული მაგალითით დავიწყებ: ანტიკურ საბერძნეთში არცთუ იშვიათი სამოქალაქო დაპირისპირებების დამთავრებისთანავე საზოგადოება ამნისტიას უცხადებდა კონფლიქტის მონაწილეებს, მაგრამ მკაცრად სჯიდა (მინიმუმ, კიცხავდა) იმ მოქალაქეებს, რომლებიც ნეიტრალურ პოზიციაზე დგომას ამჯობინებდნენ და არ ერეოდნენ საკუთარი ქვეყნის, თუ პოლისის მომავლისათვის ესოდენ მნიშვნელოვან ბრძოლებში. სერიოზული საზოგადოებრივ-პოლიტიკური კატაკლიზმების დროს პოზიციის არქონა, სეირის მაყურებლობა სამარცხვინოდ ითვლებოდა, ვინაიდან ეს სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოებრივი სიკეთის მოხმარება და ამ სიკეთის შექმნაში მონაწილეობაზე უარის თქმა. ადამიანი შეიძლება ცდებოდეს, მაგრამ ინდიფერენტული არ უნდა იყოს სახელმწიფოში შექმნილი ვითარების მიმართ, განსაკუთრებით, თუკი საქმე სამართლიანობის პრინციპის დაცვას შეეხება. უსამართლობის ნებისმიერი გამოვლინება (სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი თუ სხვ.) ნორმალურ მოქალაქეში, ცხადია პროტესტს უნდა იწვევდეს, მაგრამ პროტესტთან ერთად უსამართლობის მსხვერპლთა მიმართ სოლიდარობის სურვილსაც უნდა ბადებდეს. პროტესტი და სოლიდარობა ის ორი იარაღია, რითაც სამოქალაქო საზოგადოება საკუთარ თავს, საკუთარი შვილების, საკუთარი ქვეყნის მომავალს იცავს გარდაუვალი სახელმწიფო ძალადობისაგან. ამავე დროს, მხოლოდ ასეთ, საკუთარი და სხვისი ღირსების, უფლებებისა და მორალური პრინციპების დამცველ საზოგადოებას შეუძლია განვითარება და ეფექტური თავდაცვა გარეშე მტრისგან. ამიტომ, ვფიქრობ, რომ პატრიოტიზმი ნაციონალისტური ლოზუნგების ძახილი კი არ არის, არამედ, პირველ რიგში, უსამართლობასთან შეუგუებლობა და სოლიდარობაა. ეს ბანალური ჭეშმარიტებებია. თუ ამას კრიტიკული აზროვნების უნარსა და პროფესიონალიზმსაც დავუმატებთ, იდეალურ მოქალაქეს მივიღებთ. აქედან გამომდინარე, ადვილად შეგვიძლია განვსაზღვროთ, რამდენად ახლო ვართ სამოქალაქო საზოგადოების სტანდარტთან. ულტრალიბერალური დოქტრინა ამბობს, რომ მოქალაქეებს აქვთ უფლებები, რომლებიც შეზღუდულია მხოლოდ სხვა მოქალაქეთა ასეთივე უფლებებით. მაგრამ უფლებებთან ერთად მოქალაქეს აქვს ერთი ვალდებულება: ჰქონდეს სინდისი და იცხოვროს საკუთარი სინდისის შესაბამისად. უსამართლობაზე, თანამოქალაქეთა ჩაგვრაზე თვალის დახუჭვა, ანდა, ვთქვათ საკუთარი საარჩევნო ხმის გაყიდვა ერთი ტომარა ფქვილის ფასად – სამოქალაქო დანაშაულია. ცხადია, ეს დანაშაული კანონმდებლობით არ ისჯება, მაგრამ არსებობს ზნეობრივი იმპერატივი, მორალი და ბუნებითი სამართალი, რომლის წინაშეც ყველანი ვაგებთ პასუხს, ჩინოსანი თუ უჩინო, წიგნიერი თუ უწიგნური, მდიდარი თუ ღარიბი. საბოლოო განაჩენი კი ისტორიას გამოაქვს.

ჯერ არ მსმენია, როდისმე ვინმეს ეთქვას, რომ შემოქმედების უნარი ადამიანს სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს. ასეთი რამ ძველი სამყაროს ტირანთა მეხოტბეებსაც კი არ განუცხადებიათ, და არც დღევანდელი ხელისუფლების დაქირავებულ „ინტელექტუალებს“. ასეთი მტკიცება იმდენად აბსურდული და სამარცხვინოა, რომ ფულისა და გავლენის მაძიებელი რეჟიმის სატრაპები საკუთარ მონობას, კონფორმიზმსა და ჯალათობას სწორედ სამოქალაქო პოზიციით, სახელმწიფო ინტერესითა და პატრიოტიზმით ამართლებენ. ძლიერი სახელმწიფო მათ უმაღლეს ფასეულობად და მიზნად გამოაცხადეს და ყოველდღიურად ამ აზრს უჭედავენ თავში საზოგადოებას. ცხადია, ეს თვალთმაქცობა და სიყალბეა, ვინაიდან სახელმწიფო, პირველ ყოვლისა, ერისა და ყოველი ცალკეული ადამიანის უსაფრთხოების, კეთილდღეობისა და განვითარების ინსტრუმენტია და არა მიზანი. სახელმწიფოს სიძლიერე კი სამართლიანობასა და მოქალაქეთა პატრიოტიზმზე დგას. ამას მოწმობს პატარა, მაგრამ დემოკრატიული ათენის ბრწყინვალე გამარჯვება ქსერქსეს მილიონიან და მრავალეროვან აზიურ ურდოზე. სახელმწიფოს ძლიერება თავისუფალი ნებისა და ღირსების მქონე მოქალაქეთა მხრებზე დგას და არა პოლიციასა და მრავალრიცხოვან არმიებზე. ესეც ბანალური ჭეშმარიტებაა...

მე მგონი, პოლიტიკაც და ხელოვნებაც ერთი და იმავე წყაროდან იკვებება – ეს არის საზოგადოებრივ შეხედულებათა და ფასეულობათა სისტემა, რომელსაც ან უპირისპირდები ან ეთანხმები. ერთი და იმავე ეპოქის ნაყოფია ე.წ. სტალინური არქიტექტურაც და ერნსტ ნეიზვესტნის სკულპტურებიც, „მოლოდაია გვარდიაც“ და „ოსტატი და მარგარიტაც“. ოსტატობისა და მხატვრული ზემოქმედების თვალსაზრისით, აქ ყველაფერი რიგზეა, უბრალოდ ხელოვნებისა და ლიტერატურის ეს ნიმუშები განსხვავებულ, კონტრასტულ მსოფლმხედველობას გამოხატავენ და ამიტომაც ეწერებიან ერთნი ტოტალიტარულ, მეორენი კი ლიბერალურ დისკურსში. ამ აზრით, ნამდვილი ხელოვნება აპოლიტიკური ვერ იქნება, უბრალოდ, ეს მასზე არ არის დამოკიდებული. სხვა შემთხვევაა სოლჟენიცინის „არქიპელაგი გულაგი“, რომელმაც უდიდესი გარდატეხა შეიტანა საზოგადოებრივ ცნობიერებაში. ეს არის აშკარად პოლიტიკურად აქცენტირებული ტექსტი, თუმცა რამდენადაა ის მაღალი ხელოვნების ნიმუში, დღემდე საკამათოდ რჩება.

ცხადია, ასეთი გამიჯვნა ხელს აძლევს, ერთი მხრივ, ძალაუფლების მპყრობელს, უზურპატორს ან დიქტატორს (ხელოვნების ზემოქმედების ძალა მისთვის რეალურ ხიფათს შეიცავს) და, მეორე მხრივ, კონფორმისტს, მედროვეს და ნიჭის არმქონე ფსევდოშემოქმედს. ჩემი აზრით, ესეთი იდეები ფართო ასპარეზს პოულობენ ტოტალიტარული, ავტორიტარული, ან პირველყოფილი

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

თემური წყობილების პირობებში. სოფოკლეს „ანტიგონე“ ბუნებითი სამართლისა და სახელმწიფო კანონმდებლობის კოლიზიაზე მოგვითხრობს, რაც ანტიგონესა და კრეონტის კონფლიქტში ვლინდება. ვიდრე არსებობს სახელმწიფო ინსტიტუციები და კანონმდებლობები, ეს თემა მუდმივად აქტუალური დარჩება. ამიტომაც, მსოფლიო ლიტერატურის ეს შედევრი ერთნაირად ამაღელვებელია ანტიკური საბერძნეთის, ფაშისტური გერმანიის, დემოკრატიული საფრანგეთის, ტოტალიტარული საბჭოთა კავშირის, ამერიკისა და პოსტრევოლუციური საქართველოს მაყურებლისათვის. ეს უკვდავი ტექსტი სრულიად განსხვავებულ პოლიტიკურ კონოტაციას იძენს ყველა ზემოჩამოთვლილი ქვეყნისა და ეპოქის რეალობაში. თეორიულად, ეს ტექსტი არ უნდა აწყობდეთ სააკაშვილის იდეოლოგებს და სახელმწიფო ძალმოსილების აპოლოგეტებს, სხვა საქმეა, რამდენად გარისკავენ მის აკრძალვას. უფრო მარტივია „ნანუკას შოუთი“ ან გაზეთ „პრამ-ტაიმ-ით“ მისი ჩანაცვლება.

ხელოვნების ნაწარმოები შეიძლება იყოს, ან არ იყოს პოლიტიკურად აქცენტირებული, მაგრამ მაღალი ხელოვნება, როგორც წესი, ყოველთვის პოულობს კონკრეტულ პოლიტიკურ კონტექსტს. ვაჟა-ფშაველას ალუდა ქეთელაური და ტოლსტოის ჰაჯი-მურატი მუდამ დარჩებიან იმ სამართლიანობის მაძიებელ ლიტერატურულ პერსონაჟებად, რომლებიც მილიონთა გულებს აღელვებენ, თუმცა დღევანდელ მკითხველთა უდიდესმა უმრავლესობამ არაფერი იცის იმ პოლიტიკურ ვითარებაზე, რაც მაშინ იყო, არაფერი იცის იმ პოლიტიკურ ეფექტზე და რეზონანსზე, რაც ამ ნაწარმოებებმა იქონია მაშინ, როდესაც დაიწერა. ჩვენ ამ გმირებთან იდენტიფიკაციას ვახდენთ ჩვენი პოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე, მაგრამ ბუნებითი სამართალი და ადამიანთა კანონმდებლობის უსამართლობა, თემის/საზოგადოების და პიროვნული თავისუფლების დაპირისპირება მუდმივ თემებად რჩება და არ ექვემდებარება დროს კონიუნქტურას. ყველა თაობამ და ინდივიდმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს ანტიგონეს მხარეს იდგება, თუ კრეონტს დაუჭერს მხარს, ალუდას აირჩევს მაგალითად, თუ ხევისბერ ბერდიას. რაც შეეხება თვითმიზნურ მორალიზატორობასა და პირდაპირ პოლიტიკურ პროტესტს, ჩემი აზრით, ეს შეუთავსებელია ხელოვნებასთან, თუნდაც იმიტომ, რომ ვიწრო დროითი დიაპაზონის ჩარჩოებში აქცევს ნაწარმოებს და, ამ შემთხვევაში, კონკრეტული ეპოქის რეალიები უკვე არა მხატვრული ტექსტის

საშენ მასალად, არამედ მკვეთრად მოხაზულ „სამშენებლო პროექტად“ იქცევა. ასეთი ნაწარმოები გასაგები რჩება მხოლოდ კონკრეტული დროითი რეალობის მონაწილეთათვის. ეს კი პროვინციალიზმია, ოღონდ არა გეოგრაფიული, არამედ ქრონოტოპული. იდეალური მხატვრული ნაწარმოები კი, როგორც წესი, თანაბრადაა გახსნილი როგორც წარსულის, ისე მომავლის მიმართ და შეუძლია დაიშინაარსოს ნებისმიერი ეპოქის კონკრეტიკა, მათ შორის პოლიტიკურიც. სწორედ ამ გარემოებას უსვამს ხაზს ბორხესი, როდესაც ერთგან შენიშნავს, რომ ყველა დიდი წიგნი ადრე დაწერილი წიგნების ნაყოფია და წარმოშობს მომავალ წიგნებს.

პირველ არხზე, რომელიც ფორმალურად საზოგადოებრივ მაუწყებლად ითვლება, არის დოკუმენტური ფილმების ციკლი, სახელწოდებით „მეხსიერება“. შემოქმედებითმა ჯგუფმა განიზრახა, ამ ციკლის ერთ-ერთი ფილმი ქართული ჭადრაკისათვის მიეძღვნა. მაგრამ მათ დაურეკეს და უთხრეს, რომ ამ ფილმში ნონა გაფრინდაშვილის ხსენება არ უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, თურმე ნუ იტყვით, ხელისუფლების ოპონენტია და ცდილობს მთელი თავისი ავტორიტეტი, ცხოვრებისეული გამოცდილება და ენერგია ამ ხელისუფლების შეცვლას მოახმაროს. გეკითხებით, როგორ შეიძლება ქართული საჭადრაკო სკოლის ისტორიაზე საუბარი ქალბატონი ნონას უხსენებლად? ცხადია, ეს ძალიან საშიში პარანოიაა და სხვა არაფერი. შედეგად, ჯგუფმა საერთოდ უარი თქვა თავის ჩანაფიქრზე და ფილმი არ გაკეთდა. ელემენტალურ პროფესიულ და ადამიანურ პატიოსნებაზე უარის თქმას, ამ ადამიანებმა თავიანთ შემოქმედებით გეგმაზე უარის თქმა ამჯობინეს. მარტო ეს ფაქტიც კმარა იმისთვის, რომ დონალდ ტრამპის მაგვარ უპრინციპო ფულის ტომარასაც კი აეხილოს თვალი საქართველოში მიმდინარე „დემოკრატიზაციაზე“, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ ამ ბინძური სატელეფონო, თუ ზეპირი (არადოკუმენტირებული) დაკვეთის გამო ახალგაზრდა ტელემაყურებლის მეხსიერებიდან იშლება ისეთი ფენომენი, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერი ერისათვის სიამაყის, მომავალი თაობების ორიენტირისა და მიმართულების მიმცემი გაკვეთილის ფუნქციას შეასრულებდა. რატომ? რისთვის? იმიტომ, რომ აბსულუტური ძალაუფლების მანიაკალური სურვილით შეპყრობილმა ჯგუფმა მმართველობის ვადა გაიხანგრძლივოს. თქვენ მეკითხებით, არის თუ არა ხელისუფლების ასეთი ქმედება შეურაცხმყოფელი? არის, მაგრამ არა იმისთვის, ვისაც ეს უბრძანეს, არამედ თავად ამ ბრძანების გამცემთათვის. ღირსეულად მოიქცა ის, ვინც ასეთი ამორალური, დანაშაულებრივი და აბსურდული ბრძანება არ შეასრულა, თუმცა ამით ჩვენი ისტორიიდან ერთი იშვიათი, ღირსეული ფურცლის ამოხევას შეუწყო ხელი. გავა დრო და აღარავინ იკითხავს, 2010 წელს ვინ მუშაობდა ტელეარხ „იმედის“ მოდელირებულ „ქრონიკაზე“ – ტალანტით დაჯილდოებული ხალხი, თუ უნიჭო ლაქიების ბრბო. არსებობს მორალური წითელი ხაზი, რომლის გადაკვეთა ერთნაირად სამარცხვინოა შემოქმედის, ტექნიკური შემსრულებლისა და დაქირავებული ინტელექტუალისათვის. რას იტყოდა ფრენსის ფუკუიამა ასეთი რამ CNN-ის, ან BBC-ის ეთერში რომ ენახა? აღიარებდა, რომ სწორედ ეს არის პოსტინდუსტრიული ეპოქის ადამიანის ჭეშმარიტი სახე და საკაცობრიო ისტორიის დასასრული? ერთი რამ ცხადია, თუკი ასეთი ფაბრიკაციები გაგრძელდება, თუ ამას შესაბამისი შეფასება არ მიეცემა, ეს მართლაც შეიძლება ისტორიის დასასრული გახდეს, ოღონდ არა საკაცობრიო, არამედ ჩვენი ქვეყნის ისტორიის დასასრული. იმისთვის, რომ ერმა, როგორც ისტორიის სუბიექტმა შეწყვიტოს არსებობა, სულაც არ არის აუცილებელი რუსული ავიაცია, კასეტური ყუმბარები და სარაკეტო დარტყმები. ამისთვის სრულიად საკმარისია ხალხმა დაივიწყოს ღირსება, დაკარგოს ელემენტალური აზროვნების უნარი და მორალი წარსულის მავნე გადმონაშთად ჩათვალოს. მე არ ვიცი რა არის იმის მიზეზი, რაც სამთავრობო არხებზე ხდება – „ზემოდან“ ჩარევა, თუ შინაგანი ცენზორი, ეს ამ ტელევიზიების თანამშრომლებმა გადაწყვიტონ.

ტექსტები, ნახატები, შენობები, კინოფილმები, ოპერები და ა.შ. (თუკი ისინი მხატვრულ ღირებულებას წარმოადგენენ), ცხოვრებას აგრძელებენ თავიანთი შემოქმედის გარეშე. ამაზე უკვე ვილაპარაკეთ. მეორე მხრივ, ავტორების პიროვნული რეპუტაცია, მოქალაქეობრივი სახე და რენომე, მხოლოდ მათი ნაწარმოებების ხარისხზე არ არის დამოკიდებული. თანამედროვენი ვაგნერს უღირს ადამიანად თვლიდნენ (ცხადია, არა ყველანი). ვინ იყო მართალი და ვინ ცდებოდა, ეს დღეს ზუსტად არავინ იცის და მე თუ მკითხავთ, არც არის საინტერესო. პასტერნაკი თვლიდა, რომ ამორალური პიროვნება ხელოვნების მაღალ ნიმუშებს ვერ უნდა ქმნიდეს. არ ვიცი, ეს საკამათოა. უბრალოდ, სასურველია შედევრის ავტორი იმისკენ ისწრაფვოდეს, რომ თავისი ნაწარმოების ღირსი იყოს. ალბათ ეს ყოველთვის არ ხერხდება. შემოქმედი ინდივიდი, თავისი სახელოსნოს, სტუდიის ან კაბინეტის მიღმა ჩვეულებრივი ადამიანია, თავისი სისუსტეებით, შეცდომებით, ვნებებით, მრისხანებითა და სასოწარკვეთით, მაგრამ შემოქმედების პროცესში მას ნამდვილად ევალება იყოს გულწრფელი და პრინციპული თავის ნაზრევთან, ნაწერთან, ნახატთან ან ნაძერწთან მიმართებაში. რაკი მწერალი ილია ჭავჭავაძე ერის წინამძღოლი იყო, არ შეიძლება ყველა მწერალს ერის მამობა მოსთხოვო. ეს არ არის მისი დანიშნულება.

არავის და არაფრის გაფეტიშება არ ღირს, მით უმეტეს შემოქმედისა. პოლიტიკური პროტექციონიზმი კი მხოლოდ ერთ შემთხვევაშია დასაშვები – თუ ადამიანს ფიზიკური საფრთხე ემუქრება. ამ თვალსაზრისით, ქართველები საკმაოდ ფრთხილი ხალხი ვართ. მე მგონი, ჩვენ იმ უნიკალური ქვეყნების რიცხვს განვეკუთვნებით, სადაც ე.წ. ანდერგრაუნდი სახელმწიფო იდეოლოგიასთან სრულ უნისონშია, სრულიად ასოციალურია, თავს ძირითადად უზრდელობით გვამახსოვრებს, ხოლო ეპატაჟს არა გამძღარ და ელიტურ კორუფციაში ჩაფლულ კლასს, არამედ მისგან ჩაგრულ ადამიანებს უწყობს. ვშიშობ, ეს უბრალოდ დროის ნიშანი კი არ არის, არამედ, ზოგადად, ქართული პარადოქსია.


G.U.R.U.
club
G.U.R.U.club. Rustaveli Ave.12, Tbilisi, Georgia
info/tickets/tables : 983803 / 855 506890

ტელევიზორზე და მასმედიაზე გაზრდილმა პირველმა თაობამ 60-იან წლებში ინდუსტრიული საზოგადოების რადიკალური შეცვლა გადაწყვიტა. აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც პროტესტის, კომუნების, ჰედონიზმის, მულტიკულტურიზმის, აქტივიზმის, სახელმწიფოს წინააღმდეგ ომის სრულიად ახალი ფორმები და კონცეფციები ჩნდება.

კონტრკულტურული ტალღა, სექსის, ნარკოტიკებისა და როკენროლის სახელით ედება ქალაქებსა და სტუდენტურ კამპუსებს. მოძრაობა კულტურული რევოლუციის ცუნამად იქცევა. ვიეტნამის ომი კი გრძელდება. და ამერიკული პროტესტის მასშტაბიც, შესაბამისად, იზრდება.

ამ დროს მილიტარისტული სახელმწიფო რასობრივი და სქესობრივი სეგრეგაციით, მკვლელი პოლიციით და პურიტანული მორალით ისევ მყარად დგას. ახალგაზრდული პროტესტის არაეფექტურობით იმედგაცრუებული ხალხი რეალურ ამბოხზე გადადის. დასავლეთ ევროპისა და ამერიკისთვის 60-70-იანები არნახული ლოკალური, ურბანული ტერორიზმის, „რეალობის განადგურების“, ტრანსფორმაციის კლასიკური პერიოდია. თვეები, როცა იქმნება „ვუდსტოკის ნაცია“, ები ჰოფმანის ურბანული შამანები პენტაგონის შენობას ცოცხალ წრეში იმწყვდევენ, რომ ის ჰაერში ასწიონ. ტიმოთი ლირი, ნიქსონის განცხადებით, „ამერიკის ნომერი პირველი მტერია“. ის ამერიკიდან ალჟირში გარბის და „შავი პანტერების“ რევოლუციურ არმიას უერთდება. სტუდენტები სორბონადან ჩიკაგომდე – სტუდქალაქებსა და უნივერსიტეტებს იპყრობენ, ბარიკადებს აწყობენ. ათასობით ადამიანი „ცნობიერებას იფართოვებს“ LSD-თი. საარჩევნო ხმების დასაცავად პირველად გამოდიან მასობრივი პროტესტებით შავკანიანები, სექსუალური უმცირესობები, ქალები. რევოლუ-

UNDERGROUND

ამინდის პროგნოზი

ავტორი: ზურა ჯიშკარიანი

ციებია აზიაში, სამხრეთ ამერიკაში, არსებობს ამერიკის სხვა ნომერი პირველი მტერიც – საბჭოთა კავშირი.

სწორედ დისიდენტური კარნავალის ამ ათწლეულში, წითელი ბრიგადებისა და ბაადერ-მაინჰოფის შემდეგ, ყველაზე ცნობილი ტერორისტული დაჯგუფება ჩნდება, სახელად – „მეტეოროლოგები“, იმ დროისათვის უკვე საკმაოდ ცნობილი სტუდენტების ჯგუფი, რომლებიც ომს უცხადებენ სახელმწიფოს და მიწისქვეშეთში გადაინაცვლებენ. ომი დიდხანს გრძელდება. „მეტეოროლოგები“ მთელი ვიეტნამის ომის განმავლობაში აფეთქებენ სხვადასხვა სამთავრობო შენობებს ამერიკაში, მათ შორის, პენტაგონსაც.

სიძულვილის დღეები

1969 წელს „სტუდენტები დემოკრატიული საზოგადოებისთვის“ ყველაზე გავლენიანი ანტისაომარი სტუდენტური მოძრაობა იყო, რომელსაც მთელი ამერიკის მასშტაბით ასი ათასამდე წევრი ჰყავდა. უკვე არსებობდა დახურული უნივერსიტეტები, სტუდენტების მიერ დაპყრობილი კამპუსები და მრავალრიცხოვანი არაძალადობრივი პროტესტის ტალღები ვიეტნამში გაჩაღებული ომის წინააღმდეგ. თუმცა მოძრაობის ლიდერთა გარკვეული ნაწილი გრძნობდა, რომ მათ მცდელობებს არანაირი კონკრეტული შედეგი არ მოჰქონდა და რომ საჭირო იყო უფრო რადიკალური პროტესტის ფორმა. მოძრაობის ამგვარად განწყობილი რამდენიმე ახალგაზრდა, მომავალი „მეტეოროლოგების“ ბირთვად, განსხვავებულ ფრაქციად ჩამოყალიბდა სტუდენტური მოძრაობის შიგნით.

საპროტესტო აქციებისა და გამოსვლებით საკმაოდ ცნობილი სტუდენტი მარკ რადი (რომელმაც წინა წელს კოლუმბიის უნივერსიტეტი „დაიპყრო“ და მის თავზე ვიეტნამის დროშა აღმართა) უკვე ინტერვიუებში ამბობდა: „ჩვენ გადავაყირავებთ ამ სისტემას. დიახ, ეს ნიშნავს ომს. უამრავი თეთრი ადამიანი ბევრ რამეს გარისკავს და შეუერთდება შავ ხალხს, შეუერთდება ვიეტნამელებს და სხვებს მთელ მსოფლიოში, ვინც უკვე დაიწყო ბრძოლა“.

ახალგაზრდა იურისტი, შემდგომში „მეტეოროლოგების“ ერთ-ერთი მთავარი წევრი ბერნარდინ დორნი კი ამბობდა: „წარმოუდგენელია არაძალადობა – ისტორიაში ყველაზე მოძალადე საზოგადოების ცენტრში“.

სტუდენტები ამბობდნენ, რომ კაპიტალისტური სისტემა ანტიჰუმანური და მოუქნელია, რომ საჭიროა ცვლილება. ისინი მთელი გულით თანაუგრძნობდნენ შავკანიანთა გათავისუფლების მოძრაობებს, განსაკუთრებით კი, „შავი პანტერების“ დაჯგუფებას, რომლის წევრების მეთოდურ გენოციდსაც ახორციელებდა ამერიკის მაშინდელი მთავრობა.

ამ პერიოდში რეალობის ტრანსფორმაციას ისინი საკუთარი თავით იწყებენ, რაც უკავშირდება ექსპერიმენტებს სექსუალურ ტაბუებთან და მონოგამიის განადგურებას. როგორც „ახალი მემარცხენეების“, 60-იანი წლების რევოლუციური ეპოქის გურუ

ჰერბერტ მარკუზე წერდა: „სისტემის ყველაზე სუსტი ადგილი იქაა, სადაც ის ყველაზე მეტად ძალადობს“. ამ ფორმულით ადვილია ასეთი აქილევსის ქუსლების გამოძებნა საკუთარ თავში და შემდეგ ამ დაინსტალირებულ პროგრამებთან მუშაობა, რაც წარსულის რეპრესიებიდან რევოლუციურ მომავალში ამისამართებს სხეულს და ცნობიერებას. „People who fuck together – fight together“, – ამბობდა მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა წევრი ტერი რობინსი, პოლიგამიური და კოლექტიური სიყვარულის ამ პრაქტიკას კი ისინი Wargasm-ს ეძახდნენ.

საზაფხულო კოლექტიური სახლები გადაიქცა რევოლუციურ ბანაკებად, სადაც ახალგაზრდები „ყოველდღიურობის ამოტრიალებისთვის“ ემზადებოდნენ. „ჩვენ ვამუშავებდით ჩვენს პირად ფსიქოლოგიურ ვარჯიშებს – რომ ვყოფილიყავით უფრო დაუნდობლები სისტემის მიმართ, მოგვეკლა ყოველივე ბურჟუაზიული ნარჩენი ჩვენს თავში“.

იმავე ზაფხულს ბერნარდინ დორნი და რამდენიმე სხვა „მეტეოროლოგი“ ჩაფრინდნენ კუბაში თავიანთ რევოლუციონერ კოლეგა ფიდელ კასტროსთან, როგორც „ამერიკის დროებითი მთავრობა დიპლომატიური აღიარებისთვის“, იქვე ისინი შეხვდნენ ვიეტნამის წარმომადგენლობასაც. ეს მთავრობისთვის ნამდვილი გამოწვევა იყო.

ოქტომბერში, საზაფხულო სკოლაგამოვლილი სტუდენტების „მეტეოროლოგთა“ ფრაქცია ამძაფრებს თავის პროტესტს ვიეტნამის ომის წინააღმდეგ. „ჩიკაგოს შვიდეულის“ (პოლიციასთან შეტაკების გამო დაჭერილი ანტისაომარი მოძრაობის წევრების, რომელთა შორის იყო ები ჰოფმანიც) სასამართლოს მსვლელობის პერიოდში – „მეტეოროლოგები“ ნიშნავენ „სიძულვილის დღეებს“ ჩიკაგოს ქუჩებში. ამ დღისთვის გამოცემულ პოსტერებზე შეგიძლიათ ნახოთ პოლიციელის შავ-თეთრი პორტრეტი წარწერით: „ღორები დადიან ქუჩაში – მაგრამ ქუჩები ხალხს ეკუთვნის! ხვდები?“, ხოლო სხვა პოსტერზე ეხატა თავისუფლების ქანდაკება წარწერით ლეგენდარული „დორსის“, ჯიმ მორისონის სიმღერიდან: „აანთე ჩემი ცეცხლი!“.

მარკ რადის და სხვა „მეტეოროლოგების“ წარმოდგენით ჩიკაგოში მოგროვდებოდა ათობით ათასი რევოლუციური სტუდენტი. 6 ოქტომბერს, „დღეების“ მოახლოების ნიშნად, ჩიკაგოში აფეთქდა პოლიციელებისადმი მიძღვნილი ქანდაკება. 8-ში კი დაიწყო „სიძულვილი“.

Bring the WAR home! („მოიტანე ომი სახლში!“) – იყო სიძულვილის დღეების მთავარი ლოზუნგი. „ჩვენი სტრატეგია იყო ის, რომ ომი უფრო თვალსაჩინო გაგვეხადა ამერიკაში, რომ ხალხს არ ჰქონოდა მისი უგულებელყოფის საშუალება. ის აქ უნდა ყოფილიყო, ჩვენს სახლში“.

„ჩვენ ვფიქრობდით, რომ რეპრესიული ძალადობის პერიოდში არაფრის კეთება – თავადაა ძალადობის უკიდურესი ფორმა“.

თუმცა თავდაპირველად აქციამ შოკში ჩააგდო „მეტეოროლოგები“ – რატომღაც, ჩიკაგოში მხოლოდ 600 ადამიანი ჩავიდა, ისინი კი ათობით ათასს ელოდნენ.

მაგრამ ქმედება თავისით დაიბადა, აქცია „ომის სახლში დაბრუნების“ ლოზუნგით გაიხსნა, მომიტინგეთა დიდი ნაწილი მოტომრბოლელების ქუდებით და ხელთათმანებით იყო მოსული აქციაზე, შესაბამისად, მოქმედების პირველ სიგნალად – იქვე მდგარი ბანკის ფანჯრების ჩამტვრევა იქცა. სტუდენტები ქალაქის ბარბაროსულ ნგრევაზე გადავიდნენ. შემდეგ ქუჩაზე, ჩიხში მათ პოლიციის ბარიკადები დახვდათ – ბევრი ფიქრის გარეშე ისინი პირდაპირ ბარიკადებზე წავიდნენ. შედეგად – 68 დაპატიმრებული, 28 დაჭრილი პოლიციელი... ზარალი აღემატებოდა 183000 დოლარს. არეულობა კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდა, 11 ოქტომბრამდე. ასე დაიწყეს „მეტეოროლოგებმა“ საკუთარი ომი პირდაპირ ჩიკაგოს ქუჩებში.

„გუშინდელი ღამე დასაწყისი იყო. თუ ვინმემ აქამდე ეს ვერ გაიგო – პოლიცია მტერია!“ – ისმოდა მეორე დღეს მიტინგზე.

ამას მოჰყვა ნიქსონის კომენტარი: „ძალადობა ამერიკაში არ არის გამოწვეული ომით, არ არის გამოწვეული რეპრესიებით, აქ არ არსებობს რაიმე რომანტიკული იდეალი. ისინი არ არიან რომანტიკული რევოლუციონერები, ეს ის კრიმინალი და მა-



ტყუარა ხალხია, რომელიც ყოველთვის ცდილობს, ითამაშოს კარგი ადამიანის როლი“.

„გამოძიების ფედერალურ ბიუროში“ სასწრაფოდ იქმნება სპეციალური დაჯგუფება, „squad 47“, რომელსაც „მეტეოროლოგებზე“ ნადირობა, მათი მოტივაციების, მიზნების, პოლიტიკური შეხედულებების, ყოველი ნაბიჯის გამოკვლევა ევალება.

„სიძულვილის დღეები“ რომლებიც, თავის მხრივ, ჰიპური კარნავალის დასასრულს უკვე აღნიშნავდა, მართლაც მხოლოდ დასაწყისი იყო, 1969 წლის დეკემბერი კი ბევრი ახალგაზრდა

„ჩვენ ვფიქრობდით, რომ რეპრესიული ძალადობის პერიოდში არაფრის ქეთეზა „თავადაა ძალადობის უკიდურესი ფორმა“.

ამერიკელი ადამიანისთვის სერიოზული სასოწარკვეთის და სახელმწიფოს მიერ ინტენსიური ზეწოლის პერიოდად იქცა. ჩარლზ მენსონის კომუნის მკვლელობა, ჟურნალ „ლაიფ მაგაზინის“ ვიეტნამის ომის შემზარავი ფოტოების პირველი დიდი სერია, პოლიცია თავხედურად კლავს ფრედ ჰემპთონს, „შავი პანტერების“ 21 წლის თვალსაჩინო წარმომადგენელს. „შავმა პანტერებმა“ მოკლულის სახლი ცოცხალ მუზეუმად გადააქციეს და სამხილები ყველას დასანახავად გახსნეს – ნებისმიერს შეეძლო შესულიყო სახლში, სადაც მოხდა ახალგაზრდა შავკანიანი რევოლუციონერის მკვლელობა, შეეძლო თავისი თვალებით ენახა ნატყვიარები კედლებში და სისხლით დასვრილი საწოლი. ფრედ ჰემპთონი საწოლში, ძილის დროს მოკლეს.

მასვე ეკუთვნის სიტყვები – „თქვენ შეიძლება, მოკლათ რევოლუციონერი, მაგრამ ვერ მოკლავთ რევოლუციას“.

ანდერგრაუნდი

1970 წლის მარტს დაჯგუფების ანგარიშზე უკვე ეწერა „შავი პანტერების“ საქმეზე მომუშავე ერთ-ერთი მოსამართლის სახლის აფეთქება, მსხვერპლის გარეშე, თუმცა ჯგუფის წევრების გარკვეული ნაწილი თვლიდა, რომ მსხვერპლი აუცილებელია. სამწუხაროდ, ეს პირველი (და უკანასკნელი) მსხვერპლი – თავად ჯგუფის სამი ახალგაზრდა წევრი აღმოჩნდა. ბომბის დამზადების დროს, ერთ-ერთმა მათგანმა რაღაც შეცდომა დაუშვა – რის შედეგადაც მთელი შენობა, სადაც ისინი იმყოფებოდნენ, აფეთქდა. ჯგუფის სხვა წევრებმა ინციდენტის შესახებ რადიოდან და მეგობრებისგან შეიტყვეს. პოლიციამ დაადგინა, რომ გარდაცვლილები „მეტეოროლოგების“ წევრი სტუდენტები იყვნენ და რომ ისინი ბომბს ამზადებდნენ – დადგა ოფიციალური გაუჩინარების დრო. ქვეყნის ყველაზე ცნობილმა სტუდენტებმა სასწრაფოდ დატოვეს ოჯახები და მიწისქვეშეთში გადაეშვნენ.

ცოტა ხანში ქალაქებში გახშირდა აფეთქებების ხმა და რადიოებში გავრცელდა აუდიოომის გამოცხადების დეკლარაცია“:

„გამარჯობა. მე ბერნარდინ დორნი ვარ.

ეს არის პირველი კომუნიკაცია ვიზერმენ ანდერგრაუნდიდან.

რევოლუცია ყველა ჩვენგანის სიცოცხლეს შეეხო. ათი ათასობით ადამიანმა ისწავლა, რომ პროტესტი და მარშები ვერაფერს შვება. რევოლუციური ძალადობაა ერთადერთი გზა“.

„ჩვენ ბევრი გზით ვიბრძვით. მოსაწევი ჩვენი ერთ-ერთი იარაღია. მარიხუანის წინააღმდეგ არსებული კანონები ნიშნავს, რომ მილიონობით ჩვენგანი უკვე დამნაშავეა დიდი ხნით ადრე, სანამ დააშავებს. იარაღები და მოსაწევი ერთიანდება ახალგაზრდულ ანდერგრაუნდში.

თუ შენ გინდა გვიპოვო, ჩვენ აქ ვართ. ყოველ ტომში, კომუნაში, საძინებელ ოთახში, ბარაკებსა თუ ფერმებში, სადაც ბავშვები ეძლევიან სიყვარულს, ეწევიან მარიხუანას და ტენიან იარაღებს.

მომდევნო 14 დღის განმავლობაში ჩვენ თავს დავესხმებით ამერიკული უსამართლობის სიმბოლოს ან ინსტიტუციებს. ამგვარად ჩვენ აღვნიშნავთ ელდრიჯ კლივერის, რეპ ბრაუნის და ყველა შავკანიანი რევოლუციონერის მაგალითს, ვინც შთაგვაგონა ბრძოლა ჩვენი ხალხის გათავისუფლებისთვის.

ამიერიდან ისინი არასოდეს იბრძოლებენ მარტო“.

„დეკლარაციას“ მოჰყვა ინტენსიური დაბომბვები. ამასთან

ყოველი დაბომბვა იყო პასუხი სახელმწიფოს გარკვეულ ქმედებებზე და აიერსის თქმით, იგეგმებოდა იმგვარად, რომ აფეთქებას ადამიანური მსხვერპლი არ მოჰყოლოდა. ხშირად აფეთქებები ისმოდა გვიან ღამით ან აფეთქებამდე რეკავდნენ შესატყობინებლად, რომ მოესწროთ შენობის ევაკუაცია.

ტერორისტების ამ „ჰუმანიზმმა“ ძალიან დააბნია ორგანოები. FBI-მ გადაწყვიტა, თავად ჩასულიყო მიწისქვეშეთში, რისთვისაც მათ მოჰიპო ფსევდორევოლუციონერებად გადააქციეს თავიანთი აგენტები და ფსევდოკომუნები შექმნეს იმ იმედით, რომ როგორმე გავიდოდნენ „მეტეოროლოგებზე“, მაგრამ ამაოდ. გამოძიება ყოველთვის ერთი ნაბიჯით უკან იყო, ვიდრე დაჯგუფება, თუ მათ ოფისს პოულობდნენ – ის უკვე მიტოვებული იყო.

9 ივნისი, 1970 – ფეთქდება ნიუ-იორკის პოლიციის შტაბბინა პოლიციის რეპრესიების საპასუხოდ.

16 ივლისი, 1970 – არმიის ბაზა სან ფრანცისკოში – კუბური რევოლუციის მე-11 წლისთავის აღსანიშნავად.

8 ოქტომბერი, 1970 – ქუინსის სასამართლოს შენობა – ნიუ-იორკის ციხეების პატიმართა პროტესტის სოლიდარობის ნიშნად.

14 ოქტომბერი, 1970 – საერთაშორისო ურთიერთობების ჰარვარდის ცენტრი – ვიეტნამის ომისადმი პროტესტის ნიშნად.

ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია ჯგუფის აქტივობიდან. იმავე წელს ბერნარდინ დორნი FBI-ს მიერ ძებნილთა ათეულში შედის, რაც არანაირად არ უშლის ხელს მას და მის ქმარს, გა-

>>> გაგრძელება გვ. 94

INTERSTATE FLIGHT - MOB ACTION; RIOT; CONSPIRACY

WANTED BY FBI

The persons shown here are active members of the militant Weatherman faction of the Students for a Democratic Society - SDS.

Federal warrants have been issued at Chicago, Illinois, concerning these individuals, charging them with a variety of Federal violations including interstate flight to avoid prosecution, mob action, Antiriot Laws and conspiracy. Some of these individuals were also charged in an indictment returned 7/23/70, at Detriot, Michigan, with conspiracy to violate Federal Bombing and Gun Control Laws.

These individuals should be considered dangerous because of their known advocacy and use of explosives, reported acquisition of firearms and incendiary devices, and known propensity for violence.

If you have information concerning these persons please contact your local FBI Office.

William Charles Ayers
W/M, 25, 5-10, 170
brn hair, brn eyes

Kathie Boudin
W/F, 26, 5-4, 128
brn hair, blue eyes

Judith Alice Clark
W/F, 20, 5-3, 125
brn hair, brn eyes

Bernardine Rae Dohrn
W/F, 28, 5-5, 125
drk brn hair, brn eyes

ინტერვიუ მონტი ალექსანდერთან

ავტორი: კახა თოლორდავა
ფოტო: ლევან ხერხეულიძე, მარიკა ქოჩიაშვილი

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

დიუქ ელინგთონის დაკარგული წერილი

ჩემი ოჯახი იამაიკიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში 1961 წელს გადმოვიდა. მაშინ ჩვიდმეტი წლის ვიყავი და ერთადერთი, რაზეც ვოცნებობდი, ჯაზის დაკვრა იყო. ამერიკაში ჩასვლიდან ერთი წლის შემდეგ, ჩემი კარგი მეგობრის მამამ, რომელიც სახელგანთქმული Cotton Club-ის თანამფლობელი იყო, დიუქ ელინგთონის მენეჯერთან, ერვინ მილზთან მიმიყვანა. მოხდა ისე, რომ დიუქიც იქ დამხვდა. რა თქმა უნდა, მის შესახებ გამეგო, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ ვაცნობიერებდი მისი მიღწევების მასშტაბებს. მილზმა დიუქს უთხრა, ეს ერთი იამაიკელი ბიჭია და კარგად უკრავს ფორტეპიანოზეო. დიუქმა ამხედ-დამხედა და მომიგდო, თუ ასეთი მაგარი ხარ, მიდი აი იმ პიანინოსთან და რამე დაგვიკარიო. ჩემთვის ოღონდ კი დაკვრა ეთხოვათ! მივედი და დავუკარი. იმ მომენტში არ ვიცოდი, რომ მილზის კაბინეტში დიუქის ყოფნა ჩემი მეგობრის მამამ მოაწყო. მისი გათვლით, თუ ელინგთონს ჩემი დაკვრა მოეწონებოდა, მაშინ გაადვილდებოდა დიუქისთვის იმის თხოვნა, რომ ჩემთვის სარეკომენდაციო წერილი დაეწერა საემიგრაციო სამსახურში გასაგზავნად. მხოლოდ მოგვიანებით გავიგე, რომ ელინგთონმა მართლაც გამიწია წერილობითი რეკომენდაცია და იმ დღიდან ვცდილობ, იმ წერილის ასლის მოპოვებას, თუმცა უშედეგოდ. ხუმრობა ხომ არაა, მე ხომ თვით ელინგთონის დახმარებით გავხდი ამერიკელი!

ერთ მშვენიერ დღეს იმ კლუბში, სადაც ვუკრავდი, ფრენკ სინატრამ შემოაბიჯა. პირველი, რაც მან მითხრა ჩემი მოსმენის შემდეგ, აი ეს იყო: **„მიდი, ბიჭი, ისვინგავე, ისვინგავე!“**

ფოტო: მარიკა ქორიაშვილი

ბიჭი, რომელმაც ქუჩაში ისწავლა ცხოვრება

ბავშვობიდანვე ვერ ვეგუებოდი მათ, ვინც ჭკუის დარიგებით ცდილობდა, რაიმე ესწავლებინა ჩემთვის, განსაკუთრებით მუსიკის მასწავლებლებს ვერ ვიტანდი. მათი ჭკუის დარიგება რა ჯანდაბად მინდოდა, როდესაც ბავშვობიდანვე მქონდა იმის ნიჭი, რომ ყურით, ანუ სმენა-სმენით გამეგნო გზა მუსიკაში! ზოგად მუსიკალურ განათლებას არ ვგულისხმობ, მუსიკის სულში წვდომის უნარი მაქვს მხედველობაში. ამას ვერცერთ მუსიკალურ სკოლაში ვერ გასწავლიან, სამაგიეროდ ამას სწავლობ დიდ მუსიკოსებთან ურთიერთობის დროს. ძალიან გამიმართლა მათ გვერდზე რომ გავიზარდე! ისინი არა მარტო მუსიკას მასწავლიდნენ (თანაც ისე, რომ ჭკუას არაფერზე მარიგებდნენ), არამედ იმასაც, თუ როგორ მივახლოვებოდი მუსიკას და როგორ შემომეშვა ის ჩემში. ყველაფერი ეს ბუნებრივად ხდებოდა და სწორედ მათთან ერთად გატარებულმა დრომ დამანახა, თუ როგორ აერთიანებს მუსიკა ადამიანებს. მე მუსიკოსად მილთ ჯექსონმა, რეი ბრაუნმა და დიზი გილესფიმ მაქციეს. მათი მეშვეობით გავიზარდე, როგორც მუსიკოსი და როგორც ადამიანი. სწორად გამიგეთ, ქედს ვიხრი მუსიკალური სასწავლებლების და მათი ძალისხმევის წინაშე, მაგრამ ყველამ იცის, რომ მონტი ალექსანდერი მათ ხელში გაუვლელი მუსიკოსია. მე ის ქუჩის ბიჭი ვარ, ვინც ქუჩაში ისწავლა მუსიკის დაკვრა და გარწმუნებთ, ამაზე ერთი წამიც კი არ მინანია!

ჯაზი, მხოლოდ ჯაზი!

ამერიკელების ცნობისმოყვარეობა ამოუწურავია! ეს ყოველთვის ასე იყო და მუსიკოსები, ამ მხრივ, გამონაკლისი არ არიან. ისინი ხარბად ისრუტავენ ყველაფერს, რასაც სხვა კულტურები სთავაზობენ და მზადყოფნით რთავენ ახალ აკუსტიკურ გავლენებს თავიანთ მუსიკაში. გასული საუკუნის სამოციანების დასაწყისშიც, როცა ამერიკაში გადავსახლდი საცხოვრებლად, ზუსტად ასე იყო. ყურადღებით თუ მოუსმენთ ნიუ-ორლეანში შექმნილ მუსიკას, ადვილად დაიჭერთ კავშირს ამ მუსიკასა და კუნძულებიდან ამერიკაში მოხვედრილ მუსიკას შორის. რა თქმა უნდა, ჯაზის ძირითადი გავლენა აფრიკული წარმოშობისაა, მაგრამ მოუსმინეთ ჯერი ლი მორთონს, ქიდ ორს, ლუი არმსტრონგს და კუნძულების მუსიკის ზეგავლენასაც გადააწყდებით მათ მუსიკაში. ნიუ-ორლეანული მუსიკის სულს კუნძულებიდან მოსული სულიც, მისი რიტმებიც ურევია. რატომ? იმიტომ, რომ ეს ინტერესი ორმხრივი იყო. იამაიკელ მუსიკოსებს, რა წამსაც კი ისინი ჯაზის ეშხს შეიგრძნობდნენ, ბერდის, მაილზის და დიზის გვერდზე ყოფნა სწყუროდათ. ყველა კარგი იამაიკელი მუსიკოსის ერთადერთი სურვილი ამერიკაში მოხვედრა იყო. იამაიკურმა მუსიკამ მზადყოფნით მიიღო ჯაზი. იმ დროს სულ პატარა ბიჭი ვიყავი და მახსოვს, რომ მეც სრულიად მომნუსხა ჯაზმა და ჯაზმენებმა. ყველაფერი მომწონდა მათში – როგორ ეცვათ, როგორი მიმოხვრით მოძრაობდნენ, როგორ ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, როგორ ეკავათ

ფოტო: მარიკა ქოჩიაშვილი

ინსტრუმენტები, როგორ უკრავდნენ და ძალიან ვამაყობდი იმით, რომ თავიანთ გვერდზე ყოფნის უფლებას მაძლევდნენ. მე იმ კლუბებში შესვლის უფლებაც კი მქონდა, სადაც ისინი უკრავდნენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ შემეძლო თვალყური მედევნებინა მათთვის. აი, ასე ვიზრდებოდი მუსიკოსად!

"მიდი, ბიჭი, ისვინგავე, ისვინგავე!"

მე ის იშვიათი მოვლენა ვარ, ვინც ამა თუ იმ მუსიკალურ ინსტრუმენტთან პირველი შეხებისთანავე ინსტრუმენტის ნაწილად აღიქვამს თავს. პირველად რომ ფორტეპიანოს მივუჯექი, რა თქმა უნდა, დაკვრა ჯერ კიდევ არ ვიცოდი, მაგრამ იმ დროსაც კი უკვე საკუთარ თავს ვუკრავდი. მოგვიანებით, ოდნავ რომ წამოვიზარდე, ბუგი-ვუგის და ბლუზის პიანისტებს ვბაძავდი, თუმცა მაშინ მე უკვე ვუსმენდი შოპენს, ლისტს, სხვა კლასიკოსებს და მიუხედავად იმისა, რომ დახვეწილი ინსტრუმენტალისტისგან ჯერ კიდევ შორს ვიდექი, უკვე ვგრძნობდი, თუ როგორ მიზიდავდა ფორტეპიანოს ბგერა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შეეძლო მთელ ორკესტრად ქცეულიყო. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ფორტეპიანოს შესაძლებლობები ამოუწურავია. ის ყველა კომბინაციაში უნიკალურია, მისი რიტმული ასპექტები საშუალებას გაძლევს, ნებისმიერ კომბინაციას მოარგო ის, მაგრამ ამავე დროს, შეხედეთ ქაუნთ ბეისის, რომელიც თითქოს მოუხეშავად „კენკავდა“ ნოტებს ფორტეპიანოზე დაკვრისას და ამ დროს სრულიად ახალ სიღრმეებს ხსნიდა მასში. მოკლედ, მე დამემართა ის, რაც ზოგჯერ ემართებათ ხოლმე პატარებს, ერთი ნოტი ავიღე და ფორტეპიანოდ ვიქეცი. ამ დროს არაფრის მეშინოდა, არც ინსტრუმენტის მდიდარი მემკვიდრეობის და არც მისი ათვისებისათვის აუცილებელი ძალისხმევის გაღებისათვის ვიშურებდი დროს. საკუთარ თავში თვითდარწმუნება კი დროის განმავლობაში იზრდებოდა. როდესაც შტატებში გადავედი საცხოვრებლად, ერთ მშვენიერ დღეს იმ კლუბში, სადაც ვუკრავდი, ფრენკ სინატრამ შემოაბიჯა. პირველი, რაც მან მითხრა ჩემი მოსმენის შემდეგ, აი ეს იყო: "მიდი, ბიჭი, ისვინგავე, ისვინგავე!" იმავეს მეუბნებოდნენ ქენონბოლ ედერლი და სხვა ჯაზმენები და მათი სიტყვები წახალისების ყველაზე მნიშვნელოვანი სახე იყო, რაც კი მუსიკოსმა შეიძლება მიიღოს. მერე კი დრო გადის, შენ დაკვრას აგრძელებ და პიროვნულადაც ძლიერდები. ასე იბადება შენი განუმეორებელი ბგერა ინსტრუმენტზე!

ნოტები? რა ნოტები?

აცვენილი, მეამბოხე ბიჭი ვიყავი და ისიც უკვე გითხარი, რომ მასწავლებლებთან ყოფნა დიდად არ მეპიტნავებოდა. „ალექსანდერ (გვარით მომმართავდნენ ხოლმე!), შენ აი ეს უნდა ისწავლო, და ასე უნდა დაუკრა!“ მე მათი დარიგებები ფეხზე მეკიდა, რადგანაც იმ დროისათვის უკვე ჩემს რაღაცებს ვუკრავდი. მე ჩემით, სხვების დაუხმარებლად, ვუახლოვდებოდი ინსტრუმენტს, ისინი კი სახაზავს მირტყამდნენ ხელზე!

>>> გაგრძელება გვ. 96

ფოტოზე: კატაიადუ ბაბი (მალი), როქეია ქაბირ (ბანგლადეში), ზაბელ ნაკარი (ეკვადორი), ელა რივერა ჟობანა (ნიკარაგუა), ლორნინ ბეგეთოლის ბრიონეს (ფილიპინი), მირანდა ახვლედიანი (საქართველო)

8 ქალი ერთი ხმით

განვითარებად ქვეყნებში ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობისთვის

საერთაშორისო ორგანიზაცია ოქსფამი დაარსდა 1942 წელს და დღეს იგი მუშაობს 80-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. სიღარიბისა და უსამართლობის აღმოფხვრისა და უკეთესი მომავლის შექმნის მიზნით ოქსფამი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ პარტნიორულ ორგანიზაციებთან, მოხალისეებთან და მხარდამჭერებთან.

2009 წელს ორგანიზაციამ ახალი, უნიკალური პროექტი წამოიწყო. საერთაშორისო კაბინეტი – 8 ქალი (W8), ცენტრალური ამერიკიდან, აფრიკიდან, ევროპიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან, საერთო მისიით მუშაობს – ხელმისაწვდომობა უფასო განათლებასა და ჯანმრთელობაზე. რვიანის წევრი საქართველოდან, მირანდა ახვლედიანი, პროექტის მისიაზე, 8 ქვეყნის საერთო და განმასხვავებელ პრობლემებზე და საერთაშორისო კაბინეტის აქტივობაზე გვესაუბრება.

რა იყო საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში ამ პროექტის შექმნის მიზეზი და მიზანი და როგორ აირჩა სხვადასხვა კონტინენტიდან 8 ქვეყანა, მათ შორის საქართველო?

რვავე ქვეყანა, რომელმაც ეს საერთაშორისო კაბინეტი შეადგინა, განვითარებადი და ოფიციალური საერთაშორისო დახმარების მიმღები ქვეყანაა. შერჩევის შემდეგი ნიშანი კონტინენტური წარმომადგენლობა გახლდათ – ერთი ქვეყანა ნიკარაგუა, სამხრეთ ამერიკულია, მალი და მალავი აფრიკული, ევროპიდან მხოლოდ საქართველოა, აზიიდან კი – ინდოეთი, ტაილანდი, ბანგლადეში და ფილიპინები.

საქართველოში ოქსფამის დახმარებით 2005 წელს შეიქმნა და დღემდე აგრძელებს მუშაობას გლობალური მოწოდება სიღარიბის წინააღმდგ მიმართული ქმედებისაკენ (GCAP) კამპანიის ქართული ვერსია კოალიცია "მომავალი სიღარიბის გარეშე". კოალიცია აერთიანებს 50-მდე ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს და პიროვნებებს რომლებიც აქტიურად იბრძვიან რათა ათასწლეულის განვითარების მიზნები მიღწეულ იქნას საქართველოში 2015 წლისთვის. კოალიციის მიერ იდენტიფიცირებულ პრობლემებს წარმოვაჩენთ ჩვენ საერთაშორისო დონეზე. კამპანია, რომელსაც ჩვენ – W8 ვაწარმოებთ, სიღარიბის დაძლევასთან ერთად, ათასწლეულის განვითარების მიზნებთანაც არის დაკავშირებული. ძირითადად ჯანდაცვის და განათლების სფეროებზე ვართ ორიენტირებული. პროექტის ფარგლებში ჩვენ განვითარებული ქვეყნების ლიდერებს ვხვდებით და ვაცნობთ პრობლემებს, რომლებიც მათ შეიძლება სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლობისგან იციან, მაგრამ ჩვენ ამ პრობლემებს მათთან არასამთავრობოების თვალით დანახულს წარმოვაჩენთ. ეს, ერთი მხრივ, ხელს უწყობს წარმოჩენას, რომ ჩვენი ქვეყნები დემოკრატიულია და რომ არსებობს არასამთავრობო სექტორი, რომელიც აქტიურად მუშაობს. ეს დადებით გავლენას ახდენს დონორ ქვეყნებზე. ჩვენი ქვეყნის პრობლემების მათთვის უკეთ გაცნობა კი ხელს უწყობს საერთაშორისო დონორული დახმარების გაძლიერებას.

გარკვეულ ეტაპზე წარმოიშვა მოსაზრება, რომ ის დახმარება, რომელსაც დონორი ქვეყნები ჩვენს ქვეყნებს აძლევენ, ფუჭად გაღებულია და რეალურად ქვეყნებში ამ დახმარების საფუძველზე არ ხდება ძირეული ცვლილებები. არის ასეთი პროფესორი, დამბისა მოია, სხვათა შორის აფრიკული წარმოშობის, რომელმაც დაწერა წიგნი „Dead Aid" (მკვდარი დახმარება), რომელშიც დახასიათებული აქვს საერთაშორისო დახმარების არაეფექტურობა, თუ რა ტყუილად იხარჯებოდა დონორი ქვეყნების მიერ მიცემული თანხა აფრიკისთვის. საინტერესო წიგნია, მაგრამ ბევრ მოსაზრებას, მით უმეტეს მის მიერ დასმულ საკითხს, დახმარების შემცირების ან სულაც, შეწყვეტის შესახებ, ჩვენ არ ვიზიარებთ. თუნდაც იმიტომ, რომ შეს-

ფოტოზე: მირანდა ახვლედიანი (საქართველო), ლეონორ მაგტოლის ბრიონეს (ფილიპინი), როქეია ქაბირ (ბანგლადეში), ესპანეთის დედოფალი სოფია

ფოტოზე: მირანდა ახვლედიანი (საქართველო), ბარონესა ფონ ბარანტ, ივ ლეტერმი (ბელგიის პრემიერ მინისტრი)

რულდეს ათასწლეულის განვითარების მიზნები – 2015 წლისთვის. გაეროს ამ დეკლარაციას საქართველოს მთავრობამაც მოაწერა ხელი, თუმცა დღეს არ გვაქვს კარგი მაჩვენებლები. თუ გვინდა, რომ მსოფლიოში განახევრდეს სიღარიბე და გაუმჯობესდეს ჯანდაცვის ინდიკატორები, ამისთვის დახმარების გაძლიერებაა საჭირო და არა პირიქით, როგორც ზოგიერთი მეცნიერი თვლის.

კონკრეტულად რა ნაბიჯებს დგამს 8 ქალი იმისთვის, რომ დახმარების გაზრდის აუცილებლობაში დაარწმუნოს განვითარებული ქვეყნები?

ჩვენ სამიზნე ჯგუფი ევროკავშირი, აშშ და იაპონიაა, განვითარებული ქვეყნები. გვქონდა რამდენიმე ტურნე ევროპასა და კანადაში, კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. 2009 წლიდან პირველი შეხვედრა გერმანიაში შედგა ეკ. და განვითარების მინისტრთან. შთამბეჭდავი იყო ჰოლანდიის პრინცესა მაქსიმასთან შეხვედრა. ასევე, საკმაოდ მნიშვნელოვანი შეხვედრა შედგა ბელგიის პრემიერ მინისტრ ივ ლეტერმთან და ესპანეთის დედოფალ სოფიასთან

ყველა შეხვედრა დაახლოებით ერთ ფორმატში მიმდინარეობს. ჩვენ, პრეზენტაციების სახით, წარმოვადგენ ჩვენს ქვეყანას და ვსაუბრობთ ჯანდაცვასა და განათლების სფეროებში კონკრეტული დახმარების გაძლიერების აუცილებლობაზე. ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა, ვფიქრობ, ბრიუსელში, ევროპარლამენტში შედგა. შეხვედრის თავმჯდომარე მაიკლ ქეშმენი ათასწლეულის მიზნების სპეციალური მომხსენებელია ევროპარლამენტში. ჩვენი პრეზენტაციები არ არის მარტო მშრალი სტატისტიკა ქვეყნების შესახებ, არამედ ეს არის რეალური ისტორიები, ადამიანების პრობლემების და საჭიროებების შესახებ.

ევროპული ტურნეს ფარგლებში, ესპანეთში, პარლამენტარებთან გვქონდა შეხვედრა. შევხვდით ასევე ჩილეს ექსპრეზიდენტ ქალბატონს მიშელ ბაშელეტს და მერი რობინსონს, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის უმაღლეს კომისარს. ყველა ამ შეხვედრას თან ახლავს კამპანია ქვეყნებში, ვიზიტები ტელევიზიებში, ინტერვიუები, ინფორმაციის გავრცელება ფლაერების საშუალებით და ა.შ.

ჩვენ ვცდილობთ დავარწმუნოთ ქვეყნის ლიდერები, რომ ვვითარდებით, გარკვეულწილად სწორედ საერთაშორისო დახმარების შედეგად, რომ ჩვენ ვართ დემოკრატიული ქვეყნები, და რომ ჩვენთან ძლიერია არასამთავრობო სექტორი, რაც მათთვის მნიშვნელოვანია, რამდენადაც ეს მათი დახმარების გაკონტროლების საშუალებაცაა.

რატომ 8 ქალი? ხომ არ უკავშირდება ეს ერთგვარ მოსაზრებას, რომ სოციალურ პრობლემებზე, როგორიც ამ შემთხვევაში ჯანდაცვა და განათლებაა, ქალები მეტ ყურადღებას ამახვილებენ?

იდეა იყო, რომ ეს ყოფილიყო დიდი რვიანის ალტერნატივა, რომელსაც მოგეხსენებათ, ძირითადად მამაკაცები წარმოადგენენ. ამასთანავე, ჩვენ ყოველთვის ვხსნით, რომ ჩვენი ჯგუფი არ უნდა იყოს გაგებული, როგორც ფემინისტური ორგანიზაცია, რომელიც გენდერის საკითხებზე მუშაობს, არამედ ეს არის საერთაშორისო კაბინეტი, რომელიც ჯანდაცვის და განათლების პრობლემებზე მუშაობს.

მიუხედავად იმისა, რომ რვავე წევრ ქვეყანას საერთო სამუშაო სფეროები აქვს, საინტერესოა, როგორია ამ სფეროებში მათი პრობლემების მსგავსება და განსხვავება.

ყველაზე ცუდი მდგომარეობა აფრიკის ქვეყნებშია, ძალიან დიდია დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი მალავიში. განათლების პრობლემაა ნიკარაგუაში, აფრიკასა და ტაილანდში, განსაკუთრებით გოგონებისთვის.

ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ 8 სხვადასხვა ქვეყნიდან ვართ, ერთ საერთო მიზანზე ვთანხმდებით – ხარისხიანი განათლების და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა.

რამდენად ითვალისწინებს პროექტი წევრების ერთმანეთის ქვეყნებში სტუმრობას და განსხვავებული გამოცდილებების ურთიერთგაზიარებას?

ეს წელი, სწორედ შიდა კამპანიის წარმოებისთვისაა დაგეგმილი. შეიძლება ჩვენი ჯგუფიდან რამდენიმე ქალბატონი ჩამობრძანდეს. წევრ ქალბატონებს უაღრესად საინტერესო ბიოგრაფიები აქვთ. მაგალითად ქალბატონი ბანგლადეშიდან როქეია ქაბირი, ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან იბრძოდა ბანგლადეშის გათავისუფლებისათვის. წინა წლებში ის ნობელის პრემიაზე იყო წარდგენილი მშვიდობის დარგში.

ქალბატონი ფილიპინებიდან, ლეონორ მაგტოლის ბრიონეს, მრავალი წლის მანძილზე პარლამენტარი და ეკონომიკის მინისტრი იყო, დღეს უკვე არასამთავრობო ორგანიზაციას ხელმძღვანელობს. საინტერესოა, რომ მისი ორგანიზაცია ყოველ წელს თავისი ქვეყნის მთავრობას ალტერნატიულ ბიუჯეტს სთავაზობს, აქცენტი, რა თქმა უნდა, ჯანდაცვასა და განათლებაზე კეთდება. რიგ საკითხებში მისი მოსაზრება ფილიპინების ხელისუფლებას გაუთვალისწინებია კიდეც.

ნიკარაგუელი ქალბატონი, ელბა რივიერა ურბინა სკოლის მასწავლებელია და განათლების შესახებ არასამთავრობო კოალიციას ხელმძღვანელობს. ის თავის მაგალითზე ჰყვება, როგორი პრობლემა იყო მის ქვეყანაში განათლების მიღება გოგონებისთვის. თვითონ 18 წლის ასაკში ისწავლა წერა–კითხვა და დღეს ეს 50 წელს გადაცილებული ქალბატონი, სტაჟიანი მასწავლებელია.

რას ელოდებით დიდ რვიანთან შეხვედრისას, გაქვთ თუ არა განსახილველი თემების კონკრეტული გეგმა?

ჯერ კონკრეტული მუშაობა არ დაგვიწყია. განვითარებული ქვეყნების ლიდერებს ვთხოვთ თანადგომას – ჩვენი ქვეყნების განვითარებაში, სიღარიბის ეფექტურად დაძლევაში და ათასწლეულის განვითარების მიზნების შესრულებაში.

ესაუბრა ნათია გულიაშვილი

რეკლამა

Oxfam international W8

ტიბეტი ისევ ლოცულობს

ავტორი, ფოტო: სერგი ბარისაშვილი

ზანგმუდან (ნეპალი-ჩინეთის საზღვარი) ტიბეტის დედაქალაქ ლჰასასკენ მიმავალ გზაზე უამრავი პილიგრიმი მხვდება. ტიბეტის სხვადასხვა კუთხიდან პროსტრაციებით (ტიბეტური ლოცვა) მუხლუხოსავით ნელ-ნელა გადიან ასობით და ზოგჯერ ათასობით კილომეტრს, რომ ჯოხანგის ტაძარს ესტუმრონ.

დედამიწის ზურგზე თუკი რომელიმე ადგილს სულიერებასთან განსაკუთრებული კავშირი აქვს, ტიბეტი, მათ შორის, ალბათ, ერთ-ერთი პირველია. „მსოფლიო სახურავი“ – ასე ეძახიან ტიბეტს სიმაღლის გამო (საშუალოდ 4000მ ზღვის დონიდან). მისტიური შამბალას სამეფოს ძიებაში არაერთი ეზოთერიკოსი შესდგომია ტიბეტის ზეგანს...

ჰიმალაის ჩრდილოეთით განფენილი ეს უზარმაზარი პლატო ფართობით დაახლოებით დასავლეთ ევროპის ზომაა (2 მლნ კვ. კმ), მოსახლეობა კი სულ რაღაც 3 მილიონია. მიუხედავად იმისა, რომ ტიბეტი ინდოეთს ესაზღვრება, ბუდიზმი იქ უფრო გვიან გავრცელდა, ვიდრე შორეულ აღმოსავლეთში და ამის მიზეზი ჰიმალაის მაღალი მთებია. ტიბეტურ ბუდიზმში ოთხი ძირითადი მიმდინარეობა გამოიყოფა: ნიინგმა, კაგიუ, საკია და გელუგი. საერთოდ, ტიბეტელებისა და ტიბეტური კულტურის გასაგებად ბუდიზმის ძირითადი პრინციპების: კარმა, რეინკარნაცია, ოთხი კეთილშობილი ჭეშმარიტება, დჰარმა და ა.შ ცოდნა აუცილებელია.

ნეპალიდან ტიბეტში (ჩინეთში) სახმელეთო გზით გადასვლისას ყველაზე მეტად თვალში ბლოკპოსტებისა და ფორმიანების (პოლიციელების და სამხედროების) სიმრავლე მხვდება. ჩანთებს გულმოდგინედ გიჩხრეკენ და თუ დალაი-ლამას ფოტო ან ტიბეტის დროშა გიპოვეს, მინიმუმ უკან გამობრუნება არ აგცდება. გიდიც ფორმალურად გყავს მომაგრებული, რომ გითვალთვალოს და „ქვეყნის ინტერესების“ საწინააღმდეგო არაფერი ჩაიდინო. მოკლედ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს უკან სსრკ-ში მოვხვდი, თან ფორმებიც ზუსტად ისეთი აცვიათ, როგორც საბჭოთა მესაზღვრეებს. აქ ყველგან დიქტატორული რეჟიმისათვის დამახასიათებელი სისუფთავე და წესრიგია. გრძნობ, როგორ ემშვიდობები ჰინდუსების „ქაოტურ შივას“ და ესალმები ჩინელების „დისციპლინირებულ კონფუცის“.

1959 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ რაც ტიბეტის სულიერი და პოლიტიკური ლიდერი – დალაი-ლამა იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო, ტიბეტელები თავიანთ მიწაზე მეორეხარისხოვად ადამიანებად იქცნენ. ცენტრალიზებული კომუნისტური რეჟიმის პირობებში კი მათთვის ლოცვა და მედიტაცია კვლავინდებურად პასიური წინააღმდეგობის საუკეთესო ფორმად რჩება.

ჩინეთის მთავრობის მცდელობის მიუხედავად, დაასახლოს ჩინელები ტიბეტის პლატოზე, მსოფლიო სახურავი კვლავ რჩება ადგილად, რომლის მკაცრ კლიმატურ პირობებს მხოლოდ ტიბეტელები უძლებენ. ტიბეტელი ბიჭი გზის მშენებლობაზე მომუშავე მამასთან ერთად. ტიბეტი.



ტიბეტელი ლტოლვილი ქალი მედიტაციისას. ბოუდანატის ტაძარი, კატმანდუ.

ე.წ. მასალა ჩაი რძით და სპეციებით ფხიზლად ყოფნის საუკეთესო საშუალებაა. ნაგარკოტი, ნეპალი.

ტელევიზია, ისევე როგორც ყველგან, პროპაგანდის ნომერ პირველი საშუალებაა. შიგაძე, ტიბეტი.

ჩაკცალი, ანუ პროსტრაციები, რომელიც ნირვანას პრინციპისადმი ერთგულებას გამოხატავს, ტიბეტური ბუდიზმის განუყოფელი ნაწილია. ბარკჰორის მოედანი, ლჰასა, ტიბეტი.

მზის ენერგია ტიბეტში, სადაც ზღვის დონიდან მაღალი მდებარეობის გამო ხე არ იზრდება, ძვირად ფასობს. ტიბეტელები სახლში გაკეთებული სპეციალური ამრეკლებით ჩაის ადუღებენ. გიანცე, ტიბეტი.

ტიბეტის პლატო ზღვის დონიდან მაღალი მდებარეობის გამო (საშუალოდ 4000მ) მთის უდაბნოს წარმოადგენს, თავისი მცირე დიუნებით, ამიტომაც ხშირად ნახავთ ადგილობრივებს პირზე აკრული ნიღბით. ლალუნგ-ლას უღელტეხილი (5050), ტიბეტი.

ტიბეტელებისათვის ბავშვის გაჩენა სრულიად გაცნობიერებული ქმედებაა, რომელიც შვიდ საფეხურს მოიცავს და ჯერ კიდევ ჩასახვამდე იწყება. ჯოხანგის მონასტერი, ლჰასა, ტიბეტი.

ტიბეტურ ბუდიზმში საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობა დადებითი კარმის გამომუშავების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ითვლება. ახალგაზრდები ბერებს კარების შეღებვაში ეხმარებიან. ტაშილუნპოს მონასტერი, შიგაძე, ტიბეტი.

ალბათ, ბუდიზმი ყველაზე ფილოსოფიური რელიგიაა მსოფლიოში. „ბუდას თვალების“ ქვეშ ლტოლვილი ტიბეტელი ბერი ფილოსოფიურ ტრაქტატს კითხულობს. ბოუდანატი, კატმანდუ, ნეპალი.



წითელ-ყვითელი მოსასხამები ტიბეტელ ბერებს მედიტაციისას სიფხიზლის შენარჩუნებაში ეხმარება. ლტოლვილი ტიბეტელი ბერები ვიპასანა მედიტაციისას. ბოუდანატი, კატმანდუ, ნეპალი.

THE LAW OF FIVEs

Fnord?!

ავტორი: დავით ჩიხლაძე



კერი თორნლის და გრეგ ჰილის მსგავსად, მეც აქსიომის გამოგონებით მინდა დავიწყო, თუმცა მათ იუმორისა და სერიოზულობის დაკავშირების ხელოვნებაში ვერ შეევდრები, მაგრამ მაინც – მითხარი რამდენად საინტერესოა შენი ქვეყნის სუბკულტურა და გეტყვი, რამდენად საინტერესოა შენი ქვეყნის კულტურა. და პირიქით. ცალ-ცალკე მათ მართლაც ვერ გამოიგონებ.

ვიცი, როდესაც ჰაკიმ ბეის „ათასწლეული“ და ფრენსის ფუკუიამას „ისტორიის დასასრული“ უკვე დაწერილია და ჩვენი მეზობელი ქვეყნების (რუსეთი, თურქეთი) ინტერნეტსაიტებზეც მათი მოპოვება არანაირ ძალისხმევას აღარ მოითხოვს, კულტურულ მემარცხენეობაზე ლაპარაკი, წესით, ყველას დიდი ხნის წინ უნდა მობეზრებოდა. მეორე მხრივ, ბევრი თინეიჯერი ლიბერტარიანელი ახალი ლიბერალიზმის საქართველოში, პინკ ფლოიდის და ლედ ზეპელინის სახელით დღეს, 40 წლის შემდეგ, ბიტნიკური და ჰიპური „ახალი“ სულისკვეთებისკენ მოგვიწოდებს. და არავინ ფიქრობს იმაზე, თუ რატომ დააგვიანდათ ასე ადამიანებს? რა არის მიზეზი – იუთუბის ინტერვენცია თუ ფაქტი, რომ საქართველოში წიგნები ცუდად იბეჭდება და იყიდება.

კონტრკულტურაც დღეს ბევრს თანამედროვე ხელოვნებაში მიმართულება ჰგონია. არიან ისეთებიც, ვისაც ის ინტელექტუალურ დენდიზმად ან ძალზე მარტივად და უბრალოდ – ანტიკულტურულობად წარმოუდგენია. მავანნი მის ავთენტურ სათავეში პოლიტიკურ მემარცხენეობას ეძებენ და ჰგონიათ, რომ, ვთქვათ, ანდერგრაუნდი, ლენინი ან ავლაბრის იატაკქვეშა სტამბა, პიერ პაოლო პაზოლინი და კომუნისტური პარტია ერთი და იგივე საგნებია.

მე ვფიქრობ, რომ მსოფლიოში, ყველაფერი ცოტა ადრე დაიწყო, ვიდრე გასულ საუკუნეში, როცა თუნდაც ჰიპები მოევლინებოდნენ კაპიტალისტურ საზოგადოებას. პირველი წიგნი, რომელიც ამერიკული სუბკულტურის ერთგვარი თეორიული სტიმულატორი გახდა, ორი კალიფორნიელი ყმაწვილის, კერი ვენდელ თორნლის და გრეგორი ჰილის ერთობლივი ნამუშევარი იყო – „პრინციპია დისკორდია ანუ როგორ დაიკარგა დასავლეთი“.

„ორგანიზებული რელიგია ქადაგებს წესრიგს, მაგრამ ავრცელებს ქაოსს, – წერდა წინასიტყვაობაში კერი თორნლი, – და რატომ? იმიტომ, რომ მთელი მატერიალური სამყარო არის ქაოსის, განხეთქილებისა და ბრძოლის ბერძნულ-რომაულ ქალღმერთ ერისის მფლობელობაში“.

წიგნის პირველი გამოცემა, ექვსი წლის დაგვიანებით, მხოლოდ 1965 წელს გახდა შესაძლებელი ნიუ-ორლეანში და მხოლოდ 5 ეგზემპლარად. ყოველი შემდგომი გამოცემისას ტირაჟის რაოდენობა იზრდებოდა და ყველაზე ცნობილი გახდა მეოთხე, 1970 წლის გამოცემა, რომელსაც სათაური შეეცვალა – „პრინციპია დისკორდია ანუ როგორ აღმოვაჩინე ქალღმერთი და რა ვუყავი მას, როდესაც მე ის აღმოვაჩინე. მალაკლიპს უმცროსის მაგნუმ ოპიატი, სადაც ახსნილია აბსოლუტურად ყველაფერი, რისი ცოდნაც კი ღირებულია აბსოლუტურად ნებისმიერ რამეზე“.

მე ამ წიგნის შესახებ პირველად 1990 წელს გავიგე, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატებიდან ანდერგრაუნდის ყველაზე ფართოდ ცირკულირებადი ჟურნალის „Factsheet 5“ ნომრები ვნახე. საერთოდ ზინის (შემოკლებული „მეგეზინ“) კულტურას ჩვენთან იატაკქვეშა პრესას ან სამიზდატს უწოდებდნენ, თუკი ასეთი კულტურა საერთოდ არსებობდა რამდენიმე რუსული გამონაკლისის გარდა, რომლებიც პოლიტიკური ამბიციების მქონე უფრო იყო, ვიდრე კულტურული.

სწორედ ამ ჟურნალში წავიკითხე პირველად ის, თუ როგორ აღმოაჩინა ორმა ამერიკელმა პრანკსტერმა ქაოსის ქალღმერთი ერისი ანუ პრინციპია დისკორდია. ჩემთვის მართლა გამოცანა იყო, რელიგია იყო ეს თუ ხუმრობა. მერე ამას კერი თორნლის ახალი წიგნიც მოჰყვა – „ძენარქია“ (ძენ ბუდიზმის და ანარქიის შეერთებით მიღებული ნეოლოგიზმი) და უკვე თითქმის დავრწმუნდი, რომ საქმე მართლაც მქონდა, როგორც რაღაც ახალ რელიგიასთან, ასევე ახალ ურბანისტულ-ჰიპსტერულ ხუმრობასთანაც.

წიგნი აღწერს ე.წ. დისკორდიანულ საზოგადოებას და ესთეტიკურად ამერიკული ანდერგრაუნდის პირველ ბიბლიას წარმოადგენს. ის შედგენილია ხელნაწერი და საბეჭდი მანქანის ტექსტების,

კლიპ არტის და შტამპების გამოყენებით. ამ ახალ ნახევრად სახუმარო და ნახევრად სერიოზულ რელიგიას ავტორებმა დაარქვეს პ.ო.ე.ე. (POEE) – ანუ პარათეოანამეტამისტიკოსები ეზოთერიული ერისის.

კერი ვენდელ თორნლი 1938 წელს დაიბადა. აღიზარდა როგორც წესიერი მორმონი, მაგრამ 1960-იანი წლებიდან ამერიკული კონტრკულტურის ყველაზე გამორჩეული და აქტიური ფიგურა გახდა. მისი მსოფლმხედველობითი შეხედულებები ძალზე დიდ დიაპაზონს მოიცავდა, როგორიცაა ათეიზმი, ანარქიზმი, ძენ ბუდიზმი, ნეოპაგანიზმი, სუბგენიუსის ეკლესია და სხვა. სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს ამერიკის საზღვაო ფლოტში 20 წლის ასაკში. მას მოუხდა სამსახურის გავლა იმავე რადარულ განყოფილებაში, სადაც ლი ჰარვი ოსვალდი, შემდეგში კენედის მკვლელობაში ბრალდებული, მსახურობდა. მათ მაშინ ბევრი საერთო აღმოაჩნდათ და თავისუფალ დროს განიხილავდნენ ჯორჯ ორუელის „ათას ცხრაას ოთხმოცდა ოთხს“ და მარქსიზმის ფილოსოფიას. როდესაც 1959 წელს იაპონიიდან მისი დანაყოფი ბრუნდებოდა ამერიკაში, მან ამ დროს სამხედრო გაზეთიდან გაიგო, რომ მისი მეგობარი ოსვალდი საბჭოთა კავშირს ჩაბარდა. კერი თორნლის პირველი წიგნიც „მოცლილი მეომრები“ სწორედ მის მეგობარ ოსვალდს ეძღვნებოდა, კენედის მკვლელობამდე ჯერ კიდევ რამდენიმე წლით ადრე, რომელმაც ლი ჰარვი ოსვალდის შესახებ დაწერილ წიგნებში ქრონოლოგიურად პირველი ადგილი დაიკავა. სწორედ ამ საბედისწერო დამთხვევის გამო კერი თორნლის წლების განმავლობაში დაკითხვებზეც მოუხდა სიარული და ჩვენებების მიცემა კენედის მკვლელობის შეთქმულებაში მონაწილე ეჭვმიტანილის სტატუსით. მის ამ პირველ წიგნსაც კონფისკაცია გაუკეთეს და სამუდამოდ სახელმწიფო არქივში გამოკეტეს.



კერი თორნლი რეგულარულად წერდა სვეტს რუბრიკით „კონსპირაციის თეორია“ მაიკ განდერლოის ზინში „Factsheet Five“, სანამ ეს გამოცემა ჯერ არაბუნებრივად გლუვი გარეკანის მქონე გახდებოდა (ეტყობა, ჰიპების მოდური მემკვიდრეების, 90-იანების იაპების – Yuppy – Young Urban Professional Person – ტექნოკრატიული სუბკულტურის ესთეტიკის შესაბამისად) და მერე კი არსებობას შეწყვეტდა 90-იანების ბოლოს.

კერი თორნლი ოსვალდის მოვლენების მერე მართლაც გატაცებული აღმოჩნდა კონსპირაციის თეორიებით და ბოლოს პარანოიამდეც მივიდა, რასაც თვითონვე ადასტურებდა. მის პარანოიკულ ხილვებში კი ხშირად ძნელი გასარჩევი იყო, როდის ხუმრობდა ის, ანუ როდის ლაპარაკობდა სერიოზულად.

მაგრამ ეს არ იყო მთავარი. ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა რობერტ ანტონ უილსონმა დაწერა წინასიტყვაობა 70-იანებში დაბეჭდილი „პრინციპია დისკორდიას“ მეხუთე გამოცემისთვის, სადაც ის ამბობს, რომ კერი თორნლის და გრეგ ჰილის ეს ნამუშევარი კლასიკაა ამ სიტყვის ყველაზე საკრალური გაგებით, literatus Immortalis. იქვე იხსენებს, რომ სამოცდაათიან წლებში ამ წიგნის შესახებ უკვე ჰონგ კონგში და ავსტრალიაშიც კი იცოდნენ და რადგან სტამბური გამოცემა აღარ იყიდებოდა, ქსეროქსის ასლები ვრცელდებოდა. მისტერია ამ ნაწარმოების ირგვლივ დიდი იყო, ზოგს ეგონა, რომ ეს წიგნი ტიმოთი ლირიმ დაწერა, ზოგი ფიქრობდა, რომ ავტორი რობერტ ანტონ უილსონი იყო. მოვლენების ასეთი განვითარება, შეიძლება ითქვას, სწორედ დისკორდიანიზმის გეგმაში ჯდებოდა – „პრინციპი“ ხომ ღვთაებად ქაოსს აცხადებდა.

„ორგანიზებული რელიგია ქადაგებს წესრიგს, მაგრამ ავრცელებს ქაოსს, – წერდა წინასიტყვაობაში კერი თორნლი, – და რატომ? იმიტომ, რომ მთელი მატერიალური სამყარო არის ქაოსის, განხეთქილებისა და ბრძოლის ბერძნულ-რომაულ ქალღმერთ ერისის მფლობელობაში“. ამ წიგნში იუმორთან ერთად მართლაც ბევრია სკრუპულოზური ცოდნა ყველანაირი საკითხის, რაც კი იდუმალებას, ან ფილოსოფიას შეეხება. „თქვენც შეგიძლიათ გაიაქტიუროთ გირჩისებური ჯირკვალი ყოველ დილით გაღვიძებისას ამ წიგნის თავიდან ბოლომდე წაკითხვით: ძილის წინ თვალებს შორის სანდალოზის პასტის შეზელვით; დღეში ხუთჯერ იატაკზე თავის დარტყმით; ტარაკნებისადმი ზიანის მიყენებისგან თავის შეკავებით და მედიტაციით (რაც ნიშნავს უბრალოდ ჯდომას და იღბლის მოლოდინს). და საბოლოოდ, როდესაც თქვენი გირჩისებური ჯირკვალი აენთება, თქვენ სიცოცხლის ბოლო წუთამდე აღარასოდეს გექნებათ მოსვენება“.

ეს იყო სრული ანარქიის და თავისუფლების მოძღვრება, თუნდაც საკუთარი აბსოლუტისტური დეცენტრალიზაციის მოდელით. „მე ნუ დამეკონტაქტებით ორთოდოქსული დისკორდიანული საზოგადოების ცენტრალურ ოფისში!

თქვენი წერილები და შენიშვნები ერთმანეთს გაუგზავნეთ“, – ასე მიმართავდა კერი თორნლი მკითხველებს.

„პრინციპია დისკორდიამ“ რობერტ ანტონ უილსონზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. კერძოდ კი, მის და რობერტ შიას ყველაზე გახმაურებულ ერთობლივ რომანზე „ილუმინატუს! ტრილოგია““. შეიძლება ითქვას, რომ ჰაკიმ ბეი (იგივე პიტერ ლამბორნ უილსონი) ამერიკულ კონტრკულტურაში ასევე დისკორდიის ტრადიციის გაგრძელებაა. მის გამოცემებში გავრცელებული ანტიკოპირაიტის ტრადიციად დისკორდიანულ წიგნებზე აღნიშნული ანტისაავტორო წარწერა უნდა მივიჩნიოთ – All Rights Reversed (ყველა უფლება უკუგდებულია).

საინტერესოა ასევე დასავლეთის თანამედროვე ქაოსის მაგიის ტრადიცია, სახელგანთქმული თანამედროვე ავტორი ფილ ჰაინი და მისი ნაწარმოებები „კონდენსირებული ქაოსი“ და „პირველადი ქაოსი“. უფრო ადრე კი ფანატიზმისგან დაზღვეული ასეთი სერიოზული ოკულტისტური ხუმრობების წიგნი გიორგი გურჯიევს ჰქონდა დაწერილი „ბელზებულის მონათხრობი საკუთარი შვილიშვილისადმი“, რომელსაც მეორენაირად „ყველა და ყველაფერი“ ერქვა.

დისკორდიანიზმი არის პაროდია რელიგიაზე, ანდა ოკულტიზმი, რომელიც პაროდიის ქვეშაა დამალული. ხუმრობა, რომელიც სერიოზულია და პირიქით, სერიოზულობა, რომელიც ხუმრობაა. ქალღმერთი ერისი ბერძნულ მითოლოგიაში მართლაც არსებობს, და ალბათ ჩვენს სინამდვილეშიც, როგორც მას დისკორდიას ავტორები გვეუბნებიან. სწორედ ამ ქალღმერთმა ისროლა განხეთქილების ოქროს ვაშლი პელევსის და თეტიდას ქორწილში, რამაც ტროას ომი და მისი დაცემა გამოიწვია. მთავარი დისკორდიანული მითი კი არის მისტერ გრეიფეისის (ქართულად, რუხსახიანის) მითი, რომელიც ამბობს – იქ სადაც ტოტალური წესრიგის დამყარებას ცდილობენ, საპირისპირო, დესტრუქციული ქაოსი წარმოიქმნება. კერი თორნლი ამბობს: „ადრე, როდესაც სახლში დავბრუნდებოდი და ვხედავდი, როგორი არეულობაა ჩემს ოთახში, ეს ძალზე მთრგუნავდა. ეხლა კი, ასეთ დროს უბრალოდ წამოვიძახებ, ჰეი, სალამი, ერის!“.

დისკორდიანული ონტოლოგია ხუთსაფეხურიანია: 1. ქაოსი – პირველადი მდგომარეობა, სადაც ხდება ბუნებრივი თვითორგანიზება. 2. განხეთქილება – მმართველობის და მმართველი კლასების წარმოქმნა, რაც იწვევს დაძაბულობას საზოგადოებაში. 3. არეულობა – მმართველი კლასების მიერ პირველადი მდგომარეობის მიღწევის მცდელობა გარეგნული მეთოდებით. 4. ბიუროკრატია – საზოგადოება თანდათან წყნარდება, იდეები და რიტუალები ადამიანებზე მაღლა დგას. ხელისუფლებაში მოდიან იდიოტები. და 5. შედეგები – ბიუროკრატია იჭყლიტება საკუთარი წონის ქვეშ და აღდგება პირველადი ქაოსი.

კერი თორნლის ბევრი რამ ჰქონდა ნასწავლი მაჰაიანა ბუდიზმში, კერძოდ კი მისი ცენტრალური სწავლება ანატას შესახებ, ანუ, რომ არაფერს და არავის არ გააჩნია „მე“ და მხოლოდ ამ ჭეშმარიტების ფაქტობრივი და არა თეორიული რეალიზება იწვევს ადამიანის განთავისუფლებას კონფუზიისგან, რასაც ძენ ბუდიზმის მონასტრებში მთელ ცხოვრებასაც კი უთმობდნენ. დისკორდიანიზმი ასევე ემყარება მეორე მთავარ ბუდისტურ ჭეშმარიტებასაც, ანიკას, რომ ყველაფერი მუდმივ მოძრაობაშია და ცვალებადია. ამიტომაც, დისკორდიანიზმის სენტენციებს ხშირად ამსგავსებენ ძენ ბუდიზმის რინძაის სკოლის აბსურდისტულ განმარტებებს. სინამდვილეში ერთადერთი, რაც არსებობს, არის ქაოსი, ხოლო ისეთი დასახელებები, როგორიცაა უწესრიგობა და წესრიგი, მხოლოდღა მასზე ხელოვნურად მიმაგრებული იარლიყები და ილუზიებია. ამერიკულ კონტრკულტურაშიც, რომელიც გასულ საუკუნეში არსებობდა, გალერეებამდე და უნივერსიტეტებამდე ადრე, ყველაფერი არის Fnord, ეს ერთგვარი პოლიტიკურ-კოსმიური კომიქსების წიგნი ჰიპსტერებისა და მათი მემკვიდრეებისთვის, ეს უცნაური გამოგონილი სიტყვა ორი ამერიკელი ყმაწვილის – კერი ვენდელ თორნლის, იგივე რავენჰურსტის და გრეგ ჰილის, იგივე მალაკლიპს უმცროსის.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე კერი ვენდელ თორნლიმ გაიხსენა თავისი ახალგაზრდობის მეგობრის და თანაავტორის, გრეგორი ჰილის სიტყვები „პრინციპია დისკორდიადან“: „და ასეა ეს – ჩვენ, ადამიანები, არ ვარსებობთ მანამ, სანამ არსებობას არ დავიწყებთ; და მერე ჩვენ ვთამაშობთ არსებული საგნების ჩვენს სამყაროსთან მორგებით, ვალაგებთ და ვურევთ მას. და ასეა ეს – არარსებობას უკან მივყავართ არსებობიდან და ეს გამოუთქმელი სულიერება უბრუნდება სიცარიელეს, როგორც დაღლილი ბავშვი ბრუნდება სახლში გიჟური ცირკიდან“.

ჩანაწერები

ავტორი: ლანა ღოღობერიძე

გამოვიდა ზაირა არსენიშვილის ახალი წიგნი „თელავიდან თბილისამდე“. ჩემს ეგზემპლარში ზაირამ სათაურს ხელით მიაწერა ქვესათაური „მერცხლის ერთი გაფრენა“ (რომელიც ვერ დაიბეჭდა, რადგან ავტორს გვიან მოუვიდა ეს აზრი). მე კი ამ მშვენიერმა და თან ახლადაღმოჩენილმა გამოთქმამ (რითაც ასე მდიდარია ზაირას ნაწარმოებები) ბევრი ფიქრიც აღმიძრა და სევდაც მომგვარა.

თელავიდან თბილისამდე (ისევე, როგორც ბათუმიდან გორამდე, ქუთაისიდან მესტიამდე, ზუგდიდიდან ბიჭვინთამდე, და საერთოდ, საქართველოს ერთი წერტილიდან მეორემდე) ხომ მართლაც „მერცხლის ერთი გაფრენაა“. და მთელი ჩვენი ქვეყანაც ესაა – მერცხლის ერთი გაფრენა! ერთი გადაიფრინა მერცხალმა და უკვე სხვა მხარეში ვართ, სხვა პეიზაჟში, სხვა ენობრივ სამყაროში, სხვა კულტურის წიაღში, სხვა გარემოცვაში, ზოგჯერ მტრულშიც კი!

მიწა-წყალი – ასე მცირე და ასეთი მდიდარი, ასეთი წარმტაცი, ასეთი მრავალფეროვანი – მარადთოვლიანი მთა

და მობიბინე ველ-მინდვრები, ზღვა, ხშირად „ისეთი წყნარი, რომ ვერც კი იხსენებ, არის თუ არა“, და მიუვალი ჭიუხები... პატარა ქვეყანა „ყურესა ამა ქვეყნისასა“... და კიდევ ამიტომაც ვალდებულნი ვართ – ყოველი ჩვენგანი – მარტო მისი სადღეგრძელოები კი არ წარმოვთქვათ დიდი გზნებით და არტისტიზმით (რითიც ასე უხვად ვართ დაჯილდოებულნი), არამედ განსაკუთრებული სიფაქიზით მოვუაროთ ყოველ გოჯ მიწას, ყოველ წყაროს და მდინარეს, ყოველ მთასა და ბორცვს, ყოველ ხეობას, ყოველ ბუჩქსა და ხეს, განსაკუთრებით ასწლიანს, რომელთაც ასე გამეტებით და დაუნდობლად ვძირკვავთ... და კიდევ – ერთმანეთსაც გავუფრთხილდეთ, ყოველ ჩვენგანს, ყოველ განსხვავებულად მოაზროვნეს, რაღაცით სხვანაირს, და ჩემი აზრით, ეს მოწოდება სხვადასხვაგვარად, მაგრამ მაინც ორივეს ეხება, ხელისუფლებასაც და საზოგადოებასაც... რადგანაც მთელი ეს ჩვენთვის განკუთვნილი მხარე მერცხლის ერთი გაფრენაა!

იმ საღამოსაც, როგორც ყოველთვის, გვიანობამდე

ვისხედით ჩვენი სახლის რკინის აივანზე და მე, ჩემთვისაც მოულოდნელად, ეს ლექსი წავუკითხე რეზოს და მან ისე ზუსტად გაიგო ჩემი განწყობა, რომ დიდი ხნით გაჩუმდა

და მხოლოდ ხელი მომიჭირა ხელზე, როგორც დიდმა ადამიანმა, თუმცა თვითონ მხოლოდ 14 წლისა იყო,

და ისევ ზაირა არსენიშვილის პროზა. ბოლო წლებში – სამი რომანი, მოთხრობები, „ნათელი ხსოვნა“ – წასულ ადამიანთა პორტრეტები... ჩემი აზრით, ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში ამ პროზას სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. რომანები – „რეკვიემი ბანის, სოპრანოსა და შვიდი ინსტრუმენტისთვის“, „ვა, სოფელო“, მოთხრობები – „როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა“, „მოგონება შორისა“ – იმ შავბნელი საბჭოთა დროის ნამდვილი მატიანეა. პროზა, რომელსაც კახეთის მიწის სურნელი ასდის და ცოტათი – „იმდროინდელი“ თბილისის ქუჩებისა, მუდმივი შიშის ატმოსფერო, ყოფასა და ყოველდღიურობაში ჩაძირული და დეტალებით დახუნძლული, მოულოდნელი, ზოგჯერ უცნაური ამბები, ნათქვამი იდიომატიკითა და იშვიათად მდიდარი ლექსიკით დატვირთული, მსუყე ენით, ტრაგიზმი გაზავებული ცინცხალი, ხალხური იუმორით... მთელი ჩვენი ხანგრძლივი, ახალგაზრდობიდან მხარდამხარ გატარებული წლების მანძილზე სულ მაკვირვებდა ზაირას რაღაც ზღვარგადასული (როგორც მე მეჩვენებოდა) ცნობისმოყვარეობა. ცნობისმოყვარეობა ყველა წვრილმანის მიმართ, ვინ, სად, რომელ ქუჩასა და რომელ სახლში, ვისთან ერთად, როდის, ფაქტები, ფაქტები, უფრო ხშირად – სრულიად უმნიშვნელო... რაში გაინტერესებს, ვეუბნებოდი ხშირად, და ზაირა, მისთვის ჩვეული გულუბრყვილო ღიმილით, მხრებს იჩეჩავდა, მაინტერესებს და რა ვქნაო. მე კი გვიან მივხვდი, რომ ეს ცხოვრებისეული წვრილმანებისადმი უქმი და ობივატელური ინტერესი კი არ იყო, არამედ მისი მწერლური წარმოსახვის საზრდო, მას სჭირდებოდა სხვისი გამოცდილებაც, სხვისი თავგადასავალიც, სხვისი ცხოვრების დეტალებიც, რომ თავისი მეხსიერების შრეებში ჩაეფინა და მერე, ოდესმე, აემეტყველებინა კიდეც. მისი მეხსიერება კი მართლაც შეუზღუდავია. თითქოს თავში ჩალაგებული აქვს ამბები, ისტორიები და თარიღები, და ადამიანები, ადამიანები, სიყვარულით დატენილები და მოღალატეები, თავგანწირულები და გამყიდველები, მედგარნი და შიშით ატანილები, სვებედნიერნი და უიღბლონი, და უმწეონი... ავტორს კი ყველა ამ პერსონაჟისადმი თანაგრძნობა ამოძრავებს, ისეთი მძაფრი თანაგრძნობა, რომ ის შენშიც ყველა სხვა ემოციას თრგუნავს, თვით სიძულვილსაც კი იმის მიმართ, ვინც ბოროტებას განასახიერებს. მაგრამ მოვლენებისა და სისტემის მიმართ პროტესტი, იქნებ სწორედ სისტემის იარაღისა და იმავდროულად, მსხვერპლის – ადამიანისადმი თანაგრძნობის გამო, მაინც უმთავრეს განცდად ილექება სულში.

თბილისის ოპერის ორკესტრი, სადაც მრავალი წლის მანძილზე უკრავდა ზაირა (ვიოლინოზე), ე.წ. ორმო, ლადო მესხიშვილის მუდმივი ქილიკის საგანი – ჩახვედი ორმოში, ნუ გეშინია, ოდესმე ამოგიყვანთ ორმოდან და ა. შ., აი, ეს ორმოა ზაირას პირველი რომანის „რეკვიემის“ სარბიელი. ორკესტრი – სხვადასხვა ეროვნების, რჯულის, სქესის, ასაკის ადამიანთა ერთობლიობა, მათი ვნებების, მისწრაფებების, აღმაფრენის, გამყიდველობის თარეში. არ მეგულება არათუ ქართულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაშიც ასეთი მძაფრი ფერებით დახატული ეს ორგანიზმი, რომელიც ფეთქავს, ფორიაქობს, ბორგავს, ბობოქრობს, იცინის, დასცინის... ღელავს იმის გამო, რომ სოღანლუღთან რეპრესირებულთა მემორიალი უნდა გაიხსნას, რაც თავზარს სცემს ორკესტრში იდეოლოგიის ბურჯს – კონცერტმაისტერ გენას.

რომანის გამჭოლი სიუჟეტური ხაზი (დეტექტივისათვის დამახასიათებელი სიუჟეტური სიმძაფრით მოთხრობილი) 37 წელს დაჭერილი და დალუპული 20 წლის კომპოზიტორის ეჟი ხადაროვსკის „რეკვიემის“ ძებნაა; პარტიტურას დაუცხრომელი ენერგიით და უშედეგოდ ეძებს განო, ეჟის მაშინდელი და (მარადიული) შეყვარებული, ეძებს ყველგან, თბილისში, ლენინგრადსა თუ პეტერგოფში (ორკესტრის გასტროლების დროს), და ბოლო-ბოლო ნაწილ-ნაწილ იპოვის „ახალგაზრდა მთხზველი“ მომაკვდავ სამუილთან და ეჟის მეტოქე და მოძულე ჯერიკოსთან. მაგრამ ეს, ერთი შეხედვით, მარტივი სიუჟეტური ხაზი დამძიმებული და გამდიდრებულია ზაირასათვის დამახასიათებელი დროსა და სივრცეში უსასრული გადახტომებით, გადახვევებით, ჩართვებით, 37 წლის ეპიზოდებით, სიზმრებით, ზმანებებით, სხვადასხვა, ხშირად შემთხვევითი, პერსონაჟების მონათხრობებით, რათა საბოლოოდ შეიქმნას მატიანე – იმ ავბედითი დროის მატიანე, რომელიც ამავე დროს ჩვეულებრივი ადამიანური ვნებებით დატვირთული ცხოვრების ანარეკლიც არის.

რომანი სავსეა მძაფრი მხატვრული სახეებით, რომელთა

შორის განსაკუთრებით ერთი გამოირჩევა: ჯერიკო ეძებს თავისი გეპეუშნიკი მამის მკვლელებს (რომლებიც სწორედ მისმა მამამ დააწიოკა), ეძებს, რომ შურისძიების წყურვილით შეპყრობილმა, მოსპოს და გაანადგუროს, და მტრის ნაცვლად პოულობს იმას, ვინც დარჩა მთელი ოჯახიდან: ფერდობზე ბებერი ქალი ჩამომჯდარა, დიდი გაჭირვებით სწევს მაღლა ხელს და ისე ამოძრავებს, თითქოს ასოები გამოჰყავს. აგერ, ეტყობა დაეღალა, მეორე ხელის გული შეუყენა იდაყვს და ასე განაგრძო „წერა“ და ჯერიკოს შეკითხვაზე უპასუხა: „რას დავწერ?! ჩემი შვილების სახელებს ვაწერ ჩვენს მთა-ველსა, ხო უნდა დარჩეს ბეჭედი მათი სიცოცხლისა?! – მერე, წვიმა-ქარი არ შლის დაწერილს? – ყველას მაინც ვერა შლის, ზოგჯერ მისძრავ-მოსძრავს ხოლმე ასოებს, მოვალ და გავასწორებ აქა-იქა. აბა, გაიხედე, გახედე გორ-გურებსა, მერე ქვევით, ალაზნის ველსა და კავკასიონს, თუ სადმე მოინაკლისო, მითხარი...“ და მოსისხლე მტერი – ჯერიკოც – იძულებულია „იკითხოს“ ველ-მინდვრებზე და მთაგორებზე მიწერილი ბიჭების სახელები.

მაგრამ ამგვარი ტრაგიკულ-პათეტიკური ინტონაციის გვერდით რომანში სულ სხვა კილოც ისმის, ირონიული და დამცინავი: „რახილის მახვილი, დაუნდობელი თქმით, ჩვენი გენადი, ვერტიკალურ მდგომარეობაში თუ ნამდვილი მეხი და მედგარი იყო და მთელ ჩვენს ორკესტრში იდეოლოგიის უქრობ ჩირაღდნად ენთო, ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გადასვლისთანავე მას აგონებდა დანოტიოებულ ასანთს, რომლის გაკრთომა და გაქრობა ერთი იყო. და რახილი, რომელიც ანდაზურ-აფორისტული განზოგადოებების ტრფიალიც გახლდათ, მით უმეტეს, თუ საქმე სიყვარულს ეხებოდა, ონავრული სიცილით დაასკვნიდა: „ჩემი ტემპი და ხასიათია ალეგრო კონ ბრიო. აბა, როგორ? სიყვარული ფაფის ჭამა კი არ არის, სიყვარული ძალმომრეობაა, ჩვენი გენა კი მხოლოდ და მხოლოდ იდეოლოგიური მოძალადეა“.

ამ ბოლო დროს ჩვენთან დამკვიდრდა აზრი: რუსეთისგან განსხვავებით, საქართველოში არაფერი დაწერილა საბჭოთა დროის შესახებ, არც მაშინ, სისტემის მძვინვარების დროს, არც ახლა. თითქოს ის წლები არც გადაგვიტანიაო, რაც, ცხადია, ჩვენს საყოველთაო კონფორმიზმზე მიუთითებს. მე კი ვფიქრობ: ჩვენს პატარა ქვეყანაში თუ თუნდაც ორი მაღალმხატვრული რომანი და რამდენიმე მოთხრობა მიეძღვნა იმ შავბნელ დროს, ეს უკვე ამ პოსტულატის გამაბათილებელი არგუმენტია. აქ ისიც არის სათქმელი, რომ მოთხრობა „როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა“ 1967 წელს არის დაწერილი, ასევე „ვა, სოფელოს“ დიდი ნაწილი (ზაირას ამ ჩანაფიქრის მიხედვით გადავიღე მაშინ ფილმი „დღეს ღამე უთენებია“). მოთხრობაში კი აღწერილია, როგორ ჩამოვარდა და გატყდა ბიბლიოთეკაში სტალინის ბიუსტი და ამ საზარელი ამბის დასამალად როგორ დანაყა ბიუსტის ნაწილები ქვასანაყში ბიბლიოთეკის გამგემ და ასე მოსპო მისი კვალი, რაც თავის გადარჩენის ერთადერთი შანსი იყო! (სხვათა შორის, ეს ამბავი რეალურად მოხდა თბილისში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, სადაც გამგედ მუშაობდა ჩვენი მეგობრის და ცნობილი მხატვრის – რეზო თარხან-მოურავის დედა, ჩვენთვის ძალიან საყვარელი, მუდამ მოფუსფუსე და მომღიმარი, ყოველთვის ასეთი ხალისით რომ გვეგებებოდა რეზიკას მეგობრებს და მაშინვე სუფრას გვიშლიდა – ცხადია, იმდროინდელი ყოფის შესაბამისად, ძალიან მწირს – პატარა და თხელი დეიდა თამარა, და სწორედ ეს უწყინარი დეიდა თამარა იყო, ვინც, უეცრად თავსდატეხილი განსაცდელით თავზარდაცემული, მალულად, ღამღამობით ნაყავდა დიდი ბელადის გატეხილ ბიუსტს, რომ ასე დანაყული გადაეყარა და ამგვარად ეს საშინელი დანაშაულიც დაემალა!).

ამ ბოლო დროს ჩვენთან დამკვიდრდა აზრი: რუსეთისგან განსხვავებით, საქართველოში არაფერი დაწერილა საბჭოთა დროის შესახებ. რაც, ცხადია, ჩვენს საყოველთაო კონფორმიზმზე მიუთითებს. **მე კი ვფიქრობ: თუ თუნდაც ორი მაღალმხატვრული რომანი და რამდენიმე მოთხრობა მიეძღვნა იმ შავბნელ დროს, ეს უკვე ამ პოსტულატის გამაბათილებელი არგუმენტია.**

13 წლის ვიყავი, როცა ჩემი უახლოესი ადამიანი, ის, ვისთანაც ვცხოვრობდი დედაჩემის დაპატიმრების მერე და ვინც უდედმამოდ დარჩენილი ბავშვის თავგანწირული სიყვარულით მიყვარდა, – რაჟდენ-ბიძა დაიჭირეს (ის რამდენიმე თვის მერე ციხეში გარდაიცვალა). სახლიდან გავიქეცი, არავის ნახვა არ მინდოდა, მთელი დღე სადღაც დავხეტიალობდი, ღამით მტკვრის ნაპირზე ამოვყავი თავი. ჩაბნელებული სანაპირო სრულიად უკაცრიელი იყო და რაღაცნაირად უცხოც, აქ არასოდეს დავდიოდით სასეირნოდ. იმ დღეს კი სწორედ ეს უცხოობა და უკაცრიელობა მიზიდავდა. ის აბსოლუტური მარტოობა. და ბნელი ღამე. რაღაც კუნძი ვიპოვე და ჩამოვჯექი, და ჩემი უნუგეშობა თავისთავად სტრიქონებად აიკინძა:

უმთვარო ღამე მეძახის უხმოდ,
ჩემებრ ეული გულზე მეხვევა,
გულს ნაიარევს თავისკენ უხმობს,
როგორც ნუგეშის ფრთხილი შეხება.
რადგანაც დავრჩი მასავით მარტო,
მე რაჟდენ-ბიძას „შავტუხა გოგო“,
პატარა მხრებით როგორ ვზიდო ამხელა დარდი,
ანდა უმისოდ ვიცხოვრო როგორ.
ვიცი, დავკარგე სამუდამოდ მე მოსვენება,
აქ სახლშიც ვხედავ კედლებს ციხისას,
მხოლოდ ეგ სახე, ვით მოჩვენება,
აღმობრწყინდება, როგორც თილისმა.
ბნელ სუდარაში მთლად გავეხვიე,
გულშიც ჩამდგარა უნათლო ღამე,
ელვა ელვარებს, თავზე მეხია,
მოდი, დაბრუნდი, მითხარი რამე...

ეს იყო ჩემი პირველი „თხზულება“, ჩემთვის იმდენად ინტიმური, რომ არც ჩამიწერია და არც არავისთვის წამიკითხავს, ჩემი მაშინდელი უახლოესი ბიჭის (ვისთანაც მუდმივად და ყველაფერზე ვლაპარაკობდით, ვლაპარაკობდით კი არა, ვქაქანებდით) – რეზო თაბუკაშვილის გარდა; – იმ საღამოსაც, როგორც ყოველთვის, გვიანობამდე ვისხედით ჩვენი სახლის რკინის აივანზე და მე, ჩემთვისაც მოულოდნელად, ეს ლექსი წავუკითხე რეზოს და მან ისე ზუსტად გაიგო ჩემი განწყობა, რომ დიდი ხნით გაჩუმდა და მხოლოდ ხელი მომიჭირა ხელზე, როგორც დიდმა ადამიანმა, თუმცა თვითონ მხოლოდ 14 წლისა იყო, (მაგრამ ჩვენს წრეში უკვე საყოველთაოდ „აღიარებული“ პოეტი). მერე, „დიდობაში“, ეს სტრიქონები აღარც გამხსენებია და მხოლოდ ამ ორიოდე წლის წინ ამომიტივტივდა მეხსიერების ფარული წიაღიდან, და ჩემში იმ ბავშვის მიმართ თანაგრძნობაც გამოიწვია და ირონიული ღიმილიც, და აქაც, ცხადია, როგორც ლიტერატურის ნიმუში კი არ მოვიყვანე, არამედ როგორც დოკუმენტი, დოკუმენტი კატაკლიზმებით დაღდასმული დროისა, დანახული მარტოდ დარჩენილი და სასოწარკვეთილი ბავშვის თვალით. დროის ამსახველ ყოველგვარ დოკუმენტს კი, რა თქმა უნდა, თავისი ღირებულება აქვს.

თავისუფლებისაკენ სწრაფვა... ეს, ალბათ, ის თვისებაა, რომელიც ყველაზე ბუნებრივია ადამიანისათვის და რომელსაც, ამავე დროს, ყოველი პიროვნების არსებობის მანძილზე უამრავი განსაცდელი და ცდუნება ატყდება თავს, რათა მის განვითარებას ხელი შეუშალოს და ჰომო საპიენსის დომინანტურ მიდრეკილებად ვერ იქცეს. მით უმეტეს, თუ ეს პატარა ჰომო საპიენსები ტერორის მძვინვარების ეპოქაში იზრდებიან. და საბოლოოდ მაინც არაფერს – არც ახლობლების დაჭერებს და დახვრეტებს, არც ცენზურას, არც საზოგადოებიდან გარიყვას, არც ყველაფერ ამასთან დაკავშირებულ და ირგვლივ გამეფებულ შიშს – არ შეუძლია ამ სწრაფვის ბოლომდე ჩაკვლა! რადგან ადამიანს ადამიანად სწორედ თავისუფლებისადმი სწრაფვა აქცევს! და აქ მინდა მოვიტანო თამაზ ჩხენკელის ჩემ მიერ უკვე არაერთხელ ციტირებული ლექსი, რომელსაც ფარულად „თავისუფლება“ ერქვა, ლექსი, 17 თუ 18 წლის თამაზის მიერ სწორედ ტერორის მძვინვარების ეპოქაში დაწერილი:

მე ვარ ჭრილობა იმ მიწისა, რომელსაც ჰქვია
ღალატი, შური და მდუმარე ჭაბუკთა ჟინი,
მაგრამ შენ სად ხარ, რომლის შუბლზე ყველაზე დიადს
ფიქრს უუნათლესს შევიცნობდი მტკივანი ჩინით.

მე ვარ ჭრილობა იმ მიწისა, რომელსაც ჰქვია
ორივე მუხლზე დაჩოქილის შური და ბოღმა,
და შენ გეძახი, რომ გულში მაქვს ჩამჯდარი ტყვია
და ტყვია იგი უკანასკნელ ბროლიდან მომყვა.

>>> **გაგრძელება გვ. 102**

<<< დასაწყისი გვ. 66

აჩინონ ბავშვები, აფეთქონ შენობები და იბრძოლონ რასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ. თვეების განმავლობაში აგენტები ვერაფრით პოულობდნენ დამნაშავეებს, აფეთქებები და თავხედური, რევოლუციური მესიჯები კი არ წყდებოდა. გამწარებული FBI განწირულ ნაბიჯებზე წავიდა და გამოძიების მსვლელობებისას ყველა ელემენტარული კანონის დაცვა დაივიწყა, მათ ერთადერთ მიზნად ჯგუფის წევრების პოვნა განიზრახეს. ამ სიჩქარემ და დაუდევრობამ კი შემდეგში ისევ მათ ავნო. ამაზე ცოტა ქვემოთ.

ჯგუფის ყველაზე არანორმალურ, წარმოუდგენელ აქციად იქცა ციხეში ახლადჩასმული ჰარვარდელი პროფესორის, 60-იანი წლების ნარკორევოლუციის გურუს – ტიმოთი ლირის ხმაურიანი გაქცევა კალიფორნიული ციხიდან.

ბოლო წლების განმავლობაში ამერიკის მთავრობა სერიოზულად მოეკიდა ყველა ჯურის და სახის რევოლუციონერების განეიტრალებას – ბევრი მათგანი მოკლეს, ბევრი კი ციხეში ჩასვეს. ეს დადასტურდა 1971 წლის ძველი ყაიდის „ვიკილიქსითაც“, როცა დაჯგუფება „FBI-ს კვლევის სამოქალაქო კომისიამ“ შეძლო პენსილვანიაში ყოფილი ოფისიდან საიდუმლო დოკუმენტების მოპარვა და მათი გავრცელება. ეს დოკუმენტები ეხებოდა პროგრამა „კოინტელპრო“, რომელიც გულისხმობდა ყველა მსგავსი ჯგუფის და პიროვნების თვალთვალს და მათი განეიტრალების გეგმებს.

ასეთ ტალღას შეეწირა პროფესორი ტიმ ლირიც, რომელიც უკვე აბსოლუტურად უკონტროლო ხდებოდა მთავრობისთვის და რომელსაც ათასობით სტუდენტი უსმენდა მთელ ამერიკაში. მის მანქანაში მარიხუანის მცირე დოზის აღმოჩენის გამო, ის რამდენიმეწლიანი განაჩენით ჩააყუდეს კალიფორნიულ ციხეში, პრეზიდენტმა კი დაადასტურა რომ ლირის ადგილი ციხეშია, როცა მას „ამერიკის ყველაზე სახიფათო ადამიანი“ უწოდა სატელევიზიო გამოსვლისას.

მაგრამ 60-იანები ჯადოსნური დისიდენტური კარნავალის ეპოქაა და ამერიკაში კანონთან გაჩენილი პრობლემების გამო ბრაზილიაში გადაბარგებულმა უცნაური სახელის მქონე ორგანიზაციამ „მარადიული სიყვარულის საძმომ“, რომელიც ცნობილი იყო „ჰიპური მაფიის“ სახელით და თავის კუმირად თვლიდა ტიმ ლირის – 20 000 დოლარი გადაურიცხა „მეტეოროლოგებს“, რათა მათ უზრუნველეყოთ ლირის გაქცევა.

„მეტეოროლოგებმა“ ააფეთქეს ციხის კედელი და არა მხოლოდ ციხიდან გააქციეს ლირი, არამედ დაეხმარნენ მას, რომ ის და მისი ცოლი ამერიკიდან ალჟირში გაქცეულიყვნენ, სადაც ის ელრიჯ კლივერის „შავი პანტერების“ არმიას შეუერთდა.

„მე მინდა მივმართო ხალხს ამერიკაში – მესამე მსოფლიო ომი უკვე დაწყებულია. შემოგვიერთდით თავისუფლებისთვის ბრძოლაში, იმიტომ რომ ჩვენ ყველგან ვართ, ჩვენ ბედნიერები ვართ და ჩვენ თავისუფლები ვართ და ჩვენ გავათავისუფლებთ დანარჩენ მსოფლიოს“, – გაღიმებული სახით და ასეთი სიტყვებით მიმართავს ახლადგამოქცეული ლირი ამერიკას ვიდეოინტერვიუში.

1973-74 წლებში ბილ ეიერსის ახალი იდეების მიხედვით კალიფორნიაში ახალი „სკოლები“ არსდება, „მეტეოროლოგები“ ბომბების გარდა ტიპოგრაფიისთვისაც იცლიან და გამოსცემენ თავიანთ მანიფესტურ ბროშურას, „Fire: The Politics of Revolutionary Anti-Imperialism“, რომელიც შემდეგ წიგნის მაღაზიებში და კაფეებში იყიდება. „მეტეოროლოგები“ ასევე ასწრებენ მისცენ ვიდეოინტერვიუ მათ შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმისთვის.

პარალელურად კი აფეთქებენ:

18 მაისი, 1973 – ფეთქდება ნიუ-იორკის პოლიციის 103-ე განყოფილება – პოლიციის მიერ 10 წლის შავკანიანი ბავშვის მკვლელობის პასუხად.

6 მარტი, 1974 – ჯანდაცვისა და განათლების დეპარტამენტის ოფიცები სანფრანცისკოში – ღარიბი ქალების ძალადობრივი სტერილიზაციის გასაპროტესტებლად.

31 მაისი, 1974 – კალიფორნიის გენერალური პროკურორის სამსახური – სხვა დაჯგუფების „სიმბიონტების გათავისუფლების არმიის“ 6 წევრის, პოლიციის მიერ ცოცხლად დაწვის გასაპროტესტებლად

16 ივნისი, 1975 – „ბანკო დე პორკე“ ნიუ-იორკში – პუერტო რიკოელი მუშების გაფიცვის სოლიდარობის ნიშნად...

ეს დაუსრულებელი სიაა...

დაბრუნება

„ანდერგრაუნდი უფრო ინფორმაციული კონტროლის პროცესია, ვიდრე ფიზიკური ადგილი. შენ მუდმივად უნდა აკონტროლო – ვის რამდენი ინფორმაცია აქვს შენზე, ვინ რა იცის. არ გაქვს სახლის ტელეფონი, რეკავ სატელეფონო ჯიხურებიდან“, – ჰყვება ერთ-ერთი რევოლუციონერი, ნაომი ჯეფი.

ყველაზე ირონიული ამ ისტორიის ბოლოს კი ის არის, რომ მთელი მოძრაობის რამდენიმე წევრის გარდა, არც ერთი არ ჩაუსვამთ ციხეში, ვინც ჩასვეს, ისიც

ცოტა ხნით. როგორც აღმოჩნდა, FBI-ს ისე ძალიან სურდა ჯგუფის წევრების დაჭერა, რომ არც ერთ კანონს არ იცავდა გამოძიების დროს, იქნებოდა ეს სატელეფონო მოსმენები, ხალხის დაშინება, უკანონო ჩხრეკა თუ რამე სხვა.

შედეგად, ყველა ბრალდება მათ მიმართ მოიხსნა.

დღესდღეობით რადი და ბედნარდინი უნივერსიტეტის პროფესორები არიან, ბილ აიერსი კი საგანმანათლებლო სისტემაში მუშაობს. თუმცა ისევ ისეთ კრიტიკოსად რჩება. ერთ-ერთ ინტერვიუში 2001 წელს მან განაცხადა, რომ თავის დროზე მეტი უნდა გაეკეთებინა.

საინტერესოა, რომ 2008 წლის ამერიკის პრეზიდენტის არჩევნების დროს ობამას ოპონენტებმა წამოწიეს და თითზე დაიხვიეს მისი და ბილ აიერსის გამოგონილი ან რეალური მეგობრობის თემა და ამ გზით ცდილობდნენ ის ანტიამერიკელ, ტერორისტებთან დამეგობრებულ ადამიანად წარმოეჩინათ.

„ჩვენ არ ვიყავით ტერორისტები, ჩვენი ყველაზე ექსტრემალური აქციებიც კი არ იყო ადამიანების წინააღმდეგ მიმართული და მხოლოდ კერძო საკუთრებას აზარალებდა, ხოლო რასაც აკეთებდა ამერიკა ვიეტნამში – აი ამას ჰქვია ტერორიზმი“.

ყველა ვარიანტში, ეს დაუჯერებელი ისტორიაა და რომელიმე გამოგონილ ურბანულ მითს, ან ჰოლივუდურ ფილმს ჰგავს. ხანდახან მეც არ მჯერა ამ ისტორიის, მთელი თავისი FBI-ს დოკუმენტებით, რომელთა მოძიება თავად FBI-ს საიტზე შეგიძლიათ, მთელი ამ დანგრეული შენობების ფოტოებით, სადაც საქმიანად ირჯებიან ექსპერტები, მთელი ამ „სიძულვილის დღეებით“ და ძველი კადრებით, სადაც მომიტინგეებს თითქოს სპეციალურად შერჩეული კოსტიუმები აცვიათ და იდეალური გრიმი უკეთიათ სახეზე. მაგრამ ეს დოკუმენტალისტიკა უცებ ქრება ჩემი წარმოდგენებიდან, როცა მახსენდება „მეტეოროლოგების“ წარწერა: „რევოლუცია არ არის სპექტაკლი. აქ არ არსებობენ მაყურებლები! აბსოლუტურად ყველა მონაწილეობს, მიუხედავად იმისა, იცის მან თუ არა ამის შესახებ!“.

„Hello from the other side of the shadows“ (ერთ-ერთი „ტერორისტის“ მიერ ოჯახისადმი გაგზავნილი წერილიდან).

ინტერვიუ მონტი ალექსანდერთან

<<< დასაწყისი გვ. 72

აი, ასე დაიწყო წესებისადმი ჩემი უპატივცემულობის ისტორია. რამდენიმე მასწავლებლის გამოცვლის შემდეგ უკვე მარტომ გავაგრძელე და მოხდა ისე, რომ ნოტების კითხვა ვერ ვისწავლე. ჰო, მე დღესაც ვერ ვკითხულობ ნოტებს! რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა რომ მესწავლა, მაგრამ მას შემდეგ, რაც პირველად ავედი სცენაზე, ამის დროც კი აღარ მქონდა; სცენიდან აღარ ჩამოვსულვარ, ხან სად მიწვევდნენ დასაკრავად, ხან სად. მე სცენაზე ვიხვეწებოდი. ერთ მშვენიერ დღეს მართლაც შეიძლება, დავჯდე და ნოტების კითხვა ვისწავლო. ერთ მშვენიერ დღეს! ჯერ არ მცალია!

მესამე ხარისხის რიტმული კონტაქტები

არსებობს გარკვეული კავშირი მუსიკის რიტმულ ასპექტებსა და კულტურას შორის. მუსიკა, ძირითადად, რიტმების მეშვეობით აკავშირებს ერთმანეთს სხვადასხვა კულტურის ადამიანებს. მარტივი, ადვილად გასაგები, მაგრამ შმაგი რიტმები ადამიანებს შორის დამყარებული კონტაქტის გარანტიაა! ეს და არა რთული ჰარმონიული სტრუქტურები. რიტმები ადამიანებს არა მარტო ერთმანეთთან, არამედ ცხოვრების ნათელ მხარესთანაც აკავშირებს. „ჰეი, ასწორებს! შენც ხომ კარგად ხარ, ძმაო?!“ – კოლეგების ეს შეძახილი ხშირად მესმოდა მუსიკის დაკვრისას. იამაიკური მარტივი რიტმები ჯაზმენებმა ძალიან ახლოს მიიტანეს გულთან და როდესაც ვუკრავდი, სწორედ ჩემი სამშობლოდან ექსპორტირებული რიტმების მეშვეობით ვაკავშირებდი მუსიკოსებს ერთმანეთთან. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მე ხომ იმ მუსიკის მფლობელი ვიყავი, რასაც მათთვის ვუკრავდი. ვგულისხმობ იმას, რომ მე და იამაიკური მუსიკა და ჩემი ქვეყნის რიტმები ერთი სხეული ვიყავით; ჩემი ქვეყნის მუსიკა ბუნებრივად მოედინებოდა ჩემგან, ამერიკელები კი მზადყოფნით მომყვებოდნენ, ვინაიდან მათთვის სრულიად ახალი, უცნობი ელემენტი შემქონდა მუსიკაში. სულ მალე მე მათთვის „ის იამაიკელი მონტი“ გავხდი და ჩემი ინტეგრაცია მათ წრეში სრულიად ნორმალური და გასაგები პროცესი იყო. თქვენ იცით, რომ დიზი გილესფი ლათინური, კერძოდ კი კუბური მუსიკით, კუბური რიტმებით იყო დაინტერესებული, ჩარლი ფარქერი კი კალიფსოთი და ორივე თავისებურად ახერხებდა ამ ინტერესების საკუთარი მუსიკისთვის მორგებას. დღეს კი მსოფლიო უკვე იამაიკიდან მოსული რეგის რიტმებსაა აყოლილი, ხოლო რეგი რომ არ ყოფილიყო, ამერიკას ალბათ არც ჰიფ-ჰოფი ექნებოდა, რადგანაც ჰიფ-ჰოფი ე.წ. იამაიკური „თოუსთინგის“ პროდუქტია.

გაუხსნელი საიდუმლო

არასდროს მიცდია მუსიკაში „ჩხირკედელაობა“. ის დღემდე საიდუმლოდ რჩება ჩემთვის. როდესაც მეგობარ კოლეგებთან ერთად მუსიკაზე ვსაუბრობთ, ეს კი საკმაოდ იშვიათად ხდება, არასდროს ვცდილობთ სიტყვებში წარმოვადგინოთ ის, რასაც ვუკრავთ ან რის დაკვრასაც ვაპირებთ. ჩვენ უბრალოდ ვგრძნობთ და ასე ვუკრავთ. არასდროს მიცდია მუსიკის განსიტყვება და არასდროს მოვუხიბლივარ მასწავლებლის კარიერას, თუმცა იმასაც გეტყვი, რომ როდესაც ახალგაზრდა მუსიკოსებთან მუშაობა მიხდება, საკმაოდ კარგად ვახერხებ იმის ახსნას, რასაც ვგრძნობ. ხშირად მეუბნებიან ხოლმე, – „შენ უნდა ასწავლო! ახალგაზრდებს ესაჭიროებათ შენნაირი გამოცდილების მქონე მუსიკოსთან საუბარი და ურთიერთობა, შენც ხომ ასე გაიზარდე მუსიკოსად?“ მართალს მეუბნებიან, მაგრამ ამის დრო არასდროს მაქვს ხოლმე. მე სულ ვუკრავ.

მეტამორფოზა

სცენა, სადაც ინსტრუმენტებია განლაგებული და ეს ინსტრუმენტები შენს მოლოდინში არიან, განსაკუთრებული, წმინდა ადგილია. სცენაზე ასვლისას შენ თან მიგაქვს შენი ერთგულება ამ ინსტრუმენტებისადმი და შენი პატივისცემა იმ ადამიანებისადმი, ვისთან ერთადაც იმ საღამოს უნდა დაუკრა. ამავე დროს, შენში უნდა იყოს პატივისცემა იმ ადამიანების მიმართაც, ვინც შენ მოსასმენად მოვიდა და თუ იმ დღეს ვთქვათ ტრიოს ფორმატში უკრავ, მსმენელი ტრიოს კვარტეტად აქცევს, რადგანაც ის იმ საღამოს მუსიკის ნაწილი ხდება. კონცერტის წინ მხოლოდ ამ მეტამორფოზის შესაძლებლობაზე უნდა ფიქრობდე, სხვა არაფერზე. თუ კონცერტის წინ ცოლს წაეჩხუბე და ინსტრუმენტთან მიახლოებისას ამაზე ფიქრობ, ღირებულს ვერაფერს დაუკრავ.

მუსიკოსის პასუხისმგებლობის შესახებ

მუსიკოსის ერთადერთი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე არის ის, რომ იმის მაქსიმუმი გააკეთოს, რის გაკეთებაც მხოლოდ მას შეუძლია, ანუ, კარგად დაუკრას. შენივე პასუხისმგებლობის ნაწილია ისიც, რომ იმ ერთი მოცემული საღამოს განმავლობაში ცხოვრების წუთები გაუმდიდრო მსმენელს. თუ მათი ცხოვრება მოსაწყენია, მაშინ შენმა მუსიკამ უნდა მოახერხოს ამ მოწყენილობიდან მათი „განდევნა“ და ეს რაიმე

რთული ხრიკების მეშვეობით კი არ უნდა გააკეთო, არამედ მარტივად და ბუნებრივად. კონცერტების დროს ჩემი მუსიკის წყალობით მსმენელი სცილდება ყოველდღიურობას. მხოლოდ ესაა ჩემი მისია. უფლება მიეცი შენს ნიჭს, გაიბრწყინოს და ის თვითონ დაინტერესებს მსმენელს.

გამხნევდით!

არასდროს ვცდილობ წარმატებული კონცერტების გაანალიზებას. არასდროს ვცდილობ გავიმეორო ის, რამაც წარმატება მომიტანა ამა თუ იმ დღეს. ხშირად არც კი მახსოვს, თუ რატომ და როგორ მოხდა ისე, რომ მსმენელს მოეწონა ჩემი დაკრული. მთავარია, რომ ნებისმიერ სამუშაო საღამოს ბენდის ყველა წევრი ფორმაში იყოს და ასეთ შემთხვევაში მსმენელი აუცილებლად მიიღებს იმას, რისთვისაც კონცერტზე მოვიდა. დიდი განსხვავებაა „მე თქვენ მიყვარხართ!“ და „მე თქვენი გულების მონადირება მინდა!“-ს შორის. ეს უკანასკნელი ქედმაღლურია, არა? ჩემი მიდგომა ასეთია – „მოდი, ეს საღამო ერთად გავატაროთ!“ დიდმა მუსიკოსებმა სწორედ ასე მოინადირეს ჩემი გული. ლუი არმსტრონგმა კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა; ის სცენაზე იცინოდა, მსმენელს ეხუმრებოდა, მერე კი საოცარ მუსიკას უკრავდა. მე ასეთი მემკვიდრეობის ნაწილად მიმაჩნია თავი. ჩემს ახალ ალბომს Uplift (გამხნევება) ჰქვია, სადაც მე ვამხნევებ არა მარტო ჩემს მსმენელს, არამედ საკუთარ თავსაც. სწორედ ამითაა ჯაზი განუმეორებელი. ის უზარმაზარი ენერგიის გაღებას ითხოვს ჩვენგან, მაგრამ მერე, ოსტატი რომ ხდები, შენი დაკრულის სილამაზე და დახვეწილობა ღიმილს გვრის ადამიანებს.

ჯაზი დანამატების გარეშე?

ვიცი, რომ არიან ისეთები, ვინც ჯაზმენებისგან ჯაზის ვოკაბულისადმი ერთგულებას მოითხოვენ და მიაჩნიათ, რომ ჯაზს არავითარი “დანამატები” არ ესაჭიროება ინდური, ბალკანური თუ ესპანური მუსიკის სახით, მაგრამ ეს ავტომატურად მაინც ხდება. როდესაც წარსულის დიდ ჯაზმენებს უსმენ, იმ ლექსიკონსაც აქცევ ყურადღებას, რაზე დაყრდნობითაც ისინი გესაუბრებიან. და ეს ლექსიკონი მიგანიშნებს, თუ რომელ პერიოდს განეკუთვნება ესა თუ ის მუსიკა. მეორე მხრივ, მუსიკა ერთი რომელიმე ათწლეულის ან ეპოქის საკუთრება ვერ გახდება. დრო იცვლება, ინფორმაციის რაოდენობა იზრდება, შესაბამისად იცვლება მუსიკაც, მაგრამ ინფორმაციის მიღმა არის ის, რაც ყველაზე მთავარია – ესაა შენი საკუთარი „მე“, შენი სული და სწორედ ამას ვგულისხმობ, როდესაც ვამბობ, რომ მუსიკა საიდუმლოებითაა მოცული.

მუსიკაში დაკარგულები

როცა მუსიკა შენში დინებას იწყებს, გაერიდე მას! ამ დროს ყოფიერება შემოდის შენში და ყოველდღიურობის მექანიკურ კონტროლს გაკარგვინებს. ასეთ მომენტებში მუსიკის ხარისხი ყველაზე მაღალია. ამ დროს შენი ერთ მუშტად შეკვრა ხდება, მთელი შენი ყოფიერების მობილიზაცია, და ასე იკარგები ამ ენერგეტიკულ ველში, სადაც ქრება დრო, საგნები და ადამიანები. რჩებით მხოლოდ შენ და ბგერა. უცნაურია, მაგრამ ამავე დროს, შენში მაინც რჩება მსმენელთან ერთად ყოფნის შეგრძნება. როდესაც ვამბობ, რომ მუსიკაში ვიკარგები, ეს ნიშნავს იმას, რომ სხვებსაც ვეპატიჟები იმ ადგილას მოსახვედრად, სადაც მუსიკას მივყავარ. „მოდი, ერთად დავიკარგოთ მუსიკაში!“ – ვთავაზობ მე მათ. უამრავი დიდებული მუსიკოსია, ვისაც უსმენ და ხვდები, რომ დაკვრის დროს ის თავის თავში, სადღაც მისთვის უცნობ სიღრმეებში იკარგება და ამ დროს მსმენელსაც უკან იტოვებს. მაგრამ, ამავე დროს, არიან მუსიკოსები, და მე ერთ-ერთი მათგანი ვარ, ვისაც მსმენელთან ერთად ურჩევნია გადაკარგვა. თუ ეს მოვახერხე, ყველა ერთად კათარზისულ გამოცდილებას ვიძენთ.

აუჩქარებლობის აუცილებლობის შესახებ

ახალმა ტექნოლოგიებმა ერთდროულად ბევრი რამის კეთება ასწავლა ადამიანს. ერთი მხრივ, ეს ცუდი არაა, მაგრამ როცა საქმე მუსიკის შექმნას ეხება, ასეთი მიდგომა ნამდვილად ვერ უწყობს ხელს მუსიკოსის ზრდას. დრო დაიკარგა, ვგულისხმობ დროს, რომელიც საფიქრელად გვეძლეოდა. დაიკარგა საქმისადმი აუჩქარებლად მიდგომისათვის აუცილებელი დრო! რა თქმა უნდა, შორს ვდგავარ იმ აზრისგან, რომ ნიჭიერი მუსიკოსები აღარ იბადებიან, პირიქით, უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდა ქმნის დღეს მუსიკას, მაგრამ მათ, როგორც წესი, აუჩქარებლად დაღვინების დრო არ ეძლევათ. ზედმეტად ბევრი რამ ხდება მათ გარშემო, ზედმეტი ინფორმაცია, ზედმეტი ფაციფუცი. ასე იქმნება ის ერთგვარი კულტურული დეფიციტი, რაც ჯაზის დასაკრავადაა აუცილებელი. რა თქმა უნდა, ნიჭიერი ადამიანები ნიჭიერ ადამიანებად რჩებიან, მაგრამ დროის ნაკლებობა ხელს უშლით თავიანთი, უნიკალური ხმის შექმნაში. მათ აღარ ეძლევათ იმის დრო, უნიკალურ მუსიკალურ მოვლენად რომ იქცნენ. დღეს კომპიუტერი სულ რამდენიმე წუთში გაძლევს იმ შედეგს, რისთვისაც თავის დროზე თვეები უნდა დაგეხარჯა. შენ ჯერ მთელი მუსიკა უნდა შეგესისხლხორცებინა იმისთვის, რომ საკუთარი თავისთვის ყურის გდება გესწავლა. მუსიკაში ეს მთავარი რამაა.

ენთუზიასტი

ჩემი ინტერესების ობიექტები მუსიკაში ხშირად იცვლებიან. მაგრამ დღესაც კი მიჭირს იმ მუსიკის ხელიდან გაშვება, რომელიც თავის დროზე სიამოვნების ღიმილს მგვრიდა. ის მუსიკა ახალ, განსაკუთრებით ღრმა გრძნობებს აღვიძებდა ჩემში. ზოგჯერ ხდება ისე, რომ დიდი ხნის განმავლობაში არანაირ მუსიკას არ ვუსმენ ხოლმე და ეს მუსიკოსისთვის სრულიად ნორმალური მდგომარეობაა, მაგრამ მერე უეცრად ადრეული პერიოდის რომელიმე პიანისტს მოვუსმენ და იწყება, – „ღმერთო, დამავიწყდა, ეს რომ ასეთი მაგარი იყო!“ ან „უჰ, ამ მონაკვეთისთვის ადრე საჭირო ყურადღება არ დამითმია!“ ყოველთვის ასე ხდება ხოლმე და ამ დროს ხვდები, თუ როგორ ღრმა მუსიკას ქმნიდნენ წარსულის დიდი მუსიკოსები. რაც შეეხება ახალ მუსიკას, ღმერთო, გარშემო იმდენი ახალი მუსიკაა, რომ შეუძლებელია ყველაფრის მოსმენა. ძალიან დაკავებული ადამიანი ვარ, მაგრამ, დიახ, მე დღესაც მუსიკის ენთუზიასტად ვრჩები.

რეალისტი უტოპიური ოცნებებით

<<< დასაწყისი გვ. 38

ერთ-ერთი პირველი სტატია, რომელიც ეკლესიის და საზოგადოების ურთიერთობას ეხებოდა, ჯონან როულინგის „ჰარი პოტერზე“ დაწერა. ეს წიგნი ჯერ კიდევ გერმანიაში ყოფნისას წაიკითხა და ძალიან მოეწონა. როცა ბაკურ სულაკაურმა ამ ზღაპრის თარგმანი გამოსცა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის ნაწილი ღიად დაუპირისპირდა „ჰარი პოტერს“ – იმართებოდა აქციები, გამოდიოდნენ და საუბრობდნენ წიგნის მავნებლობაზე, გმობდნენ, მოუწოდებდნენ ადამიანებს, არავითარ შემთხვევაში არ ეყიდათ და სახლში არ შეეტანათ ეს წიგნი. ნინოს მართლა აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი. საპატრიარქოში მივიდა და თავის ძველ, უნივერსიტეტისდროინდელ ნაცნობს შეხვდა, რომელიც წერილს წერილზე აცხობდა „ჰარი პოტერის“ წინააღმდეგ. „მუშაობდა ამ წიგნზე და ამიტომ ედო ჩანთაში. ორი თითით ამოიღო ისე, როგორც ზიზღისმომგვრელი საშინელება და მერე სერიოზული სახით მიხსნიდა, რამდენი სატანისტური რიტუალი აღმოაჩინა მასში სხვადასხვა რელიგიური ენციკლოპედიების დახმარებით. მაშინ ცხადად დავინახე, რამდენად მძიმე სენია ფანატიზმი და რამხელა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მას მთელ საზოგადოებაზე“.

„24 საათში“ სამი წლის განმავლობაში იმუშავა და ძირითადად, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობაზე, განათლების საკითხებზე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების პრობლემებზე წერდა. ყველაზე კარგად სამი მასალა ახსოვს: ერთი, ვაკის პარკის მიწისქვეშა გადასასვლელზე – სტატიის გამოქვეყნების შემდეგ გადასასვლელის ყოველდღიურად დასუფთავება დაიწყეს, მეორე საპატრიარქოსთან ასოცირებული ბიზნესორგანიზაციების სპირტის, სიგარეტისა და ფერადი ლითონების ბიზნესზე, რომელმაც საკმაოდ ხანგრძლივი ვნებათაღელვა და დებატები გამოიწვია და მესამე – რადიო „მწვანე ტალღასთან“ ერთად მომზადებული სიუჟეტები დიღმის ბავშვთა სახლის ცხოვრებაზე, რასაც ბავშვთა სახლის ადმინისტრაციის ცვლილება მოჰყვა. ამასობაში გაუჩნდა მეორე შვილიც – ნიკა. დაასრულა და დაიცვა დისერტაცია. იმ პერიოდში ძალიან სავსე და საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობდა და როცა მესამე ბავშვზე დაფეხმძიმდა, ეჭვიც არ შეპარვია, რომ გოგონას გააჩენდა – ყველაფერი იმდენად კარგად იყო, რომ წარმოუდგენლად ეჩვენებოდა, აქაც არ გამართლებოდა. მაგრამ გავიდა ფეხმძიმობის ცხრა თვე და დაიბადა ბიჭი – აკლი, დაუნის სინდრომით.

ამის შემდეგ ნინოს საქმიანობის სფერო შეიცვალა. ფილოლოგიურ კვლევებსა და „24 საათში“ მუშაობას იოლად დაანება თავი, სახალხო დამცველის აპარატში ჟურნალ „სოლიდარობის“ რედაქტორობას მოჰკიდა ხელი და გადაწყვიტა, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისა და მათი მშობლებისთვის გაეკეთებინა რაღაც. ნინო ისე მოიქცა, როგორც ძალიან ბევრი ადამიანი მსოფლიოში – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დამცველთა შორის ბევრია ისეთი, ვისაც პირადად შეეხო ეს პრობლემა.

მშობიარობის შემდეგ მალევე

უთხრეს, რომ ბავშვს დაუნის სინდრომი ჰქონდა, თანაც მამისთვის „კეთილი რჩევის“ მიცემაც არ დაავიწყდათ – სჯობს ბავშვი დატოვოთო. „მეორე დღეს ექთანს ძალიან გაუკვირდა, როცა ვუთხარი, ბავშვი ძუძუს მოსაწოვებლად შემომიყვანეთ-მეთქი და გაოგნებულმა მკითხა, სახელიც უნდა დაარქვაო (ბავშვს სახელს თუ არქმევ, ე.ი. სახლშიც მიგყავს). ცხადია, ექთანმა არ იცოდა, რომ რამდენიმე თვით ადრე, როდესაც მიმდინარე შემოწმებაზე მივედი, ექიმს რაღაც არ მოეწონა და გვირჩია, იქნებ მოიცილოთო, მაშინვე სხვა ექოსკოპისტთან წავედით გადასამოწმებლად, რომელმაც დაგვამშვიდა ყველაფერი კარგად არისო, მეორის გადასამოწმებლად ახლა მესამესთან გავიქეცით, მან კი რაღაც სულ სხვა, აბსურდული დიაგნოზი ივარაუდა და მანაც მირჩია ნაყოფი მოიშორეო. მე და გიგი სახლში გვიან დაღლილები, განერვიულებულები და საოცრად დაბნეულები დავბრუნდით. ცოტა რომ დავისვენეთ, იმავე საღამოს ჩვენს უახლოეს მეგობრებს დავურეკეთ, რესტორანში წავედით, ჩვენს მომავალ შვილს სახელი დავარქვით და მისი სადღეგრძელოც დავლიეთ. ასე რომ, ჩემს შვილს სახელი უკვე დიდი ხნის დარქმეული ჰქონდა და ერთით მეტი ქრომოსომა მასზე უარს ვერაფრით ვერ მათქმევინებდა“.

მშობიარობიდან ზუსტად ერთ კვირაში მეგობარმა ამერიკიდან ამ სინდრომის შესახებ რამდენიმე არაჩვეულებრივი წიგნი გამოუგზავნა. „ვკითხულობდი და, უბრალოდ, წარმოუდგენლად მომეჩვენა, ეს წიგნები მხოლოდ მე მქონოდა და სხვა მშობლებს არაფერი სცოდნოდათ მათ შესახებ. მივხვდი, აუცილებლად რაღაც უნდა გამეკეთებინა იმის წინააღმდეგ, რაც სამშობიარო სახლებში ხდებოდა. ის, რაც ამ წიგნებიდან გავიგე, სხვებსაც უნდა სცოდნოდათ“. სწორედ ამიტომ თარგმნა ამერიკელი პედიატრის, ზიგფრიდ პოიშელის წიგნი „დაუნის სინდრომი, ნათელი მომავლისაკენ“, რომელიც საქართველოს ბაპტისტურ-ევანგელისტური ეკლესიის ეპისკოპოსის, მალხაზ სონღულაშვილის დახმარებით გამოსცა. ამ წიგნს დღემდე ბევრგან არიგებს – მშობლებში, სამშობიაროებში, პოლიკლინიკებში, სკოლებში... მალევე ნინომ პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია, „დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების მშობელთა და პროფესიონალთა კავშირი“ დააარსა. აღმოჩნდა, რომ ყველა მშობელს, ვისთანაც მოგვიანებით ჰქონდა ურთიერთობა, სამშობიაროში ბავშვის დატოვებას სთავაზობდნენ. პირველი, რაც გააკეთეს, ორი ბროშურა გამოსცეს. ერთი იმის შესახებ, რა არის დაუნის სინდრომი, როგორ უნდა გააგებინო ეს დედას, მშობელმა როგორ უნდა გააგებინოს სხვებს – ნათესავებსა და მეგობრებს, და მეორე – „სამედიცინო მეთვალყურეობა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში“. შექმნეს სატრენინგო მოდული, ყველა სამშობიაროს მიაკითხეს, მოიწვიეს პედიატრები და ბავშვთა პოლიკლინიკების მთავარი ექიმები. ჩაატარეს სემინარი და ასწავლეს, როგორ უნდა მოიქცნენ, როცა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი დაიბადება. შედეგები არ გაუზომიათ, მაგრამ, ფიქრობს, რომ სიტუაცია ცოტა გამოსწორდა, დღეს უკვე ხან სამშობიაროდან გზავნიან მათთან მშობელს, ხან პოლიკლინიკებიდან, ხან გენეტიკის ცენტრიდან. თუმცა, მიუხედავად ძალისხმევისა, ბოლო დრომდე მაინც სთავაზობენ მშობლებს ბავშვები ბავშვთა სახლში ჩააბარონ. „იმის გამო, რომ დაუნის სინდრომი აქვს, ბავშვს არსად აღარ ტოვებენ. მეტიც, დასავლეთში მშობელთა ძალიან დიდმა პროცენტმა წინასწარ იცის, რომ დაუნის სინდრომიან ბავშვს აჩენს და მაინც აჩენენ. არის კიდევ ერთი პრობლემაც – ვიცი ოჯახები, სადაც დიაგნოზის სახელდება არ ხდება, მალავენ. ეს ძალიან რთულს ხდის ცხოვრებას. ამ თემაზე საუბარი მართლა არ არის ადვილი და სწორედ ამიტომაა ძალიან მნიშვნელოვანი ლიტერატურის თარგმნა და გავრცელება. შეიძლება რაღაცას ინტუიციით გრძნობდე და სწორადაც მოიქცე, მაგრამ ამ წიგნებში პირდაპირ და მარტივი ენით წერია, როგორ უნდა ელაპარაკო ამ თემაზე სხვას, როგორ გაგიადვილებს ეს ცხოვრებას შენც და გარშემომყოფებსაც“.

მეორე ორგანიზაციის, „საქართველოს პორტიჯის ასოციაციის“ დაარსება ლატვიელი ადრეული განვითარების სპეციალისტების დახმარებით მოხდა. სახელწოდება პორტიჯი პატარა ამერიკული ქალაქიდან მოდის, სადაც გასული საუკუნის 60-იან წლებში ბავშვების ინსტიტუციებში ჩაბარების წინააღმდეგ დაიწყეს მუშაობა. დღეს იქ ეს საკითხი უკვე კარგა ხანია მოგვარებულია. „საქართველოს პორტიჯის ასოციაცია უკვე 5 წელია, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობს. ამჟამად ჩვენი ორგანიზაცია თბილისში მცხოვრებ დაბადებიდან 7 წლამდე 53 ბავშვსა და მათ ოჯახებს აერთიანებს. სახლში ვიზიტებზე დაფუძნებული ადრეული ჩარევის პროგრამა საქართველოში პირველად ჩვენ დავნერგეთ. ბავშვებს, რომლებთანაც ვმუშაობთ, ზოგს დაუნის სინდრომი აქვს, ზოგს აუტიზმი, ზოგს ცერებრული დამბლა, ზოგს ფენულკეტონურია და სხვ. პროგრამის იდეა ისაა, რომ მშობლისა და ბავშვის რეაბილიტაცია დაბადებისთანავე დაიწყოს. ოჯახებში მიდიან სპეციალურად მომზადებული პედაგოგები, ჯერ აფასებენ ბავშვს, შემდეგ კი ვარჯიშებით და თამაშებით სხვადასხვა უნარების განვითარებაში ეხმარებიან. ადგენენ ბავშვის განვითარების გეგმას, ყველა მიზანი ფურცელზეა გაწერილი. მნიშვნელოვანია, რომ მიზნები მკაფიო, გაზომვადი და მიღწევადი იყოს. ჩვენი პედაგოგები მუშაობენ მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე – სახლში, ცენტრში, ბაღებში, შესაძლოა გაკვეთილი ჩატარდეს ქუჩაში, თუ ბავშვს მოძრაობის წესები უნდა შეასწავლო; რომელიმე სკვერში, თუ ბავშვს სათამაშო მოედანზე რიგის დაცვა და სხვა ბავშვებთან ურთიერთობის წესები უნდა ასწავლო. ჩვენი მუშაობის სტილი მოქნილი და ბავშვზე ორიენტირებულია“.

აკლი რომ წამოიზარდა, ნინომ აღმოაჩინა, რომ ბაღებში ინკლუზიური ჯგუფები არ არსებობდა. 2007 წელს ერთ ბაღში დაიწყეს ამ საკითხზე მუშაობა, შემდეგ მერიაც დაინტერესდა. შარშან გაეროს ბავშვთა ფონდთან და მერიასთან მემორანდუმი გააფორმეს და თბილისის 12 ბაღში დაიწყეს ინკლუზიური აღზრდის მეთოდების დანერგვა. წელს კიდევ რვა ბაღი დაემატა და დღეს უკვე თბილისის ყველა რაიონში, სულ 20 ბაღში ხორციელდება ეს პრო-

ექტი. ათდღიანი, ძალიან საინტერესო ტრენინგები ჩაუტარეს საბავშვო ბაღების აღმზრდელებს, სადაც ინკლუზიის გარდა, უამრავი ახალი რამ შეასწავლეს ზოგადად, სკოლამდელი აღზრდის შესახებ. „წარმოუდგენელია, ინკლუზია განახორციელო იქ, სადაც არ არის ჯანსაღი გარემო. აღმზრდელები ტრენინგებიდან საკუთარ თავში ბევრად უფრო დარწმუნებულები წავიდნენ. მართლა ვერ ვიტყვი, რომ ყველგან ერთნაირად წარმატებულად მუშაობენ, მაგრამ ყველა ცდილობს, შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთოს“.

ნინო თვლის, რომ შეუძლებელია საზოგადოება ღია იყოს განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისადმი და, ამავდროულად, დაბალი იყოს მიმღებლობა სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ; შეუძლებელია, აღიარებდე გამოხატვის თავისუფლების იდეას და პატივს არ სცემდე სექსუალური ორიენტაციის საჯაროდ გამოხატვის უფლებას; შეუძლებელია სოლიდარული იყო თავისუფლების იდეისადმი და განსხვავებულობასა და მრავალფეროვნებას არ აღიარებდე. ამიტომ, მისი საქმიანობის „მეორე“ მხარე – სახალხო დამცველის ოფისთან არსებულ ტოლერანტობის ცენტრში, ჟურნალ „სოლიდარობაზე“ მუშაობა მისთვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც, მაგალითად, „პორტიჯში“ საქმიანობა.

„სოლიდარობაზე“ მომუშავე გუნდი ჟურნალის მთავარ იდეად განათლების გზით ტოლერანტობის კულტურის ამაღლებას მიიჩნევს. ჟურნალი მზადდება და გამოიცემა სტუდენტებისათვის და მათი ლექტორებისათვის, უფროსკლასელთათვის და მათი პედაგოგებისათვის, პოლიტიკოსებისათვის, მედიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე ადამიანებისათვის. „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ UNDP ამ ჟურნალის გამოცემის საშუალებას გვაძლევს. ამ ხნის მანძილზე ჟურნალში იმდენი მასალა დაგროვდა, რომ მათი საშუალებით სხვადასხვა თემებზე რამდენიმე სერიოზული კრებულის გამოცემა შეიძლება – ადამიანის უფლებები, პოლიტიკა და პოლიტიკური იდეოლოგიები, სამართალი და სასამართლო პრაქტიკა, სახელმწიფო და რელიგია. ჟურნალში დაბეჭდილმა მასალებმა საქართველოში მცხოვრები რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შესახებ, ტოლერანტობის ცენტრს უკვე მისცა ბიძგი ორი წლის წინ ორი შესანიშნავი ენციკლოპედია გამოეცა – „რელიგიები საქართველოში“ და „ეთნოსები საქართველოში“. ჟურნალში დაბეჭდილი მასალები იმ ადამიანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, როგორებიც იყვნენ ოსკარ რომერო, იანუშ კორჩაკი, გრიგოლ ფერაძე, მარია სკაბცოვა, ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე და სხვები, შესაძლებელია ტოლერანტობისა და ადამიანური ღირებულებების კარგ სახელმძღვანელოდ იქცეს ახალგაზრდა თაობისათვის.“

ძირითადად რეალისტია, მაგრამ ხანდახან უტოპიური ოცნებები მოეძალება და ხუმრობით ამბობს, რომ საკმარისი დროისა და ფულის ქონის შემთხვევაში საქართველოს ყველა სოფელში ერთ პატარა ბიბლიოთეკას დააარსებდა, ამ ბიბლიოთეკებში ისეთი ადამიანები იმუშავებდნენ, რომლებიც ბავშვებს კითხვას შეაყვარებდნენ, საინტერესო წიგნებს შეურჩევდნენ და ხანდახან თავადაც წაუკითხავდნენ ხოლმე, იშოვნიდნენ საინტერესო ფილმებს და ჩვენებებს მოაწყობდნენ, ბავშვებს წაახალისებდნენ, რომ დროდადრო მათ გვერდით მყოფი ადამიანებისათვის კეთილი საქმეები ეკეთებინათ და ასე ნელ-ნელა „საქართველოც გაბრწყინდებოდა“.

ახლახან კიდევ ერთ საქმეს მოჰკიდა ხელი. თბილისის მერიის დაკვეთით, ფსიქოლოგებთან და სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტებთან ერთად იმაზე მუშაობს, რომ ბაღებს ახალი კურიკულუმი შეუქმნან. „სკოლამდელი ასაკი ყველაზე მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარებისათვის, გენეტიკურ მახასიათებლებთან ერთად, სწორედ ამ ასაკში მიღებული ცოდნა და გამოცდილება განსაზღვრავს იმას, თუ როგორ პიროვნებად ჩამოყალიბდება მომავალში ადამიანი. უცხოეთში, იმის მიუხედავად, თუ როგორია სახელმწიფო, უფრო სოციალისტური თუ უფრო კაპიტალისტური, მემარცხენე იდეოლოგიას უფრო „აწვება“ თუ მემარჯვენეს, სკოლამდელ აღზრდას ყველა ერთნაირად სერიოზულად უყურებს, რადგან იციან, რომ ამაზე მათი ქვეყნის მომავალი თაობის ბედია დამოკიდებული. გარდა იმისა, რომ ვწერთ პროგრამას, ასევე ვმუშაობთ ბაღების მართვის გაიდლაინებზე. სულ მარტივად რომ აგიხსნათ, მაგალითად, როგორი უნდა იყოს კვების პროცესი. ბაღის აღმზრდელები ბავშვებს თავზე არ უნდა ედგნენ და არ უნდა ეუბნებოდნენ, შეჭამე, თორემ ექთანი მოვა და ნემსს გაგიკეთებსო. ისინი ბავშვების გვერდით უნდა ისხდნენ და მათთან ერთად იკვებებოდნენ, ასე აღმზრდელი დიქტატორის როლიდან გამოდის, სოციალური პარტნიორის როლს იღებს და მისაბაძი ქცევის მოდელი ხდება. ბავშვებს საჭმელი ულუფებად კი არ უნდა დაუსხან, არამედ, დიდი თეფშით უნდა ჩადგან შუაში და პატარებს გადმოღების საშუალება მისცენ. ამით ისინი განივითარებენ მოტორულ და სოციალურ ჩვევებს – ისწავლიან გადმოღებას, მიხვდებიან, რომ სხვასაც უნდა უწილადონ, დაელოდონ, სანამ სხვა გადმოიღებს, სთხოვონ მეგობარს დახმარება და ა. შ. მასწავლებელი რომ დაჯდება მათთან ერთად, ისაუბრებს საჭმლის სუნზე, გემოზე, ფერზე, ამით ბავშვებს შემეცნებისა და მეტყველების უნარები განუვითარდებათ. როდესაც აღმზრდელი ბავშვს შეეკითხება, მოსწონს თუ არა საკვები და ორ სხვადასხვა კერძს შორის არჩევნის გაკეთების საშუალებას უტოვებს, ამით ბავშვს თვითშეფასება ეზრდება და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი უვითარდება. სათქმელად მარტივია, გასაკეთებლად ძნელი, შედეგის თვალსაზრისით კი – ძალიან მნიშვნელოვანი“.

ახლა წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელსაც ამდენი საქმე აქვს. შინ კიდევ ყოველდღე ოთხი თევზაძე – გიგი, ანდრო, ნიკა და აკლი და კიდევ, ულამაზესი მალამუტი ულვა ელოდება. მიუხედავად ამ რეჟიმისა, ვიხსენებ და დაღლილი იშვიათად მინახავს. ხალისიანი ადამიანია და დაღლილობა თითქმის არ ეტყობა ხოლმე. კიდევ ერთი გამორჩეული თვისება აქვს – ბედნიერების აღქმის და განცდის უნარი. მე მაინც მგონია, ეს ყველაზე მთავარია.

ინტერვიუ მაირბეკთან

<<< დასაწყისი გვ. 44

ჩეჩნებს სხვის, განსაკუთრებით, ხელისუფლების იმედად ყოფნა არასდროს უწევდათ. სახლი დაგენგრა? ესე იგი, თვითონ უნდა აიშენო. ძნელია? რასაკვირველია. მაგრამ ჩეჩნისთვის სხვა გამოსავალი არ არსებობს. შარშან ჩეჩნეთში მიწისძვრა მოხდა. ერთ კვირაში იქ პუტინი ჩავიდა, მაგრამ მიწისძვრის კვალი ვეღარ იპოვა. ადგილობრივები არავის დალოდებიან. საკუთარი სახლები თვითონ შეაკეთეს. ისტორიამ ასეთი გაკვეთილები მოგვცა. უდედამამოდ დარჩენილი ბავშვებიც თითოეული ჩეჩნის ტრაგედია იყო. ადამიანებს ბავშვების აყვანას მეჩეთებში და ტელევიზორის ეკრანებიდან სთხოვდნენ. ბავშვს თუ მშობლები არ ჰყავს, საკმარისი მიზეზი არაა, რომ უპატრონოდ გაიზარდოს. საბოლოოდ, სახელმწიფოს მიბარებული ბავშვების რაოდენობა იქ მინიმალურია. ყოველი ბავშვი, რომელზეც არავინ ზრუნავს, ჩეჩენი საზოგადოების დანაკარგია. ჩვენ ისედაც ცოტანი ვართ, მშვიდად ვერ ვუყურებთ მათ დაკარგვას.

ერთხელ თქვენ თქვით, რომ საქართველო და ქართველები ძალიან შეიცვალნენ. რას გულისხმობდით? აქ მგონი პირველად 1990 წელს იყავით..

პირველად 91 თუ 92 წელს ჩამოვედი. საქართველო, რომელიც მაშინ ვნახე, გაავებული ქვეყანა იყო. იმდენად, რომ ჩემშიც, თბილისის არქივებში სამუშაოდ ჩამოსულ ადამიანში, ლამის მტერს ხედავდნენ. ქალაქის ძველი ნაწილი ჭუჭყს და ნაგავს მიჰქონდა, არ იყო გათბობა, შუქი. მოკლედ, იმედგაცრუების მეტი აქედან არაფერი წამყოლია.

შარშან ისევ ვნახე საქართველო. ეს იყო სულ სხვანაირი ქვეყანა – ბუნებრივი საქართველო, ცოცხალი, ენერგიული ახალგაზრდობა, ძლიერი ქალები. მე ეს საქართველო მომწონს.

ჩრდილოკავკასიელებმა, მერე კიდევ ერთხელ ჩეჩნებმა, ამდენი ტანჯვა გამოიარეთ, მაგრამ წარმოუდგენელი შეძელით და მცირე ხნით მაინც, რუსეთის იმპერია დაამარცხეთ. საქართველოსთან კი, შესადარებლად ეს 6-დღიანი ომია. ამიტომ მაინტერესებს, როგორ ახერხებთ, რომ საქართველოს მიმართ ასე სულგრძელი, დაინტერესებული და ემოციური დამოკიდებულება შეინარჩუნოთ? და კიდევ ლიდერის როლსაც გვთავაზობთ?

ზესახელმწიფოსთან, რომელსაც ყველა უფრთხის, ომის წაგება სამარცხვინო არაა. რა თქმა უნდა, ისტორიული შეცდომის, დაკარგული ტერიტორიების, ამდენი დასახიჩრებული ბედის გამო გულისტკივილს ვერსად გავექცევით. აგვისტოს ომის წაგება მენტალიტეტის თავისებურებას უკავშირდება. ქართული ჯარი რუსულთან პირისპირ საბრძოლველად მზად არ იყო. ჯარი მხოლოდ კარგი სამხედრო ტანისამოსი არ არის, არმია თითოეული ჯარისკაცის თავში და გულში იქმნება.

თქვენ ერთხელ მკითხეთ, თუ რატომ ირჩევს კავკასია ლიდერად საქართველოს, რატომ უთმობს ამ როლს.

ლიდერობა პატივი არ არის, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებლობაა, სასიამოვნო მასში ცოტაა. საქართველოს დიდი ხანი ჰქონდა დავიწყებული თავისი ისტორიული მისია, მაგრამ დღეს ისევ აქვს შანსი, ამ ცივილიზაციის ცენტრი გახდეს.

როგორ ფიქრობთ, ისლამის სამყაროს და სეკულარულ დასავლეთს შორის დაპირისპირების ფონზე ჩვენს რეგიონს შეუძლია, ერთგვარ ოაზისად იქცეს?

სწორედაც რომ შეუძლია და ამ თვალსაზრისით, არის კიდეც სამაგალითო. კავკასიაში ყოველთვის არსებობდა პატივისცემა ქრისტიანი ქართველების მიმართ, და პირუკუ – მუსლიმური ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ. ეს ისტორიული სინამდვილეა, და რჯულთშეწყნარებლობის ეს იდილია საუკუნეები გრძელდებოდა, სანამ რეგიონში რუსეთი არ მოვიდა.

ადრე ამას ხელს საერთო ადათი უწყობდა, სამომავლოდ კოლექტიური უსაფრთხოება გამოდგება რეგიონის შესაკვრელად? საერთოდ, ჩრდილოეთ კავკასიის მომავალს როგორ ხედავთ?

მომავალი ერთიანი კავკასიისათვის საჭიროა ისტორიისა და დღევანდელი პოლიტიკის საკითხების გადაჭრა. ერთიანი კავკასიის ისტორია უნდა დაიწეროს: დასაწყისისთვის – საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ისტორიის, ურთიერთობის მრავალტომიანი ნაშრომი. არის მონოგრაფიები, უდავოა, რომ მათ კავკასიის პატრიოტები წერდნენ, მაგრამ მაინც იმ ეპოქის დაღი აზის. ხელახლა გვჭირდება გააზრება, რა იდენტობაა ეს და საერთოდ, ვინ ვართ კავკასიელები.

ჩანაწერები

ავტორი: ლანა ღოღობერიძე

>>> დასაწყისი გვ. 90

შენშია მზერად – სიამაყე უხედნელ კვიცის
და მზედ – სიუხვე, დაგროვილი გლახაკთა მიერ,
შენ ჯერ არ ჩანხარ და მზესავით აღდგები, ვიცი,
შენ ჯერ არ ჩანხარ და გაღმერთებ ყველაზე ძლიერ.

და თუ ვარ წყლული იმ მიწისა, რომელსაც ჰქვია,
გლახაკთა შური და ჭაბუკთა უძირო ოხვრა,
მე შენ გეძახი, რადგან ვიცი, ადრე თუ გვიან
ყველაზე ძლიერ და სრულყოფილ სიცოცხლით მოხვალ.

თამაზს და მე ასეთი რიტუალი გვქონდა დამკვიდრებული: დაწერდა თუ არა ლექსს, მაშინვე ჩემთან მოჰქონდა, წასაკითხავად და შესანახავად. ლექსის კითხვის ადგილი ჩვენი რკინის აივანი იყო, ჩვენი აზრით, მხოლოდ აქ შეიძლებოდა დიდებისგან, ანუ მთელი სამყაროსგან მოწყვეტა. (რეზოს მოსკოვში წასვლის მერე ამ აივანზე მხოლოდ თამაზი ამბობდა ლექსებს, ცოტა ხნის მერე აქვე ისევ მე და თამაზი ვუკითხავდით ერთმანეთს უიტმენის და თაგორის თარგმანებს). ესეც რიტუალის ნაწილს შეადგენდა, რკინის იატაკზე პატარა ხალიჩას დავაგებდი, მასზე ფეხმორთხმით დავსხდებოდით და იწყებოდა კითხვის პროცესი, რომელიც ყოველთვის მღელვარებასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ის დღე მაინც განსაკუთრებული გამოდგა. გვიანი შემოდგომა იდგა, აივანს მობჯენილ ცაცხვს ნელ-ნელა წყდებოდა ყვითელი ფოთლები, მე ფოთლის ვარდნის მარად წარმტაც პროცესს თვალს ვადევნებდი, ვცდილობდი მათი მიწაზე დაცემის იდუმალი ხმაც გამეგონა, თითქოს ამას რაღაც მისტიური მნიშვნელობა ჰქონდა, და თან გაფაციცებით ვუსმენდი თამაზის ყრუ ხმით და ოდნავი წამღერებით ნათქვამ ლექსს, და პირველი სიტყვებიდანვე მივხვდი, რომ ეს არ იყო მორიგი, თუნდაც კარგი ლექსი, ეს რაღაც სხვა იყო, ჩვენი ყველაზე უფრო ღრმად ჩამალული (და ძალიანაც საშიში) მისწრაფებების გამოძახილი. ის, რაზედაც ამავე აივანზე ჩურჩულით ვლაპარაკობდით ხოლმე, ოღონდ პოეტის ენით ნათქვამი. და უეცრად მხოლოდ ახალგაზრდისთვის დამახასიათებელი თავგადაკლული აღელვება დამეუფლა. ეს სტრიქონები თავისი პოეტური ძალითაც მნუსხავდა და იმითიც, რომ ასე სასტიკად აკრძალულ სფეროებში იჭრებოდა! ბიჭი – „მიწის ჭრილობა“, მიწა – „ორივე მუხლზე დაჩოქილის შური და ბოღმა“ (ასეთი ზუსტი და მძაფრი სიტყვები!), იგივე მიწა, „ჭაბუკთა უძირო ოხვრა“ (და ეს ყველაფერი საბჭოთა, ბედნიერ საქართველოს ეხებოდა); ბიჭი, რომელსაც „გულში აქვს ჩამჯდარი ტყვია“, უკანასკნელი ბრძოლიდან მოყოლილი ტყვია... სამშობლო, ორივე მუხლზე დაჩოქილი და ამ დაჩოქილობაში თავისუფლების მომლოდინე; და მთელი ლექსიც თავისუფლებისადმი მიმართული ჰიმნი: „შენ ჯერ არ ჩანხარ და მზესავით აღდგები, ვიცი“... „მე შენ გეძახი, რადგან ვიცი, ადრე თუ გვიან, ყველაზე ძლიერ და სრულყოფილ სიცოცხლით მოხვალ“. თამაზმა მეორედაც წაიკითხა ლექსი და მერე შეთქმულის ჩურჩულით მითხრა, ხომ იცი, ამის შესახებ არავის არაფერი არ უნდა უთხრაო, მეც, ცხადია, შეთქმულის როლში შეჭრილმა, უხმოდ დავუქნიე თავი. და წავიღე „თავისუფლება“ ჩემს სხვა ფარულ ნაწერებთან ერთად საგულდაგულოდ შესანახავად. მაგრამ სულ მალე აღმოჩნდა, რომ ამ ფურცელს დიდხანს შენახვა არ ეწერა. გავიდა რამდენიმე დღე, ჩემთან მეგობრები იყვნენ შეკრებილი და როგორც ყოველთვის, თავდავიწყებით ვმხიარულობდით. შემოვიდა თამაზი, – მაშინ ასე დავდიოდით ერთმანეთთან, გაუფრთხილებლად და დაკაკუნების გარეშე. გახარებული შევეგებე, ის კი უჩვეულოდ სერიოზული იყო, მოსალმების მაგივრად ჩემთან ახლოს მოიტანა სახე და თითქმის უხმოდ მითხრა, დაწვი, დაწვი... მე მაშინვე მივხვდი, რას ეკუთვნოდა ეს „დაწვი“, ჩემს მაგიდას მივვარდი, რვეულებში ჩამალული „თავისუფლება“ ამოვიღე და სხვებისგან შეუმჩნევლად, სადარბაზოში გავედით. იქ ბნელოდა. თამაზმა ასანთს გაჰკრა, მე ფურცელი მეჭირა, თამაზმა ცეცხლი წაუკიდა. ხელნაწერი იწვოდა, მე მეჩვენებოდა, რომ ეს აქტი უსასრულოდ გრძელდებოდა, იწვოდა ქაღალდი და მასთან ერთად ჩვენი სულისკვეთებაც იფერფლებოდა. ფურცელი, როგორც იქნა, დაიწვა, და მხოლოდ მაშინ მითხრა თამაზმა ჩურჩულით: ოტია დაიჭირეს (ოტია პაჭკორია, ჩვენი მეგობარი და ჩვენსავით უნივერსიტეტის სტუდენტი, დაიჭირეს და გადაასახლეს კიდევ რამდენიმე სტუდენტთან ერთად). ცოტა ხანს ჩუმად ვიდექით, მერე თამაზმა ჩაილაპარაკა, ასლიც კი არ დამრჩაო, არა უშავს, მე მგონი, მახსოვს-მეთქი, – ვთქვი მე.

გამოიწერეთ „ცხელი შოკოლადი“ წელიწადში მხოლოდ 49 ლარად

ჟურნალს, გამოსვლის დღესვე, თქვენს სამუშაო ადგილას მოგაწვდით

საკონტაქტო ინფორმაცია:
822 23 37 31, 899 48 62 41
gamocera@shokoladi.ge

რამდენიმე ათეული წლის მერე, როცა წავიკითხე ლიდია ჩუკოვსკაიას სამიზდატით გავრცელებული წიგნი ანა ახმატოვას შესახებ, სადაც დაწვრილებით არის მოთხრობილი, როგორ იმახსოვრებდა ჩუკოვსკაია ახმატოვას „რეკვიემის“ სტრიქონებს და როგორ წვავდნენ მერე სანთლის ალზე ამ შედევრის ხელთნაწერ ფურცლებს ეს ქალები – დიდი პოეტი და დიდი ადამიანი – და თან ხმამაღლა რაღაც ყოფით ამბებზე ლაპარაკობდნენ, რადგანაც იცოდნენ, რომ ბინა ისმინებოდა, მივხვდი, რომ ტერორისტულ რეჟიმში ლექსის დამახსოვრება და მისი დაწვა მომავალი თაობებისთვის დასატოვებლად სრულიად კანონზომიერი და აუცილებელი რიტუალი იყო.

დღეს იმასაც ვფიქრობ, რომ ეს „თავისუფლება“ მთელი ჩვენი – ბავშვობიდანვე დათრგუნული და მაინც საბოლოოდ ვერგატეხილი – თაობის კრედოდ თუ მანიფესტად შეიძლება, ჩაითვალოს.

მაგრამ, ცხადია, ჩვენი – ჯერ ბავშვების, მერე ახალგაზრდების – ურთიერთობა ამგვარი პირქუში და განნირული სულისკვეთებით არ ამოიწურებოდა. და საერთო ტრაგიკული გარემოს მიუხედავად, თავდავიწყებამდე გვიტაცებდა ყველანაირი თამაში, ქუჩებში უთავბოლო ხეტიალი, ერთმანეთის სატრფიალო ისტორიების გარჩევა და, რაც მთავარია, საკუთარი „პირველი სიყვარულები“, რომელიც მაშინვე ვინმეს ლექსში აისახებოდა. თამაზი წერდა:

იყო მაისი მშფოთვარე აგრე
და ბობოქარი, როგორც არაგვი,
იყო ოცნება და შენ მას განგებ
შენი პირველი ტრფობა დაარქვი.

დღეს მე ის მართლაც არ მგონია რეალური, ის ჩემი პირველი სიყვარული, თუმცა მას ამ გრძნობისთვის დამახასიათებელი ყველა თვისება ახლდა, სიგიჟეც, სასოწარკვეთაც, უიმედობაც, ზღვარგადასული სიხარულიც, ლექსებით მიმოწერაც... მერე დადგა დაშორების აუცდენელი ჟამი. რეზო უკვე ორი წელი მოსკოვში სწავლობდა, საერთაშორისო ურთიერთობათა პრესტიჟულ ინსტიტუტში, მე აქ, ჩვენს „პროვინციულ“ თბილისში, სხვა გრძნობებში გადავეშვი და გადავწყვიტე ეს მეთქვა რეზოსთვის, მაგრამ როცა ეს დაშორება მართლაც შედგა, და ჩვენ, იმ ბნელი ღამით, ბარნოვის ქუჩაზე, უკანასკნელი გულსაკლავი სიტყვები ვთქვით და სამუდამო მეგობრობაც შევფიცეთ ერთმანეთს, მე სირბილით გავვარდი სახლში და მთელი ღამე ისეთ გულამოსკვნილ ქვითინში გავატარე, რადგანაც სრულებით, სრულებით აღარ მინდოდა სიცოცხლე, რომ დედამ, რომელიც ჩვეულებრივ არასდროს ერეოდა ჩემს პირად ცხოვრებაში, მისთვის ჩვეული თავშეკავებით მითხრა: კი მაგრამ, თუ ასე განიცდი, რატომ გადაწყვიტე დაშორებაო. რა მეპასუხა, არ ვიცოდი, რადგანაც თვითონაც არ მესმოდა, რატომ. რამდენიმე დღის მერე უმიზნოდ დავდიოდი ქუჩებში, გავედი ზემელზე და ფეხებმა თვითონ გამიყვანეს რუსთაველზე, რომელიც ჩვენი მეგობრებით, ახლობლებით, ნაცნობებით იყო დასახლებული, ბიჭები, ძირითადად, ლაღიძის წყლებთან იდგნენ, (რა საოცარია და სამწუხარო, რომ დღეს რუსთაველზე, აღარ არსებობს მისი ესოდენ დამამშვენებელი „ლაღიძე“), გოგოები ვსეირნობდით და იყო გაუთავებელი მისალმებები, ხვევნა-კოცნა, მოკითხვა, სიცილი... ეს ჩვენი პროსპექტი იყო, ჩვენი სახლი, ჩვენი სამყარო, მაგრამ იმ დღეს არავის ნახვა არ მინდოდა... ლაღიძესთან, სხვა ბიჭებთან ერთად, თამაზი იდგა, დამინახა თუ არა, ჩემკენ გამოემართა, ამაყად ააჩხრიალა ჯიბეში ხურდა ფული და ჩვენ შორის უკვე დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით – როგორც კი რაიმე კაპიკები გაგვიჩნდებოდა, ლაღიძის წყალი უნდა დაგველია, ანუ „გვექეიფა“ – ლაღიძეში მიმიპატიჟა. თამაზი იქნებ ერთადერთი ადამიანი იყო, ვისი ნახვაც გამიხარდა, რადგან ვიცოდი, რომ არაფერს მკითხავდა, (იმაში ხომ ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ჩვენი დაშორების ამბავი ელვის სისწრაფით მოედებოდა ჩვენს სამეგობროს). შევედით ლაღიძეში, ჩავდექით გრძელ რიგში, მერე დიდხანს ვარჩიეთ, რომელი წყალი დაგველია, – ახლაც მიკვირს, რამდენი სხვადასხვა წყლის დალევა შეგვეძლო ერთდროულად, – უდარდელი კილოთი ვთქვით იმ მთისა და ამ ბარისა, ბევრი ვიცინეთ კიდეც და მე მიხაროდა, რომ შევძელი თამაზისთვის ჩემი გულისთქმა დამემალა... ორიოდე დღის მერე მოვიდა თამაზი, კარებშივე ჩემთვის ასეთი ნაცნობი ხელნაწერი ფურცელი გამომიწოდა, მერე წაიკითხეო და წავიდა... ეს, ცხადია, ლექსი იყო, ლექსი ასეთი სათაურით: „შვლის ნუკრის ნაამბობი“:

... სულში ნარჩენიც არ იყო მწუხრის
ო, მე ვიგონებ ძველს...
იყო ოცნება: შველი და ნუკრი
ჰგავდა ჩამავალ მზეს.

მაგრამ ოცნება თოვლივით გალღვა,
ღრუბელს დაეყრდნო კამარა ცის,
ხეებმა თითქოს იწყინეს რაღაც
და ხეივანში წვიმს.

მზე შენს თვალებში დაეცა მუხლით,
ველარ წამოდგა ზე...
ოცნება იყო შველი და ნუკრი
ოცნება იყო მზეც.

ფოთლებმა კვნესით დაიწყეს ცვენა
მოგიალერსეს პატარა ნუკრს –
და თუ კი ასე არ იყო ძველად
ნურას ნუ იტყვი, ნუ...

ახსოვს ხეივანს ამაყი შველი
ჩამოივლიდა ხეების წინ,
ძვირფასო ეხლა თვალები შენი
სველ ფოთლებივით დაეშვნენ ძირს...

ხეებს ესტუმრა ქარი და ბუქი
და გაოცება სძლევთ –
ოცნება ძველი: შველი და ნუკრი
და ჩამავალი მზე...

შევცბი. თურმე თამაზს ყველაფერი გაუგია, „და თუ კი ასე არ იყო ძველად, ნურას ნუ იტყვი, ნუ“... თან მალამოდაც დამედო გულზე ასეთი სათუთი და წრფელი სიტყვები. მერე ეს ლექსი თამაზმა თავის წიგნში შეიტანა, რომელსაც „ლანას ლექსები 1945-1947“ დაარქვა და რომელიც თვითონ გადაწერა – მშვენიერი კალიგრაფიით, თვითონ გააფორმა – ჩამავალი მზითა და ღრუბლებით, აკინძა და 1947 წელს დაბადების დღეზე საჩუქრადაც მომიტანა ასეთი წამძღვარებით: „ლანა, ეს ლექსები შენთვის და შენს გამოა დაწერილი და როგორც საჩუქარი მიიღე დღეს“. დაბადების დღეზე ამაზე ძვირფასი საჩუქარი ნამდვილად არასდროს მიმიღია! ამ ერთი ბეწო წიგნში არის ასეთი, ჩემთვის ძვირფასი და ვფიქრობ, ობიექტურადაც მშვენიერი, სტრიქონები:

თუკი ოდესმე ამოხვალ იმ გზით
ო, დაიჯერო იქნებ უფიცოდ,
ჩემი ცხოვრების ცოდვიან წიგნში
ეს ერთი გვერდი დამრჩა უბიწო.

აგრეა წელს და ალბათ, გაისად
შენს სახელს კიდევ დავარქმევ ლექსებს,
ქუდი გეხურა ვეფხის ტყავისა
მისივე ტყავი გეფინა მხრებზე.

წარსულს მახვილი გულამდე ჩავეც
და მხოლოდ შენ ერთს მუდამ დაგლოცავ –
როგორც თითები მტვერიან ავეჯს
ჩემს სულს დააჩნდა შენი აქ მოსვლა.

ან კიდევ:

ჩამოუარეთ ხევს,
პეშვი აჩუქე წყაროს,
უკვდავებისა ხევ,
უკვდავებისა წყალო

ჩემს სულს ალერსი სურის
და თუ წყაროს წყალს აქებ –
დალიე ჩემი სულიც,
ოღონდ შემახე ბაგე...

და კიდევ სტრიქონები, დედაჩემის ათწლიანი გადასახლებიდან დაბრუნების გამო დაწერილი:

ნოემბრის დარი... დღეს უფრო მეტად
შეიცნო სულმა ფოთლების კრთომა,
დაბრუნდა: დედა,
ალერსი, მზე და ბიძია თომა.

ძვირფასო, გათბი! მყუდროა ეხლა

PROSPERO'S BOOKS

"KNOWING I LOV'D MY BOOKS, HE FURNISH'D ME FROM MINE OWN LIBRARY WITH VOLUMES"
Prospero… - The Tempest, William Shakespeare

გამომცემლობა „ემ ფაბლიშინგის“ ჟურნალები – „ლიბერალი“, „ცხელი შოკოლადი“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“ უკვე **Prospero's Books & Caliban's Coffee**-ს წიგნის მაღაზიასა და კაფეში იყიდება!

მუშაობს ყოველ დღე: 9:30 – 20:00
ბავშვთა საათი: კვირა, 12:00

მისამართი: თბილისი, რუსთაველის 34
ტელეფონი: (995 32) 92 35 92

მყუდროა გ ზა და მთების იქითაც,
მე თუ ამოვალ, დაკოდილ ვეფხად
და მხოლოდ ლექსებს გადავიკითხავ.

მე თუ ამოვალ: წვიმიან თვეში
ერთხელ და ისიც საღამოს თალხით –
უთქმელ სიცოცხლეს მოგიტან პეშვით
და შენს მუხლებზე ქვითინით დავღვრი.

წიგნი ასეთი სტრიქონებით მთავრდება:

შენ სუნთქვასავით დამკვიდრდი ჩემში
და თუ ოდესმე დავუძლურდები,
მე ჩემს სიცოცხლეს ოცნებით შევშლი,
რომ შენ მიყვარდე დაუსრულებლივ!

ასეთი ნატიფი განცდებით იყო სავსე თამაზის „საჩუქარი“. მაგრამ ადამიანთა კავშირების ამოუცნობი სირთულის დასახასიათებლად მინდა, ვთქვა: ეს ლექსები თითქოს სულ ცალკე, ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობდა, თითქოს მათ ეს კონკრეტული ლამაზი ბიჭი – თამაზი არ წერდა და ასევე კონკრეტულ გოგოს არ ეხებოდა, ჩვენი რეალური არსებობა სულ სხვა სიბრტყეში იშლებოდა – იქ, სადაც გრძნობებზე არ ლაპარაკობენ – და ჩვენი ძალიან მჭიდრო, ხანდახან ყოველდღიური და მრავალსაათიანი ურთიერთობა მხოლოდ ლექსისა და სიტყვის კალაპოტში მიედინებოდა, როგორც თამაზი ამბობდა, „მე თუ ამოვალ დაკოდილ ვეფხად და მხოლოდ ლექსებს გადავიკითხავ“. მერე ბავშვობაც დასრულდა და რამდენიმე წლით ორივე თარგმნის სტიქიაში ჩავიძირეთ. ჩვენი ერთობლივი მუშაობა უოტ უიტმენით დაიწყო. მე პწკარედებს ვაკეთებდი, მერე ზოგ ლექსს თამაზი ამუშავებდა, ზოგს მე, იყო შემთხვევები, როცა, ფაქტობრივად, თარგმანი მართლა ერთობლივად იქმნებოდა. მუშაობისთვის ჩვენი დიდი, შავი დერმატინის ზურგიანი დივანი გვქონდა არჩეული, – ეს, რაჟდენ ბიძას დროინდელი დივანი განსაკუთრებით მიყვარდა, ის ჩემი საწერი მაგიდაც იყო, – აქ ვაკეთებდი გაკვეთილებს, ვკითხულობდი, – და სალაღობოც – აქ ვისხედით ხოლმე, საათობით, მე და გული (ლორთქიფანიძე), ჩემი უახლოესი მეგობარი, და ვლაპარაკობდით, გაუთავებლად, ისე, როგორც მხოლოდ ბავშვებს შეუძლიათ, რადგანაც ბავშვის ცხოვრება ხომ სულ ახალ-ახალი საინტერესო ამბების აღმოჩენაა და ეს ახალი აუცილებლად, და მაშინვე, ახლობელს უნდა გაუზიარო; ერთხელ აქ ორი ბოთლი ღვინოც დავცალეთ, განგებ, იმის დასამტკიცებლად, რომ ბიჭებზე უკეთესად შეგვეძლო დალევა და მართლაც არ დავთვერით და დალეულები, რუსთაველზე სასეირნოდაც კი წავედით! – აი, ამ დივანზე, რომელიც ამჯერად ლექსიკონებით იყო მოფენილი, ვისხედით საათობით თამაზი და მე, ის – ერთ კუთხეში, მე – მეორეში და თავაუღებლივ ვმუშაობდით. მრავალი წლის, უფრო ზუსტად, მრავალი ათეული წლის მერე თამაზმა მაჩუქა თავისი „მარიოტა“, სადაც უიტმენის ერთ-ერთ ლექსს – „მწუხრის ჟამს ოდეს გავიგონე“ – ხელით მიაწერა: „თარგმნეს ლანა ღოღობერიძემ და თამაზ ჩხენკელმა – 1949 წელს“. მე ამ მინაწერმა კიდევ ერთხელ დამანახა თამაზის რაღაცნაირი (ალბათ ძველმოდური და ამდენად უფრო მიმზიდველი) სიფაქიზე და ის კონკრეტული ამბავიც გამახსენა: ლექსს მართლაც ერთად ვთარგმნიდით, სანამ ერთ საკვანძო მომენტს არ მივადექით: თამაზს უნდოდა პოეტის სიხარული მეგობრის მოსვლის გამო ასეთი სიტყვებით გვეთარგმნა – „და ამოსუნთქვა ამო გახდა, უფრორე ამო, პური ჩემი გულისსათქმელი“, მე არ ვეთანხმებოდი, ჩემთვის უიტმენი მთელი არსით ნოვატორი და ურბანისტი იყო და ამდენად მის ლექსიკას ქუჩური ჟარგონი, არგო და ნეოლოგიზმები ახასიათებდა და არა არქაიზმები. თამაზი კი თვლიდა, რომ ქართულ ენას თავისი კანონზომიერება და მაგია აქვს და მას არქაიზმები ჰაერივით სჭირდება, თუნდაც ამერიკელი ურბანისტის თარგმნის დროსო. არ ვიცი, რით მაჯობა მაშინ თამაზმა, არგუმენტების წონით თუ მოპაექრის გზნებით, (რაც, სხვათა შორის, არც მე მაკლდა), მაგრამ ფაქტია, რომ მე ფარ-ხმალი დავყარე – ალბათ მაინც მის მთავარ პოსტულატს ვერ შევებრძოლე – ქართული ენის „მაგიურობის“ შესახებ. თუმცა დღესაც ვფიქრობ, რომ იმ კამათში მე ვიყავი მართალი და ეს სტრიქონები, განსაკუთრებით „უფრორე ამო“ წინააღმდეგობაში მოდის უიტმენის პოეტიკასთან.

„მიდიან, მიდიან, მიდიან მეგობრები“ – ასე მღეროდა იმ (ჩვენ) საუკუნეში რუსი დისიდენტი ალექსანდრე გალიჩი. თამაზიც წავიდა. და დღეს მე მინდა, გავიხსენო მისივე სტრიქონები, რომლებიც ძალიან მაგონებს თვითონ ავტორს:

საღამო იდგა ჩუმი, გვიანი,
ვისმენდი გუგუნს უხმაუროს თუ ყრუდ მონაწვდენს,
ცოტაღა დამრჩა, ტყეც გავიარე
და მივადექი მცირე მონასტერს....
აქ რაინდები სალოცად შედგნენ,
ბეგთარი ეცვათ მაღალ წვივებზე...
აქ მოდიოდნენ ბედმორჩილნი და ქედმაღალნი,
ქვანიც გაბზარა ღაღადმა,
ასე ჭკნებოდა შემოდგომა, დღე და ზამთარი
და ამ ლოცვაში შემოაღამდათ.
წავიდნენ ჩუმად, ისე ჩუმად, როგორც მოვიდნენ,
დედის აკვნიდან მიწის აკვნამდე
და ვინც გადარჩა ფერმკრთალ კედლებს, ლაშასდროინდელს
ხელაპყრობილნი შეეხიზნენ და ზედ გაქვავდნენ.
მერე ქარებმა გადაფურცლეს ჟამთა იგავი...

ასე მგონია, ეს ერთ-ერთი რაინდი თამაზია (მართლაც რაინდი გარეგნობითაც და სულიერადაც), ვინც ხელაპყრობილი შეეხიზნა ლაშასდროინდელ ფერმკრთალ კედლებს და ზედ გაქვავდა, ანუ ფრესკად იქცა. რომ მომავალმა თაობებმა არ დაივიწყონ, თავის ბოძიუ-ისთან, „გიტანჯალთან“ და „ბალახის ფოთლებთან“ ერთად.

★★★★★

THE OVA RESTAURANT

მისამართი: ჰაინის ჰიგი 6
ტელ.: 43 89 50 / 43 89 51

ჰესტოჰანი "ოვალი" გთავაზობთ:

- მაღალი დონის მომსახურებას და ჯომფორტულ გარემოს
- გემრიელ ჯეიძებს, დესერტს და ღვინის ფართო არჩევანს

ჰესტოჰანი "ოვალი" იდეალური ადგილია თქვენთვის და თქვენი სტუმრებისათვის



სანაგვიდან ვარსკვლავებისკენ

ერთი-ორი ადვილად ამოსაშრობი წვეთის გარდა, სულხან-საბა ორბელიანის შემდეგ, ქართული პროზა ნაგავია და ჩვენს ცხოვრებას ნაგვით ავსებს. ამ ნაგვიდან თხზავს ავტორი „შუშანიკის შვილებს“ და ისე უახლოვდება ნამდვილ ლიტერატურას, როგორც მხოლოდ აკა მორჩილაძეს თუ გამოსდის ალაგ-ალაგ.

მამუკა ლეკიაშვილი